

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკა გეგეშიძე

მთლიანი შიდა პროდუქტი და  
ეკონომიკური ზრდა

ეკონომიკის დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაკრებლად წარმოდგენილი  
სადისერტაციო ნაშრომი

სპეციალობა: მაკროეკონომიკა

მეცნიერ-ხელმძღვანელი ეკონომიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, სრული პროფესორი ნოდარ ხალატი



თბილისი 2010

## შინაარსი

შესავალი	3
<b>I თავი</b>	8
მთლიანი შიდა პროდუქტის ადგილი და როლი ეკონომიკურ სისტემაში	
1.1. კეთილდღეობა და მაკროეკონომიკა	8
1.2. ეროვნული ანგარიშების სისტემა და მშპ	25
1.3. ეკონომიკური ზრდის დადებითი და უარყოფითი ასპექტები	45
<b>II თავი</b>	50
თეორიები, კონცეფციები და შეხედულებები ეკონომიკური ზრდის შესახებ	
2.1. კლასიკოსები	50
2.2. კეინსი და მისი თეორიები ეკონომიკური ზრდის შესახებ	77
2.3. ნეოკლასიკოსები და ეკონომიკური ზრდის სოლოუს მოდელი	88
2.4. მონეტარიზმი	109
2.5. “ნეოკლასიკური სინთეზი”, როგორც თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ეკონომიკური ზრდის თეორია	114
2.6. ეკონომიკური ზრდის ახალი თეორია და ენდოგენური ზრდის თეორია	117
2.7. სხვა თეორიები	122
<b>თავი III</b>	124
ეკონომიკური ზრდა საქართველოში და მისი ძირითადი ტენდენციები	
3.1. გადასახადები და ეკონომიკური ზრდა	135
3.2. განათლება და ეკონომიკური ზრდა	145
3.3. სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	167
დასკვნა	174

## შესავალი

### პრობლემის აქტუალობა:

ნებისმიერი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ეკონომიკური ზრდაა, რაც უფრო მეტი რაოდენობისა და უკეთესი ხარისხის საქონლისა და მომსახურების წარმოებას – ანუ ცხოვრების უფრო მაღალ დონეს გულისხმობს. თავისთავად ეკონომიკური ზრდა მიიღწევა არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების გზით.

ცივილიზაციის ისტორიის მანძილზე ყველა სახელმწიფოს მიზანი მეტ-ნაკლებად მდგომარეობდა სწრაფი და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევაში, რაც თავის მხრივ, საჭიროებდა ინფორმაციას ეკონომიკური ზრდის წყაროებზე, საფუძველზე, გაზომვასა და ანალიზზე.

ეკონომიკური ზრდის ფენომენი კარგადაა ცნობილი და იზიდავს ეკონომისტებს, (და არა მხოლოდ მათ) ამ საკითხების კვლევა-ძიებისკენ. ამიტომ ეკონომისტებმა სხვა სფეროებშიც გადაინაცვლეს ახალ-ახალი იდეების გენერირებისათვის, უფრო სრულყოფილი ზრდის პროცესების მოდელები შესამუშავებლად, რომელთა შორისაა პოლიტიკური ეკონომია, განვითარება და ეკონომიკური ისტორია. რა თქმა უნდა ყოველივე ეს საჭიროა ანალიტიკური მოდელის ასაგებად და მათ გამოსაცდელად სტატისტიკურ მეთოდებით.

ეკონომიკური ზრდის კონცეფციების დიდი ნაწილი გაყოფილია ზრდის ეკონომიკის კვლევად და სხვადასხვა მიმართულების შემავსებელ კვლევებად, რომელიც ფაქტობრივად განსხვავდება მეთოდოლოგიური მიდგომებით. ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი არის ის, რომ ასახავს თუ არა გაზომილი შედეგი ქვეყნის კეთლდღეობას და რა განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას.

ეკონომიკურ ზრდას მჭიდრო კავშირი აქვს საინვესტიციო პროექტთან, რადგან, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდა იწვევს საინვესტიციო პროგრამების მომგებიანობის გარანტიას, თავად ინვესტიციები განაპირობებს ზრდას, მაგრამ როდესაც ეკონომიკა მყარ მდგომარეობას მიუახლოვდება (სოლოს მოდელში), ინვესტიციები ვეღარ უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას. ასევე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ეკონომიკური რყევები, რაც თავის მხრივ ეკონომიკურ

ექსპანსიებს და შოკებს იწვევს. ყოველივე ეს განაპირობებს კვლევის სფეროს აქტუალობას.

კვლევის სფერო კიდევ უფრო აქტუალური ხდება მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის ფონზე, როცა ყველა ეკონომისტი და პოლიტიკოსი ეძებს პასუხს შემდეგ კითხვებზე: რატომ მოხდა ასეთი სერიოზული ეკონომიკური კრიზისი, რამდენ ხანს გაგრძელდება რეცესია, რა დამატებითი პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინსტრუმენტები შეიძლება იქნეს გამოყენებული მიმდინარე პრობლემების მოსაგვარებლად.

მიმდინარე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისები, ბუნებრივი ეკონომიკური ციკლები, ზრდისა და კლების ტენდენციები მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხებზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს. არასწორად გააზრებული მაკროეკონომიკური პოლიტიკის შედეგების ასაცილებლად მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პოტენციალისა და მიმართულების სწორად შეფასება და გააზრება.

განსაკუთრებით სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ეკონომიკური ზრდა საქართველოსთვის, რომელიც გარდა იმისა, რომ ახალგაზრდა საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაა, უამრავ სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემასთან ერთად შეიარაღებული კონფლიქტებისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხების პრობლემის წინაშე დგას, ამიტომ კვლევის ამ მიმართულებით წარმართავს, გამოსავალის მეცნიერული და პრაქტიკული მეთოდების ძიებას სასიცოცხლო მნიშვნელოვანია ქვეყნისათვის და აქედან გამომდინარე, თითოეული ეკონომისტისათვის, როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე.

### **კვლევის ობიექტი:**

ეკონომიკური ზრდის თეორიების, მისი გაზომვის, ანალიზის, მეთოდების და მიდგომების შეჯერება, საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტენდენციების განხილვა, მიკრო და მაკრო ეკონომიკის დაკავშირება სოლოს ეკონომიკური ზრდის (წარმოების ზრდის) და კეინსის მაკროეკონომიკური თეორიის მიხედვით.

ასევე ინვესტიციების რისკების შეფასება და მისი მომგებიანობის განსაზღვრა ეკონომიკური ციკლების გავლენით, რაც ერთმანეთს დაუკავშირებს ეკონომიკურ

ზრდას, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაციას და საინვესტიციო პროექტების მომგებიანობას.

კვლევის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ეძღვნება განათლების საკითხებს ეკონომიკურ ზრდაში, აქედან გამომდინარე, კვლევის ობიექტია საქართველოში მიმდინარე განათლების გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტი და მისი შედეგები და გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

### **კვლევის მიზანი:**

ეკონომიკური ზრდის თეორიების მეთოდებისა და მიდგომების სინთეზური განხილვა და მათი დაკავშირება მთლიან შიდა პროდუქტთან, როგორც ეკონომიკური ზრდის ძირითად ინდიკატორთან და ეკონომიკური ზრდის თეორიების ცვლადების ინტერპრეტაცია.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის შედეგების გამოკვლევა, ტერიტორიული ერთეულებისა და დასაქმების მიხედვით, სიღარიბის პრობლემებისა და ეკონომიკური ზრდის პრობლემების განხილვა საქართველოში მიმდინარე სოციალური რეფორმების ფონზე.

ეკონომიკური ზრდის თეორიების და ბიზნეს ციკლების გავლენის შესწავლა კომერციული ორგანიზაციებზე.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის შეფასება და მისი მომავალი ტენდენციებისა და გაუმჯობესების გზების განსაზღვრა.

### **კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლები:**

კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს: ადგილობრივი და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერთა, ეკონომისტთა და პოლიტიკოსთა თეორიული და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევები, ასევე თეორიები ეკონომიკურ, სტატისტიკურ, პოლიტიკურ მეცნიერებებსა და ფილოსოფიაში.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკური ანალიზის, შედარების, შეპირისპირების, დაჯგუფების, მათემატიკური და სხვა ხერხები. სადისერტაციო ნაშრომის შესრულების პროცესში ფართოდ იქნა გამოყენებული

მაკროეკონომიკური კვლევის თანამედროვე, ექსპერტული მეთოდები და მოდელები.

ნაშრომში ასევე წარმოჩენილია სტატისტიკის მიმართულების ეროვნული ანგარიშთა სისტემა, რომელიც მნიშვნელოვან ინფორმაციულ ბაზას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესაფასებლად, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები და სტატისტიკური მონაცემები, მიდგომები და მეთოდოლოგია.

ნაშრომი თავს უყრის ეკონომიკური ზრდის შესახებ კვლევების, თეორიების ეკონომიკური ციკლების და მათი გაზომვის, ანალიზის და განზოგადების საშუალებებს.

ნაშრომი შესრულებულია ძირითადად კაბინეტური კვლევის მეთოდით.

ნაშრომის მეთოდოლოგიური საფუძველია ეკონომიკის ძირითადი მეთოდი თეორია, დაკვირვება, თეორია და კვლავ თეორია, *ceteris paribus* - სხვა თანაბარ პირობებში.

**კვლევის მეცნიერული სიახლე:**

ნაშრომი წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის თეორიების ისტორიულ ექსკურსს: აჯგუფებს სხვადასხვა ეკონომიკური ზრდის თეორიებს, ერთმანეთთან აკავშირებს მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ კანონებს და გვთავაზობს ეკონომიკური ზრდის და ეკონომიკური რყევების გამომწვევ დასაბუთებულ მიზეზებს.

ნაშრომში დეტალურადაა განხილული საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტენდენციები და მიმართულებები, ეკონომიკური ზრდის პოტენციალი. ამ მხრივ მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიღწევები და ჩავარდნები. ასევე ნაშრომი გვთავაზობს ეკონომიკური ზრდის გაუმჯობესების მიმართულებებს.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სოციალური სფეროს პრობლემებზე ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში. განათლებისა და დასაქმების ურთიერთდამოკიდებულებაზე ეკონომიკურ ზრდასა და სიღარიბესთან.

ნაშრომში გაანალიზებულია განათლების რეფორმის პრობლემები და მისი ბიუჯეტირების, დაფინანსების მოდელების შეცვლის სტრატეგია უფრო ეფექტიანი საგანმანათლებლო სისტემის ჩამოსაყალიბებლად.

ნაშრომში გამოთვლილია მშპ-დან წარმოებული ახალი ინდიკატორები, როგორცაა რეგიონის ათვისების ინდიკატორი და რეგიონის ათვისების ინდიკატორი ერთ კაცზე, რომლის საფუძველზეც უფრო თვალნათლივ ჩანს სიღარიბის პრობლემები საქართველოს რეგიონებში, ასევე ნაშრომში განსაზღვრულია სტრატეგიები რეგიონული პრობლემების მოსაგვარებლად.

## I თავი

მთლიანი შიდა პროდუქტის ალბილი და როლი ეკონომიკურ სისტემაში

### 1.1. მშპ, ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა

ჩვენ ვცხოვრობთ მდიდრებისა და ღარიბების მსოფლიოში, სადაც 6,733 მილიარდი ადამიანი სხვადასხვა პირობებში იმყოფება, 826 მილიონს განვითარებად ქვეყნებში არა აქვს საკმარისი საჭმელი, 1 მილიარდ კაცს კი არა აქვს სუფთა სასმელი წყალი, 2,4 მილიარდ კაცს კი ხელი არ მიუწვდება სისუფთავეზე. დაახლოებით 10,000 ბავშვი იღუპება დღეში დაბინძურებული წყლისგან გამოწვეული ეპიდემიებით. ინდუსტრიულ ქვეყნებში კი ავადმყოფობები და დაავადებები გამოწვეულია საკვების ზენორმატიული კალორიებით, სიმსუქნე, რომელიც XX საუკუნის დაავადებად ითვლება, ორგანიზმში ზედმეტი ქოლესტერინის დაგროვების შედეგად წარმოიქმნება. დღეს განვითარებულ ქვეყნებში საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა 79 წელია, მაგრამ მაგალითად, 1880 წელს იაპონიაში ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 35 წელი იყო, რომელიც დღეს 81 წლამდეა გაზრდილი<sup>1</sup>. ამის საფუძველზე ადვილია წარმოვიდგინოთ მედიცინის მიღწევები.

ჩვენს პლანეტაზე არსებული ქვეყნების მიწები 148,940,000 კვადრატულ კილომეტრზეა გადაჭიმული, წყალთან ერთად ის 510,072,000 კვადრატულ კილომეტრს შეადგენს. სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიებზე მოსახლეობის სიმჭიდროვე სხვადასხვაგვარია, მთლიანად მსოფლიო მიწების კვადრატულ კილომეტრზე 48 კაცი მოდის, მსოფლიო ტერიტორიაზე წყლის ჩათვლით კი 13, 2 კაცი, მაგრამ მაგალითად მონაკოში მოსახლეობის სიმჭიდროვე 16,905 კაცია კვადრატულ კილომეტრზე. საქართველოში, რომელიც მოსახლეობის სიმჭიდროვით მსოფლიოში 134-ე ადგილზეა, დაახლოებით მედიანურ ადგილს იკავებს 64 კაცია კვადრატულ კილომეტრზე, რუსეთის მოსახლეობის სიმჭიდროვე კი 8,4 კაცია, ხოლო მონღოლეთში 1,7 კაცი. სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრების სტანდარტები განსხვავებულია, ვერ ვიტყვით იმას, რომ მჭიდროდ დასახლებული ქვეყნები უკეთ ცხოვრობენ ნაკლები სიმჭიდროვის ქვეყნებთან შედარებით, ან პირიქით ის. ცხრილი №1.

<sup>1</sup> Devid N. Well, Economics Growth pg. 3. © 2005 by pearson Education, Inc. as Addison-Wesley



განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ეკონომიკური ზრდის ტემპების მიხედვით აზიური სახელმწიფოები, რომელთა ცხოვრების სტანდარტები ბოლო წლების განმავლობაში ძალიან სწრაფად იზრდება.

ცხრილი №1

ქვეყანა	მსოფლიოს ზოგიერთი ქვეყნის მოსახლეობა, ფართობი და დასახლების სიმჭიდროვე		
	ფართობი კმ <sup>2</sup>	მოსახლეობა კაცი	სიმჭიდროვე კაცი/კმ <sup>2</sup>
მეკაუ ( China)	546,200	29.2	18,705
მონაკო	32,965	1.95	16,905
სინგაპური	4,839,400	710.2	6,814
ჰონგ კონგი ( China)	7,008,900	1,108	6,326
გიბრალტარი (UK)	31,000	6.8	5,119
ვატიკანი	826	0.44	1,877
ბეჰრეინი	791,000[7]	720	1,454
მალტა	413,609[8]	316	1,309
ბერმუდა (UK)	64,000	53	1,211
ბანგლადეში	153,122,000	143,998	1,063
საქართველო	4,465,000	69,700	64
რუსეთი	143,201,600	17,098,242	8.4
ლიბია	5,853,452	1,759,540	3.3
კანადა	33,271,000	9,984,670	3
ბოსტვანა	1,764,926	581,730	3
მავრიტანია	3,068,742	1,025,520	3
აიცლენდი	309,672	103,000	3
სურინამი	452,000	163,820	3
ავსტრალია	21,468,700	7,682,300	2.84
ნამიბია	2,031,252	824,292	2.5
ფრანგული გვინეა (France)	187,056	90,000	2.1
მონღოლეთი	2,646,487	1,564,116	1.7
დასავლეთ საჰარა	440,000	266,000	1.3
გრელანდია (Denmark)	56,700	2,175,600	0.026

ქვეყნები ძალიან განსხვავდებიან ცხოვრების სტანდარტებით. ყველაზე მაღალი ცხოვრების სტანდარტი ლუქსემბურგშია (იხ. დანართი №1 ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ კაცზე<sup>2</sup>) ამ მონაცემების მიხედვით საქართველო მსოფლიოს 179 ქვეყნიდან, მხოლოდ 107-ე ადგილზეა.

<sup>2</sup> [http://en.wikipedia.org/wiki/List\\_of\\_countries\\_by\\_GDP\\_\(nominal\)\\_per\\_capita](http://en.wikipedia.org/wiki/List_of_countries_by_GDP_(nominal)_per_capita)

ყოველი ჩვენგანი სიცოცხლის განმავლობაში გარკვეულ წარმოდგენას იქმნის ეკონომიკის მუშაობის შესახებ, მაგრამ ეკონომისტებს, რომლებიც ეკონომიკურ ცვლილებებს შეისწავლიან და პოლიტიკოსებს, რომლებიც ეკონომიკურ პოლიტიკას ქმნიან, უბრალო წარმოდგენაზე მეტი სჭირდებათ. მათ უნდა იცოდნენ კონკრეტული მონაცემები, რომლებზეც თავიანთ მსჯელობას დააფუძნებენ, ქვეყნისა და მსოფლიოს განვითარების სტრატეგიებს დასახავენ. ეკონომიკური ზრდის ფენომენი კარგად არის ცნობილი და იზიდავს ეკონომისტებს და არა მხოლოდ მათ, ამ საკითხების კვლევა-ძიებისკენ. ეკონომისტებმა თავიანთი კვლევების სრულყოფისათვის და ახალი იდეების გენერირებისათვის გადაინაცვლეს ისეთ სფეროებშიც, როგორცაა პოლიტიკური ეკონომია, განვითარება და ეკონომიკური ისტორია. ეკონომისტებს სჭირდებათ ანალიტიკური მოდელის აგება სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით და მისი გამოცდა, უფრო სრულყოფილი ზრდის პროცესების მოდელების შესამუშავებლად. ეკონომიკური ზრდის კვლევების დიდი ნაწილი გაყოფილია ზრდის ეკონომიკად და სხვა შემავსებელ კვლევებად, რომელიც ფაქტობრივად განსხვავდება, მხოლოდ მეთოდოლოგიური მიდგომებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკვლევი საკითხი არის, ის თუ რამდენად ასახავს გაზომილი შედეგი ქვეყნის კეთილდღეობას. ჰელმენი (2004) ამბობს “თუმცა ადამიანები ზრუნავენ შემოსავალზე, ისინი ამასთანავე ზრუნავენ დამოუკიდებლობაზე, თავისუფლებაზე და ჯანმრთელობაზე”. მისი აზრით ცხოვრების სტანდარტების კარგმა საზომმა უნდა აღრიცხოს ბევრი ფაქტორი, მაგრამ მათი უმეტესობა ძნელი გასაზომია. მეცნიერებმა უამრავი მეთოდი და მიდგომა შეიმუშავეს ეკონომიკური კეთილდღეობისა თუ ზრდის გასაზომად და შესაფასებლად. მათგან რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ კაცზე ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინდიკატორია.

ეკონომისტები მოსაზრებებს უპირისპირებენ პრობლემებს, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური საფუძვლისაა. რადგან პოლიტიკა შეიძლება იყოს ეფექტიანი მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანებს მინიმალური პირველადი საჭიროებები აქვთ დაკმაყოფილებული. ანუ პრობლემა შეიძლება ჩამოყალიბდეს ასე, რა არის შესაფასებელი: ბედნიერება, განვითარება თუ ზრდა. ასევე მნიშვნელოვანია განვიხილოთ ეკონომიკური ბედნიერება, ეკონომიკური განვითარება თუ ეკონომიკური ზრდა, ასევე საჭიროებს დაზუსტებას კონტექსტი იგივე მაჩვენებლები შეიძლება იყოს განხილული სულიერ ბედნიერებად,

სულიერ განვითარებად, თუ სულიერ ზრდად. ან კიდევ დემოკრატიული ბედნიერება, დემოკრატიული განვითარება თუ დემოკრატიული ზრდა. ანუ უკვე სერიოზულ ლაბირინთში აღმოვჩნდით. მაგრამ ეკონომისტთა დიდი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ თუ გვინდა აღვწეროთ დიდი განსხვავებები ცხოვრების სტანდარტებში, რომლებიც დროთა განმავლობაში ქვეყნებს შორის წარმოიშობა, მთლიანი შიდა პროდუქტი კარგი დასაწყისია.

მთავრობის პოლიტიკის მთავარი საყრდენი მიზანი ეკონომიკაში არის ეკონომიკური აქტივობების წახალისება ისე, რომ არ მოხდეს ფასების დონის ზრდა (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მშპ-ს ზრდა ინფლაციის გარეშე). ანუ, როცა ბევრი ფული ბრუნავს, მაგრამ ინდივიდუალური საქონლის ფასები არის სტაბილური, რაც ადასტურებს იმას, რომ გაზრდილია ქვეყნის ეკონომიკური სიმძლავრის პროდუქტიულობა. და რა თქმა უნდა არის მეტი კაპიტალი, რადგან ის უზრუნველყოფს მეტის წარმოებას ერთეულზე ნაკლები დანახარჯებით.

ასევე მეცნიერები მიჯნავენ ეკონომიკური ზრდისა და განვითარების ეკონომიკის შესწავლას, რომელიც თავის თავში მოიცავს უფრო მეტს, ვიდრე ეკონომიკური ზრდაა. განვითარების ეკონომიკა სხვადასხვა ინდიკატორებით ისეთი გაუმჯობესებების შესწავლაა, როგორცაა განათლებულობის დონე, სიცოცხლის ხანგრძლივობა, და სიღარიბის დონე. მშპ არის სპეციფიკური საზომი ეკონომიკური კეთილდღეობის, რომელიც მხედველობაში არ ღებულობს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა თავისუფალი დრო, გარემოს მდგომარეობა, თავისუფლება ან სოციალური სამართლიანობა. ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დადგინდეს ეკონომიკური განვითარება.

“ეკონომიკური განვითარება” ან “განვითარება” არის ტერმინი, რომელსაც ხშირად იყენებენ ეკონომისტები, პოლიტიკოსები და მკვლევარები 20 საუკუნის განმავლობაში. კონცეფცია მომდინარეობს დასავლეთის ქვეყნებიდან. ეკონომიკურ განვითარებაზე საუბრისას პარალელური მნიშვნელობით ასევე იყენებენ ტერმინებს “მოდერნიზაცია” და “ინდუსტრიალიზაცია”. თუმცა დარწმუნებით არავინ იცის, როდის წარმოიშვა ეს ცნება, მაგრამ მკვლევარების უმეტესობა თანხმდება, რომ ეკონომიკურ განვითარებაზე საუბარი წარმოიშვა, როცა ფეოდალიზმი შეიცვალა კაპიტალიზმით.

ეკონომიკურ განვითარებაზე თანამედროვე სოციალური კვლევები მოიცავს უამრავ საკითხს, რომლებიც ეხება ინდუსტრიულ-ეკონომიკურ მოდერნიზაციას და თანამედროვე საზოგადოებაში სამეწარმეო ორგანიზაციების განვითარების ასპექტებს, ასევე სოციოლოგიური ტიპის კვლევებს, რომლებიც ეხება ბიზნეს ორგანიზაციებისა და მეწარმეობის განვითარებას ისტორიული და შედარებითი პერსპექტივებით; სპეციფიკური შეფასების პროცესს (ზრდა, მოდერნიზაცია) ბაზრების და მენეჯერისა და თანამშრომლის ურთიერთობებს. ბოლო დროს, კი უკავშირდება ქვეყნებს შორის ეროვნებების მსგავსებებს და განსხვავებებს თანამედროვე დასავლურ საზოგადოებასთან მიმართებაში.

ეკონომიკური განვითარების საგნის ბუნება ასევე იკვლევს საყურადღებო განსხვავებებს ინდუსტრიულ-ეკონომიკურ ზრდასა და საერთაშორისო განვითარებას შორის. ის ეძებს პასუხებს ისეთ კითხვებზე, მაგალითად როგორცა: “რატომ არის, რომ წმინდა უცხოური ინვესტიციების და შრომის პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად მაღალია ზოგ ქვეყანაში სხვებთან შედარებით.

ეკონომისტები განასხვავებენ მოკლევადიან ეკონომიკურ სტაბილიზაციას და გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდას, ეკონომიკური ზრდის ცნება პირდაპირ ეხება გრძელვადიან ზრდას; მოკლევადიანი ეკონომიკური ზრდის ვარიაცია გენერირდება ბიზნეს ციკლში და თითქმის ყველა ეკონომიკა განიცდის პერიოდულ რეცესიას. ციკლი შეიძლება იყოს არაერთგვაროვანი, რადგან რყევები არასოდეს არის ერთნაირი. ამ რყევების ახსნა არის მაკროეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია. მაკროეკონომიკის სხვადასხვა სკოლები და თეორიები იკვლევენ რეცესიების გამომწვევ მიზეზებს, რომელთა შორის უფრო მეტად აღიარებულია კეინსიანური, მონეტარული, ნეოკლასიკური და ნეოკეინსიანური ეკონომიკა.

ეკონომიკის გრძელვადიანი ზრდა ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი საკითხი, მიუხედავად ზრდის შეფასების პრობლემებისა. საზოგადოდ მიღებულია, რომ მშპ-ს ზრდისას ქვეყანაში იზრდება ცხოვრების სტანდარტები გრძელვადიან პერიოდში. ცხოვრების სტანდარტების ძალიან მცირე წლიური ზრდაც კი დიდ ზემოქმედებას ახდენს კუმულაციური რთული ზრდის გამო. 3%-იანი წლიური

ზრდა მშპ-ს გააორმაგებს 24 წელიწადში, ხოლო 8%-იანი წლიური ზრდა მშპ-ს გააორმაგებს 9 წელში<sup>3</sup>. კუმულაციური რთული ზრდის ხასიათის გამო მწვავედება განსხვავებები ქვეყნებს შორის. მაგალითად, თუ ერთ ქვეყანას აქვს 5%-იანი, ხოლო მეორეს 3%-იანი ზრდა, რომელიც თითქოს ერთმანეთის მსგავსია, 20 წლის შემდეგ პირველს ექნება 165%-იანი ზრდა, ხოლო მეორეს 80%-იანი.

XX საუკუნის დასაწყისში პოლიტიკის საგანი გახდა ეკონომიკური ზრდის წახალისება, რომელიც, რა თქმა უნდა, კუმულაციური ეფექტის მქონე იყო. ამ პოლიტიკის გატარების ეფექტიანობის შესაფასებლად აუცილებელი იყო მისი გაზომვა, ანუ შესაბამისი გაზომვადი სიდიდეების შემოღება. სწორედ ამან განაპირობა **ეკონომეტრიკის** მნიშვნელობის გაზრდა და ისეთი სფეროების გაფართოება, რომლებიც ქმნიდა გაზომვის შესაძლებლობებს. ინდიკატორები: "უმუშევრობის დონე", "მთლიანი შიდა პროდუქტი" და "ინფლაციის დონე", სწორედ ცვლილებების საზომია ეკონომიკაში.

ეკონომიკაში ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანთა საშუალო ცხოვრების სტანდარტის შესაფასებლად ხშირად გამოიყენება რეალური მშპ ერთ კაცზე. ეკონომიკური ზრდა ასევე ხშირად განიხილება ცხოვრების სტანდარტის ზრდის კონტექსტში, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს საერთო ეფექტი მშპ-ს ზრდაში, მაგრამ დაბალი ცხოვრების სტანდარტები ჰქონდეს ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობას, რადგან ეს ზრდა მოსახლეობის უმცირესი ნაწილის შემოსავლების გაზრდით წარმოიშვა.

მაჩვენებლის - მშპ-ს ერთ კაცზე, საზოგადო ეკონომიკური საზომად გამოყენებას აქვს რამდენიმე პრობლემა:

- მისი ზრდა დამოკიდებულია შერჩეული საქონლის კალათის ნომინალურ ღირებულებაზე საბაზო წლის მიხედვით;
- ის არ გვაწვდის არანაირ რელევანტურ ინფორმაციას, შემოსავლების განაწილებაზე ქვეყანაში;
- ის არ ითვალისწინებს ნეგატიურ გარეგან ეფექტებს გარემოს დაბინძურებაზე, რომელიც ეკონომიკური ზრდის შედეგია. აქედან

<sup>3</sup> რთული პროცენტის შემთხვევაში არსებობს ე.წ. "72-ის წესი" რომლის თანახმადაც 72 იყოფა მოცემულ (სავარაუდო ზრდის) რთულ პროცენტზე და ვლელულობთ პერიოდების/წლების რაოდენობას, რომლის განამგლობაში რესურსი გაორმაგდება.

გამომდინარე, ეკონომიკის ზრდა შეიძლება გადაჭარბებულად იყოს შეფასებული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გარემოს დაბინძურებას;

- მშპ მოიცავს ნეგატიურ ხარჯებს, როგორცაა დაბინძურებული წყლის გაწმენდის დანახარჯები და ციხეების მშენებლობა;
- ის არ აღრიცხავს პოზიტიურ გარეგან ეფექტებს, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ისეთი სახის მომსახურებამ, როგორცაა განათლება და ჯანმრთელობა;
- მისგან გამორიცხულია ყველა აქტივობა, რომელსაც ადგილი აქვს ბაზრის გარეთ (როგორცაა დანახარჯებისაგან თავისუფალი დასვენება მაგალითად ლაშქრობა);
- ის სწორად არ მოიცავს ეკონომიკის არაფორმალური სექტორის აქტივობას. მასში აღრიცხულია მხოლოდ მისი მიახლოებითი მნიშვნელობა;
- ის აგრეთვე არ მოიცავს იმ საქონელს, რომლის წარმოება არ მოხდა მიმდინარე ფისკალურ წელს, როგორცაა მეორადი მანქანები ან სახლები, მასში შედის მხოლოდ ახალი საქონელი;
- ის ასევე არ შეიცავს არანაირ ინფორმაციას უკვე ნაწარმოები საქონლის ცვეთის ან ღირებულების ცვლილების შესახებ, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ცხოვრების სტანდარტების ცვლილებაზე (მაგალითად საცხოვრებელი სახლების ცვეთა).

ეკონომისტებმა კარგად იციან მშპ-ს ეს დეფინიციები, ის მხოლოდ მარტივად განიხილება, როგორც ინდიკატორი და არა როგორც მისი აბსოლუტური მასშტაბები. ეკონომისტებმა ასევე შეიმუშავეს უთანასწორობის მათემატიკური საზომი – ჯინის კოეფიციენტი<sup>4</sup>, რომელიც საზოგადოებაში მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავებას ასახავს.

არსებობს ისეთი ინდიკატორებიც, რომლებშიც გათვალისწინებულია ისეთი ნეგატიური გავლენა, რომელიც გარემოს დაბინძურებისა და რესურსების გამოფიტვის შედეგია, მაგალითად, მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც ეკონომიკური ზრდის თვისობრივად ახალი ინდექსია, მისი გამოთვლისას

---

<sup>4</sup> შემუშავებული იქნა 1910 წელს იტალიელი სტატისტიკოსის, კორადო ჯინის, მიერ. ეს კოეფიციენტი ხშირად გამოიყენება საზოგადოებაში შემოსავლის უთანასწორობის დასათვლელად დაფუძნებულია. წყარო <http://www.scribd.com/doc/328232/United-Nations-Gini-Coefficient>

ითვალისწინებენ გარემოზე იმ უარყოფით ზემოქმედებას, რომელიც ეკონომიკურმა ზრდამ გამოიწვია.<sup>5</sup>

მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტი ითვლის ეკონომიკური ზრდის ინდექსს გარემოზე ზემოქმედების გათვალისწინებით. პირველად ჩინეთის პრემიერ მინისტრმა ვენ ჯიაბაომ გამოთქვა სურვილი ეკონომიკური ზრდა ჩინეთში შეფასებულიყო მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტის ინდექსით. მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტის 2004 წლის პირველი მაჩვენებელი გამოქვეყნდა 2006 წლის სექტემბერში, რომელიც იყო, ის ასახავდა ფინანსურ დანაკარგებს გარემოზე ზემოქმედების გამო და ჩინეთში შეადგენდა 511.8 მილიარდ იენს (\$66.3 მილიარდი), ანუ ეროვნული ეკონომიკის 3.05%-ს. მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლის ექსპერიმენტმა მარცხი განიცადა 2007 წელს, როცა ნათელი გახდა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების მცდელობები ამცირებდა ზრდის განაკვეთს პოლიტიკურად მიუღებელ დონემდე (თითქმის ნულამდე ზოგიერთ რეგიონში), ამიტომ პოლიტიკოსებმა და მთავრობამ შეაჩერა 2005 წლის მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლა, რომელიც 2007 წლის მარტში უნდა გამოქვეყნებულიყო.

კიდევ ერთი, ეკონომიკური კეთილდღეობის შეფასების ინდიკატორთა შორისა არის *მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორი*, რომელიც შემდგომში გარდაიქმნა *ჭეშმარიტი პროგრესის ინდიკატორად*. ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორში მშპ-სგან განსხვავებით მისი გამოთვლისას არ იკრიბება ყველა კომპონენტი, მომხმარებელთა დანახარჯები დაბალანსებულია ისეთი ფაქტორებით, როგორცაა შემოსავლის განაწილება, დანახარჯები, რომლებიც უკავშირდება გარემოს დაბინძურებას და სხვა ეკონომიკურ არამდგრადობას.

მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორი (ISEW) ზოგადად განისაზღვრება შემდეგი ფორმულით.

$$\text{ISEW} = \text{პერსონალური მოხმარება}$$

5 იხ. [http://en.wikipedia.org/wiki/Green\\_Gross\\_Domestic\\_Product#cite\\_note-0](http://en.wikipedia.org/wiki/Green_Gross_Domestic_Product#cite_note-0)

<sup>6</sup> ინდექსი დაფუძნებულია William Nordhaus-ს და James Tobin-ის შრომებზე – ეკონომიკური კეთილდღეობის საზომი (Measure of Economic Welfare), რომელიც პირველად გამოითვალა 1989 წელს Herman Daly-ს და John B. Cobb-ის მიერ. შემდეგ მათ დაამატეს სხვა რამდენიმე დანახარჯი მდგრადი ეკონომიკური კეთილდღეობის ინდიკატორიდან და მოგვიანებითი ეს შრომები ჩამოყალიბდა როგორც *ჭეშმარიტი პროგრესის ინდიკატორი* (Genuine Progress Indicator).

- + სახელმწიფოს ხარჯები გარდა თავდაცვისა
- თავდაცვის კერძო დანახარჯები
- + კაპიტალის ფორმირება
- + საშინაო შრომითი ძალიდან მიღებული მომსახურება
- გარემოს ზემოქმედების ხარჯები
- ეროვნული კაპიტალის ცვეთა

ამ ინდიკატორების უგულებელყოფა, როგორც მწვანე მთლიანი შიდა პროდუქტისა, მოხდა შემდგომში, რადგან მათი გამოთვლა ძალიან დიდ რესურსებს მოითხოვდა და პოლიტიკოსებისათვის არასასურველ შედეგებს იძლეოდა.

ქვეყნის კეთილდღეობის დონის შეძლებისდაგვარად ობიექტურად შეფასების მიზნით საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულია მრავალი სპეციალური მეთოდი, რომელთაგან ერთ-ერთი უახლესი და საკმაოდ დახვეწილი მეთოდი ეკუთვნის გაეროს ე.წ. ჰუმანური განვითარების ინდექსის ოფისს. ამავე სახელს ატარებს კეთილდღეობის დონის შესატყვისი ინდექსიც: „**ჰუმანური განვითარების ინდექსი**“, შემოკლებით hgi (HDI=Human Development Index). გაეროს ჰუმანური განვითარების ინდექსი არის მცდელობა, შეიქმნას კომპოზიციური ცხოვრების სტანდარტების ინდექსი<sup>7</sup>.

ჰუმანური განვითარების მიდგომა ჩამოყალიბდა 1980-იან წლებში იმ პოზიციის პასუხად, რომელიც ეკონომიკურ ზრდასა და ადამიანის განვითარებას შორის ავტომატურ კავშირს უშვებდა. პაკისტანელმა ეკონომისტმა დოქტორმა მაჰბუბ ალ ჰაქმა დაასაბუთა განვითარების ალტერნატიული მოდელის საჭიროება და შემოიღო ჰუმანური განვითარების ანგარიშები 1980-იან წლებში გავრცელებული მრავალი ფაქტორის გამო. მათ შორის:

- მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გავრცელებულმა რწმენამ იმის შესახებ, რომ საბაზრო ძალების ზემოქმედება ბოლოს მოუღებდა სიღარიბეს, გვიჩვენა, რომ “ყოველისშემძლე” საბაზრო ძალებსაც აქვს თავისი შეზღუდვები;
- სტრუქტურულ ცვლილებათა პროგრამების ჰუმანური დანახარჯები სულ უფრო აშკარა ხდებოდა;

<sup>7</sup> <http://hdr.undp.org/reports/global/2005/>



- სოციალური სენი (დანაშაული, სოციალური სტრუქტურის დასუსტება, გარემოს დაბინძურება და ა.შ.) კვლავ ვრცელდებოდა მძლავრი და თანმიმდევრული ეკონომიკური ზრდის პირობებშიც კი;
- დემოკრატიზაციის ტალღამ ადამიანებზე ორიენტირებული განვითარების მოდელების ახალ მისწრაფებებს დაუდო საფუძველი.

ჰუმანური განვითარება შეიძლება განისაზღვროს, როგორც ადამიანთა არჩევანის გამრავალფეროვნება და შესაძლებლობათა განვითარება (იმ ქმედებების სპექტრის გაფართოება, რისი გაკეთებაც ადამიანებს შეუძლიათ), რაც მათ შეუქმნის ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრების შესაძლებლობას, უზრუნველყოფს ცოდნის მიღების შესაძლებლობით, ღირსეული ცხოვრებით და შესაძლებლობას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ თავიანთი თემის ცხოვრებაში და იმ გადაწყვეტილებათა მიღებაში, რომლებიც მათს ცხოვრებაზე მოახდენს ზეგავლენას. ჰუმანური განვითარება ყოველთვის “განუსაზღვრელი” იყო იმ გაგებით, რომ მას შეიძლება გააჩნდეს იმდენი განზომილება, რამდენი გზაც არსებობს ადამიანთა არჩევანის გამრავალფეროვნებისათვის. არ არსებობს საბოლოო შეთანხმება ჰუმანური განვითარების ძირითად განზომილებებთან დაკავშირებით; ისინი წარმოიქმნება დროთა განმავლობაში და განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით. ამჟამად ჰუმანური განვითარების მიდგომისათვის არსებობს შემდეგი ძირითადი განზომილებები:

- **ეფექტიანობა** – რესურსების ეფექტიანი გამოყენება და მათზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. ჰუმანური განვითარება ზრდისა და პროდუქტიულობისაკენ იხრება;
- **თანასწორობა** – განაწილების სამართლიანობა, განსაკუთრებით არჩევანისა და შესაძლებლობების თვალსაზრისით;
- **უფლებამოსილების მინიჭება და მონაწილეობა** – განსაკუთრებით დემოკრატიული მმართველობა, გენდერული თანასწორობა, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები და კულტურული თავისუფლება;
- **მდგრადობა** – დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის ეკოლოგიური, ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისით;
- **ჰუმანური უსაფრთხოება** – ყოველდღიურ ცხოვრებაში ქრონიკული საფრთხეებისაგან დაცვა, როგორცაა, მაგალითად, შიმშილი და ისეთი დესტრუქციული მოვლენები, როგორცაა უმუშევრობა და კონფლიქტი. ჰუმანური განვითარების მიდგომა პოლიტიკური და ინტეგრირებულია იმ

თვალსაზრისით, რომ იგი ესწრაფვის *ეფექტიანობას* (ძირითად მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საქონელზე და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა), *თანასწორობას* (შესაძლებლობათა განაწილებაში) და *თავისუფლებას* (როგორც ბუნებით, ასევე ინსტრუმენტული ღირებულებების) შორის ქმედითი კავშირის დასამყარებლად. ის გახლავთ მოქმედებაზე ორიენტირებული პარადიგმა, რომელიც გაეროს პრინციპებს ერწყმის და მიმართულია პრაქტიკული ცვლილებისაკენ. იგი აღიარებს, რომ არ არსებობს ავტომატური კავშირი ეკონომიკურ ზრდასა და ჰუმანურ პროგრესს შორის. ამგვარი კავშირის დასამყარებლად საჭიროა გულდასმით შემუშავებული პოლიტიკის გატარება ყველა დონეზე მრავალი მონაწილის, მათ შორის, სახელმწიფოს მიერ.

ჰუმანური განვითარების პარადიგმაში სიღარიბე ნიშნავს ადამიანთა სიღარიბეს, რომელიც მრავალგანზომილებიანი მდგომარეობაა და განიმარტება, როგორც დამაკმაყოფილებელი ცხოვრების არჩევანისა და შესაძლებლობის წართმევა, მათ შორის, მატერიალური კეთილდღეობისათვის აუცილებელი კომპონენტების ნაკლებობა (როგორცაა, მაგალითად, შემოსავალი, განათლება, ჯანდაცვა, უსაფრთხო წყალი), *კლიუს* უარის თქმა ღირსების, თვითპატივისცემისა და სხვა ძირითადი უფლებებით სარგებლობაზე.

ეკონომიკური ზრდა აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი. იგი ადამიანებისათვის ფართო არჩევანის შექმნის მნიშვნელოვანი საშუალებაა, მაგრამ არა თვითმიზანი. ეკონომიკური ზრდის სტრუქტურას და ხარისხს დიდი მნიშვნელობა აქვს. ნებისმიერ ფასად ეკონომიკური ზრდის მიღწევამ შეიძლება გამოიწვიოს:

- *სამუშაო ადგილების გარეშე* ეკონომიკური ზრდა, როდესაც არ შეიქმნება დასაქმების მეტი შესაძლებლობა;
- *შეუბრალებელი* ეკონომიკური ზრდა, როდესაც ზრდის შედეგებით, ძირითადად, მდიდრები სარგებლობენ;
- *დაუნდობელი* ეკონომიკური ზრდა, რომელსაც შეუძლია კულტურული მრავალფეროვნების და იდენტიფიკაციის ჩახშობა;
- *უმომავლო* ეკონომიკური ზრდა, რის შედეგად ამოიწურება ბუნებრივი რესურსები;

- ხმის უფლების გარეშე ეკონომიკური ზრდა, როდესაც დემოკრატია, ან უფლებამოსილების მინიჭება და მონაწილეობა არ ძლიერდება.

**ჰუმანური განვითარების ინდექსის** განსაზღვრა დაფუძნებულია სამი სხვადასხვა ინდექსის გამოთვლაზე, ესენია:

- სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ინდექსი (L);
- განათლების დონის ინდექსი (E);
- რეალური საშუალო შემოსავლის ინდექსი (Y).

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ განისაზღვრება თითოეული მათგანი, სცილდება ჩვენი ინტერესის ფარგლებს; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჰკი გამოითვლება, როგორც აღნიშნული სამი სიდიდის საშუალო არითმეტიკული:  $HDI=(L+E+Y)/3$ .

მიუხედავად ბოლო წლებში **ჰუმანური განვითარების ინდექსის პოპულარობის ზრდისა**, ეკონომისტების უმეტესობა თანხმდება, რომ ცხოვრების სტანდარტებში განსხვავებების აღწერისათვის მთლიანი შიდა პროდუქტი ყველაზე კარგი მაჩვენებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური კეთილდღეობის დონის უფრო სრული შეფასებისთვის განვითარდა ეროვნული შემოსავლის სხვა მაჩვენებლები, არ არსებობს კონსენსუსი იმის თაობაზე, თუ რომელია მშპ-ზე უკეთესი. ეკონომიკური საქმიანობის შესაფასებელი მაჩვენებლებიდან მშპ ყველაზე კარგად შესწავლილი მაკროეკონომიკური ინდიკატორია, რადგან მიჩნეულია, რომ ის საზოგადოების ეკონომიკური კეთილდღეობის საუკეთესო მაჩვენებელია.

მშპ-ს ნაკადები მნიშვნელოვანია, როცა შეისწავლება სახელმწიფო პოლიტიკა, თუმცა ეკონომიკური ზრდის მიზნები გრძელვადიანი ტენდენციებით არის ძალიან კარგი ინდიკატორი, ეკონომიკის სექტორში ფასებში დიდი ცვლილების გამო ძალიან გრძელვადიან მონაკვეთში ის არის დამახინჯებული, მაგრამ ეკონომიკაში არ არსებობს სხვა არცერთი ინდიკატორი მშპ-ს გარდა, რომელიც ასე ფართოდ განვითარებული და აღიარებულია.

*მშპ ისტორიული მონაცემების საფუძველზე გამოითვლება და შეგვიძლია ვთქვათ, რომ მაკროეკონომიკის შეფასების მთავარი პროგრესის ინდიკატორია,*

მართალია ის ბევრს ვერაფერს გვეუბნება მომავალზე, მაგრამ იძლევა კარგი პროგნოზირების საშუალებას.

მაკროეკონომიკა კი არის მეცნიერება ეკონომიკაში აგრეგირებული ქცევის შესახებ<sup>8</sup> და იკვლევს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას. თანამედროვე მაკროეკონომიკა, როგორც ავტონომიური დისციპლინა ეკონომიკის მეცნიერების ფარგლებში, მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩამოყალიბდა, როცა ეკონომიკური სტატისტიკის დარგში მომუშავე სპეციალისტებმა სხვადასხვა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების აღსაწერად დაიწყეს აგრეგირებული ეკონომიკური მაჩვენებლების სისტემატური გამოთვლა და გამოქვეყნება, თუმცა ზოგადი ეკონომიკური ტენდენციების კვლევა ეკონომისტების ყურადღების ობიექტი იყო საუკუნეთა მანძილზე. ამ მხრივ აღსანიშნავია 1752 წელს დევიდ იუმის მიერ ლონდონში გამოქვეყნებული კლასიკური ნაშრომი “პოლიტიკური საუბრები”<sup>9</sup>, სადაც ავტორმა გააანალიზა ურთიერთდამოკიდებულება ისეთ მაკროეკონომიკურ კატეგორიებს შორის, როგორცაა: ქვეყნის სავაჭრო ბალანსი, ფასების დონე და მიმოქცევაში არსებული ფულის მასა. საერთო აღიარებით, იუმის ეს ნაშრომი უმნიშვნელოვანესი წვლილია აგრეგირებულ ეკონომიკურ სიდიდეთა კვლევის საქმეში (რის გამოც იგი სპეციალისტების მიერ შეფასებულია, როგორც „დიდებული გარღვევა“ მაკროეკონომიკური აზრის ისტორიაში)<sup>10</sup>. გარდა ამისა, მან საფუძველი მოუშადა ფულის რაოდენობრივი თეორიის შექმნას, რომელიც დღესაც რჩება ფულადი სისტემის ანალიზის ფუნდამენტად. მიუხედავად ყოველივე ამისა, მაკროეკონომიკამ, როგორც ავტონომიურმა დისციპლინამ, გამოკვეთილი კონტურები მხოლოდ XX საუკუნეში შეიძინა, რადგან საზოგადოებას გაუჩნდა მოთხოვნა ისეთი დისციპლინისადმი, რომელიც სახელმწიფოს ეკონომიკას მაკრო დონეზე შეაფასებდა და მაკრო ეკონომიკური სტრატეგიების მისაღწევ გზებს გამოავლენდა. ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ადრინდელ ეკონომიკურ კვლევებში ჭარბობდა მაკროეკონომიკის ანუ ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები, და ასევე სავარაუდოა, რომ მიკროეკონომიკის გამიჯვნა განაპირობა ინდუსტრიულმა რევოლუციამ, რადგან მნიშვნელოვანი გახდა ფირმის ეფექტიანობისა და მომგებიანობის შეფასება.

8 ჯეფრი საქსი

9 აეთანდილ სილაგაძე, ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2001, გვ. 61

10 ბადრი გლიტაშვილი, ლექციების კურსი მაკროეკონომიაში გვ. 5.

თუმცა მაკროეკონომისტები მაკროეკონომიკის ცალკე დისციპლინად ჩამოყალიბებას შემდგომ სამ მიზეზს უკავშირებენ:

1) მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო აგრეგირებულ ეკონომიკურ მონაცემთა თავმოყრა, ანალიზი და კვლევის შედეგების გამოქვეყნება, რამაც მაკროეკონომიკის თეორიას მეცნიერული ბაზისი შეუქმნა. ამ პროცესების განვითარებას ბიძგი მისცა პირველმა მსოფლიო ომმა, რომლის დროსაც მთავრობებს საომარ მოქმედებებთან დაკავშირებული მიზნების მისაღწევად ესაჭიროებოდათ რეალური და ხარისხიანი სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ;

2) თანამედროვე მაკროეკონომიკის განვითარებაში განსაკუთრებული მოვლენა იყო იმ ფაქტის დასაბუთება, რომ ე.წ. **ბიზნეს-ციკლი** განმეორებადი ეკონომიკური ფენომენია და გრძელვადიან პერიოდში ერთ გარკვეულ ტენდენციას ემორჩილება, რომელსაც ბიზნეს-ციკლი, ანუ იგივე „**კონიუქტურული ციკლი**“ დაერქვა. ის წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკისათვის დამახასიათებელი 4 ფაზის ერთობლიობას. ესენია:

1. ექსპანსია, ანუ აღმავლობა; 2. ბუმი; 3. რეცესია, ანუ დაქვეითება და 4. დეპრესია. ცნობილი ეკონომისტის, *უესლი ქლერ მითხელის მიერ აშშ-ს მაგალითზე ჩატარებულმა გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ისეთი ეკონომიკური ცვლადები, როგორცაა წარმოების, დასაქმებისა და ფასების დონეები, ბიზნეს-ციკლის განმავლობაში ამჟღავნებენ ტენდენციას სისტემატური ხასიათის ცვლილებებისაკენ და აშშ-ს ეკონომიკა განიცდის მუდმივად განმეორებად, მნიშვნელოვანწილად ერთფეროვან ბიზნეს-ციკლებს;*

3) თანამედროვე მაკროეკონომიკის ფორმირებისათვის ყველაზე დიდი სტიმული აშშ-ში 30-იან წლებში მომხდარი ე.წ. „დიდი დეპრესია“ იყო. მკვლევართა აზრით, მას მრავალი მიზეზი ჰქონდა, რომელთაგან უმთავრესი იყო აშშ-ის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, კერძოდ „უოლ სტრიტის“ ბირჟაზე მომხდარი კრახი და მისგან აგორებული არნახული მასშტაბის დეპრესია, რომელმაც ჯერ აშშ, ხოლო შემდეგ, მასთან ერთად თითქმის მთელი კაპიტალისტური სამყარო მოიცვა.

ამ კრიზისმა აიძულა მსოფლიოს ეკონომისტები, სერიოზულად ეფიქრათ კრიზისის დაძლევის გზებზე. ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი **ჯონ მეინარდ კეინსი** იყო პირველი, ვინც ამ ფენომენის რაციონალური ახსნა მოგვცა. 1933

წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი “გზა აყვავებისკენ”<sup>11</sup>, სადაც ის ხელისუფლებას სთავაზობდა კრიზისიდან გამოსვლის წინადადებებს, რომელიც მოიცავდა ინვესტიციების ზრდას, სამუშაო ადგილების შესაქმნელად. მალევე, 1936 წელს გამოაქვეყნდა კეინსის ახალი ნაშრომი „დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორია“, რომელშიც კეინსმა მთავარ უბედურებად გამოაცხადა აშშ-ში ერთობლივი მოთხოვნის დაცემა და ინვესტორთა ტოტალური პესიმიზმი მომავლისადმი, რამაც მკვეთრად შეამცირა საინვესტიციო გადაწყვეტილებათა მასშტაბები და წარმოების დონე, უმუშევრობა კი 25%-მდე გაზარდა. მანვე შეიმუშავა კრიზისის დაძლევის სპეციალური პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც მთავარი როლი მთავრობას დააკისრა. მისი აზრით, სწორედ მთავრობა იყო ვალდებული, ფისკალური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით შებრძოლებოდა ეკონომიკურ კრიზისს, რადგან ბაზრის მექანიზმები უძლური იყო, თვითონ დაერეგულირებინა ეს კრიზისი. კეინსის ნაშრომი იმდენად რევოლუციური და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა იმ პერიოდში ჯერ კიდევ გაბატონებული კლასიკური ეკონომიკური თეორიისადმი, რომ დასაბამი დაუდო ახალ მიმდინარეობას, რომელიც დღეს „კეინსიანიზმის“ სახელითაა ცნობილი.

მაკროეკონომიკისთვის, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი სამეცნიერო დისციპლინისათვის, არსებობს განმარტების მრავალი ვარიანტი. ყველაზე ლაკონური ვარიანტით, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის ეკონომისტს, ჯეფრი საქსს ეკუთვნის: “მაკროეკონომიკა არის მეცნიერება ეკონომიკაში აგრეგირებული ქცევის შესახებ.” აგრეგირებული, ანუ რაღაც წესის მიხედვით გაერთიანებული ქცევის შესწავლა შეიძლება შევადაროთ კოსმოსური ხომალდიდან დედამიწაზე დაკვირვებას, ან მსოფლიოს რუკაზე ამა თუ იმ გეოგრაფიული არეალის კვლევას. ამ დროს, ცხადია, მხედველობის მიღმა რჩება უამრავი წვრილმანი, თუმცა, როდესაც ქვეყნის ეკონომიკის შესწავლაზე საუბარი, სიტყვა “წვრილმანი” საკმაოდ პირობით ხასიათს ატარებს და მის უკან შესაძლოა ცალკეულ ადამიანთა ყოფნა-არყოფნის საკითხის იგნორირება ხდებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ საგანი “მაკროეკონომიკა” ასეთ “წვრილმანებს” ვერ უღრმავდება, იგი სულ უფრო მეტ დატვირთვას იძენდა მთელი XX საუკუნის განმავლობაში, ივსებოდა ახალ-ახალი თეორიებითა და

<sup>11</sup> თემურ შენგელია, მაკროეკონომიკური ანალიზის ონტოლოგია, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2001, გვ. 17

მიმდინარეობებით. დღეს XXI საუკუნის დასაწყისში, საუკუნის მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიაა სიღარიბის შემცირება და ყველა ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ანუ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი სტრატეგია გლობალურ დონეზე ეკონომიკური ზრდის მიღწევაა.

განსაკუთრებით აქტუალურია ეკონომიკური ზრდა და კეთილდღეობა საქართველოსათვის დღეს, როცა საქართველო დემოკრატიული განვითარებისა და საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების გზას ადგას, რომლის გარანტიც ეკონომიკური კეთილდღეობა უნდა გახდეს. თუმცა პოლიტიკოსებსა და ეკონომისტებს შორის მწვავე დებატების საგანია ეკონომიკური ზრდა არის დემოკრატიული განვითარების საფუძველი, თუ პირიქით, დემოკრატია არის ეკონომიკური ზრდის საფუძველი. ბევრი დიქტატორული ქვეყანა, მათ შორის საბჭოთა კავშირი, დასაწყისში განიცდიდა სწრაფ ეკონომიკურ ზრდას, მაგრამ ტემპების შენარჩუნება ვერ მოხერხდა გრძელვადიან პერიოდში და მისი კუმულაციური ზრდის ტენდენციები ბევრად ჩამორჩა დემოკრატიული ქვეყნებისას. დღეს ამ ქვეყნებს ჰქვიათ განვითარებული ქვეყნები, ხოლო საქართველოს და საბჭოთა კავშირში მყოფ დანარჩენ 14 ქვეყანას პოსტსაბჭოთა ქვეყნები. თუმცა ფაქტია, რომ 1930-იან წლებში, როცა ამერიკაში საყოველთაო დეპრესია იყო, საბჭოთა კავშირი სწრაფი ეკონომიკური ზრდის ტემპებით იწონებდა თავს, რამაც არაერთი პოლიტიკოსი და ეკონომისტი დააფიქრა, რამაც გამოიწვია სოციალურ საკითხებზე ყურადღების გამახვილება.

მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა შესაძლებელია მიღწეული იქნას საბაზრო სტრუქტურებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ერთობლივი სინქრონული მუშაობის შედეგად.

ეკონომიკური ზრდის შესაფასებლად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკონომისტები ხშირად იყენებენ მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს "მთლიანი შიდა პროდუქტს, რაც მათ ეხმარება ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის და ქვეყნებს შორის წარმოშობილი განსხვავებების მიზეზების ანალიზში. ეს მაჩვენებელი საკმაოდ კარგად ასახავს ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის დონეს და ფართოდ გამოიყენება, როგორც მაკროეკონომიკური ანალიზის ძირითადი ინსტრუმენტი. „მთლიანი შიდა პროდუქტს“ (მშპ) შემდეგნაირად განმარტავენ:

*მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) წარმოადგენს საბაზრო ღირებულებათა ჯამს ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურებისა, რომელიც იწარმოება მოცემული ქვეყნის შიგნით დროის განსაზღვრულ პერიოდში (როგორც წესი, ერთ წელიწადში).*

*მშპ-ს გამოთვლა ეროვნული ანგარიშგების სისტემის ამოცანაა. საქართველოს მშპ, გამოთვლილი, მაგალითად 2000 წელს, უნდა მოიცავდეს ქვეყანაში ამ წელს წარმოებული საქონლისა და მომსახურების ყველა ერთეულს, იქნება ეს ლექტორების მიერ ჩატარებული ლექციები, ბანკების მიერ კლიენტებისთვის გაწეული მომსახურება, გლეხის მიერ გასაყიდად დამზადებული სულგუნი თუ ე.წ. გარე ვაჭრობაში ჩართული მოსახლეობის მიერ რეალიზებული პროდუქცია. ამასთან, საყურადღებოა, რომ მრავალი ეკონომისტი პრინციპულად დაუშვებლად თვლის მშპ-ში უკანონოდ წარმოებული საქონლისა (როგორიცაა, მაგალითად ნარკოტიკები) და მომსახურების (მაგალითად პროსტიტუცია) გათვალისწინებას. მაგრამ ეროვნული ანგარიშგების სისტემის 1993 წლის ვერსიის (SNA-93) მიხედვით ეროვნული ანგარიშგების შედგენის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ქვეყნის ეკონომიკაში ამ სისტემის კონცეფციით ეკონომიკური წარმოების საზღვრებში განხორციელებული ეკონომიკური ოპერაციების აღრიცხვის სისრულე. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მშპ-ს აღრიცხვისას უნდა გავითვალისწინოთ მხოლოდ საბოლოო პროდუქტების ღირებულება და ე.ი. გამოვრიცხოთ ე.წ. შუალედური პროდუქტები, ანუ ამ საბოლოო პროდუქტის დამზადებისას გამოყენებული მასალები.*

*რეალური სურათის მისაღებად მშპ-ს გამოთვლიდან გამოირიცხება აგრეთვე ისეთი საქონელი და მომსახურება, რომელიც მიმდინარე წლის წარმოებას არ უკავშირდება. მაგალითად, თუ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო 2009 წელს თბილისის საავიაციო ქარხნისგან 2009 წელს ნაწარმოებ ავიაგამანადგურებელს შეიძენს, მისი ღირებულება შევა აღნიშნული წლის მშპ-ში; ხოლო თუ ეს ავიაგამანადგურებელი წინა წლებშია დამზადებული – არა.*

*კიდევ ერთი მომენტი, რომელიც უნდა გავითვალისწინოთ მშპ-ს დათვლისას, არის ის, რომ იგი ასახავს ქვეყნის გეოგრაფიული საზღვრების შიგნით გამოშვებული პროდუქციის ღირებულებას. თუ საქართველოს მოქალაქე დროებით აშშ-ში მუშაობს, მის მიერ გამოშვებული ნაწარმი, ან გაწეული*



მომსახურება აშშ-ს მშპ-ს ნაწილია. მეორეს მხრივ, საქართველოში მოვლინებული ამერიკელი ლექტორის მიერ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებული მეცადინეობები საქართველოს მშპ-ში აისახება. ამგვარად, საქონელი ან მომსახურება შედის ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში, თუ წარმოებულია ამ ქვეყნის ტერიტორიაზე, მწარმოებლის ეროვნების მიუხედავად.

ცხადია, ხშირად ისიც შეიძლება გვანტერესებდეს, საქართველოს ყველა მოქალაქემ, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ერთად აღებულმა, რა ღირებულების პროდუქცია შექმნა განსახილველ წელს. ამისათვის ეკონომიკურ სტატისტიკას შემოღებული აქვს კიდევ ერთი მაჩვენებელი, ე.წ. მთლიანი ეროვნული შემოსავალი (მეშ), რომელიც შემდგენაირად განიმარტება: მთლიანი ეროვნული შემოსავალი წარმოადგენს საბაზრო ღირებულებათა ჯამს ყველა იმ საბოლოო საქონლისა და მომსახურებისა, რომელიც იწარმოება მოცემული ქვეყნის მოქალაქეთა მიერ დროის განსაზღვრულ პერიოდში (როგორც წესი ერთ წელიწადში).

საქართველოსათვის იგი იოლად შეგვიძლია მივიღოთ მშპ-დან, თუ მას დაეუმატებთ საანგარიშო წელს საქართველოს წმინდა ფაქტორულ შემოსავალს, ანუ საქართველოს მოქალაქეთა მიერ უცხოეთში გამომუშავებული ფაქტორული შემოსავლების ჯამურ ღირებულებას და გამოვაკლებთ ამავე წელს უცხოელთა მიერ მათი კუთვნილი ფაქტორებიდან საქართველოში გამომუშავებული ფაქტორული შემოსავლების ჯამურ ღირებულებას.

## 12. ეროვნული ანგარიშების სისტემა და მშპ

ეროვნული ანგარიშების სისტემა (ეას) ეროვნულ ეკონომიკაში წარმოების, შემოსავლების ფორმირების, მისი განაწილების, გადანაწილებისა და გამოყენების, ნაკადებისა და ბალანსების მაჩვენებელთა ლოგიკურად, თანამიმდევრულ, საერთაშორისო დონეზე შეთანხმებულ ანგარიშებისა და ცხრილების ორგანიზებულ სისტემას წარმოადგენს. იგი მოიცავს ინსტიტუციურ სექტორებს შორის (მ.შ. საზღვარგარეთთან) ეკონომიკური ოპერაციების მაჩვენებელთა აღრიცხვას.<sup>12</sup>

ეას-ში ქვეყნის ეკონომიკის მიმდინარე და წინა პერიოდებთან შედარებით განვითარების ტენდენციების მახასიათებელი მაჩვენებლები აღირიცხება დროის სტანდარტულ მონაკვეთებში (როგორც წესი კვარტლის ან წლის განმავლობაში).

ამრიგად, ეას ასახავს ეროვნული ეკონომიკის უმთავრეს ოპერაციებს ეკონომიკის სექტორებს შორის. აგრეთვე დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკურ ოპერაციებს, ქვეყნის ეკონომიკაში წარმოების, შემოსავლებისა და მათი გამოყენების შედეგებს შესაბამისი ცხრილებისა და მაკროეკონომიკური მაჩვენებლების სისტემის სახით. ეას მთავარი ინფორმაციული ინსტრუმენტია ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად, მისი განვითარების მონიტორინგისა და შეფასებისთვის.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემა მთლიანობაში წარმოგვიდგენს ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც დანარჩენ მსოფლიოს მრავალფეროვანი საერთაშორისო ოპერაციებით უკავშირდება.

ეას – ეს არის ეკონომიკის საინფორმაციო სისტემა ანუ მაკროეკონომიკის ენა.

საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული

<sup>12</sup> ეროვნულ ანგარიშთა სისტემა, მარშავა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008, გვ. 28.

ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის (SNA-93) სისტემის სტანდარტული მეთოდოლოგია.

ტერმინი ეროვნულ ანგარიშთა სისტემა პირველად XX საუკუნის 30-იან წლებში ჰოლანდიელი ეკონომისტის ვან კლიფის, მიერ იქნა შემოთავაზებული და ნიშნავს ეროვნულ მეურნეობათა მდგომარეობის ამსახველ ანგარიშს მთლიანად ქვეყნის მასშტაბით. ვ. კლიფი არამარტო ამ ტერმინის, არამედ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ავტორია. ეას-ის ჩამოყალიბებაში წვლილი ასევე მრავალ მეცნიერს მიუძღვის, რომელთა შორის არიან: ჯონ მეინარდ კეინსი, საიმონ კუზნეცი, რიჩარდ სტოუნი, ვასილი ლეონტევი, ალფრედ მარშალი, კოლინ კლარკი, ჯონ რიჩარდ ჰიკსი და სხვ.

ეას-ის თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ (გაერო), საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (სსფ), მსოფლიო ბანკი (მბ), ევროკავშირის სტატისტიკის ბიურომ (ევროსტატის) ეროვნული ანგარიშთანობის საერთაშორისო ასოციაციისა და ეკონომიკური ურთიერთობისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო), რომელთა მიზანია მოხდეს მანქვნებლების საერთაშორისო შესადარისობა, სისტემატიზაცია, გავრცელება და გამოყენება.

1993 წლამდე ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის შესაფასებლად მსოფლიო სტატისტიკურ პრაქტიკაში გამოიყენებოდა გაეროს სტატისტიკურ კომისიაში წარდგენილი ორი თანაბარი მნიშვნელობის მქონე განსხვავებული მეთოდოლოგია. ერთი ეფუძნებოდა ეროვნულ ანგარიშგებას და მას იყენებენ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები, ხოლო მეორე – ცენტრალიზებული დაგეგმვის შესაბამის სახალხო მეურნეობის ბალანსს (სმბ), რომლის უმთავრეს ფუნქციას გეგმის შესრულების კონტროლი შეადგენდა და მას იყენებდნენ სოციალისტური ქვეყნები.

ორივე მეთოდი, საფუძვლებისა და კონცეფციების განსხვავებების მიუხედავად, საბალანსო მეთოდით შეისწავლიდა ეკონომიკურ პროცესებს, რაც უზრუნველყოფდა შესწავლილი პროცესების კომპლექსურ, ურთიერთდაკავშირებულ, სტატისტიკურ დახასიათებას რესურსების

მოცულობისა და მათი გამოყენების დაბალანსების საფუძველზე. ორივე მეთოდმა განვითარების გრძელი გზა გაიარა.

ეას მთელი ეკონომიკის ანგარიშიანობის შემაჯამებელია, რადგან პირველადი, საბუღალტრო, საბანკო აღრიცხვა და სტატისტიკა ერთიან მეთოდოლოგიურ პრინციპებს ეფუძნება. ეას-ის მაჩვენებლები უნიფიცირებულია საგადასახადო ბალანსისა და დარგთაშორისი ბალანსის მაჩვენებლებთან, მის შექმნას წინ უძღოდა განვითარებულ ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის რეგულირებასა და ეკონომიკურ ინფორმაციაზე მოთხოვნის წარმოშობა.

საქართველოში ეროვნული სტატისტიკის გადასვლა გაეროს სტატისტიკური კომისიის მიერ რეკომენდებულ მეთოდოლოგიაზე განაპირობა ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობების დანერგვამ. იგი ემყარება ეროვნულ ანგარიშიანობაზე დაფუძნებულ საერთაშორისო პრაქტიკას და ამ გზით მიიღწევა ინფორმაციის მოპოვების ხერხებისა და ეკონომიკური საქმიანობისა და მისი შედეგების აღრიცხვის მეთოდების ერთიანობა, რაც განაპირობებს ყველა ქვეყნის მაჩვენებლების შესადარისობას და ამარტივებს საერთაშორისო შედარებების მექანიზმებსა და საიმედოობას გლობალურ დონეზე.

საბაზრო ურთიერთობის დანერგვამ საქართველოში და სტატისტიკის გადასვლამ საერთაშორისო მეთოდოლოგიაზე შეცვალა წარმოდგენები ეკონომიკური საქმიანობის არსზე, შედეგებზე და მის საზღვრებზე. შეიცვალა ეკონომიკური პროცესებისა და მათი შეფასების მაჩვენებელთა სისტემა, გაანგარიშების მეთოდოლოგია, შემოღებულია რიგი ახალი ცნებები და კატეგორიები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკის სტრუქტურასთან, საქონლის ცნებასთან და ა.შ.

ეროვნული ანგარიშიანობის შესწავლის საგანს წარმოადგენს შიდა ეკონომიკისა და „დანარჩენი მსოფლიოსათვის“ ეროვნულ ანგარიშთა სისტემის შედგენის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს ანგარიშების აგების პრინციპებისა და მეთოდების, მათი არსის, ეროვნულ ანგარიშთა სისტემის მაჩვენებლების, მათი ურთიერთკავშირისა და გაანგარიშების მეთოდების, სექტორული ანგარიშების დანიშნულებისა და მათი შედგენის თავისებურებების გაუქმებას, მთელი სისტემისა და მისი თითოეული ანგარიშის როლის დადგენას საგარეო-

ეკონომიკური საქმიანობის დახასიათებაში, ეკონომიკური პროცესებისა და მთლიანად ეკონომიკის ანალიზში.

ეროვნული ანგარიშიანობა დაკავშირებულია მეცნიერებისა და პრაქტიკის მრავალ დარგთან, უპირველეს ყოვლისა კი **მაკროეკონომიკურ სტატისტიკასთან**. ეას დასრულებულ სახეს აძლევს მაკროეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას, უზრუნველყოფს მათ ურთიერთკავშირს. მასში აისახება ეროვნული სიმდიდრის ფორმირების, განაწილების, გადანაწილებისა და მოხმარების ყველა ძირითადი მაკროეკონომიკური პროცესი, კვლავწარმოების მთელი ციკლი.

ეროვნული ანგარიშები დაკავშირებულია **საერთაშორისო სტატისტიკისა და საზღვარგარეთის ქვეყნების სტატისტიკებთან**. ეას-ის სისტემის ინფორმაციას წარმატებით იყენებენ ყველა დონისა თუ სტრუქტურის მენეჯერები, როგორც სახელმწიფო, ასევე არასამთავრობო და კომერციული ორგანიზაციებისა. ეას-იდან მიღებული ყველა ინფორმაცია ხელს უწყობს სახელმწიფოს მართვის დასაბუთებულ, გააზრებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების საკითხებში. ეს ინფორმაცია მეწარმეებს ეხმარება მაკროეკონომიკური სიტუაციის, ინვესტირების მიზანშეწონილობის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებისა და რისკების შეფასებაში.

**ეროვნულ ანგარიშთა სისტემისა და სახალხო მეურნეობის ბალანსის მეთოდოლოგიებს შორის არსებობს შემდეგი მსგავსება და განსხვავება:**

- ორივე წარმოადგენს სტატისტიკურ სისტემას, რომლის მიზანია ქვეყანაში წარმოების მოცულობის გაანგარიშება;
- ორივე სტატისტიკური სისტემა განიხილავს ეროვნული ეკონომიკის ურთიერთქმედებას სხვა ქვეყნებთან;
- ორივეში გამოიყენება დაჯგუფებები და კლასიფიკაციები, სტატისტიკურად აისახება საქონლისა და მომსახურების ნაკადები წარმოებიდან საბოლოო გამოყენებამდე;
- სმბ-ს თეორიულ საფუძვლად ედო ადამ სმიტის შრომის მწარმოებლური კონცეფცია ვინაიდან ის შეესაბამებოდა ეკონომიკური ზრდის ისეთ მოდელს, სადაც მომსახურების ხვედრითი წონა ეროვნულ შემოსავალში პრაქტიკულად შეუმჩნეველი იყო. სმბ-საგან განსხვავებით, ეას -

საფუძვლად უდევს ნებისმიერი შრომის მწარმოებლურობის თეზისი, განურჩევლად იმისა, ეს საქმიანობა დაკავშირებული იქნება მატერიალურ-ნივთობრივ წარმოებასთან იქნება თუ მომსახურების გაწევასთან;

- განსხვავებულია ეას-ისა და სმბ-ის მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შემადგენლობა;
- სმბ-ში სესხები და ხარჯები განიხილება, როგორც ეროვნული შემოსავლის დროებითი გადანაწილების ფორმა, ხოლო ეას-ში, როგორც ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში განხორციელებული ინვესტიციის სახეები;
- ეას-ში შემოსავლების გადანაწილება ხდება ხარჯებად და დანაზოგებად. სმბ-ში „დანაზოგის“ მაჩვენებელი არ არის.

თანამედროვე ეას შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც ინფორმაციის წყაროების ურთიერთდაკავშირებული ბლოკების სისტემა, რომელშიც თითოეული ბლოკი ასახავს ეკონომიკური პროცესების ამა თუ იმ ასპექტს, ხოლო მთლიანობაში ისინი უზრუნველყოფენ ეკონომიკური პროცესების საერთო სურათს.

ამ სისტემის ცენტრია ურთიერთდაკავშირებული მაკროეკონომიკური მაჩვენებლის მონაცემთა ბლოკი, რომელშიც შედის: მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ), ეროვნული შემოსავალი და მათი შემადგენელი მნიშვნელოვანი კომპონენტები.

ეას-ის მონაცემების ანალიზის ძირითადი მიმართულებებია: ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და ეკონომიკურ კონიუნქტურაში მიმდინარე რყევების განსაზღვრა. ეკონომიკის სტრუქტურისა და მისი დროში ცვლილებების შესწავლა, მაკროეკონომიკური ცვლადების (როგორცაა მშპ, მთლიანი დაგროვება, საბოლოო მოხმარება, წმინდა ექსპორტი და ა.შ.) დინამიკის განსაზღვრა.

ეს მონაცემები ფართოდ გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მოკლე და საშუალოვადიანი პროგნოზების შესადგენად, რომელთა საფუძველზეც მიიღება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები სახელმწიფო ბიუჯეტისა და საგადასახადო და საინვესტიციო პოლიტიკის ფორმირებასთან

დაკავშირებით. თანამედროვე პირობებში მშპ ეას-ის ცენტრალური აგრეგატი - იქცა იმ მაჩვენებლად, რომლის გარეშე შეუძლებელია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრების დასაბუთება.

ეას-ის მონაცემების ანალიზის მნიშვნელოვანი მიმართულებებია აგრეთვე: *ეროვნული დანახოვის, როგორც ინვესტირების ძირითადი წყაროს გაზომვა, წმინდა დაკრედიტების ან წმინდა სესხების მოცულობის დადგენა, საგარეო-ეკონომიკური კავშირების გამოკვლევა, ეას-ის სექტორული ანგარიშების შემუშავება იძლევა მოსახლეობის ცხოვრების დონის ელემენტების, ეკონომიკის ცალკეული სექტორების მდგომარეობის გამოკვლევისა და ანალიზის გაღრმავების საშუალებას.*

ეკონომიკური ოპერაციები ეას-ში აღირიცხება **დარიცხვის მეთოდით**, ანუ ოპერაციები ფიქსირდება იმ მომენტისათვის, როცა მონაწილე სუბიექტთა შორის, მხარეთა შეთანხმებით წარმოიქმნება ტრანზაქცია აქტივის მიწოდებისა და შესაბამისი კომპენსაციის მიღებაზე, მისი ფაქტიური განადგობის მიუხედავად.

ეას-ის და ზემოთ აღნიშნული სხვა მონაცემები, ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებლებთან ერთად, ფართოდ გამოიყენება ფისკალური და მონეტარული საკითხების გადასაწყვეტად. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნია მშპ-ის და ბიუჯეტის ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანობის შესაფასებლად.

ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკაცია ეკონომიკის დარგების მიხედვით ეას-ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კლასიფიკაციაა. ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი **სეკ001-2004** წარმოადგენს ეკონომიკური და სოციალური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ეროვნული სისტემის შემადგენელ ნაწილს.

აღნიშნული კლასიფიკატორი შემუშავებულია საქართველოში მოქმედი ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა ეროვნული კლასიფიკატორის სეკ (NACE) 001-97-ის ნაცვლად. ეას-ში დარგებისათვის ასევე გათვალისწინებულია ანგარიშები, რომლებშიც ხდება წარმოებასა და შემოსავლების წარმოქმნასთან დაკავშირებული ოპერაციების რეგისტრირება, თუმცა ეას დარგებისათვის არ

ითვალისწინებს ეკონომიკური პროცესის სხვა ასპექტების დახასიათებისთვის განკუთვნილ ანგარიშებს.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობათა კლასიფიკაციაში ეკონომიკის დარგების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი სექციები:

- სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა, თევზჭერა, მეთევზეობა;
- სამთომომპოვებითი მრეწველობა;
- გადამამუშავებელი მრეწველობა;
- ელექტროენერჯის, აირის, ორთქლისა და ცხელი წყლის წარმოება განაწილება;
- მშენებლობა;
- ვაჭრობა;
- ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი;
- სასტუმროები და რესტორნები;
- ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;
- ფინანსური საქმიანობა;
- ოპერაციები უძრავი ქონებით, არენდა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა;
- სახელმწიფო მმართველობა;
- განათლება;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება;
- კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა;
- შინამოსამსახურის საქმიანობა და შინამეურნეობის საქმიანობა, დაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წარმოებასთან საკუთარი მომხმარებლისათვის;
- ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა.

სწორედ ამ კლასიფიკაციის მიხედვით მოვახდენთ ნაშრომში საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზსა და შეფასებას.



მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ნაკადური მაჩვენებელია. იგი არის ერთი წლის (ან კვარტლის) განმავლობაში ქვეყნის შიგნით წარმოებული საბოლოო პროდუქტისა და მომსახურების ერთობლიობა გამოსახული საბაზრო ფასებში. საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება მიმდინარეობს ეროვნულ ანგარიშთა ეა-93 სისტემის შესაბამისად, კვარტალური პერიოდულობით.

**მსოფლიო პრაქტიკაში გამოიყენებენ მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების სამ მეთოდს:**

1. წარმოების მეთოდი – ანუ მშპ გაიანგარიშება, როგორც დამატებითი ღირებულებების მთლიანი ჯამი;
2. საბოლოო მოხმარების – ანუ მშპ გაიანგარიშება, როგორც საბოლოო მოხმარების კომპონენტების ჯამი;
3. განაწილებითი მეთოდი – ანუ მშპ გაიანგარიშება, როგორც პირველადი შემოსავლების ჯამი.

**წარმოების მეთოდი:**

წარმოების მეთოდით მშპ გამოითვლება, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის შესაბამის მონაკვეთში ეკონომიკის რეზიდენტი-ერთეულების მიერ (ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეობებში) შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული წმინდა გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე და იმპორტზე.

**გაანგარიშების სქემა:**

საქმიანობის სახეობების მიხედვით პროდუქციის (საქონლისა და მომსახურების) მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში

–

საქონლისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული შუალედური მოხმარება

=

**მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში**

+

წმინდა გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე და იმპორტზე

=

**მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.**

მთლიანი დამატებული ღირებულება არის სხვაობა წარმოებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულებათა ჯამისა (გამოშვებისა) და წარმოების პროცესში სრულად გამოყენებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებების ჯამს (შუალედურ მოხმარებას) შორის.

გამოშვებული პროდუქცია არის მოცემულ პერიოდში ეკონომიკური ერთეულების – რეზიდენტების მიერ წარმოებული და მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულება, რომელიც ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში წარმოების საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

1. ყველა საქონელს, მათი გამოყენების მიმართულების მიუხედავად;
2. სხვა ინსტიტუციური ერთეულებისათვის გაწეულ მომსახურებას, კერძოდ, სახელმწიფო მმართველობითი ორგანოებისა და არაკომერციული ორგანიზაციებისადმი გაწეული არასაბაზრო მომსახურებას;
3. საოჯახო მეურნეობათა მომსახურებას საკუთარ ბინაში, რომელსაც აწარმოებენ დაქირავებული საოჯახო მოსამსახურეები.

წარმოების სფეროს საზღვრებში უნდა იყოს განხილული “ჩრდილოვან ეკონომიკაში” წარმოებული საქონელი და გაწეული მომსახურება, ე.ი. როგორც უკანონოდ წარმოებული საქონელი და გაწეული მომსახურება, ასევე კანონით ნებადართული საქმიანობით წარმოებული, მაგრამ სახელმწიფო ორგანოების წინაშე (ფარული წარმოების სფერო) დამალული. განასხვავებენ პროდუქციის გამოშვების 2 სახეობას: საბაზროს და არასაბაზროს.

***საბაზრო (კომერციული) გამოშვება მოიცავს;***

1. ეკონომიკურად მისაღებ ფასებში გაყიდვების ან ბარტერის მეშვეობით რეალიზებად საქონელსა და მომსახურებას.
2. მუშაკების შრომის ანაზღაურების ფარგლებში ნატურალური ფორმით მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ღირებულებას.
3. ერთ საწარმოში წარმოებული (მისი საწარმოო დანაყოფების, ფილიალების ჩათვლით) საქონელსა და მომსახურებას, რომელიც მიეწოდება მოცემულ საწარმოს სხვა კომპონენტებს (ერთეულებს) საწარმოს საქმიანობაში გამოსაყენებლად, იმავე პერიოდში ან მომავალში (მაგალითად, კვების პროდუქტები, რომელსაც აწვდიან

საწარმოს დამხმარე მეურნეობები მოცემული საწარმოს ბალანსზე მყოფ სასაღილოებს, საბავშვო ბაღებს, დასასვენებელ სახლებს);

4. მზა პროდუქციას და დაუმთავრებელ წარმოებას, რომელიც აღირიცხება მწარმოებლის მატერიალურ საბრუნავ საშუალებებში (აქტივებში) და გამიზნულია (საბაზრო) გამოყენებისათვის.

### **საქონლისა და მომსახურების არასაბაზრო (არაკომერციული) გამოშვება**

#### **მოიცავს:**

1. ეკონომიკური ერთეულების მიერ საკუთარი საბოლოო მოხმარებისათვის ან დანახოგებისათვის წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას;
2. სხვა ინსტიტუციურ ერთეულებზე, მთლიანად საზოგადოებისთვის უსასყიდლოდ ან უმცირესი ფასებით გაწეულ მომსახურებათა ჩათვლით (მაგ. უფასო განათლება და სამედიცინო მომსახურება, თავდაცვა და სხვა) წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას;
3. მზა პროდუქციისა და მომსახურების დაუმთავრებელი წარმოება, რომელიც გამიზნულია არაკომერციული გამოყენებისათვის და წარიმართება მწარმოებლის მატერიალური მარაგებისათვის.

საქონლისა და მომსახურების საბაზრო კომერციული გამოშვება რეკომენდებულია შეფასდეს ე.წ. ძირითადი საბაზრო ფასებით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მწარმოებელთა ფასებით.

ძირითადი ფასი – ეს არის ფასი რომელსაც დებულობენ საქონლის და მომსახურების მწარმოებლები და რომელიც არ მოიცავს გადასახადებს პროდუქტებზე, მაგრამ შეიცავს პროდუქტზე მიღებულ სუბსიდიებს.

მწარმოებელთა ფასი – ეს არის ფასი, რომელსაც დებულობენ საქონლისა და მომსახურების მწარმოებლები, და რომელიც მოიცავს გადასახადებს პროდუქტებზე (დამატებული ღირებულებისა და იმპორტზე გადასახადების გარეშე) და საიდანაც გამოიქვითება პროდუქტზე მიღებული სუბსიდიები.

გადასახადები პროდუქტებზე (გაყიდვების მოცულობაზე) ეს არის გადასახადები, რომლებსაც იხდის მწარმოებელი, გამყიდველი ან იმპორტიორი, რეზიდენტი საწარმოები საქონელზე და მომსახურებაზე, მათი რაოდენობის ან

ღირებულების პროპორციულად. პროდუქტზე გადასახადებს მიაკუთვნებენ პრაქტიკაში გავრცელებული გადასახადების შემდეგ სახეებს:

- დამატებული ღირებულების გადასახადი;
- აქციზი;
- გაყიდვებზე, შექმნაზე, ბრუნვაზე და ა.შ. გადასახადებს,
- მომსახურების ცალკეულ სახეობებზე (ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, დაზღვევის, რეკლამის, თამაშების, ლატარიის, სპორტული ღონისძიებების და ა.შ.) გადასახადს;
- ფისკალური მონოპოლიების მოგების გადასახადს;
- ექსპორტ-იმპორტზე გადასახადს, საბაჟო მოსაკრებლებს.

სუბსიდიები პროდუქტებზე ეს არის სუბსიდიები (დახმარება), რომლებსაც იღებენ მწარმოებელი, გამყიდველი ან იმპორტიორი რეზიდენტი საწარმოები, როგორც წესი, საქონელსა და მომსახურებაზე, მათი რაოდენობის ან ღირებულების პროპორციულად. სუბსიდიებს, მიეკუთვნება მაგალითად, სახელმწიფოს მიერ საწარმოებისათვის მუდმივად წარმოებადი ზარალის დასაფარავად (რომელიც წარმოიშობა წარმოებულ პროდუქციაზე თვითღირებულების დონეზე უფრო დაბალი ფასების დაწესების პირობებში) გამოყოფილი სახსრები, ასევე სუბსიდიები ექსპორტზე იმპორტზე და სხვა.

ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც დამატებული (შექმნილი) ღირებულების ჯამი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$GDP = D + N - U$$

სადაც – GDP მთლიანი შიდა პროდუქტია;

- D ეკონომიკის ყველა დარგის დამატებული ღირებულება ძირითად ფასებში;
- N პროდუქტებზე გადასახადები;
- U პროდუქტებზე სუბსიდიები.

*მთლიანი შიდა პროდუქტი როგორც საბოლოო მოხმარების კომპონენტების ჯამი (საბოლოო მოხმარების მეთოდის გამოყენება).*

გამოყენების (ხარჯების) მეთოდი:

- მშპ მთლიანი დანახარჯების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკის აგრეგირებული სუბიექტების მიერ მიმდინარე პერიოდში პროდუქციის შექმნაზე გაწეული დანახარჯების გამოთვლას.

**გაანგარიშების სქემა:**

მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯები

+

შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურება

+

სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროებში) მომსახურება

+

ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება

+

მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება

=

**მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში**

+

საქონლისა და მომსახურების ექსპორტი

-

საქონლისა და მომსახურების იმპორტი

=

**მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.**

მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლის საბოლოო მოხმარების მეთოდიკიდან გამომდინარე, მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP) გამოითვლება, როგორც მშპ შემადგენელი კომპონენტების ჯამი, კერძოდ:

- ა) საქონლისა და მომსახურების საბოლოო მოხმარებაზე დანახარჯები, რომელიც მოიცავს საოჯახო მეურნეობათა სამომხმარებლო ხარჯებს;
- ბ) მთლიანი დაგროვება (I-Investion ერთობლივი ინვესტიციები), რომელიც მოიცავს ძირითადი კაპიტალის მთლიან დაგროვებას, მატერიალური

საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვალებადობას, ფასეულობების წმინდა შექენას).

- გ) სამთავრობო დანახარჯები (G-სახელმწიფო მოხმარებას), რომელიც მოიცავს სამხედრო და სამოქალაქო მომსახურებას, შესაბამისი საქონლის შექენის ხარჯებსა და სხვა. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში 1993 წლიდან გამოყენებულია ახალი მახვენებელი – ფაქტობრივი საბოლოო მოხმარება, რომელიც მოიცავს საოჯახო მეურნეობების დანახარჯებს საქონლისა და მომსახურების შექენაზე (C), ასევე სამთავრობო დანახარჯებს მთლიანად საზოგადოების მომსახურების მიზნით (G), ანუ C+G.
- დ) წმინდა ექსპორტი (NX), რომელიც გაიანგარიშება როგორც სხვაობა საქონლისა და მომსახურების ექსპორტისა (X) და იმპორტის ღირებულებებს (M) შორის, ე.ი.  $NX=X-M$ .

აქვე აღვნიშნავთ, რომ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების შეფასება ხდება საბაზრო ფასებით. კერძოდ: ა) ექსპორტის შეფასებას აწარმოებენ FOB ფასის მეშვეობით (რომელიც მოიცავს შესაბამისი პროდუქციის ღირებულებას და ექსპორტიორი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე ტვირთის ტრანსპორტირებისა და სატრანსპორტო საშუალების ბორტზე მისი დატვირთვის ხარჯებს), ბ) იმპორტის შეფასებას აწარმოებენ CIF-ფასის მეშვეობით (რომელიც მოიცავს ინტერნაციონალურ ფრახტს და დაზღვევის ხარჯებს).

ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება საბოლოო მოხმარების მეთოდის გამოყენებისას შესაძლებელია შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$GDP=C+I+G+NX$$

**3. მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც პირველადი შემოსავლების ჯამი (განაწილებითი მეთოდის გამოყენებით), ანუ შემოსავლების მეთოდი:**

- მშპ-ს გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ემყარება იმ ინსტიტუციური ერთეულების შემოსავლების ჯამს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების შექენაში მოცემული პერიოდის განმავლობაში.

**გაანგარიშების სქემა:**

შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატების სახით, ხელფასზე დარიცხული გადასახადების ჩათვლით

+

თვითდასაქმებიდან მიღებული შერეული შემოსავალი

+

კომპანიების მიერ საქმიანობიდან მიღებული მთლიანი მოგება

+

ქონების გაქირავებიდან დარიცხული რენტა

+

გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე

=

**მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.**

სხვადასხვა მეთოდებით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობები შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, რადგანაც მათი ინფორმაციული წყაროები განსხვავებულია, განსხვავება იწერება სტრიქონში "სტატისტიკური განსხვავება".

**განაწილებითი მეთოდის გამოყენებით მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება** მოიცავს შემდეგი პირველადი შემოსავლების ჯამს, რომლებიც იხდიან რეზიდენტი საწარმოო ერთეულები: დაქირავებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება, წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული წმინდა გადასახადები, საერთო მოგება და საერთო შერეული შემოსავლები. განვიხილოთ ეს მუხლები ცალ-ცალკე:

1. დაქირავებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურება წარმოადგენს მუშაკთა კომპენსაციას (ხელფასს) ფულადი ფორმით ან ნატურით, რომელიც დაქირავებულის მიერ (სამუშაოს მიმცემის) დაქირავებულ მუშაკზე საანგარიშო პერიოდში მის მიერ შესრულებული სამუშაოს საზღაურად უნდა იქნას განხილული. ეროვნული ანგარიშთა სისტემის, შესაბამისად აღნიშნული მუხლი იყოფა: მთლიან ხელფასად და დაზღვევის ანარიცხებად.

მთლიანი ხელფასი მოიცავს თვითღირებულებისა და მოგების წყაროს ანგარიშზე დარიცხულ ყველა სახის ანაზღაურებას (სხვადასხვა პრემიებს დანამატების ჩათვლით) ფულადი ან ნატურალური ფორმით, ასევე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად (ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულების თანხა, უქმე დღეების ანაზღაურება და ა.შ.) არანამუშევარ დროზე დარიცხულ ფულად თანხებს. ხელფასი აღირიცხება დაქირავებულისგან გადასახადებისა და სხვა დაკავებების გამოქვითვის გარეშე.

დაზღვევის ანარიცხებს იხდიან სამუშაოს მიმცემნი, რათა სამომავლოდ დაქირავებული მუშაკები უზრუნველყოფილნი იყვნენ ჯანდაცვის დახმარების მიღებით.

2. წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული წმინდა გადასახადები. ამ გადასახადებს, რომლებიც დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებასთან და იმპორტთან, იხდიან საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად იმისა, გააჩნიათ თუ არა მათ სამეწარმეო მოგება. ისინი განიხილება როგორც აუცილებელი, არადაბრუნებადი გადასახადი სახელმწიფო მმართველობითი ორგანოებისადმი. მათ მიეკუთვნება გადასახადები პროდუქტზე და წარმოებასთან დაკავშირებული სხვა გადასახადები, რომელიც ზემოთ იყო განხილული. წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული წმინდა გადასახადები არის სხვაობა დარიცხულ გადასახადებსა და წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული სუბსიდიების თანხებს შორის.

3. საერთო მოგება და საერთო შერეული შემოსავლები წარმოადგენს მთლიანი დამატებული (შექმნილი) ღირებულების ნაწილს, რომელიც რჩება მეწარმეს იმ ხარჯების გამოქვითვის შემდეგ, როგორცაა დაქირავებული შრომის ანაზღაურება და წარმოებასთან და იმპორტთან დაკავშირებული გადასახადები. ეს მუხლი ზომავს პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით მიღებულ მოგების (ზარალის) მაჩვენებელს, საკუთრებიდან მიღებული (რენტული) შემოსავლების აღრიცხვამდე. კორპორირებულ მესაკუთრეთა (საოჯახო მეურნეობები) შემოსავლები განიხილება შერეულ შემოსავლებად, რადგან ისინი დაქირავებული შრომიდან მიღებულ შემოსავლებთან ერთად მოიცავს შემოსავლებს ინდივიდუალური სამეწარმეო საქმიანობიდან, პირადი დამხმარე მეურნეობიდან და სხვა. საერთო მოგება და საერთო შერეული შემოსავლები განიხილება ძირითადი კაპიტალის მოხმარების (ამორტიზაციის) თანხის გარეშე. ამ უკანასკნელის გამოქვითვით მიიღება წმინდა მოგება და შერეული შემოსავალი.

ამრიგად, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება განაწილების მეთოდის გამოყენებით მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების (პუნქტების) ჯამს, ე.ი.  $მშპ=1პ+2პ+3პ$ , ანუ ხელფასს პლიუს წმინდა გადასახადები, პლიუს საერთო მოგება და საერთო შერეული შემოსავლები.

მსოფლიო პრაქტიკაში, მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის დონის ცვლილების გაზომვისას, ანალიზისათვის ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლად



გვევლინება მთლიანი შიდა პროდუქტის ფიზიკური მოცულობის ინდექსი. მთლიანი შიდა პროდუქტის ცალკეული ელემენტების ფიზიკური მოცულობის ინდექსი აუცილებელია ეკონომიკის სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების, ცხოვრების დონის ცვლილებების ანალიზისათვის და მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების ფიზიკური მოცულობის ინდექსების გამოსაანგარიშებლად, რომლებიც საწყის პერიოდში შეფასებული იყო მიმდინარე ფასებში; ისინი უნდა გადაფასდეს მუდმივ ფასებში, რისთვისაც როგორც წესი შესაძარ ბაზად გამოიყენება, რომელიც პერიოდის მიმდინარე ფასები, ე.ი. საბაზისო პერიოდის ფასები. ამასთანავე, ბუნებრივია, შეუძლებელია ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში შემავალი ყველა მაჩვენებლის წარმოდგენა მუდმივ ფასებში. უფრო ხშირად, მუდმივ ფასებში იმ მაჩვენებელთა გადაფასებას აწარმოებენ, რომლებიც შედარებით ადვილად შეიძლება დაიშალოს ორ, რაოდენობის და ფასების, ელემენტებად.

საზოგადოდ, თუ ფასების ინდექსი ეფუძნება ე.წ. აქტუალურ ანუ მიმდინარე კალათას და გამოითვლება ასეთი კალათის მიმდინარე და საბაზისო პერიოდების ღირებულებათა შეფარდების გზით, მაშინ მას *პააშეს ინდექსს* უწოდებენ – გერმანელი ეკონომისტის, ჰერმან პააშეს (1851-1925) მიხედვით, ხოლო თუ ფასების ინდექსი ეფუძნება უცვლელ (საბაზისო წლის) კალათას და გამოითვლება ამ კალათის მიმდინარე და საბაზისო პერიოდების ღირებულებათა შეფარდების გზით, მაშინ მას *ლასპეირესის ინდექსს* უწოდებენ, გერმანელი ეკონომისტის, ერნესტ ლუის ლასპეირესის (1834-1913) მიხედვით.

ეკონომიკური საქმიანობის სახეობების მიხედვით მთლიანი დამატებული ღირებულების ზრდის ინდექსები უმეტესად მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების წინა წლის საშუალო ფასებში გადაანგარიშებული მოცულობის წინა წლის საშუალო კვარტალურ შესაბამის (მიმდინარე ფასებში განსაზღვრულ) მაჩვენებელთან შედარებით იანგარიშება.

ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ ეას-ში ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში, ანუ იმ ფასით, რომლითაც ფაქტიურად ხორციელდება ეს ეკონომიკური ოპერაციები. მიმდინარე საბაზრო ფასები უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობაში პროდუქციის რეალური ბრუნვის შუალედურ მაჩვენებლის

ფარმირებას, რომელთა საფუძველზეც გროვდება ეკონომიკური პროცესების ყველა მონაწილის შემოსავლები. ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მაჩვენებელთა მიმდინარე ფასებში შეფასებით დგინდება ეკონომიკის დარგობრივ სტრუქტურასა, მოხმარებას შორის პროპორციული დამოკიდებულების მაჩვენებლები, მრავალი მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური თანაფარდობა, მაგრამ მაჩვენებელთა მიმდინარე ფასებში შეფასება არ იძლევა საშუალებას, პირდაპირი მეთოდით გაიზომოს ცვლილებები წარმოებულ და გამოყენებულ საქონელსა და მომსახურებაზე.

ასევე მუდმივ ფასებში წარმოადგენენ მთლიან შიდა პროდუქტსა და მისი ელემენტების ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა მშპ-ის გამოყენება მოხმარებაზე, დაგროვებასა და ექსპორტზე, გამოშვების, იმპორტის, შუალედური მოხმარებისა და დამატებული ღირებულების მაჩვენებლები, აგრეთვე შრომის ანაზღაურებისა და მოგების მაჩვენებლები, ეროვნული სიმდიდრის ელემენტები.

ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოყენებისას არ აწარმოებენ მუდმივ ფასებში ისეთი მაჩვენებლის გადაფასებას, რომლებიც დაკავშირებულია შემოსავლების გადანაწილებასთან (ტრანსფერტები) ასევე ინვესტიციების დაფინანსების წყაროებთან, წმინდა კრედიტებისა და სესხების მაჩვენებლებთან.

გამოყენება მთლიანი შიდა პროდუქტისა და მისი კომპონენტების მუდმივ ფასებში გადაფასების სხვადასხვა მეთოდები, რომელთა შორის მნიშვნელოვანია:

1. ფასების ინდექსის გამოყენებით მშპ დეფლატორის განსაზღვრა;
2. ორმაგი დეფლატორის განსაზღვრა;
3. ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამოყენებით საბაზო პერიოდის მაჩვენებელთა ინტერპოლაციის მეთოდი;
4. დანახარჯების ელემენტების გადაფასების მეთოდი.

სწორედ მთლიანი შიდა პროდუქტის გამოთვლა მუდმივ ფასებში აყალიბებს განსხვავებას ნომინალურ მშპ-სა და რეალურ მშპ-ს შორის. როდესაც ქვეყნის მთლიანი ხარჯები წინა წელთან შედარებით იზრდება, მაშინ შემდეგი ორი ვარიანტიდან ერთ-ერთს მაინც ექნება ადგილი: ან ეკონომიკა საქონლისა და მომსახურების მეტ რაოდენობას აწარმოებს, ან საქონელი და მომსახურება უფრო ძვირად იყიდება. ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების შესწავლისას

ეკონომისტები ცდილობენ ამ ორი ეფექტის გამიჯვნას. კერძოდ, ეკონომისტებს სჭირდებათ ეკონომიკაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიანი რაოდენობის ისეთი მაჩვენებელი, რომელზეც ამ საქონლისა და მომსახურების ფასების ცვლილება არ მოქმედებს, ამისთვის ეკონომისტები იყენებენ მაჩვენებელს, რომელსაც რეალური მშპ ეწოდება.

*ნომინალური მშპ* ასახავს მოცემულ წელს ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიან ღირებულებას, გამოთვლილს მოცემული წლის ფასებით.

*რეალური მშპ* კი ასახავს ქვეყანაში წარმოებული საქონლისა და მომსახურების მთლიან ღირებულებას, გამოთვლილს ე.წ. საბაზისო წლის ფასებით.

„საბაზისო წელი“ ერთი კონკრეტული წელია, რომელსაც განსახილველი ქვეყნის ეკონომიკური მონაცემების შემსწავლელი სუბიექტი, როგორც წესი, თვითონ ირჩევს გარკვეული მოსაზრებების საფუძველზე; თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მან სხვა ექსპერტთა მიერ უკვე შერჩეული საბაზისო წლით იხელმძღვანელოს. მთავარია ის, რომ საბაზისო წლის არჩევა რაც შეიძლება ხელსაყრელად მოხდეს, იგი ხელს უნდა უწყობდეს სანდო ინფორმაციის მიღებას შესასწავლი ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის შესახებ და მინიმუმამდე დაჰყავდეს უზუსტობანი გამოთვლებში. არაკორექტული შეფასებები განსაკუთრებით მაშინა არის მოსალოდნელი, როცა საკვლევი პერიოდი შედარებით ხანგრძლივია; ამის უმთავრესი მიზეზია პროდუქციის ასორტიმენტის ხშირი ცვლა და ქვეყნის საბაზრო კალათის, ანუ საქონლისა და მომსახურების შემადგენლობის, შესაბამისი ცვლილებანი. ასე რომ, საბაზისო წლის მოხერხებულად აღებამ შეიძლება ხელი შეუწყოს შეცვლილი შემადგენლობის საბაზრო კალათების რეალურ ღირებულებათა შესახებ ინფორმაციის კვლევას.

ამრიგად, ნომინალური მშპ საქონლისა და მომსახურების წარმოების შეფასებისთვის მიმდინარე ფასებს იყენებს, ხოლო რეალური მშპ – მუდმივ, საბაზო წლის ფასებს. საბაზო წელიწადს არსებული ფასები სხვადასხვა წლებში წარმოებული საქონლისა და მომსახურების საერთო მოცულობის შედარებისთვის საჭირო საფუძველს გვაძლევს.

მშპ დღესდღეობით აღიარებული და ერთ-ერთი ყველაზე უკეთ გამოკვლეული ინდიკატორია, რომელიც ასახავს ქვეყნებში ეკონომიკურ კეთილდღეობას და იძლევა ეკონომიკური ზრდის მანვენებელს, მაგრამ რა არის თავად ეკონომიკური ზრდა და რა თეორიები არის ჩამოყალიბებული ამ ცნების მიღმა, აუცილებლად უნდა იქნას გამოკვლეული.

### 1.3. ეკონომიკური ზრდის დადებითი და უარყოფითი ასპექტები

არსებობს უამრავი მოსაზრება ეკონომიკური ზრდის დადებით და უარყოფით ასპექტებზე, რომელთა შორის ყველაზე საყურადღებო შემდეგი მოსაზრებები ზრდის წინააღმდეგ:

1. ეკონომიკურ ზრდას აქვს ნეგატიური ეფექტი ცხოვრების ხარისხზე, მაგალითად როგორცაა გარემო და რომელიც არ იყიდება და არ იზომება ბაზარზე;
2. ეკონომიკური ზრდა იწვევს ხელოვნური საჭიროებების შექმნას: წარმოება მომხმარებელს აიძულებს, შეიმუშაოს ახალი გემოვნება, რამაც, თავის მხრივ, ბიძგი უნდა მისცეს ზრდას, შესაბამისად: ხდება სურვილების გენერირება რის შედეგადაც მომხმარებელი თავად ხდება ეკონომიკის მსახური და არა მისი მბრძანებელი;
3. წყაროები: გაეროს 2007 წლის GEO-4 ანგარიშის მიხედვით: მსოფლიოს მოსახლეობა იმდენად დიდია, რომ მის შესანახად საჭირო რესურსები აღემატება ამჟამად ხელმისაწვდომს. კაცობრიობის გარემოს მოთხოვნა განისაზღვრება ერთ სულზე 21.9 ჰექტარით, მაშინ როცა დედამიწის ბიოლოგიური შესაძლებლობა საშუალოდ 15.7 ჰექტარია თითო სულზე. აღნიშნული ანგარიში ამტკიცებს 1800-იანი წლების დასაწყისში თომას მალთუსის მიერ შემუშავებულ თეორიას, რომლის მიხედვითაც, ეკონომიკური ზრდა განაპირობებს არაგანახლებადი რესურსების სწრაფ ამოწურვას.
4. შემოსავლების განაწილება: იზრდება ნაპრალი უმდიდრესთა და უდატაკესთა შორის.

სხვა წყაროების მიხედვით, ეკონომიკური ზრდის ვიწრო ხედვა, რომლის გლობალიზაციასთან კომბინირებასაც აქვს ადგილი, ქმნის ისეთ სცენარს, სადაც ჩვენ ნათლად დავინახავთ პლანეტის ბუნებრივი რესურსების სისტემატურ კოლაფსს.

ასევე საფიქრალია ეკონომიკური ზრდის გავლენა გარემოსა და ეკოლოგიურ ეფექტებზე, განსაკუთრებით რაც ეხება მეშახტობას, მეტყვევობას, სასოფლო-სამეურნეო და სამეწარმეო საქმიანობებს. მკვლევართა მიხედვით გარემო ეფექტებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს მთელ ეკოსისტემაზე. ისინი აცხადებენ, რომ ეკოსისტემაზე აკუმულირებული ეფექტები, თეორიულ ზღვარს უდებენ აღნიშნული ქმედებების ზრდას. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ კულტურათა დაღუპვა განაპირობა მათმა განვითარებამ ზღვარს ზევით.

ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელსა თუ ტიპს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა გარემოზე (ეკოლოგიასა, კლიმატსა თუ ბუნებრივ კაპიტალზე). გარემოსა და საზოგადოებაზე შესაძლო უარყოფითმა ეფექტებმა, ზოგიერთი მიიყვანა იმ აზრამდე, რომ საჭიროა ზრდის დაბალი დონის შენარჩუნება, საიდანაც მომდინარეობს არაეკონომიკური ზრდის იდეა და მწვანე პარტიები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ეკონომიკა წარმოადგენს გლობალური საზოგადოებისა და გლობალური ეკოლოგიის ნაწილს და რომ მათ ბუნებრივ განვითარებას წინ ვერ გაუსწრებს მათი დაზიანების გარეშე.

*ეკონომიკური ზრდის მხარდამჭერი არგუმენტები: მხარდამჭერები* ამტკიცებენ, რომ მცირდება გლობალური უთანასწორობა შემოსავლებთან დაკავშირებით და რომ გლობალური სიღატაკის შემცირება მნიშვნელოვან წილად განპირობებულია ეკონომიკური ზრდით. მაგ. სიღატაკე განსაკუთრებით იქ მძლავრობდა, სადაც ეკონომიკური ზრდა ყველაზე ცუდი იყო (მაგ. აფრიკაში). რომ, რაც უფრო მაღალია მშპ, მით უფრო ბედნიერია კაცი, და რომ სულ ცოტა იგი უნდა უტოლდებოდეს 15,000 აშშ დოლარს ერთ სულზე. რესურსების ამოწურვის შესახებ წინასწარმეტყველებები (როგორც აღწერილია თომას მალთუსის (1798) ნაშრომში), რაც გამოიწვევდა შიმშილს ევროპაში, მოსახლეობის ბომბი (1968), ზრდის ზღვარი (1972) და სიმონ-ერლის ვაგერი (1980), არ აღმოჩნდა სწორი, რადგან ტექნოლოგიურმა წინსვლამ ადრე მიუწვდომელი რესურსები გამოყენებადი გახადა. წიგნი ‘მსოფლიოს გაუმჯობესებული მდგომარეობა’ ამტკიცებს, რომ კაცობრიობის მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესდა.

ავსტრიული სკოლა ამტკიცებს, რომ ზრდის ცნება, ისევე როგორც საქონლისა და მომსახურების შექმნა, დამოკიდებულია ინდივიდის სურვილებზე. შესაძლოა მავანს ჰქონდეს გაცილებით მეტი დრო შეიძინოს უფრო მეტი საქონელი და მომსახურება. ასევე, ისინი აცხადებენ, რომ ზრდის ცნება გულისხმობს ეკონომიკაში “ცენტრალური დამგეგმავის” საჭიროებას. ავსტრიელი ეკონომისტებისთვის ასეთი იდეალი პირდაპირ საწინააღმდეგო დამოკიდებულებაშია თავისუფალი ბაზრის ეკონომიკასთან მთავრობის ჩარევის გარეშე. ავსტრიელი ეკონომისტები ამტკიცებენ, რომ ინდივიდმა თავად უნდა განსაზღვროს რამხელა “ზრდა” სურს მას. ეკონომიკურ აქტივობაში გარკვეული ზრდა აუცილებლად განაპირობებს ზრდას რესურსების მოხმარებაში, მაგ:

შეუძლებელია აწარმოო საქონელი რესურსებისა და ენერჯის გარეშე, ასევე შეუძლებელია წარმართო ეკონომიკა იმის გარეშე, რომ გარკვეული ენერჯია გადაამისამართო ხალხისა და საქონლის ტრანსპორტირებაზე. მყარ ზრდას აქვს ექსპონენტური ფუნქცია. რაოდენობა, რომელიც იზრდება ექსპონენტური ფუნქციის მიხედვით, ავლენს გაორმაგებას ზომაში, რეგულარული დროითი ინტერვალების მანძილზე (რასაც უწოდებენ დროის გაორმაგებას). თუ მყარად იზრდება არაგანახლებადი რესურსის მოხმარება (მაგ. წელიწადში 5%-ით), მაშინ მაჩვენებელი გაორმაგდება 14 წლის შემდეგ, მაჩვენებელი გაოთხმაგდება 5%-იანი წლიური ზრდისას საუკუნის გასვლის შემდეგ, რესურსის მოხმარების მაჩვენებელი საწყის მაჩვენებელზე 130-ჯერ მეტად გაიზრდება.

მათ, ვინც გაცილებით ოპტიმისტურად არიან განწყობილნი ეკონომიკური ზრდის გარემო ეფექტებთან დაკავშირებით, სჯერათ, რომ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს გარემოზე გავლენას ადგილობრივ დონეზე, და რომ მასშტაბური გავლენა ძალზე მცირეა. ოპტიმისტები აცხადებენ, რომ თუ არსებობს გლობალური მასშტაბის ეფექტები, ადამიანური გონება მოახერხებს მათთან ადაპტირებას.

კანადელი მეცნიერი დავით სუზუკი 1990-იან წლებში აცხადებდა, რომ ეკოლოგია მოახერხებს მხარი დაუჭიროს წელიწადში 1.5-3%-იან ზრდას ამგვარად სოფლის მეურნეობის მხრივ წაყენებული უფრო დიდი მოთხოვნა განაპირობებს ნიადაგისა და ტყის ბუნებრივი კაპიტალის კანიბალიზირებას. ზოგი ფიქრობს, რომ ასეთი არგუმენტი შესაძლოა მიესადაგოს გაცილებით განვითარებულ ეკონომიკასაც.

ეკონომისტების ძირითადი ნაწილი ამტკიცებს, რომ ეკონომიკას ამოძრავებს ახალი ტექნოლოგიები და გაუმჯობესებები ეფექტიანობაში, მაგ. ჩვენ გვაქვს უფრო ჩქარი კომპიუტერები დღეს ვიდრე გვქონდა ერთი წლის წინ, თუმცა ისინი უფრო მეტ ბუნებრივ რესურსებს როდი მოიხმარენ, ასევე, ფიზიკური ზღვარი შესაძლოა იყოს გაცილებით ფართო, თუ გავითვალისწინებთ დედამიწაზე მოპოვებად ყველა მინერალსა და სივრცის კოლონიზაციისგან მისაღებ ყველა შესაძლო რესურსს, როგორცაა: მზის ენერჯის სატელიტები, ასტეროიდებზე შახტების გაყვანა, ან დაისონის სივრცე. წიგნი “შახტები ცაში: ასტეროიდების, კომეტებისა და პლანეტების აურაცხელი სიმდიდრე, ასეთი

არგუმენტების ერთერთი მაგალითია. თუმცაღა შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ძველი რესურსების მანამდე ამოწურვას, სანამ ახლის კვლავწარმოება მოხდება. რაც ქმნის ნავთობის ფენომენის პიკის ლოგიკურ საფუძველს.

*კლიმატის ცვლილების შედეგები: ეკონომიკური* ზრდის ნაწინასწარმეტყველებ მახვენებელს შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი შედეგი კლიმატის შეცვლის პოლიტიკაზე. მაგალითად, სახელმწიფომ შესაძლოა გადაწყვიტოს, შეამციროს სათბურის გაზების ემისა, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს ეკონომიკური ზრდის მახვენებელზე, მაგრამ ამითი შეამციროს გარემოს დაბინძურება.

დაზღვევაზე მომუშავე ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ ცვლილებები კლიმატში საკუთრების განადგურების მახვენებელს მსოფლიოს ეკონომიკური წარმოების მახვენებელთან შედარებით გაზრდის 2065 წლისთვის. 2006 წ. დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით 1% წლიური მშპ-ს ინვესტირება თავიდან აგვაცილებს კლიმატის გაუარესებას, ხოლო თუ ასევე მოვიქცევით, მშპ-ს მონაცემები დაიწვეს 20%-ით.

მეორე მხრივ, თუ ეკონომიკის ზრდა შენარჩუნდება, მომავალი თაობები იმდენად მდიდრები იქნებიან, რომ მათ არაფრის შიში არ ექნებათ. ლორდ ლაოუსონი აცხადებდა, რომ ას წელიწადში ხალხი იქნება “შვიდჯერ უფრო უზრუნველყოფილი ვიდრე დღეს”, და ამიტომ არაა საჭირო მსხვერპლშეწირვა მოვახვიოთ თავს ბევრად უფრო დატაკ დღევანდელ მოსახლეობას”.

ამრიგად, ეკონომიკური ზრდა ფართო ინტერესის საგანია და სცილდება ზოგადად მაკროეკონომისტთა ინტერესების სფეროს. ეკონომიკური ზრდა ქვეყნის ზრდის პოტენციალი, პოლიტიკოსთაგან დაწყებული, ბიზნესმენებსა და უბრალო მოქალაქეებსაც აინტერესებთ, სწორედ ამით აიხსნება ეკონომიკური ზრდის თეორიების, მიმართულებების და კვლევითი ტენდენციების ნაირსახეობა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო შესწავლა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო რესურსებზე დაფუძნებულ ეკონომიკიდან, გადასვლა მწარმოებლურობასა და მოხმარებაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე. ამან განაპირობა განვითარების ეკონომიკის შემუშავება, ნობელის პრემიის ლაურიატების სენისა და ჯოზეფ სტიგლიცის ნამუშევრების ჩათვლით.



ზემოთ აღნიშნული თეორიები და კონცეფციები ეკონომიკაში მუშაობს, მაგრამ მათ შეზღუდული არეალი აქვთ, მათემატიკურად თუ აგხსნით ყოველივეს, ვიტყოდით, რომ მაკროეკონომიკური თეორიების და კონცეფციების გამოსახვა შესაძლებელია ე.წ. მაკროეკონომიკური ფუნქციებით, ყველა მათგანს აქვს თავისი განსაზღვრის არე, რომლის ფარგლებშიც ეს ფუნქციები იღებენ სხვადასხვა მნიშვნელობებს, ხოლო ამ განსაზღვრის არის მიღმა ისინი კარგავენ აზრს.

## II თავი

თეორიები, კონცეფციები და შეხედულებები ეკონომიკური ზრდის შესახებ

### 2.1. კლასიკოსები

ეკონომიკური ზრდა ხდება მაშინ, როცა ადამიანები რესურსებს უფრო ღირებულად გადაანაწილებენ<sup>13</sup>  
პაულ რომერი

ეკონომიკური ზრდა ეკონომიკაში საქონლისა და მომსახურების ღირებულების ზრდაა, რომელიც იზომება რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის (ანუ რეალური მშპ) პროცენტული ზრდით. ზრდა ჩვეულებრივ იზომება ინფლაციის გათვალისწინებით, ანუ მშპ, გამოთვლილი საბაზრო ფასებით, რეგულირდება ინფლაციით იმისთვის, რომ მოხდეს ფასებზე ინფლაციის წმინდა ეფექტის გამორიცხვა წარმოებულ საქონელსა და მომსახურებაზე.

ეკონომიკაში “ეკონომიკური ზრდა” ან “ეკონომიკური ზრდის თეორია” ჩვეულებრივ ეხება პოტენციური შედეგის – მწარმოებლურობის ზრდას, რომელთა შორისაა “სრული დასაქმება” და გამოწვეულია ერთობლივი, აგრეგირებული მოთხოვნის ზრდით ანუ შედეგით, რომელიც დაკვირვებით გამოიკვეთა.

ეკონომიკური ზრდის გამომწვევი მიზეზებისა და წახალისების გზების შესასწავლად მეცნიერებმა შეიმუშავეს არაერთი თეორია.

დიდი ალბათობით შეიძლება დავუშვათ, რომ ეკონომიკური თეორიების განვითარება შესაბამისი პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკის გამოძახილია ანუ ეკონომიკური თეორია იქმნებოდა ეკონომიკური პოლიტიკის მიხედვით და არა ეკონომიკური თეორიის მიხედვით ყალიბდებოდა ეკონომიკური პოლიტიკა. ამ მოსაზრებას ადასტურებს ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, რომლის თითქმის ყველა ფურცელი იმდროინდელი შეხედულებების შესაბამისია. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეკონომიკური მეცნიერება ყოველთვის სრულფასოვნად ვერ ხსნიდა ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებს და არ იყო მზად, სწორი პასუხი გაეცა ყველა იმ საჭირობო საკითხისათვის, რომელსაც დღის წესრიგში დრო აყუ-

<sup>13</sup> <http://www.econlib.org/LIBRARY/Enc/EconomicGrowth.html>

ნებდა<sup>14</sup>, რაც ხშირ შემთხვევაში სუსტი სამეცნიერო და მეთოდოლოგიური საფუძვლების "დამსახურებაა"<sup>15</sup>.

ჯერ კიდევ უძველესი დროიდან, როცა ეკონომიკური მეცნიერება, როგორც დისციპლინა საერთოდ არ არსებობდა, ეკონომიკური პოლიტიკისა და ზრდის შესახებ შეხედულებები ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა ტიპის (მათ შორის მხატვრულ, ისტორიულ, ფილოსოფიურ და ა.შ.) ლიტერატურაში.

საინტერესო ეკონომიკური შეხედულებებია (მათ შორის "ეკონომიკური პოლიტიკის" შესახებ) ჩამოყალიბებული ანტიკური საბერძნეთისა და რომის ძეგლებში, მათ შორის ქსენოფონტეს, პლატონის, არისტოტელეს, კატონის, ვარონის, კოლუმელას, ტიბერიუს და გაიუს გრაკუსების ნააზრევში, რელიგიურ ლიტერატურაში (მათ შორის ბიბლიაში, ყურანში და სხვ.).

საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარება და ფიქრი სახელმწიფოს მოწყობაზე ეკონომიკური თეორიის (ეკონომიკური მეცნიერების) განვითარებას და დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბებას განაპირობებდა.

ეკონომიკური ზრდის ყველაზე ადრეული აღწერა 1377 წელს ეკუთვნის არაბ მოაზროვნეს იბნ ხალდამს. ის ყველაზე ცნობილი მუსლიმანი მკვლევარი იყო, რომელმაც დაწერა ეკონომიკის შესახებ (tunisia 1332–1406), იგი განიხილება, როგორც თანამედროვე ეკონომიკის ფუნდამენტური იდეების პირველი აღმწერი, თავის მრავალმხრივ ცნობილ ნაშრომში "Muqaddimah-ი", რომელიც ცნობილია როგორც პრომელოგმენა ის ამბობდა:

*“როცა ცივილიზაცია (მოსახლეობა) იზრდება, ხელმისაწვდომი შრომითი ძალაც იზრდება, რაც განაპირობებს სიმდიდრის ზრდას, რომელიც გამოწვეულია მოგების ზრდით და ზნე-ჩვეულების ჩამოყალიბებას სიმდიდრის ზრდის საჭიროებისას. ხელოსნები ქმნიან ძვირფას საქონელს. მათთვის ღირებულება იზრდება და შედეგად ასევე იზრდება სარგებელი, ანუ მოგება მრავლდება ქალაქში. წარმოება ყვავის უფრო მეტად, ვიდრე უწინ, და მას მიყვარათ მეორად და მესამედ ზრდასთან. ყველა დამატებითი შრომითი*

<sup>14</sup> პაპავა, 1999წ, გვ. 116

<sup>15</sup> უპირველეს ყოვლისა საუბარი XVII-XIX საუკუნეების ეკონომიკურ მეცნიერებას ეხება, თუმცა დღესაც საკმაოდ ძნელია ცალსახა პასუხები გაეცეს ეკონომიკაში არსებულ ყველა პრობლემას.

*ძალა ემსახურება სიმდიდრისა და დოვლათის გაზრდას, საწყის შრომით ძალასთან შედარებით.”*

იბნ ხალდამი წერდა ეკონომიკურ და პოლიტიკურ თეორიაზე თავისი ნაშრომის შესავალში ანუ *“Muqadimah”-ში, რომელშიც* საუბარია, სოციალურ ერთობლიობაზე, რასაც ის ეძახდა *“asabiyyah”-ს* და ამბობდა, რომ ის წყარო და მიზეზია იმისა, რომ ზოგი ცივილიზაცია გახდა ძალიან დიდებული, წარმატებული და სხვები არა. იბნ ხალდამი ფიქრობდა, რომ ბევრი სოციალური *ძალა არის ციკლური*, სადაც შეიძლება უეცარი მკვეთრი მიმართულების შებრუნება მოხდეს. მისი იდეა შრომითი ძალების სარგებლიანობაზე ასევე დაკავშირებულია *“asabiyya”-სთან*, ანუ უფრო გრანდიოზულ სოციალურ კავშირებთან, როლითაც შესაძლოა უფრო კომპლექსური წარმატებული და დიდი ეკონომიკური ზრდის მიღწევა. მან ახსნა ის, რომ ზრდა და განვითარება ახდენს როგორც მიწოდების, ასევე მოთხოვნის სტიმულირებას, და ეს ძალები აძლიერებს მიწოდებას და მოთხოვნას, რომელიც სწორედ ის ძალებია, რაც განსაზღვრავს საქონლის ფასებს. ის ასევე აღნიშნავდა მოსახლეობის ზრდის გავლენას მაკროეკონომიკურ ძალებზე, ადამიანისეული კაპიტალისა და ტექნოლოგიური განვითარების ეფექტებს განვითარებაზე. ფაქტობრივად, იბნ ხალდამის აზრით მოსახლეობის ზრდა იყო პირდაპირი ფუნქცია ეკონომიკური სიმდიდრისა.

თუმცა მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა ფული გამოიყენებოდა, როგორც ღირებულების საზომი, გაცვლის საშუალება და დაგროვების წყარო, ის ვერ აცნობიერებდა, რომ ოქროს და ვერცხლის ღირებულება იცვლებოდა მოთხოვნა-მიწოდების ძალების ზემოქმედებით. იბნ ხალდამმა ასევე წამოიწყო საუბარი შრომის ღირებულებით თეორიაზე.

იბნ ხალდამს ეკუთვნის ასევე *პოპულარული კონცეფცია, რომელიც დღეს ლაფერის მრუდის სახელით არის ცნობილი*, რაც ნიშნავს იმას, რომ გადასახადების განაკვეთის ზრდა თავდაპირველად ზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს, მაგრამ განაკვეთის ზრდა თანდათანობით იწვევს საგადასახადო შემოსავლის შემცირებას. ე.ი. ეს ნიშნავს იმას, რომ ძალიან მაღალი გადასახადების განაკვეთები სტიმულს უკლავს მწარმოებლებს, აწარმოონ საქონელი ეკონომიკაში.

იბნ ხალდამმა გამოიყენა დიალექტური<sup>16</sup> მიდგომა, რათა აღეწერა სოციალური აზროვნება გადასახადებისა და არჩევანის შესახებ (რომელიც ახლა ფორმირებულია როგორც ეკონომიკური თეორიის ნაწილი), ის წერდა:

"სახელმწიფოს ადრეულ საფეხურებზე, გადასახადები არის მსუბუქი, მცირე თავის არეალში, მაგრამ სწრაფვა დიდი შემოსავლისაკენ... როცა დრო გადის და მეფეები მემკვიდრეობას ღებულობენ ერთმანეთისაგან, ისინი კარგავენ თავიანთ გვაროვნულ ჩვევებს ნაცვლად შემწუნარებლობისა და ცივილიზებულობისა. მათი მოთხოვნები და საჭიროებები იზრდება... **ფლობენ რა ფუფუნებას, რომელშიც ისინი დაიბადნენ, აკანონებენ ახალ** გადასახადებს თავიანთი საგნებისათვის და მკვეთრად ზრდიან გადასახადის განაკვეთებს, რათა გაზარდონ თავიანთი შემოსავლები. დაბეგერის ზრდის საქმიანობაზე გავლენით ისინი თავს დაცულად გრძნობენ, მაგრამ საქმე (ბიზნესი) **მაღე გაწბილდება** მეტი შემოსავლების მიღების სურვილით დაბეგერის გამო და რა თქმა უნდა, წარმოება შემცირდება, საგადასახადო შემოსავალთან ერთად."

ეს ანალიზი საკმაოდ მსგავსია თანამედროვე კონცეფციისა, რომელიც როგორც აღვნიშნეთ ცნობილია ლაფერის მრუდის სახელით. ლაფერი არ ამტკიცებდა, რომ ეს თავად მან აღმოაჩინა, პირიქით, მიუთითებდა იბნ ხალდამზე და ჯონ კეინსზე.

ადრეულ პერიოდში, ზოგ დასავლეთ ევროპულ ერებში **ჩამოყალიბდა აზრი, რომ ეკონომიკა უნდა "იზრდებოდეს"**, რომლის მიზანი არის, აწარმოოს უფრო მეტი ჭარბი ეკონომიკური საქონელი, რომელიც შესაძლოა გარდაიქმნას ცხოვრების საარსებო ჭეშმარიტებაში. ეს სიჭარბე შესაძლოა გამოყენებული იქნას მოხმარებისთვის, ომის წარმოებაში, ან სამოქალაქო და რელიგიურ პროექტებში. ადრეული აზრის მიხედვით მოსახლეობის ზრდასა და გადასახადების განაკვეთების ზრდაში შეიძლება მოხდეს ჭარბი ფულის გენერირება ქვეყნის ზრდისათვის.

ახლა საზოგადოდ აღიარებულია, რომ ეკონომიკური ზრდა აგრეთვე შედეგია მუდმივი, ადამიანთა აქტივობების სწრაფი ცვლილებებისა და რეორგანიზაციისა,

---

<sup>16</sup> კლასიკურ ფილოსოფიაში, დიალექტიკური (ბერძნულად: διαλεκτική) ნიშნავს: არგუმენტების, მოსაზრებების გაცვლას.

რომელიც ფასილიტებულის ინვესტიციებით და უზრუნველყოფს უკუგების მაქსიმიზაციის მოტივაციას. **ექსპონენტიალური** ევოლუციის თვითორგანიზებადი, ცხოვრების მხარდამჭერი და კულტურული სისტემები მნიშვნელოვნად შემოქმედებითი და მოქნილი, მაგრამ მრავალმხრივ არა პროგნოზირებადია. დღემდე მეცნიერებას არ აქვს ნაპოვნი თვითგანვითარების სისტემების კომპლექსური მოდელის შემუშავების კარგი გზა, თუმცა არის მცდელობები გრძელვადიანი განვითარების ეკონომიკური სისტემების მოდელირების, მაგრამ მხოლოდ მცირე სასარგებლო შედეგებია მიღწეული.

**“მერკანტილისტური” პერიოდი.** მიუხედავად იბნ ხალდამის შეხედულებებისა, ითვლება, რომ პირველი ეკონომიკური მოძღვრება, რომელმაც ფაქტობრივად საფუძველი დაუდო ეკონომიკურ პოლიტიკაზე და იმავდროულად ეკონომიკურ ზრდაზე ფიქრს, იყო “მერკანტილიზმი”.

“მერკანტილიზმის” სახელით დამკვიდრდა XVI-XVII საუკუნეების ევროპაში გაბატონებული იდეოლოგია. ინგლისურად “mercante” ნიშნავს ვაჭარს. თავდაპირველად ეს ირონიულ დატვირთვას ატარებდა და გამოხატავდა შუა საუკუნის მოაზროვნეთა გარკვეული წრის თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ვაჭრობა ერთგვარ სათაკილო საქმიანობად ითვლებოდა. თანამედროვე ლიტერატურაში “მერკანტილიზმი” გულისხმობს პირველ მეტ-ნაკლებად სისტემატიზირებული, ეკონომიკური მსოფლმხედველობის ფორმირებას. ის განსაკუთრებით გამოკვეთილად გამოვლინდა ლუდვიგ XIV-სა და ფინანსთა მინისტრ ქოლბერტის დროს. ამ სისტემის უმაღლესი მიზანი იყო აბსოლუტისტი მბრძანებლის სახელმწიფოებრივი ძალაუფლების განმტკიცება. სახელმწიფო აწარმოებდა ინტერვენციონისტურ და პროტექციონისტურ ეკონომიკურ პოლიტიკას იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ეკონომიკური განვითარებისათვის და გადასახადების აკრეფისთვის, სამეფო რეგალიებისა და სახელმწიფო მანუფაქტურების მეშვეობით უზრუნველყო სამხედრო საქმის, ჩინოვნიკებისა და კარისკაცებისათვის აუცილებელი დაფინანსება მერკანტილიზმის ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებანი შეიძლება ასე დავახასიათოთ:

- ა) სამამულო წარმოების ხელშეწყობა სახელმწიფოებრივი დაკვეთებით, პრივილეგიებით, მონოპოლიური უფლებებითა და სუბსიდიებით;
- ბ) სახელმწიფო საწარმოების (მანუფაქტურების) დაარსება;

- ვ) საკუთარი ექსპორტის სტიმულირება იმ მიზნით, რომ მიღწეული იქნას დადებითი საგაჭრო ბალანსი საგარეო ვაჭრობაში; კერძოდ ექსპორტის ხელშეწყობა, ხოლო იმპორტის შეფერხება საბაჟო ტარიფების დაწესებით და იმპორტულ საქონელზე მაღალი სამომხმარებლო გადასახადების მეშვეობით.

მერკანტილისტთა აზრით, საკუთარი ინტერესების შესაბამისად წარმართული საგარეო ვაჭრობა ეროვნული სიმდიდრის მთავარი წყარო შეიძლება გახდეს.

მერკანტილიზმის ძირითადი პრინციპები მოიცავს შემდეგ ასპექტებს<sup>17</sup>:

- ოქრო და სხვა ნებისმიერი სახის განძეული მიიჩნეოდა, როგორც სიმდიდრის გამოსატვის მთავარი არსი;
- საგარეო ვაჭრობის რეგულირება ქვეყანაში ოქროსა და ვერცხლის შემოდინების უზრუნველსაყოფად;
- იაფი ნედლეულის იმპორტის მეშვეობით ადგილობრივი მრეწველობის ხელშეწყობა;
- სამრეწველო საქონლის იმპორტზე პროტექციონისტული საბაჟო ტარიფები;
- ექსპორტის და განსაკუთრებით კი მზა პროდუქციის ექსპორტის წახალისება;
- მოსახლეობის რაოდენობის ზრდა დაბალი ხელფასის შესაწარმუნებლად.

მერკანტილისტური მოძღვრების ძირითადი არსი მდგომარეობდა დადებითი საგაჭრო ბალანსის დოქტრინაში, ის განიხილებოდა, როგორც ეროვნული სიმდიდრის აუცილებელი პირობა. მოგვიანებით ადამ სმიტი მერკანტილიზმს ასეთ შეფასებას აძლევს: "მერკანტილიზმი სხვა არაფერია, თუ არა პროტექციონისტული შეცდომების ნაზავი, რომელიც "ჩვენმა ვაჭრებმა და მრეწველებმა" თავს მოახვიეს "გამყიდველ პარლამენტს", და ემყარება იმ "უმარტივეს წარმოდგენას, რომ თითქოს სიმდიდრე არის ფულის ფლობა"<sup>18</sup>.

---

<sup>17</sup> Blaug, 1994, pg. 9

<sup>18</sup> Blaug, 1994, pg. 9

ისევე, როგორც ინდივიდი, ქვეყანაც უნდა მოიხმარდეს იმაზე ნაკლებს, ვიდრე აწარმოებს. მერკანტილისტთა აზრით, ეს ნამატი უნდა იღებდეს ფულის ან განძის ფორმას. ისინი შეცდომით აიგივებდნენ ფულსა და სიმდიდრეს, დადებით სავაჭრო ბალანსსა და მოხმარების ოდენობაზე წარმოების ყოველწლიურ ნამატს.

“მერკანტილისტური” პერიოდის განმავლობაში, ზრდა მხოლოდ და მხოლოდ განიხილებოდა ზრდა მთლიანი მოცულობის ლითონის ფულთან მიმართებაში, როგორცაა გაცვლის საშუალება ვერცხლი და ოქრო, რომელიც იყო ქვეყნის კონტროლში. “ბულიონისტურმა<sup>19</sup>” თეორიამ უბიძგა ქვეყნებს პოლიტიკისაკენ, დაეპყროთ კოლონიები, რათა ჰქონოდათ იაფი ნედლეული, ანუ აიძულებდა კონკრეტულ ქვეყნებს, ძალდატანებით ევაჭრათ მათთან, მიეწოდებინათ საქონელი ამ ქვეყნებისათვის იაფად, რომელიც გადამუშავდებოდა და გაიყიდებოდა.

აღსანიშნავია ერთი გარემოება, რომელიც ხშირად ართულებს ეკონომიკური თეორიების შესწავლას, არის ის რომ არ არსებობს ერთიანი ეკონომიკური ტერმინოლოგია<sup>20</sup>. ეკონომიკური თეორიის მეცნიერების წარმოშობის პერიოდში არც ეკონომიკური ტერმინოლოგია იყო სრულყოფილი და არც მეცნიერული კვლევის ფორმები და მეთოდები. მიუხედავად ამისა XVII-XVIII საუკუნეების ნაშრომებს (მათ შორის უილიამ პეტის, თომას მანის, ანტუან მონკრეტიენის, უილიამ სტაფორდის, დევიდ იუმის, ჯონ ლოკის, ჯეიმს სტიუარტის, ჯონ ლოუს და სხვ.) ძირითად დერძად მაინც დადებითი სავაჭრო სალდოს პრინციპი გასდევს. ექსპორტის იმპორტზე გადამეტება, როგორც სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების გარანტი – ეს არის მერკანტილისტთა უმთავრესი იდეა და კლასიკოს-ეკონომისტთა შეფასებით მათი თეორიის უმთავრესი უზუსტობა.

ჯონ ლოკის ნაშრომებში იკვეთება მერკანტილიზმიდან კლასიციზმში გადასვლის საფუძვლები, მაგრამ უ. პეტიმ გვაჩვენა, რომ ფული განსაკუთრებული საყოველთაო ექვივალენტური ფუნქციის მქონე საქონელია, რომლის ღირებულება შრომით იქმნება და ფული ქვეყნის საერთო წლიური დანახარჯების ფუნქციის მატარებელია. ასევე ის განიხილავს ”ფულის ბრუნვის სინქარის” კონცეფციას. აქედან გამომდინარე, მერკანტილისტებმა იცოდნენ, რომ

<sup>19</sup> მეტალის ფულის თეორია.

<sup>20</sup> Blaug, 1994, pg.10



ფულის რაოდენობასა და ფასებს შორის უკუპროპორციული დამოკიდებულებაა. ამდენად მათი შეხედულებანი წინააღმდეგობრივია, რადგან ფულის რაოდენობრივი თეორიის დადებითი სავაჭრო ბალანსი ქვეყანაში მეტი რაოდენობით ფულის შემოდინებას და შესაბამისად ფასების ზრდას უწყობს ხელს. მაშინ როცა მერკანტილისტების შეხედულებები ფასების ზრდის საწინააღმდეგოა და მათ მიაჩნიათ, რომ ფასები ამ გზით (ანუ ექსპორტის იმპორტზე გადამეტებით) შესაძლოა შემცირდეს კიდევ.

მოგვიანებით ასეთი სავაჭრო პოლიტიკა გახდა პოლიტიკის საგანი, იმის ნაცვლად, რომ ამით მოეხდინათ საშინაო ვაჭრობის და ინდუსტრიის წახალისება. პოსტ-ბულონისტური აზრი იყო მზარდი წარმოების უნარი, რომელმაც 1700-იანი წლების პოლიტიკა განსაზღვრა და ბიძგი მისცა მწარმოებლობას, ნედლეულის იმპორტირებას და მზა საქონლის ექსპორტს. ამ სისტემის შემოსავლის მაღალმა ტარიფებმა უბიძგა მწარმოებლებს ჩამოეყალიბებინათ “ქარხნები”. ადგილობრივი ბაზრები ამ შემთხვევაში იხდიდნენ მხოლოდ მუდმივ ხარჯებს კაპიტალის ზრდისთვის, და ახდენდნენ საქონლის ექსპორტირებას საზღვარგარეთ, ეს განაპირობებდა საქონლის რეალური ფასების შემცირებას, სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამის გამო კონკურენცია საზღვარგარეთ არ არსებობდა, ფასების ზრდა შესაძლოა, მხოლოდ კომპენსირებული ყოფილიყო ახალი ბიზნესის დაფუძნებით.

ამ ზრდის თეორიის მიხედვით, *ეროვნული სიმდიდრის ზრდის გზად მონოპოლიას მიიჩნევენ*, რომელიც სტიმულს აძლევდა ინდივიდებს, გამოეყენებინათ ბაზარი ან რესურსები. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ მიიღებდნენ მოგებას ინდივიდუალური ძალისხმევით, როცა სხვა დამატებითი ეროვნული კონკურენტები გავიდოდნენ ბიზნესიდან. “გერმანულ აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია” და “ბრიტანულ აღმოსავლეთ ინდოეთის კომპანია” იყვნენ ასეთი სახელმწიფოს მიერ უფლებამინიჭებული მონოპოლიები.

ამ პერიოდში ზრდის შესახებ ისეთი შეხედულება გახდა “სახარბიელო” ანუ მისაღები, რომლის მიხედვითაც ზრდა ხდება მაშინ, როცა ლითონის ფული შემოდინება ქვეყანაში, მაგრამ ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან განიხილებოდა, როგორც არახელსაყრელი. *აქედან გამომდინარე, მერკანტილიზმი არ იყო უბრალოდ ვაჭრობის შეზღუდვის საკითხი*. ქვეყნის შიგნით, ის ხშირად

ნიშნავდა სავაჭრო ბარიერების გაუქმებას, ახალი გზების შენებას და ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების გაუქმებას, ყველაფერ იმას, რაც აფართოებდა ბაზრებს. *ეს შეესაბამება ძალთა ცენტრალიზებას ხელისუფლებაში (ან “აბსოლუტიზმი”). ამ პროცესმა ხელი შეუწყო ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბებას დასავლეთ ევროპაში.*

საერთაშორისო დონეზე მერკანტილიზმის მიხედვით დომინირებდა აზრი, რომ ზრდა მიიღწეოდა ვაჭრობით ქვეყნის შიგნით, მაგრამ ვაჭრობა ქვეყნებს შორის იყო არახელსაყრელი. ასე რომ, ამ აზრმა განაპირობა ეროვნულ სახელმწიფოებს შორის მთავარი ომები.

საფრანგეთში მერკანტილისტური ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად საკითხად განიხილებოდა შიდა სავაჭრო სამრეწველო პოლიტიკის არეალში, რომელსაც ინდუსტრიულ მერკანტილიზმსაც უწოდებენ. XIX საუკუნეებში გერმანიაში დომინირებდა მერკანტილიზმის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც ცნობილია “კამერალიზმის” სახელწოდებით. იგი უკავშირდება სიტყვას “camera”<sup>21</sup> და გულისხმობს მაღალი წრის საზოგადოების (ე.წ. ფიურისტების) მამულების მართვას.

ეკონომიკურ პოლიტიკაზე შემდეგი მნიშვნელოვანი შეხედულებები ფიზიოკრატებმა ჩამოაყალიბეს. ფიზიოკრატია, როგორც ჩანს, მერკანტილიზმის შედეგი და მასზე რეაქცია იყო<sup>22</sup>, რადგან ფიზიოკრატების ნააზრევს “ღერძად” თავისუფალი ვაჭრობა გასდევს, მაგრამ, აღსანიშნავია, რომ ფიზიოკრატებს ეკონომიკის დარგებიდან მწარმოებლურად მხოლოდ სოფლის მეურნეობა მიაჩნდათ.

ინგლისისა და ჰოლანდიის მერკანტილისტური პოლიტიკა, პირველ რიგში, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობაზე იყო ორიენტირებული (სავაჭრო პროტექციონიზმი). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში საკმაოდ ადრე დაიწყო ამ პოლიტიკის საპირისპირო მოქმედება – მოქალაქეთა კერძო ინტერესების ხელშეწყობა და “თავისუფალი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება”.

<sup>21</sup> ეკონომიკის საწყისები, ოთარ კუპატაძე, ბადრი გელიტაშვილი, ზაზა გელაშვილი, ESM თბილისი 2000, გვ. 82.

<sup>22</sup> Blaug, 1994, pg.21

პირველი მერკანტილისტური ნაშრომების ავტორები იყვნენ, როგორც წესი, არა მეცნიერები, არამედ პრაქტიკოსი სპეციალისტები: ვაჭრები, მრეწველები, ფინანსისტები, სავაჭრო კომპანიათა წარმომადგენლები. მათი ნაშრომები, რომლებსაც "ჰამფელტებს" უწოდებენ, უმეტესწილად ცალკეულ თემათა განხილვას ეძღვნებოდა და არ წარმოადგენდა რაიმე ერთიანი, მიზანმიმართული თეორიის სრულყოფის ცდას. ასეთი ნაშრომებია: ინგლისელი იულიამ სტეფფორდის 1581 წლით დათარიღებული ჰამფელტი "ინგლისის პოლიტიკის ნაჩქარევი განხილვა"; იტალიელი ანტონიო სერრას "მოკლე ტრაქტატი ძვირფასი ლითონების საბადოებით მწირი სამეფოების ოქრო-ვერცხლით უზრუნველყოფის გზების შესახებ" 1613წ.; ფრანგი ანტუან დე მონკრეტიენი "ტრაქტატი პოლიტიკური ეკონომიის შესახებ" 1915 წ. და ა.შ. მხოლოდ ინგლისში ეკონომიკის ისტორიის მკვლევართა მიერ აღნუსხულია მერკანტილიზმის ეპოქაში შექმნილი 2400-მდე ჰამფელტი.

ყოველივე ეს ნათელი დასტურია იმისა, რომ მერკანტილიზმის იდეოლოგია მომდინარეობდა კონკრეტული საქმოსნებისაგან, რომლებსაც პირადი ინტერესები ამოძრავებდათ და უნდოდათ მეტი სარგებელი მიეღოთ, რაც განაპირობებდა მათ ნაშრომებში ინდივიდუალური ინტერესების გატარებას, მათ ასევე ზეგავლენა ჰქონდათ მთავრობის პოლიტიკის გამტარებლებთან, რაც განაპირობებდა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის კურსის არჩევას. ამიტომ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მერკანტილიზმი მონოპოლისტობის მოყვარე საქმოსნების იდეოლოგიაა, რამაც შეიძლება ქვეყნებს ომებისაკენ უბიძგოს და დაღუპვის პირას მიიყვანოს.

XVIII საუკუნის II ნახევარში მერკანტილიზმის იდეებს ფიზიოკრატები დაუპირისპირდნენ, სახელწოდება მომდინარეობს სიტყვებიდან phisis – ბუნება, kratos – ძალუფლება, ანუ ნიშნავს ბუნების ძალაუფლებას. ფიზიოკრატები თვლიდნენ, რომ ეკონომიკურ კანონებს აქვთ ბუნებრივი ხასიათი და მათ დარღვევას გარდაუვლად მოჰყვება საწარმოო პროცესის ჩაშლა და ეკონომიკური სუბიექტების ინტერესთა შელახვა.

განსხვავებით მერკანტილისტებისაგან, ფიზიოკრატები უარყოფდნენ საგარეო ვაჭრობას, როგორც სიმდიდრის დაგროვების საშუალებას და აღნიშნავდნენ, რომ ნაყოფიერი მხოლოდ მიწათმოქმედება შეიძლება იყოს, რამდენადაც მოსავალი ღმერთის მიერ იქმნება. მათ შემოიღეს "წმინდა პროდუქტის"

ფუნდამენტური ცნება, რომელიც არის სხვაობა შექმნილ ფასეულობათა ჯამურ ღირებულებასა და მათ წარმოებაზე გაწეულ საერთო დანახარჯებს შორის. ფიზიოკრატთა მოსაზრებით, წმინდა პროდუქტის შექმნაში ვაჭრობას არ შეაქვს რაიმე წვლილი, რადგან ამ დროს ახალი არაფერი იქმნება. ანალოგიურია მათი დამოკიდებულება სამრეწველო შრომისადმიც, რადგან ასეთ შრომას, როგორც ისინი მიიჩნევდნენ, შეუძლია მხოლოდ ფორმა შეუცვალოს ბუნებრივად არსებულ საგნებს; ამ შრომის შედეგად მხოლოდ გაწეული ხარჯები ანაზღაურდება, მაგრამ არ იქმნება არავითარი ნამეტი ღირებულება.

შრომას, რომელსაც წმინდა პროდუქტი ქმნის, ფიზიოკრატებმა უწოდეს მწარმოებლური, ყველა სხვა სახის შრომას კი – არამწარმოებლური (თუმცა შესაძლოა სასარგებლოც). ისინი თვლიდნენ, რომ მწარმოებლური შრომა მხოლოდ მიწის დასამუშაველად გამოყენებული შრომაა, ისინი მხოლოდ მიწათმფლობელებს განიხილავდნენ მწარმოებლურ კლასად. შესაბამისად, აუცილებლად თვლიდნენ მოხდეს ერთიანი გადასახადების შემოღება მიწათმფლობელთა დასაბეგრად.

ფიზიოკრატების ყველზე ცნობილი წარმომადგენლები არიან: რიჩარდ კანტილიონი (1680-1734), ირლანდიელი კომერსანტი და ფინანსისტი, ავტორი ნაშრომებისა ”გამოცდილება ვაჭრობის ბუნების შესახებ”; ფრანგები – ბენსანიუ დე გრუნე (1712-1759), რომელსაც ეკუთვნის ტერმინის ”lazer Faire” დამკვიდრება ეკონომიკურ ლიტერატურაში; ჟაკ ტიურგო (1727-1781) – ავტორი ნაშრომისა ”მოსაზრებანი სიმდიდრის შექმნისა და განაწილების შესახებ”, ის თავის ნაშრომებში განიხილავდა იმას, რომ კაპიტალით მიღებული შემოსავალი იყოფა ორ კატეგორიად, რომელთაგან პირველი ანაზღაურებს პროდუქტის შექმნის ხარჯებს, სადაც შრომის ანაზღაურებაც იგულისხმება, ხოლო მეორე შეადგენს მოგებას კაპიტალზე. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იყოფა, სამ ქვეკატეგორიად, ესენია: კაპიტალის მფლობელის შემოსავალი, მეწარმის შემოსავალი და მიწის რენტა. აღნიშნულმა მიდგომამ არსებითი ზეგავლენა მოახდინა ეკონომიკური აზრის შემდგომ განვითარებაზე.

ასევე, ფიზიოკრატიული სკოლის შესანიშნავი ფრანგი წარმომადგენელია ფრანსუა კენე (1694-1774), ლუდოვიკო XV-ის სამეფოს კარის ექიმი (რომელიც ეკონომიკური პოლიტიკით 60 წლის ასაკში დაინტერესდა. მისი დამსახურება ეწ

ეკონომიკური ციკლის თეორიის შექმნა) აღნიშნავდა, რომ მრეწველობა (მეწარმეობა), ხელოსნობა და ვაჭრობა არ არის პროდუქტიული დარგი და მხოლოდ სოფლის მეურნეობაში იქმნება სიმდიდრე. ეკონომიკურ თეორიაში გამოიკვეთა სახელმწიფოს მხრიდან დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელების დასაბუთების მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიოკრატების სწავლება გარკვეულწილად სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკის რეგულირების შეზღუდვის მომხრეა, ისინი ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყვნენ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მწყობრი სისტემის შექმნისაგან.

XVIII საუკუნის და მთელ შემდგომ ეკონომიკურ აზროვნებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ადამ სმიტმა და მისმა "ხალხთა სიმდიდრემ"<sup>23</sup>. ხოლო მისი "უხილავი ხელის" თეორია დღესაც საკმაოდ აქტუალური და მრავლისმომცველია.

კლასიკური ეკონომიკური ზრდის თეორია დაიწყო მერკანტილიზმის კრიტიკით, განსაკუთრებით "ფიზიოკრატების" და "შოტლანდიელი სწავლულების" მოაზროვნეების მიერ. როგორცაა ადამ სმიტი (1723-1817), და დავით რიკარდო (1772-1823). ეს არის ეპოქა, როცა ჩამოყალიბდა თანამედროვე საგანი პოლიტიკური ეკონომიკა. ფიზიოკრატების თეორიით საწარმოო სიმძლავრეები, თავისთავად, უზრუნველყოფდა ზრდას, აუმჯობესებდა და ზრდიდა კაპიტალს. უზრუნველყოფილი სიმძლავრე იყო "ხალხთა სიმდიდრე". ისინი ამტკიცებდნენ სოფლის მეურნეობის უპირატესობას და ურბანულ ინდუსტრიას, როგორც "უნაყოფოს". სმიტმა გააფართოვა აზრი და ჩამოაყალიბა, რომ ქვეყნებისათვის წარმოება იყო ცენტრალური მთელი ეკონომიკისათვის.

სმიტმა თავისი ძირითადი ეკონომიკური იდეები გადმოგვცა ნაშრომში: "გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" (1776). იმ დროისათვის აღნიშნული ნაშრომი ეკონომიკური ცოდნის ენციკლოპედია იყო. ამ ნაშრომის ძირითად იდეას წარმოადგენს ეკონომიკის ლიბერალიზაცია სახელმწიფოს მინიმალური ჩარევით.

სმიტის აზრით, ეკონომიკურ მოწყობათა შორის მხოლოდ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას შეუძლია უზრუნველყოს ცხოვრების მაღალი დონე. მას მიაჩნდა,

<sup>23</sup> ადამ სმიტი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ

რომ თავისუფალი საბაზრო მექანიზმი საუკეთესო შედეგს და საზოგადოების ჰარმონიული განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის საფუძველს მხოლოდ მაშინ იძლევა, თუ იგი შესაბამის ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ ნორმებშია მოქცეული<sup>24</sup>. თუმცა ბევრი მკვლევარი და თავისუფალი ეკონომიკის მომხრე ხშირად იშველიებს ადამ სმიტის მოსაზრებებს სახელმწიფოს ჩარევისა და ბაზრის რეგულირების კრიტიკის მიზნით, თუმცა ზემოთ აღნიშნული დებულების საფუძველზე იმის მტკიცება, რომ თითქოს, სმიტის აზრით, სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებაში არ უნდა ერეოდეს, არაკორექტულია. უფრო მეტიც, სმიტის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თავისუფალი საბაზრო მექანიზმი სახელმწიფოს მხრიდან განსაზღვრული ინსტიტუციონალური და სამართლებრივი ნორმებისა და ჩარხების არსებობას ითვალისწინებს, ამის დასტურად შეიძლება მივიჩნიოთ, რომ "უხილავი" და "ხილული" ხელი ერთად უნდა ფუნქციონირებდეს, რაც სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების რეალური საფუძველი უნდა გახდეს. ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ უხილავი ხელი უხილავი ძალის ზეგავლენით ფუნქციონირებს, ამ დროს კარლ მარქსი წერდა: "ბურჟუაზიული საზოგადოება, . . . რომელმაც თითქოს ჯადოსნობით შექმნა ესოდენ ძლიერი წარმოებისა და ადებ-მიცემობის საშუალებანი, იმ ჯადოქარს ჰგავს, რომელსაც ვეღარ დაუმორჩილებია მის მიერ ქვესკნელიდან ჯადოსავით გამოწვეული ძალები<sup>25</sup>. სწორედ ამიტომ ცდილობდა მარქსი ახალი სოციალური თეორიების შემუშავებას ხალხისთვის უკეთესი მომავლის შექმნის იმედით. ამიტომაც მისი ნაშრომები გადაიქცა იდეებად, რომელიც სურვილებისა და ოცნებების გამოძახილი იყო. მარქსის მოძღვრების ყველაზე დიდი ლაფსუსი სწორედ ადამიანთა ფსიქოლოგიური ქცევითი ასპექტების გაუთვალისწინებლობა იყო.

ადამ სმიტი ნათლად წარმოგვიჩენს საბაზრო ძალების უხილავ ქმედებებს, რომლის საფუძველი ადამიანთა ქცევაა, აქედან გამომდინარე, ადამიანთა საქციელის შემომსაზღვრავი ინსტრუმენტები თუ არ შემუშავდა და ამოქმედდა, ყოველივე შეიძლება ძალიან მალე გადაიზარდოს გაურკვეველობაში და დამანგრეველი გავლენა იქონიოს არა მარტო კეთილდღეობაზე, არამედ ყველაფერზე.

<sup>24</sup> Blaug, 1994, pg.56

<sup>25</sup> კარლ მარქსი. ფრ. ენგელსი რჩეული ჩანაწერები, ტ.1, გვ.17.

კლასიკოსები მატერიალური სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევენ შრომას. სმიტის მოძღვრების ფსიქოლოგიური საფუძველია *პირადი ინტერესი*. ამ ბაზაზე სმიტი ხსნის, თუ როგორ შეიძლება ადამიანის საჭიროების დაკმაყოფილება შრომის დანაწილებით, რომელიც მნიშვნელოვნად ამაღლებს ინდივიდუალურ მწარმოებლურობას და ფასის მექანიზმით, რომელიც მიწოდებას ავტომატურად აწონასწორებს მოთხოვნასთან.

*ა. სმიტი პირადი ინტერესის კონცეფციას (ეგოიზმი) ეკონომიკურ თეორიაში შემდეგნაირად ხსნის: ადამიანთა ეკონომიკური საქმიანობის მთავარი მოტივია მოგების მიღება, ანუ ანგარებიანი ინტერესის რეალიზაცია, რაც მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ თითოეული ინდივიდი შეძლებს თავისი შრომის პროდუქტების გაცვლას. ეს პროცესი აღრმავებს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას. მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ ბუნებრივი მისწრაფება საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის მთავარი სტიმულია, რომელსაც უნარი აქვს, დაძლიოს უგუნური კანონებით გართულებული სამეურნეო საქმიანობა.*

სმიტის კვლევის საგანს შეადგენს შრომის პროდუქტიულ ძალთა სფეროში წამოჭრილი მიზეზები და შრომის პროდუქტის ბუნებრივი განაწილება საზოგადოების სხვადასხვა კლასებსა და ჯგუფებს შორის. ავტორის ინტერესის სფეროა კაპიტალის ბუნება, მისი თანდათანობით დაგროვილი წესისა და შრომის სხვადასხვა რაოდენობა, რომელიც კაპიტალს მისი გამოყენების სხვადასხვა წესის მიხედვით მოძრაობაში მოჰყავს.

სმიტი შრომის დანაწილების შედეგს მიაწერს დახელოვნებას, ხელმარჯვეობასა და საზრიანობას, რომლითაც შრომა წარიმართება ან სრულდება. იგი წერს, რომ ის, რაც საზოგადოების ველურ მდგომარეობაში ერთი ადამიანის სამუშაოს შეადგენს, განვითარებულ საზოგადოებაში სრულდება რამდენიმე ადამიანის მიერ. რადგან შრომის დანაწილებას შეუძლია თითოეული მუშის საქმიანობა დაიყვანოს ამა თუ იმ მარტივ ოპერაციაზე, ამიტომ იგი აუცილებლად აღიღებს მის ხელმარჯვეობას დროის მონაკვეთის შემცირებით. აქვე იგი შენიშნავს დროის დაზოგვის სარგებლობას. შრომის დანაწილების შედეგად წარმოიშობა სპეციალიზაცია, რაციონალურობა, გამომგონებლობა. ადამიანი, რომელიც მთელი გონებრივი ყურადღებით

ერთადერთ ობიექტზეა ფოკუსირებული, იგი ცდილობს უფრო მარტივი და უმოკლესი გზით შეიმსუბუქოს შრომა, და ამასთან, გაწიოს მინიმალური დანახარჯი მაქსიმალური მოგებისათვის. **თავდაპირველად, სწორედ ამ საწყისებიდან იწყება ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე ორიენტირება ჯერ კიდევ მიკრო დონეზე.**

სმიტი გამოდის იმ ამოსავალი წერტილიდან, რომ ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, რათა მიაღწიოს საკუთარ კეთილდღეობას, რომელიც შემდგომში ყველას კეთილდღეობაში აისახება.

სმიტი ასკვნის: შრომის ასეთი დანაწილება არ არის თავდაპირველი შედეგი რომელიმე ადამიანის სიბრძნისა, არამედ იგი არის აუცილებელი, თუმცა ნელა, თანდათანობით წარმომდგარი შედეგი ადამიანის ბუნების განსაზღვრული მისწრაფებისა, რომელსაც ასეთი დიდი სარგებლობა როდი აქვს მიზნად დასახული. ეს მისწრაფება საერთოა ყველა ადამიანისათვის, რომელსაც საფუძვლად უდევს ჩვენთვის უკვე ცნობილი ადამიანისეული ეგოიზმი.

ა. სმიტის აზრით, ადამიანი იმ ზომით არის მდიდარი ან ღარიბი, რა ზომითაც მას შეუძლია მოიპოვოს არსებობის, კომფორტისა და სიამოვნებისათვის საჭირო საგნები. ამაში კი მას შრომა ეხმარება. შრომა, მისივე აზრით, ყველა საქონელთა ნამდვილ საზომს შეადგენს. მისმა ნაშრომმა ნათლად ასახა საზოგადოებრიობის ყოფა. საზოგადოება ვერ აყვავდება და ბედნიერი ვერ იქნება, თუ მის წევრთა უმრავლესობა ღატაკი და უბედურია. აქვე სმიტი იხილავს თანასწორობის პრაქტიკულ შესაძლებლობას. **თანამედროვე დამოკიდებულება ამ საკითხზე შემდეგი სახისაა: თანასწორობის ცნებას (რომელიც დღევანდელ პირობებში არც თუ იშვიათად ისმის) უნდა ცვლიდეს სამართლიანობის ცნება.** პრეზიდენტი ფერმერის თანასწორი არასოდეს არ იქნება. აქ მთავარია სამართლიანობის მიღწევა, რომელიც ორივე მხარეს თანასწორ სამოქმედო ასპარეზს მისცემს მათი სიცოცხლის ნებისმიერ დროს.

ა. სმიტი მომჭირნეობას ეკონომიკური ზრდის საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს. კაპიტალი, – წერს იგი – იზრდება დაზოგვით და მცირდება მფლანგველობითა და უგუნური ქცევით. მდიდარი კაცის შემოსავლის ნაწილი, რომელსაც იგი წლის განმავლობაში ხარჯავს, მეტ წილ შემთხვევაში



მოხმარება უქმი სტუმრებისა და შინამოსამსახურეების მიერ, რომლებიც არაფერს იძლევიან ამ მოხმარების სანაცვლოდ.

*მისი აზრით, დიდი ერები არასოდეს არ ღარიბდებიან კერძო პირთა ბედოვლათობისა და წინდაუხედაობის მიზეზით, მაგრამ არაიშვიათად ღარიბდებიან სახელმწიფო ხელისუფლებისა და წინდაუხედავი საქმიანობის გამო.* ამ უკანასკნელის შედეგად, მომდევნო წლის პროდუქტი წინა წლის პროდუქტთან შედარებით მცირდება. ეს იწვევს წარმოების დაცემასა და ეროვნული სიმდიდრის განიავებას.

ა. სმიტის აზრით, *შრომის დანაწილების საფუძველზე მწარმოებლურობის ამალღებისა და საზოგადოებრივი პროდუქტის გადიდების გაფართოება აფართოებს შრომის ანაზღაურების ფონდს.* ეს იწვევს შრომის ანაზღაურების ამალღებას ადრეული ცხოვრების მინიმუმის დონის ზემოთ და სტიმულს აძლევს მოსახლეობის ზრდას. ბაზრის განვითარება და შრომის დანაწილების გაღრმავება, ერთი მხრივ, შრომითი რესურსების გაფართოება. ემსახურება არა ალტერნატიულ, არამედ, დამატებითი მეთოდებით ურთიერთშემცვლელი ეროვნული სიმდიდრის გაფართოებას. ა. სმიტმა წამოაყენა ეკონომიკური თავისუფლების წარმმართველის, “უხილავი ხელის” თეორია: თითოეული ადამიანი საქმიანობს თავისი ანგარებიანი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, მისთვის უცხოა საზოგადოებრივი ინტერესები. მაგრამ, ცალკეული ადამიანის პირადი ინტერესების რეალიზაცია საბოლოოდ წარმოგვიდგება, როგორც საზოგადოებრივის დაკმაყოფილება, რაც ე. წ. “უხილავი ხელის” დამსახურებაა.

მისივე აზრით, უფრო მეტად პიროვნების თავისუფალი ქმედება ემსახურება საზოგადოების ინტერესებს, ვიდრე მაშინ, როცა შეგნებულად ცდილობს ამის გაკეთებას.

ეკონომიკური თავისუფლების იდეა, თავის მხრივ დაფუძნებულია “ბუნებრივი წესრიგის” კონცეფციაზე. ავტორმა “ბუნებრივი წესრიგი” უწოდა იმ პირობას, რომლის დროსაც ევექტიანად ხორციელდება პირადი ანგარებიანი ინტერესებისა და სტიქიური ეკონომიკური კანონების სასიკეთო ურთიერთმოქმედება. “ბუნებრივი წესრიგის” ფიზიოკრატიულ იდეას სმიტმა ჩამოაყალიბა ფეოდალურ-რელიგიური შინაარსი და გააადამიანურა. “ბუნებრივი წესრიგის” საფუძველად

სმიტი აღიარებს პირად ინიციატივას, პირად პასუხისმგებლობას, ეგოიზმს. მისივე მტკიცებით, ადამიანის ბუნებრივი თავისუფლება (Laisser faire) არ უნდა შეიზღუდოს. მხოლოდ “ბუნებრივი წესრიგით” მიიღწევა ქვეყნის შეზღუდული და კლებადი რესურსების ოპტიმალური გამოყენება.

თუ გადავხედავთ ადამიანთა ქცევის ცვლილებას კომუნისტური ეპოქის განმავლობაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანებს დაეკარგათ პირადი ინიციატივა და პირადი პასუხისმგებლობა, მაგრამ მნიშვნელოვნად განუვითარდათ ეგოიზმი, ეს კი უდიდესი შემაფერხებელი ფაქტორია საბაზრო ეკონომიკის მშენებლობისა და ეკონომიკური ზრდისთვის. ბოლოს, ნაშრომში სმიტი განიხილავს საგარეო ვაჭრობის როლს, რომლის გარეშეც ქვეყნის სათანადო დონეზე განვითარება შეუძლებელია.

ადამ სმიტის მოსაზრებები განიხილება, როგორც კლასიკური საბაზრო ეკონომიკა და ”კლასიკური ლიბერალიზმის” სახელითაა ცნობილი. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს მიმდინარეობა ფიზიოკრატების პარალელურად განვითარდა და გარკვეულწილად მათ მოსაზრებებსაც დაუპირისპირდა.

კლასიკოსები, ფიზიოკრატებისგან განსხვავებით, გამორიცხავენ ყოველგვარ პროტექციონიზმს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ამასთანავე იზიარებენ მათ აზრს ვალუტის სტაბილურობის საკითხებში. მათი აზრით, ინფლაციის, ანუ ფასების საყოველთაოდ ზრდის არსებობა არასასურველი მოვლენაა საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. თუმცა, ა. სმიტის აზრით, ჭეშმარიტი სიმდიდრე მდგომარეობს არა ფულში, არამედ ისეთ ფაქტორებში, როგორიცაა: მიწის რესურსები, შენობა-ნაგებობები, მოხმარების საგნები, და სხვა მატერიალური ფასეულობები, ფული კი მათი ღირებულების საზომი და მიმოქცევის საშუალებაა. ამ ფასეულობათა გაცვლის გასაიოლებლად, სიმდიდრის დასაგროვებლად მისი შენახვა არაა გამართლებული, რადგან თუ მიმოქცევაში იმაზე მეტი თანხაა, ვიდრე საჭიროა პროდუქციის შესაძენად, მაშინ ფასები იზრდება, ეს კი შეუძლებელს ხდის ფულადი სისტემის გამართულ ფუნქციონირებას (განსაკუთრებით ქაღალდის ფულზე გაცვლისას), რამდენადაც მოქალაქეებში ყალიბდება უნდობლობა ამ სისტემისადმი.

ა. სმიტის შემდეგ კლასიკური თეორიის წარმომადგენლებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურაა დევიდ რიკარდო (1772-1823), წარმოშობით ებრაელი, მოღვაწეობდა ძირითადად ინგლისში. ის სმიტის მოძღვრების ზოგიერთი წინააღმდეგობებს ავითარებს და ათავისუფლებს მას ხარვეზებისაგან, რადგან ის უფრო *პრაქტიკოსი იყო*. მისი ნაშრომი “პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები” ეხება *საზოგადოების სიმდიდრის ზრდას, ოპტიმალური წარმოებისა და განაწილების საზოგადოებრივ პირობებს*.

დ. რიკარდო და მისი მიმდევრები მწარმოებლურობის ამაღლებას საფუძვლად უდებენ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის ამაღლებას პროდუქციის მაღალ ხარისხთან შეთავსებით.

რიკარდოს ნაშრომში განხილულია კლასებს, მიწათმფლობელებს, კაპიტალისტებსა და მუშებს შორის სიმდიდრის განაწილების კანონისა და წარმოების ზრდაზე მისი გამოვლენის საკითხები. ნაშრომის დასკვნა კი ხსნის იმას, რომ ეკონომიკური ზრდა საბოლოოდ აუცილებლად შეწყდება. გარდა ამისა, რიკარდომ განავითარა და გაარღმავა სმიტის მრავალი იდეა, რის გამოც სმიტის მოწაფესა და მიმდევარსაც უწოდებენ.

ასევე კლასიკური თეორიის წარმომადგენელია ჟან ბატისტ სეი (1767-1832), პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, ავტორი ნაშრომისა “პოლიტიკონომიის ტრაქტატი”, რომელშიც პოპულარული ენითაა გადმოცემული სმიტის იდეები. სმიტის ცნობილი დებულება, “ყოველი მიწოდება თავის საკუთარ მოთხოვნას წარმოშობს” ხშირად სეის თეორემის სახელითაც გვხვდება ეკონომიკურ ლიტერატურაში.

დებულება *“მიწოდება წარმოშობს საკუთარ მოთხოვნას”* გაიზიარა დ. რიკარდომაც. სწორედ, ცნობილი დებულება – *“პროდუქტს მხოლოდ პროდუქტით ყიდულობენ”* – ეკუთვნის არა სეის, არამედ ფიზიოკრატ ტროსნის. ასევე მითვისებული აქვს სეის ჯ. მილის გამონათქვამი იმის შესახებ, რომ არასოდეს არ შეიძლება არსებობდეს მყიდველთა ნაკლები რაოდენობა ყველა საქონლისათვის. ვისაც საქონელი აქვს გასაყიდად გამოტანილი, იმას რაიმე სხვა საქონლის მიღება სურს სამაგიეროდ, ე. ი. ყველა საქონლის მყიდველი და

გამყიდველი, ერთად აღებული მეტაფიზიკური აუცილებლობის ძალით წონასწორობას უნდა ინარჩუნებდეს.

*სეი და რიკარდო უარყოფენ საყოველთაო ჭარბწარმოებას.* რომელიმე ცალკეული საქონელი, – წერს რიკარდო, – შეიძლება ძალზე ბლომად იყოს წარმოებული, მაგრამ არ ანაზღაურებდეს მასზე დახარჯულ კაპიტალს. აქვე აღნიშნავს, რომ ეს არ შეეხება ყველა საქონელს. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანური მოთხოვნილება უსაზღვროა და ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილება ერთდროულად არ ხდება. *ერთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებით მეორე მოთხოვნილება თავისებურად ფარულ მდგომარეობაში რჩება.*

*დიდი დებრესიის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება გამხდარიყო სწორედ თეორია "მიწოდება წარმოშობს საკუთარ მოთხოვნას" .*

კლასიკური სკოლის ევოლუციას ავითარებენ იმავე პერიოდის თვალსაჩინო წარმომადგენლები. *კლასიკოსების აზრით, საგნები, რომლებიც უკვე წარმოებული იქნა, არ განიხილებიან დოვლათის შემქმნელებად.* ის, ვინც მოითხოვს ამ საგნებს, რაც არ უნდა ბევრი იყოს იგი, ამაზე მეტი მდიდრები ვერ გახდებიან.

*კლასიკოსების აზრით, ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია ეკონომიკური შემოქმედების ინტენსიფიკაციაზე, რომლის საფუძველია შრომის დანაწილება. ეკონომიკური ზრდა ასევე დამოკიდებულია კაპიტალდაბანდებაზე.*

*დევიდ რიკარდომ შემდეგ წარმოაჩინა, რომ ვაჭრობას შეუძლია ქვეყნებისთვის სარგებლის მოტანა,* რადგან ერთს შეუძლია იყიდოს საქონელი უფრო იაფად საზღვარგარეთიდან, ეს ნიშნავს, რომ ქვეყნებისთვის უფრო მომგებიანი სიტუაცია იქმნებოდა. ამ თეორიამ მიიღო "შედარებითი უპირატესობის" სახელი და გახდა მთავარი საყრდენი თავისუფალი ვაჭრობის ზრდის კომპონენტში.

ასევე აღსანიშნავია ჟან ბაბტის სეის წარმოების სამი ფაქტორის თეორია, მან ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა საზოგადოებრივი კვლავწარმოების სფეროები სამ

ნაწილად: წარმოებად, განაწილებად და მოხმარებად. მანვე გამოყო წარმოების სამი ფაქტორი: შრომა, მიწა და კაპიტალი.

*შემოსავალი ერთ კაცზე არ განიხილებოდა ზრდის მაჩვენებლად “ინდუსტრიულ რევოლუციამდე”. ამ პერიოდს უწოდებენ თომას მალთუსის (1766-1834) ხანას, რადგან მხედველობაში იღებდნენ პრინციპებს, რომლებიც აღწერილი იყო თომას მალთუსის მიერ ნაშრომში “ნარკვევი მოსახლეობის პრინციპის შესახებ, როგორც მომავალ გაუმჯობესებაზე ზეგავლენის შესახებ”. მალთუსის მიერ ჩამოყალიბებული თეორია მდგომარეობდა შემდეგში, რომ ნებისმიერი ზრდა ეკონომიკაში აუცილებლად აისახება მოსახლეობის ზრდაში. ის ამტკიცებდა, რომ ადამიანთა მდგომარეობის მუდმივად გაუმჯობესება შეუძლებელია მიუხედავად იმისა, რომ აგრერირებული შემოსავალი გაიზრდება, შემოსავალი ერთ კაცზე დაახლოებით დარჩება მუდმივი.*

მალთუსი ამართლებდა კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ლიბერალურ წყობას და სოციალურ უთანასწორობას. ადამ სმიტი ამტკიცებდა, რომ ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საუკეთესო საშუალება თავისუფლებაა. მალთუსის აზრით კი, ხალხის კეთილდღეობა ცალკეულ ადამიანთა პირობების გაუმჯობესების გარეშე შეიძლება ამაღლდეს. ოღონდ ზრდა არ იქნება მიღწეული, თუ მოსახლეობის რაოდენობა უფრო სწრაფად გაიზრდება, ვიდრე მათი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებელი საარსებო საშუალებები. მალთუსი თვლიდა, რომ ლიბერალური სისტემა და ამ სისტემით გამოწვეული უთანასწორობა (ანუ ის მიიჩნევდა, რომ ლიბერალიზმი წარმოშობდა უთანასწორობას) მოსახლეობის ნაწილის მდგომარეობას გაუმჯობესებს და იმავედროულად მოსახლეობის ზრდას შეაჩერებს. სისტემა, რომელიც ქონებაზე საერთო საკუთრებას ან საკუთრებაზე თანასწორობას ეყრდნობა, მთელ მოსახლეობას აუცილებლად სიღარიბემდე მიიყვანს. მალთუსის აზრით, ”ბუნების კანონით მოსახლეობის ზრდა კვების პროდუქტების მაქსიმალურ წარმოებებს ეწინააღმდეგება: მოსახლეობა, თუ მხედველობაში მივიღებთ შობადობასა და სიკვდილიანობას, არსებულ დონეს ყოველ 25 წელში აორმაგებს, ანუ გეომეტრიული პროგრესით გაიზრდება. მალთუსს მიაჩნდა, რომ შეუძლებელია ამ ოდენობის საკვები პროდუქტების წარმოება ანუ მათი წარმოების ზრდა.

მაღთუსი საზოგადოებას ყოფს ორ კლასად – მდიდრებად, რომლებიც დანახოვებით ახდენენ ინვესტიციებს და ღარიბებად, რომლებიც შრომობენ. მოსახლეობის ზრდის ტემპი, მაღთუსის მიხედვით, დამოკიდებულია ღარიბთა ქცევაზე, რადგან ისინი მრავალრიცხოვანი არიან, ხოლო კვების პროდუქტების ზრდის ტემპი კი ძირითადად დამოკიდებულია მდიდრებზე. სწორედ ამიტომ ის ასკვნის, რომ მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია ვერ გაუთანაბრდება მოსახლეობის ზრდის ტენდენციას. მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესების ტენდენცია საგრძნობ ზეგავლენას ახდენს მოსახლეობის უმცირესობაზე.

მაღთუსი კატეგორიული წინააღმდეგი იყო შემოსავლების გათანაბრების, რადგან ასეთ სისტემას, მისი აზრით, საბოლოოდ საერთო სიღატაკემდე მიყვავართ; ”საზოგადოების კეთილდღეობა უნდა გამომდინარეობდეს ცალკეულ პირთა კეთილდღეობიდან და მის მისაღწევად თითოეულმა ჯერ საკუთარი თავისთვის უნდა იზრუნოს . . .” - აღნიშნავდა მაღთუსი.

მაღთუსის აზრით, სახელმწიფოს, ან კერძო ქველმოქმედების მხრიდან მოსახლეობის ცხოვრების დონის ნებისმიერ გაუმჯობესებაზე ფიქრსაც კი ხალხის მასა გადათელავს და ნებისმიერი ასეთი ქმედება მხოლოდ შეამცირებს ადამიანთა რაოდენობის ზრდის მთავარ შემაკავებელ ფაქტორს – აუცილებლობას თითოეულისათვის იზრუნოს საკუთარ თავზე და პასუხი აგოს საკუთარ წინდაუხედაობაზე<sup>26</sup>.

დღევანდელ მსოფლიოში მრავალი განვითარებული ქვეყნისათვის ჭარბი შობადობის პრობლემა ისევე აქტუალურია, როგორც მაღთუსის დროს. მართალია, ეკონომიკური ზრდის პარალელურად ეს სიძნელეები თანდათან აღმოიფხვრება, მაგრამ ამ ქვეყნებში, ალბათ დიდხანს იქნება მსგავსი პრობლემები.

მაღთუსის ხალხთმოსახლეობის თეორიამ, შემდგომში ხელფასის თეორიის შემუშავებასა და დასაბუთებას შეუწყო ხელი, რომელსაც საფუძვლად საარსებო მინიმუმი ედო.

---

<sup>26</sup> Blaug, 1994, pg. 62.

ეკონომიკური თეორიის მთავარი აზრით, ინდუსტრიულმა რევოლუციამ და მედიცინის განვითარებამ განაპირობა ის, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა გაიზარდა, ბავშვთა სიკვდილიანობა შემცირდა და განათლებისადმი მოთხოვნა გაიზარდა. აქედან გამომდინარე, მშობლებმა დაიწყეს უფრო მეტი თანხების ჩადება არა რაოდენობის, არამედ შვილების განათლების და განვითარების ხარისხში, რომელმაც განაპირობა ფერტილიტური დონის შემცირება უმეტეს ინდუსტრიურ ქვეყნებში. ეს ცნობილია როგორც მალთუსის რეჟიმის დასასრული. მოსახლეობის ზრდაზე უფრო სწრაფად იზრდება შემოსავალი ინდუსტრიულ ეკონომიკაში, XX საუკუნეში ერთ კაცზე შემოსავალი მუდმივად იზრდებოდა.

კლასიკოსების ეს კონცეფციები გაბატონებული იყო XX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისამდე, და ერთგვარად ამ კონცეფციებმა თავისებურად ხელი შეუწყო დიდი დეპრესიის წარმოშობას, ფინანსური ბაზრების კრიზისთან ერთად.

აღსანიშნავია ასევე კლასიკოსი ინგლისელი ეკონომისტის – ჰანრი ტორტონის, (1776-1832) ნაშრომი ”ქალაქის ფულის კრედიტის პრინციპები დიდ ბრიტანეთში” (1802წ.), რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა კლასიკური აზრის განვითარებაში. მის ნაშრომში ასახულია შემდეგი დებულება: მკაცრად წონასწორული საპროცენტო განაკვეთი მჭიდროდაა დაკავშირებული მოგების ნორმასთან და არ ექვემდებარება გავლენას მიმოქცევაში არსებული ფულის მასის მხრიდან.

კლასიკური სკოლის ევოლუციური განვითარების წყალობით თანამედროვე ეტაპზე ვითარდება განსხვავებული მიმართულება - “ახალი კლასიკური მაკროეკონომიკა”. აღნიშნული სკოლის ფუძემდებლები არიან რობერტ ლუკასი (ჩიკაგოს უნივერსიტეტი), თომას სარჯენტომი (სტენფორდის უნივერსიტეტი) და რობერტ ბაროუ (ჰარვარდის უნივერსიტეტი).

მნიშვნელოვანია ასევე გერმანული ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა ფრიდრიხ ლისტის (1789-1846), ვილჰელმ როშერის (1917-1894) ბრუნო ჰიდრბენადის (1812-1878) და კარლ კენსის (1821-1898) შეხედულებები, მათი აზრით, საკვლევი პრობლემებია: სახალხო მეურნეობის ზრდის მიზეზებით გამოწვეული

კრიზისები, კლასის შემოსავალი და მათი განაწილება, აგრეთვე კერძო წარმოებაზე დაფუძნებული სისტემა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ეკონომიკური აზრის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც დაკავშირებულია "ზღვრული სარგებლიანობის" ცნების შემოღებასთან. მასზე აგებული კონცენცეფციის (სადაც მთავარი ადგილი "კლებადი ზღვრული სარგებლიანობის პრინციპს" უკავია) ჩამოყალიბების პროცესს ახასიათებენ, როგორც "მარჟინალურ რეოლუციას"<sup>27</sup>. ამ პროცესის მთავარი მიღწევა იყო ის, რომ ზღვრული სიდიდეები: ზღვრული სარგებლიანობა, ზღვრული დანახარჯები, ზღვრული ამონაგები, ზღვრული პროდუქტიულობა და ა.შ., ჩართული იქნა ეკონომიკური მოვლენების ანალიზში, რომელმაც შექმნა მათემატიკური ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენების წინამძღვრები. თითოეული სახის "ზღვრული" ფუნქციის ქცევისა და შესაბამისი ეკონომიკური რეალობის შესწავლა ხშირ შემთხვევაში გაცილებით იოლდება ფუნქციის წარმოებულის გამოყენებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს საკითხი ეკონომიკური ზრდის ტენდენციების შესასწავლად, როცა ფაქტობრივად ფუნქციის ნაზრდის კონცეფციაზე გადავდივართ. "მარჟინალური კონცეფციის" ჩამოყალიბებით ეკონომიკის თეორიის სიმძიმის ცენტრმა გარკვეული გადანაცვლება განიცადა<sup>28</sup>. თუკი კლასიკურ თეორიაში უმთავრესი ყურადღება კონცენტრირებული იყო საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის საფუძვლის შესწავლაზე, ახალი თეორიის აქცენტები წარიმართა ცალკეული ეკონომიკური აგენტების, საოჯახო მეურნეობების, როგორც ტიპური მომხმარებლების და ფირმის – ინდივიდუალური გეგმების შესწავლისაკენ. ეს გეგმები მომხმარებლისთვის სარგებლიანობის მაქსიმიზაციას გულისხმობს, ხოლო ფირმისათვის – მოგების მაქსიმიზაციას. ყოველივე ამის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ არსებობდა ეკონომიკური თეორიის შესწავლის საგნის გარკვეული გამოკვლევა. ამ კონცეფციას "ნეოკლასიკური თეორიის სახელი ეწოდა".

ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი უილიამ სტენლი ჯევონსი (1835-1882) შემდეგნაირად აღწერს ნეოკლასიკურ თეორიას: "მოცემულია მოსახლეობის

<sup>27</sup> ეკონომიკის საწყისები, ოთარ კუპატაძე, ბადრი გელიტაშვილი, ზაზა გელაშვილი, ESM თბილისი 2000, გვ. 94.

<sup>28</sup> ეკონომიკის საწყისები, ოთარ კუპატაძე, ბადრი გელიტაშვილი, ზაზა გელაშვილი, ESM თბილისი 2000, გვ. 95.



დონე სხვადასხვა მოთხოვნები და საწარმოო შესაძლებლობებით; ამასთანავე იგი ფლობს მიწასა და სხვა მატერიალური რესურსების განსაზღვრულ რაოდენობას, საჭიროა მოიძებნოს ამ მოსახლეობის შრომითი რესურსის გამოყენების ისეთი გზა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქციისაგან მიღებული სარგებლიანობის მაქსიმიზაციას”.

ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი მარჟინალისტურ მიმდევრებს შორის უჭირავს გერმანელ ეკონომისტს, ჰერმან ჰაინრიხ გოსენს (1810-1858); მან 1854 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი ”ადამიანთა ურთიერთობათა კანონების განვითარება და მისგან გამომდინარე, წესები ადამიანთა ქცევისათვის”, რომელიც პრაქტიკულად იგნორირებული იყო მის თანამედროვეთა მიერ, გოსენის ეს შრომა გავრცელდა მხოლოდ XIX საუკუნის 70-იან წლებში მენგერის, ჯევანოსის და ვალრასის შრომების საფუძველზე. ზღვრული სარგებლიანობის ცნებასთან დაკავშირებული ორი ფუნდამენტური კანონი, სარგებლიანობის კარდინალური თეორიის სახელითაა ცნობილი. ფრიდრიხ ფონ ვიზერის მიხედვით (1856-1826)<sup>29</sup> სარგებლიანობის კარდინალური თეორია ორი ცენტრალური თეორიით გამოიხატება, რომელსაც გოსენის კანონებს უწოდებენ. ის ეფუძნება შემდეგ პირობას, რომ სასაქონლო კალათას შეიძლება მიეწეროს სარგებლიანობის ზუსტი სიდიდე. ე.ი. ამ დროს მხოლოდ იმის დადგენა კი არ შეიძლება, რომ ერთ საქონელს მეორესთან შედარებით უფრო მეტი სარგებლის მოცემა შეუძლია, არამედ შესაძლებელია თვით ამ სარგებლის ზუსტი გაზომვა.

გოსენის პირველი კანონის ანუ ”გაჯერების კანონის” ფორმულირებით ერთი და იმავე ფასეულობის მოხმარებიდან მიღებული დაკმაყოფილება, როდესაც მოხმარებას უწყვეტად განვაგრძობთ, სულ უფრო შემცირდება, ვიდრე არ დადგება გაჯერების მომენტი. თუ დავაკვირდებით გოსენის ”პირველი კანონი” წარმოადგენს ჰიპოთეზას ე.წ. ზღვრული სარგებლიანობის შესახებ  $dU/dxU'(x)$ , ანუ იმ სარგებლიანობის შესახებ, რომელიც წარმოიშვა საქონლის დამატებითი ერთეულის მოხმარების გზით.

გოსენის მეორე კანონი უშუალოდ ავტორისეული ვარიანტით ასე ყალიბდება: ”ადამიანმა, რომელსაც ეძლევა თავისუფალი არჩევანის საშუალება, რამდენიმე

<sup>29</sup> მიკროეკონომიკის საფუძვლები, ულრის ფელი, პეტერ ობერენდერი, VI გამომჯობესებული და გავრცობილი გამოცემა, გამომცემლობა “ფრანც ვალენი”, მინხენი 1994, გერმანულიდან თარგმანი, გამომცემლობა ხელოვნება 1998, გვ. 282.

საქონელს შორის, მაგრამ რომლის დროსაც არაა საკმარისი რესურსი ყველა მათგანის სრული მოპოვებისთვის/მოხმარებისათვის, დაკმაყოფილებათა ჯამის მაქსიმუმამდე გასაზრდელად (როგორი განსხვავებულებიც არ უნდა იყოს ცალკეულ დაკმაყოფილებათა აბსოლუტური სიდიდეები), ყველა საქონელი ნაწილ-ნაწილ უნდა მოიხმაროს, კერძოდ კი ისეთი პროპორციით, რომ ყოველი ცალკეული დაკმაყოფილების სიდიდე მოხმარების შეწყვეტის მომენტში თითოეული საქონლისთვის ერთნაირი უნდა იყოს.”

თუ საოჯახო მეურნეობისათვის სასურველ ყველა საქონელს ჩვენი მფლობელობის საგნად ვაქცევთ, სარგებლიანობის კარდინალური თეორიის მიხედვით საუბარი გვექნება ე.წ. ”დაკმაყოფილებათა გაწონასწორების კანონის” შესახებ. იგი მოკლედ ასე უღერს: ზღვრული სარგებლიანობები მოხმარების ყველა სახეობისათვის ერთნაირი უნდა იყოს, თუკი საოჯახო მეურნეობა რაციონალურად მოქმედებს.

ყოველივე ეს მოგვაგონებს ალტერნატივების სარგებლიანობის შეფასებას, რომელიც მაკროეკონომიკური პოლიტიკის ანალიზსა და შეფასებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ნეოკლასიკური აზრის ჩამოყალიბებაში ასევე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს:

- კარლ მაგნერმა (1840-1921), რომელიც ეკონომიკური ანალიზის ავსტრიული სკოლის დამაარსებელია;
- ფრიდრიხ ფონ ვიზერი (1851-1926), ავსტრიელი ეკონომისტი, რომლის მიერ დამკვიდრდა ცნებები ”ზღვრული სარგებლიანობა” და ალტერნატიული დანახარჯები”;
- ჯორჯ კლარკი (1847-1938), რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა საწარმოო ფაქტორთა ეფექტიანობის პრობლემათა კვლევაში;
- შვეიცარიელი ლეონ ვარლასი (1834-1910) – საერთო წონასწორობის თეორიის ავტორი. მისი უმთავრესი ნაშრომია ”წმინდა პოლიტეკონომიის ელემენტები”, რომლის მნიშვნელოვანი შედეგია მიკროეკონომიკური წონასწორობის ზოგადი მოდელის აგება;

- იტალიელი ალფრედო პარეტო (1848-1923) – ვალრასის მემკვიდრე ლოაზანის უნივერსიტეტის პოლიტეკონომიის კათედრაზე, რომელმაც შემოიღო ”პარეტოს ოპტიმუმის” ანუ ”პარეტო-ეფექტურობის” ცნება.

აღსანიშნავია ის, რომ სამმა ეკონომისტმა უ.ს. ჯევონსმა, კ. მენგერმა და ლ. ვალრასმა, პრაქტიკულად ერთდროულად (1870-1872 წლებში) გამოაქვეყნეს თავიანთი შრომები, რომლებმაც სათავე დაუდეს მარჟინალისტურ რევილუციას. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ მარჟინალისტური რევილუცია ამ დროისთვის უკვე მომწიფებული იყო.

მარჟინალისტებთან დაკავშირებით მრავლისმეტყველია ის გარემოება, რომელზეც თავის ერთ-ერთ ნაშრომში საუბრობს XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო ეკონომისტი ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი: ”კარლ მარქსმა საერთოდ შეწყვიტა კაპიტალის პრობლემებზე მუშაობა მას შემდეგ, რაც იგი გაეცნო ჯევონსისა და მეგნერის შრომებს”<sup>30</sup>.

ალფრედ მარშალის მიერ დასრულდა ეკონომიკური თეორიის საგნის ცვლილება, რაც თავის დროზე ავსტრიულმა სკოლამ წამოიწყო, მისი ფორმირება ორ ობიექტად – მიკრო და მაკრო ეკონომიკად. მისმა ნაშრომმა პოლიტიკური ეკონომიკის პრინციპები”, 1890წ, როგორც უფრო პროგრესულმა სახელმძღვანელომ შეცვალა ჯონ სტუარტ მილის ”პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები”. თუმცა მარშალს არ უცდია კლასიკური თეორიის მთლიანად უარყოფა, მან თავისი თეორია ააგო ყოველივე იმაზე, რაც კი ფასეული იყო კლასიკოსთა ნაშრომებში, რადგან კარგად აცნობიერებდა რიკარდოსა და მილლის ნააზრევთა მნიშვნელობას.

ეკონომიკის მამოძრავებელ ძალად მარშალი მიიჩნევდა ეკონომიკურ თავისუფლებასა და კონკურენციას. მისი თქმით: ”კონკურენციასთანაა დაკავშირებული თითოეული ადამიანის უფლება და ნება, დამოუკიდებლად აირჩიოს საკუთარი გზა, საკუთარი ძალების რწმენაა, გადაწყვეტილების არჩევის

<sup>30</sup> ეკონომიკის საწყისები, ოთარ კუპატაძე, ბადრი გელიტაშვილი, ზაზა გელაშვილი, ESM თბილისი 2000, გვ. 95.

სისწრაფე, მომავლის განჭვრეტისა და სამოქმედო კურსის განსაზღვრის უნარი საბოლოო მიზნების გათვალისწინებით”.<sup>31</sup>

მარშალი დიდ ყურადღებას უთმობდა მოთხოვნისა და მიწოდების კანონთა ანალიზს და წინასწორობის ფასის განმსაზღვრელი პირობების კვლევას. აღნიშნულ კვლევებთანაა დაკავშირებული ცნობილი ტერმინი ”მარშალის ჯვარი”, მოთხოვნებისა და მიწოდების გრაფიკთა გადაკვეთით მიღებული სურათის ჯვრის ფორმასთან დაკავშირებით.

ასევე მნიშვნელოვანია მარშალის წვლილი მოთხოვნის ელასტიკურობის კვლევაში, სწორედ მან შემოგვთავაზა იდეა ელასტიკურობის გამოთვლის შესახებ, რამაც ელასტიკურობის ცნება უფრო შინაარსიანად, ხელსაყრელად აქცია ბიზნესის პრობლემათა გადასაჭრელად.

აგრეთვე მარშალს ეკუთვნის ეკონომიკის მსჯელობათა კლასიფიცირება მოკლე და გრძელვადიანი პერიოდების მიხედვით. ამ მიდგომით მან პრაქტიკულად აღმოფხვრა მრავალი გაუგებრობა, რაც წინამორბედი ეკონომისტების შრომებში სწორედ ამ აზრის უქონლობით იყო გამოწვეული.

მარშალმა ადამ სმიტის მსგავსად, შექმნა მეცნიერების მთელი სისტემა. განსხვავება მხოლოდ იმაში იყო, რომ ადამ სმიტს ცარიელი ადგილიდან უხდებოდა მუშაობა, ხოლო მარშალს გარკვეული საფუძველი დახვდა კლასიკოსთა შრომების სახით. მარშალმა მოახდინა ამ ფუნდამენტის ძირეული გარდაქმნა ისე, რომ დასაბამი დაუდო ”ნეოკლასიკური მეცნიერების ახალ შენობას”, ახალი ეპოქისა და მოთხოვნების შესატყვისად, ფაქტობრივად ამის საფუძველზე აღმოცენდა ეკონომიკური ზრდის მოდელი, რომელიც სოლოუს მოდელის სახელითაა ცნობილი და ქვემოთ იქნება დეტალურად განხილული.

---

<sup>31</sup> ეკონომიკის საწყისები, ოთარ კუპატაძე, ბადრი გელიტაშვილი, ზაზა გელაშვილი, ESM თბილისი 2000, გვ. 96.

## 2.2. კეინსი და მისი თეორიები ეკონომიკური ზრდის შესახებ

კლასიკური თეორიის დებულებას გამუდმებით ეწინააღმდეგება რეალური სინამდვილე – პერიოდულად განმეორებადი ეკონომიკური კრიზისები. 1923-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა კლასიკურ სკოლას მძიმე დარტყმა მიაყენა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ არსებული თეორიები ვერ ხსნიდა მიმდინარე სიტუაციას. საჭირო იყო ახალი ხედვა და ახსნა მოვლენების, რომლებიც სიტუაციის გაუმჯობესების საფუძველს შექმნიდა. ამ ფონზე ცნობილმა ინგლისელმა ეკონომისტმა ჯ. მ. კეინსმა (1883-1946) თავის ნაშრომში “დასაქმების, სარგებლისა და ფულის ზოგადი თეორია” (1936), განავითარა ეკონომიკისადმი აბსოლუტურად ახლებური მიდგომა.

XX საუკუნეში უკვე ჩნდება ახალი თეორიული მიმდინარეობა კეინსიანელობის სახელწოდებით. მაშასადამე, კეინსიანელობა წარმოიშვა როგორც რეაქცია 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისისა და მისი შემდგომი პერიოდის დეპრესიაზე, როდესაც არ არსებობდა სტიმულები არა მარტო ახალი ინვესტიციებისათვის, არამედ კაპიტალის განახლებისთვისაც. კეინსმა, როგორც თეორიტიკოს - ნოვატორმა, თავისი არგუმენტები და დასკვნები დაუპირისპირა კლასიკური თეორიის არგუმენტებსა და დასკვნებს, *რომლის პოსტულატები, მისივე აზრით, გამოიყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც ეკონომიკური სიტუაცია წონასწორობის შესაძლებელი მდგომარეობის უკიდურეს შემთხვევაშია*. კეინსმა უარყო კაპიტალისტური ეკონომიკის თვითრეგულირების შესაძლებლობა და ამასთან დაკავშირებით მთავრობის ფუნქციების გაფართოების აუცილებლობას ასაბუთებდა. კეინსიანელების შეხედულებით, კერძო კაპიტალდაბანდებების ზრდის ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, ტექნიკური პროგრესის სტიმულირებისა და ახალი ინვესტიციების წარმოებისათვის სახელმწიფოს უნდა გაეზარდა დანახარჯები სამედიცინო გამოკვლევასა და “ადამიანისეულ კაპიტალზე”, ე.ი. განათლებაზე, კადრების მომზადებასა და გადამზადებაზე, სამედიცინო მომსახურებაზე და ა.შ.

აღნიშნული თეორია ძირითადად ეკონომიკის კრიზისული პროცესების ანალიზს ეძღვნება. იგი იკვლევს საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთაობის, მასობრივი უმუშევრობისა და ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპების გამომწვევ

მიზეზებს. ამიტომაც, მას ხშირად “დეპრესიული” ან “სტაგნაციური” ეკონომიკური თეორიის სახელწოდებით მოიხსენიებენ.

კეინსმა უარყო ტრადიციული მიდგომა, რომლის თანახმად, ეკონომიკური ზრდის საფუძვლად მომჭირნეობა ითვლებოდა და აჩვენა, რომ როგორც კი მომჭირნეობა გაასწრებს ფხიანობას, იგი ამ უკანასკნელს ხელს შეუშლის.

კეინსმა საწყისი პრობლემის სახით დასაქმება შეარჩია, რადგან იგი ეკონომიკური კრიზისების დროს კატასტროფულ ხასიათს დებულობს. კეინსმა გააანალიზა კაპიტალისტური ეკონომიკის ფუნქციონირება 30-იანი წლების “დიდი დეპრესიის” ფონზე, როცა უმუშევრობამ შეერთებულ შტატებში 25%-ს მიაღწია. ამ პირობებში, კეინსის აზრით, შეიძლება წარმოების გაფართოება საწარმოო ხარჯების ან ფასების ზრდის გარეშე. უფრო მეტიც, ფასებისა და ხელფასის შემცირება ეროვნული წარმოებისა და დასაქმების რეალური მოცულობის დაცემის შესუსტებასაც გამოიწვევდა. მან დაამტკიცა, რომ კაპიტალისტურ სისტემაში არ არის სრული დასაქმების ავტომატური მექანიზმი, რაც პრაქტიკულად გამოიწვია 30-იანი წლების დეპრესიამ. მისი რეკომენდაცია მთავრობისადმი გამოიხატებოდა იმაში, რომ მათ გაეზარდათ ხარჯები წარმოების გასაფართოებლად და ამით დაემატებინათ სამუშაო ადგილები უმუშევართათვის.

კეინსმა უარყო კლასიკოსების დებულება იმის შესახებ, თითქოს მიწოდება ავტომატურად წარმოშობს მოთხოვნას. ამ უარყოფით კეინსმა აღიარა საბაზრო ეკონომიკის, როგორც კაპიტალისტური სისტემის, თვითრეგულირების შესაძლებლობა. კეინსის მტკიცებით, ეკონომიკის ციკლური განვითარება ბუნებრივი მოვლენაა, რომ ეკონომიკური კრიზისი გამოწვეულია არა საქონლის უკმარისობით, არამედ – ბაზრის სიმცირით, არა მიწოდების უკმარისობით, არამედ – არასაკმარისი მოთხოვნით.

კეინსმა მოხმარების ზრდა დაუკავშირა შემოსავლის მატებას, მაგრამ უარყო მათ შორის პირდაპირი ფუნქციური დამოკიდებულების არსებობა. მისი მტკიცებით, მოხმარება იზრდება შემოსავლის გადიდების კვალობაზე, მაგრამ ერთდროულად მცირდება შემოსავლის დაგროვების წილი. ეს კანონზომიერება

*კეინსმა დაუკავშირა ე. წ. “უნივერსალური ფსიქოლოგიური კანონის” მოქმედებას.*

კეინსიანელობის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა ეროვნული შემოსავლის მატების კანონზომიერებების განსაზღვრა. ამჟამად, ამ ანალიზის ძირითადი პრინციპები აღიარებულია ყველა მიმართულების ეკონომისტის მიერ. ეროვნული შემოსავლის თეორიაში მთავარ როლს ასრულებს მულტიპლიკატორის კონცეფცია (ჩვენ მას უფრო ქვემოთ განვიხილავთ), რომელიც ეროვნული შემოსავლის მატებას აკავშირებს ინვესტიციის მატებასთან. კეინსთან ეს დამოკიდებულება განიხილება ფულადი შემოსავლის ჩამოყალიბების ჩარჩოში. იგი შეეცადა ეს კავშირი განეხილა მოხმარებისადმი ზღვრული დამოკიდებულების საფუძველზე.

კეინსური მიმართულების მიხედვით, მოთხოვნა (რეალიზაციის პირობები) განსაზღვრავს *ეკონომიკის ზრდის ტემპს*, მაშინ როცა ადრე რესურსების მიწოდება (წარმოების პირობები) მიხნეული იყო ზრდის განმსაზღვრელ პირობად.

კეინსიანური თეორია, კლასიკოსებისაგან განსხვავებით, უარყოფს სეის კანონს. მას საუკვოდ მიაჩნია დებულება იმის შესახებ, რომ თითქოს *სარგებლის განაკვეთი იმყოფება მეწარმეთა ინვესტიციურ გეგმებთან შესაბამისობაში. კეინსიანელების მტკიცებით, დანაზოგის გადიდება არ იწვევს ინვესტიციის ზრდას, რადგან დანაზოგის ზრდა სხვა არაფერია, თუ არა მოხმარების, ანუ ბაზრის შეკუმშვა და ამ პირობებში აზრი ეკარგება წარმოებითი სიმძლავრეების გაფართოებას.* ეს აიხსნება იმით, რომ *დანაზოგისა და ინვესტიციის სუბიექტები განსხვავებული ჯგუფებია* და დანაზოგის სიდიდე ნაკლებად არის დამოკიდებული სარგებლის განაკვეთზე.

კეინსიანელები კლასიკოსების შეხედულებას ფულის ბაზრის შესახებ ძალზე გამარტივებულად და მცდარად მიიჩნევენ. თუ კლასიკოსების ვარაუდით ინვესტიციის დაფინანსების ერთადერთი წყაროა მიმდინარე ანაბრები, კეინსიანური მიმართულება დაფინანსების სხვა წყაროებსაც აღიარებს. მაგალითად, მოსახლეობაში არსებული ნაღდი ფული და *ფულის მიწოდების გამადიდებელი საკრედიტო დაწესებულებები (ე. წ. კომერციული ბანკები).*

კეინსიანელებისათვის ასევე მიუღებელია კლასიკოსების შეხედულება იმის შესახებ, რომ ფასებისა და ხელფასის რეგულირება (ვეგულისხმობთ ფასების ზედა ზღვარის დაწესებას, რათა მოხდეს უფრო მეტი დასაქმების შენარჩუნება) აღმოფხვრის უმუშევრობის შემოქმედებას ზოგად ხარჯებზე. აქვე, ისინი გამორიცხავენ ფასებისა და ხელფასების თანაფარდობის მსგავს ელასტიკურობას. ამის მიზეზია, კაპიტალიზმის დროს სრულყოფილი კონკურენციის არსებობა.

კეინსიამდელ ეკონომიკურ თეორიაში გაბატონებული მიკროეკონომიკური მიდგომისაგან განსხვავებით ჯ. კეინსის თეორიის ცენტრალური იდეა კვლევის მაკროეკონომიკური მეთოდია (ამიტომაც კეინსი მაკროეკონომიკური ანალიზის ფუძემდებლად არის აღიარებული). მაკროეკონომიკური მიდგომის შემთხვევაში, კვლევის ცენტრში იდგა ცალკეული ფირმა, მისი დანახარჯების მინიმიზაციისა და მოგების, როგორც კაპიტალის დაგროვების წყაროს მაქსიმიზაციის პრობლემა. *კეინსიანური მაკროეკონომიკური მიდგომით, ერთი რომელიმე ფირმის აყვავების პირობები შეიძლება არ ემთხვეოდეს მთელი ეკონომიკის განვითარების პირობებს.* მათ შორის წარმოშობილი წინააღმდეგობების გადაჭრა შესაძლებელია არა ცალკეული ფირმების მოგების მაქსიმიზაციით, არამედ ეროვნული ეკონომიკური პროპორციების აღდგენითა და კვლავწარმოების საერთო პირობის სრულყოფით.

ჯ. კეინსის აზრით, საზოგადოების ყველა მნიშვნელოვანი სასიცოცხლო პრობლემა უნდა მოიძებნოს არა რესურსების მიწოდებაში, *არამედ მოთხოვნის გაზრდაში*, რომელიც უზრუნველყოფს ამ რესურსების რეალიზაციას. მან წინ წამოწია “ეფექტიანი მოთხოვნა” და შესაბამისად რეალიზაციის პირობების რეგულირების პრობლემა. პირველად კეინსმა უმუშევრობა განიხილა, როგორც “ეფექტიანი მოთხოვნის” არასაკმარისი დონის შედეგი. ეკონომიკურ მეცნიერებაში მან პირველმა გამოთქვა აზრი “ეფექტიანი მოთხოვნის” შექმნისათვის ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების აუცილებლობის შესახებ. *სახელმწიფომ უნდა იკისროს მაკროპროპორციების დაცვა, ბაზრის “შეცდომების გამოსწორებისათვის”,* მან თავის თავზე უნდა აიღოს მთელი ეკონომიკის მასშტაბით დანახარჯებისა და ინვესტიციებს შორის ბალანსირების უზრუნველყოფა. კეინსის ვარაუდით, სახელმწიფო დანახარჯების გაზრდით, ან



გადასახადების შემცირებით, ანდა ორივე ღონისძიების შერწყმით, შეძლებს **გადახდისუნარიანი მოთხოვნის ამაღლებას** და ამით გააფართოებს წარმოებას, რომელიც ეკონომიკას დაუბრუნებს სრულ დასაქმებას. სწორედ ამაში მდგომარეობს “კეინსიანური რეკოლუციის” მთავარი იდეა.

ამასთან, კეინსი მიუთითებს ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში ამ რეკომენდაციების **გამოყენებას მხოლოდ კრიზისის დროს, ხოლო როდესაც ეკონომიკა შეძლებს ამ უკანასკნელისაგან თავის დაღწევას**, მაშინ სახელმწიფო დახმარება აღარ იქნება საჭირო და მთელი ძალით ამოქმედდება საბაზრო რეგულირების ტრადიციული მეთოდები.

**განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, ჯ. კეინსის ინვესტიციის, დასაქმებისა და შემოსავლების მულტიპლიკატორის თეორიები ეკონომიკური ზრდის მოდელის განვითარებისათვის**

ეკონომიკური ზრდის თეორიის განვითარებასა და პრაქტიკულ გამოყენებაში დიდი როლი ეკუთვნის მულტიპლიკატორის თეორიას, განსაკუთრებით ჯ. კეინსის მიერ შექმნილ ინვესტიციის, დასაქმებისა და შემოსავლების მულტიპლიკატორის თეორიებს.

მულტიპლიკატორის თეორიით, პირველ ყოვლისა, განისაზღვრება წარმოების მოცულობაზე მოქმედი ფაქტორები და განიხილება ცვალებადი ერთობლივი მოთხოვნის მექანიზმის გავლენა დასაქმებასა და მთლიანად შემოსავალზე. მულტიპლიკატორი, როგორც ციფრობრივი კოეფიციენტი, უჩვენებს შემოსავლის ცვლილების დამოკიდებულებას ინვესტიციის რაოდენობრივ გადიდებასთან.

დასაქმების მულტიპლიკატორი გამოსატავს ქვეყნის მეპ-ის ზრდასა და ინვესტიციების გარკვეულ სიდიდეს შორის ფუნქციონალურ რაოდენობრივ დამოკიდებულებას. ჯ. კეინსი დასაქმების მულტიპლიკატორს (**ღმ**) უწოდებს საერთო დასაქმების მატების (**Δსღმ**) შეფარდებას ინვესტირებით გამოწვეული პირველადი დასაქმების მატებასთან (**Δივ.გპღმ**). იგი ასე ფორმულირდება:

$$\text{ღმ} = \Delta\text{სღმ} / \Delta\text{ივ.გპღმ}$$

დასაქმების მულტიპლიკატორსა (**ღმ**) და ინვესტიციის მულტიპლიკატორს (**ივ.გ**) შორის ჯ. კეინსმა დაადგინა განსაზღვრული კავშირი: თუ დასაქმების

მულტიპლიკატორი (**ღმ**) ასახავს რაოდენობრივ თანაფარდობას დასაქმების საერთო მოცულობის ნამატსა (**Δღსმ**) და ინვესტიციების ნამატს (**Δ06**) შორის, ინვესტიციის მულტიპლიკატორი (**06.მ**) რაოდენობრივი თანაფარდობის გამომხატველია შემოსავლების ნამატსა (**Δშ.**) და ინვესტიციების ნამატს (**Δ06.**) შორის. ჯ. კეინსის თეორიის მიხედვით, ამ ორ კოეფიციენტს შორის ურთიერთკავშირი განისაზღვრება იმით, რომ დასაქმების მატება ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში იმყოფება ინვესტიციების მატებასთან, ხოლო შემოსავლების მატება – დასაქმების მატებასთან. ამიტომ მულტიპლიკატორის თეორიას საფუძვლად უდევს შემოსავლებსა (**შ.**) და დასაქმებას (**დ.**) შორის ფუნქციონალური ურთიერთკავშირი.

ინვესტიციების, დასაქმებისა და შემოსავლების მატება ერთმანეთთან ფუნქციონალურ დამოკიდებულებაშია. ინვესტიციების გაფართოება განაპირობებს დასაქმების, შემდეგ კი – შემოსავლების ზრდას. აქედან ჩანს, რომ მულტიპლიკატორის თეორიას საფუძვლად უდევს მეკ-სა და დასაქმებას შორის ფუნქციონალური კავშირურთიერთობა. მთლიანი ეროვნული პროდუქტის ნამატი (**Δმპპ**) ტოლია ინვესტირებით განპირობებული ნამატი შემოსავლებისა (**Δ06.პ6შ**) გამრავლებული მულტიპლიკატორზე (**მ**). იგი ასე ფორმულირდება:

$$\Delta\text{მპპ}=\Delta\text{06.პ6 X მ.}$$

ამრიგად, კეინსის მულტიპლიკატორის თეორია აგებულია შემდეგ მსჯელობაზე: ინვესტიციების გადიდება იწვევს პირველყოვლისა დასაქმების, შემდეგ კი შემოსავლების ზრდას. ამასთან იზრდება სამომხმარებლო ხარჯებიც. რაც უფრო მაღალია სამომხმარებლო მოთხოვნა, შესაბამისად უფრო ხელსაყრელი პირობები იქმნება წარმოების, დასაქმებისა და შემოსავლების ზრდისათვის.

ამრიგად, *მულტიპლიკატორი პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია მოხმარებასთან და უკუპროპორციულ დამოკიდებულებაში – დანაზოგებთან.* ჯ. კეინსის აზრით, რაც უფრო მაღალია “მოხმარებისაკენ ზღვრული მისწრაფება”, მით უფრო დიდია მულტიპლიკატორის სიდიდე, მაშასადამე, მით უფრო მეტი წინსვლაა დასაქმებაში, რაც გამოწვეულია ცვლილებებით ინვესტიციებში.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მულტიპლიკატორის თეორია გამოხატავს მეურნეობის დარგებს შორის ჯაჭვური კავშირის არსებობას და წინ წამოწევს

გარკვეულ ეკონომიკურ კატეგორიებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობის განსაზღვრულ საკითხს.

როგორც ცნობილია, ეროვნული შემოსავლის ზრდას საფუძვლად **საინვესტიციო პროცესი უდევს**. კაპიტალის დაბანდება ჩართვის დასაწყისის თავისებური გასაღებია, რომლის საშუალებითაც მოძრაობაში მოდის მთელი სამეურნეო სისტემა. ისმის კითხვა, რა მოსდევს დამატებით ინვესტიციას? პროდუქციის გამოშვების ზრდა, ვინც საქმეში თავისი წარმოების ფაქტორი დააბანდა. თუმცა მათი მფლობელები შემოსავლების ზრდას სხვადასხვანაირად იყენებენ: ერთი ნაწილი იხარჯება მიმდინარე მოხმარებისათვის, მეორე ნაწილი გადაიქცევა დანაზოგად.

დავიწყოთ ჯერ ინვესტიციური პროცესების მოკლევადიანი შედეგებით, იმ ვარაუდით, რომ დანაზოგები გარკვეული დროით გაქრებიან ეკონომიკური ბრუნვიდან. ეს სარწმუნო ვარაუდია, რადგან საფონდო ბირჟაზე ან საბანკო სისტემაში მოხვედრილ დანაზოგებს ხანგრძლივი გზის გავლა უხდებათ, ვიდრე ისინი კაპიტალურ დაბანდებად იქცევიან. რამდენადაც მოკლე დროში შემოსავლების მფლობელები შესაძლებელია ჩაითვალოს მომხმარებლებად. მათი მოქმედება ბაზარზე შემოსავლების წარმოშობას იმათთვის გამოიწვევს, ვინც მათ საქონელსა და მომსახურებას მიჰყიდის. თუ, ვთქვათ, მუშამ შემოსავლის ნაწილი დახარჯა (მისი ნამატი წარმოშობილია ინვესტიციით) მაცივრის შექენაზე, ამით მან ხელი შეუწყო ამ საქონლით მოვაჭრის შემოსავლის ზრდას, რომელმაც დამატებითი შემოსავლის ნაწილი შავი დღისათვის გადაინახა, დანარჩენი, დავუშვათ, მაგიდის შესაძენად დახარჯა, რითაც ერთდროულად გაზარდა ავეჯის მწარმოებლის შემოსავალი და ა.შ.

მთლიანობაში გამოდის, რომ პირველდაწყებითმა ინვესტიციამ წარმოებისათვის იმპულსის მიცემით ბოლოს და ბოლოს გამოიწვია ეროვნული შემოსავლის ზრდა, რომელიც ეკონომიკური სისტემის სუბიექტების შემოსავლების ჯამის სახით მოგვევლინა. როგორც ჩანს, ეროვნული შემოსავალი გადიდებული ინვესტიციების ტოლია, ამასთან მამრავლის სიდიდე იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პროპორციით იყოფა შემოსავლების ნამატი მოხმარებად და დანაზოგებად. ეს მაჩვენებელი მით უფრო მაღალია, რაც უფრო დიდია მოხმარების წილი და

პირიქით. ასეთია მულტიპლიკაციის ეფექტი – ეროვნულ შემოსავალზე ინვესტიციის ზემოქმედების გადიდება.

აღნიშნავთ ორ არსებით მომენტს: პირველი, მულტიპლიკაციის ეფექტი შეიგრძნობა არა ნებისმიერ ეკონომიკაში, *არამედ მხოლოდ ისეთში, რომელიც გამოირჩევა არასრული დასაქმებითა და წარმოებრივი აპარატის დაუტვირთაობით*. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული შემოსავლის ზრდა შეუძლებელი იქნებოდა სამუშაო ძალისა და წარმოების სიმძლავრეების უქონლობის გამო. მეორე, ეს ფაქტორი არა მხოლოდ ძალის მიხედვითაა შეზღუდული, არამედ, ხანგრძლივობითაც, *აქვს ტენდენცია თანდათანობითი ჩაქრობისაკენ*.

ინვესტიციების გრძელვადიანი ეფექტი კი არის ის, რომ ამ შემთხვევაში დანაზოგები განიხილება არა როგორც ეკონომიკური პროცესიდან დროებით გასული, როგორც ეს მოკლევადიანი პერიოდის დროს აღინიშნა, *არამედ ისინი ახლა აღმოცენდებიან ბანკებისა და საფონდო ბირჟებისაგან კაპიტალდაბანდების სახით*. შევნიშნავთ, რომ დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობათა ტოლობა შესაძლებელია მაკროეკონომიკური წონასწორობის მხოლოდ საკმაოდ ეგზოტიკურ სიტუაციაში. ყველა სხვა შემთხვევაში ინვესტიციური მოთხოვნა ან დაბალია დანაზოგის მიწოდებაზე, ან აღემატება მას.

*კაპიტალდაბანდების აღნიშნული ტიპი სრულებითაც არ არის პირველდაწყებითი (ავტონომიური) ინვესტიციების იდენტური*. უკანასკნელი ეკონომიკური განვითარების იმპულსს იძლევა, რთავს გაფართოებული კვლავწარმოების მექანიზმებს. ამ პროცესის მსვლელობაში იზრდება წარმოება და ეროვნული შემოსავალი. მისი ნამატის განსაზღვრული ნაწილი, საბოლოოდ, კაპიტალურ დაბანდებად გადაიქცევა. გამოდის, რომ ასეთი ინვესტიციები უკვე ატარებენ მეორად, წარმოებულ ხასიათს და ეკონომიკური სისტემა ახდენს მათ ინდუცირებას. ისინი ავსებენ პირველდაწყებით ინვესტიციებს, აძლიერებენ მათ მოქმედებას, წარმოშობენ აქსელერაციის\* ეფექტს, რაც აჩქარებს ეკონომიკურ ზრდას.

---

\* აქსელერატორი არის კაპიტალტევადობის ნამატი კოეფიციენტი

მულტიპლიკატორის თეორიამ არსებითი როლი ითამაშა ეკონომიკური ზრდის მოდელების განვითარებაში, რასაც ნათლად აღწერს ჩვენ მიერ უკვე განხილული ეკონომიკური ზრდის მიმდინარეობები.

1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური დეპრესიის შემდეგ, როდესაც არ არსებობდა სტიმულები არც ახალი ინვესტიციებისათვის და არც კაპიტალის განახლებისათვის ჯ. კეინსის "მულტიპლიკატორის თეორიამ" შეძლო ე. წ. "კვანძის" გახსნა ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის. ეს დიდი დეპრესიის თავისებური წარმატებული გამოძახილი იყო.

კეინსის ძირითადი რეკომენდაცია მთავრობისადმი, რომელმაც ყველა გააოცა იმ დროისათვის, მდგომარეობდა იმაში, რომ მას უნდა გაეზარდა სახელმწიფო ხარჯები, რადგან სტიმული მისცემოდა წარმოებას და უმუშევრები დაბრუნებოდნენ სამუშაო ადგილებს.

კეინსი დასაქმების თანამედროვე თეორიის მამამთავარია, თუმცა შემდეგ მრავალი სხვა ეკონომისტი ცდილობდა მისი მოძღვრების სრულყოფასა და განვითარებას. *კეინსიანური თეორია ადასტურებს, რომ კაპიტალიზმი არ არის თვითრეგულირებადი სისტემა, რომელსაც შეუძლია უწყვეტი აღმავლობა. ამ სისტემაში არ არსებობს ავტომატური მექანიზმი, რომელსაც შეუძლია სრული დასაქმების უზრუნველყოფა.*

*მულტიპლიკატორის თეორია საშუალებას იძლევა განისაზღვროს წარმოების მოცულობაზე მოქმედი ფაქტორები და ცვალებადი მთლიანი მოთხოვნის მექანიზმის გავლენა დასაქმებასა და მთლიან შემოსავალზე, რომელიც თავის მხრივ აგრერირებული მოთხოვნის სტიმულირებას ახდენს.*

აღნიშნული თეორია არც ერთ ალტერნატიულ სკოლას (კლასიკური, ნეოკლასიკური, მონეტარისტული, ნეოკლასიკური სინთეზი და ა. შ.) არ განუხილავს დღემდე ისე კონკრეტულად, როგორც განიხილა კეინსიანურმა თეორიამ.

ყურადღება მივაქციოთ კეინსის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგად თეორიას“, რომელიც „დიდი დეპრესიის“ პერიოდში ფუნდამენტური

დასაბუთებით ახალი ეკონომიკური დოქტრინის გამოვლენა იყო. კეინსი, ნეოკლასიკოსებისაგან განსხვავებით, **ეკონომიკის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებს რესურსების მიწოდების მაგივრად მოთხოვნის ზრდაში ეძებდა**. მან უარყო ეკონომიკური თეორიის ტრადიციული მიდგომა, რომლის თანახმად, **ეკონომიკური ზრდის საფუძვლად მომჭირნეობა ითვლებოდა**.

კეინსის აზრით, პრობლემის სათავე უმუშევრობა იყო, რადგანაც ეკონომიკური კრიზისების დროს იგი კატასტროფულ ხასიათს ღებულობს. დასაქმების დონე, კეინსის აზრით, განისაზღვრება არა ხელფასის ცვლილებით, როგორც ამას ამტკიცებდნენ ნეოკლასიკოსები, არამედ ეფექტიანი მოთხოვნის დინამიკით, რომელიც **შედგება მოხმარებისა და ინვესტიციების მოსალოდნელი ხარჯებისაგან** ამასთან, რაც უფრო მდიდარია საზოგადოება, მისი მტკიცებით, მით უფრო მეტი ნაციონალური შემოსავალი უნდა გამოვიყენოთ ინვესტიციებზე.

თავდაპირველად ინვესტირებული ფულადი თანხის ნაწილი პირველად შემოსავლებად იქცევა, ხოლო სხვა ნაწილი – ხარჯვის საშუალების მეორად შემოსავლებად. დაახლოებით **ერთდროულად იზრდება დასაქმებაცა და წარმოებაც**. ამასთან, შემოსავლის უფრო მეტი ნაწილის მოხმარება უფრო მეტ შემოსავალს ქმნის, რაც განპირობებულია თავდაპირველად ინვესტირებული ფულადი თანხით. სწორედ ამიტომ, კეინსის აზრით, აუცილებელია ხელფასის მყარი დონის შენარჩუნება ან გადიდება.

კრიზისთან ბრძოლაში კეინსი მთავარ **როლს ანიჭებს რწმენის აღდგენას, რაც მხოლოდ პროცენტის განაკვეთის შემცირების გზით შეუძლებელია**, ამიტომ იგი რეგულირების მთავარ ინსტრუმენტად **სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკას მიიჩნევს**.

**ნეოკეინსიანელები**. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ეკონომიკური ზრდის კეინსიანური თეორიის კრიტიკული გაანალიზებისა და ამ თეორიის მეთოდოლოგიურ საფუძვლად მიღების შედეგად **ე. დომარმა, რ. ხაროდმა, ვ. ხანსენმა, ჯ. რობინსონმა და სხვებმა შექმნეს ეკონომიკური ზრდის სახელმწიფო რეგულირების ნეოკეინსიანური მოდელი**. აღნიშნული მოდელი სრულებითაც არ არის კეინსიანელობის იდენტური. ნეოკეინსიანელებმა გამოიყენეს კეინსის თეორია, როგორც პლაცდარმი, მეთოდოლოგიური საფუძველი ახალი

პროცესების ანალიზისათვის, ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების ახალი მეთოდების დასაბუთებისათვის. ამით მათ, ჯ. კეინსის თეორიაზე დაყრდნობითა და მისი კრიტიკით, შექმნეს სრულიად ახალი კონცეფცია. ნეოკეინსიანელები, კეინსიანელებისაგან განსხვავებით, *გრძელვადიანი არა ინფლაციური ზრდის აუცილებელ პირობას გადასახადების შემცირებაში ხედავენ*. ისინი ფისკალური პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტის როლს გადასახადებს ანიჭებენ. ნეოკეინსიანელები ასაბუთებდნენ იმ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ცენტრალიზებული კოორდინაციის აუცილებლობას, რომლებიც ეკონომიკის გრძელვადიანი “დაგეგმვის” საფუძველზე ზემოქმედებდნენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე. ისინი თავს არიდებდნენ ტერმინ *“დაგეგმვის” გამოყენებას, ვინაიდან მასში ხედავდნენ თავისუფალი მეწარმეობის სისტემის დასასრულს*. მიუხედავად ამისა, 1975 წელს აშშ-ში გამოჩენილ ეკონომისტთა ჯგუფმა წამოაყენა წინადადება პრეზიდენტთან არსებული ცენტრალიზებული მაკოორდინებელი ორგანოს შექმნის შესახებ, რომელსაც უწოდეს “ეკონომიკური დაგეგმვის საბჭო”. საქმე ეხებოდა *ინდიკატორულ დაგეგმვას*, რომელიც არ ზღუდავდა კერძო კაპიტალის სუვერენულ უფლებებს. *ნეოკეინსიანელები ეკონომიკის დინამიკური წონასწორობის პირობად ეროვნული შემოსავლის მატების მყარ ტემპს მიიჩნევდნენ, ხოლო ეროვნული შემოსავლის ზრდას მხოლოდ კაპიტალის ფუნქციაში ხედავდნენ, დანარჩენ ფაქტორებს (დასაქმების გადიდებას, მოწყობილობათა გამოყენების ხარისხს, წარმოების ორგანიზაციის სრულყოფას და სხვ.), რომლებიც გავლენას ახდენდნენ კაპიტალური გეგმების ზრდაზე, მთლიანად გამორიცხავდნენ*.

კეინსიანური თეორიის მოდერნიზაცია დღესაც მიმდინარეობს. მემარცხენე კეინსიანელების წარმომადგენლები – *პოსტკეინსიანელები “ეფექტიანი მოთხოვნის” პრობლემას გარკვეული სოციალური რეფორმების განხორციელებას უკავშირებენ. სწორედ მათ შექმნეს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ფისკალური და საკრედიტო ღონისძიებათა ფართო პროგრამა*.

### **2.3. ნეოკლასიკოსები და ეკონომომიკური ზრდის სოლოუს მოდელი**

50-იანი წლების შუა ხანებიდან ეკონომიკური ზრდის თეორიაში მოხდა არსებითი ძვრები. **შესუსტდა ყურადღება დინამიკური წონასწორობის პრობლემის მიმართ და წინა პლანზე წამოიწია პოტენციური შესაძლებლობების ზრდის ტემპებისა და მათი განმსაზღვრელი ფაქტორების პრობლემამ.** წარმოიშვა ნეოკლასიკური მიმართულება, რომელიც ნეოკეინსიანური კონცეფციის მსგავსად აღმოცენდა ჯ. კეინსის თეორიის კრიტიკიდან. ამასთან, იგი ვითარდებოდა ეკონომიკური ზრდის ნეოკეინსიანური მოდელის კრიტიკის გავლენით. ნეოკლასიკური მიმართულების სათავეებთან იდგნენ კ. მენგერი, ფ. ვიზერი, ე. ბემ-ბავერკი (ავსტრიული სკოლა), უ. ჯეკონსი, ლ. ვალრასი, ვ. პარეტო (მათემატიკური სკოლა), ჯ. ბ. კლარკი (ზღვრული სარგებლიანობის ამერიკული სკოლა). ამ მიმართულებამ დასრულებული სახე მიიღო მარშალის (კემბრიჯის სკოლა) შრომებში. მისი თანამედროვე წარმომადგენლები არიან ჯ. ჰიკსი, ჯ. მილი (დიდი ბრიტანეთი), რ. სოლოუ, მ. ბრაუნი, მ. ფრიდმენი (აშშ) და სხვ.

ნეოკლასიკოსებმა გააფართოვეს სახელმწიფოს როლი ექსტრემალურ სიტუაციაში. ხშირად წარმოიშობა ისეთი სიტუაცია, როცა **რომელიმე ეკონომიკური აგენტის გადაწყვეტილება წარმოების ან მომსახურების სფეროში (გარე ეფექტი) უარყოფითი ან დადებითია სხვა ეკონომიკური აგენტებისათვის.**

ნეოკლასიკოსები, კეინსიანელებისაგან განსხვავებით, ზრდის აჩქარების წყაროში პირველხარისხოვან როლს **ანიჭებენ მიკროეკონომიკურ სიდიდეებს (მოგების ზრდა, ხელფასის გაყინვა და სხვ.).** ნეოკლასიკოსები ინფლაციის ძირითად მიზეზად მიიჩნევენ ხელფასის ზრდას და ამიტომ უარყოფითად აფასებენ მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნილების გადიდებას.

ზოგიერთი დოვლათის მომსახურების წარმოება სხვა აგენტებისათვის შეიძლება იყოს პოზიტიური (ჯანმრთელობისა და სწავლების დონის გაუმჯობესება) ან ნეგატიური (გარემოს გაჭუჭყიანების ზრდა). ხშირად კერძო სექტორისათვის არახელსაყრელია კაპიტალის ინვესტირება ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროში. ამ შემთხვევაში ნეოკლასიკოსები ამართლებენ სახელმწიფოს ინტერვენციას (ჩარევას). სახელმწიფო თავის თავზე იღებს შესაბამის ხარჯს და ზრდის კოლექტიურ დაკმაყოფილებას



(სავალდებულო და უფასო სკოლები სახელმწიფო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შექმნა და სხვ.) ეკონომიკურ თეორიაში ამ სახის დოვლათს უწოდებენ ტიუტელერულ დოვლათს. სხვა შემთხვევაში სახელმწიფო გადასახადებს აწესებს იმ დოვლათის წარმოებაზე, რომლისგანაც წარმოიშობა უარყოფითი ეფექტი (მაგალითად, გარემოს გატუჩყიანება.).

*ასე რომ, ნეოკლასიკოსები ამართლებენ სახელმწიფოს მიერ ტიუტელერული დოვლათის წარმოებას, მაგრამ ეწინააღმდეგებიან სახელმწიფო ინტერვენციას გადანაწილებისა და რეგულირების საკითხში.*

ამასთან, ნეოკლასიკოსები ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგნი არიან, თუმცა მაინც აღიარებენ შეზღუდული ფორმით, უმთავრესად ფულადი რეგულირების სფეროში, ასეთი ჩარევის აუცილებლობას. მაშინ, როდესაც კეინსიანური მიმართულებისათვის რეალიზაციის პრობლემა ცენტრალური იყო, ნეოკლასიკოსებისათვის იგი წარმოადგენდა მეორეხარისხოვანს, ცენტრალური პრობლემა კი არის შეზღუდული რესურსების მიწოდება, მათი გამოყენების ეფექტიანობა და წარმოების პოტენციური დონის განსაზღვრა. თუ ეკონომიკის დინამიკური წონასწორობის დარღვევის მიზეზებს კეინსიანელები მოთხოვნის ნაკლებობასა და მის სიჭარბეში ხედავდნენ, ნეოკლასიკოსები პირიქით, დინამიკური წონასწორობის შენარჩუნებაში გადამწყვეტ როლს წარმოებასა და რესურსების მიწოდებას ანიჭებდნენ.

ნეოკლასიკოსები ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლების საგნებით განსხვავებულ ფაქტორებს აყენებენ. მათი პოზიცია საკმაოდ მკაფიოდ გამოხატა ამერიკელმა ეკონომისტმა ა. ბერნსმა. მან ნეოკეინსიანურ კონცეფციას “სტაგნაციის ახალი თეორია” უწოდა.

ა. ბერნსი და ნეოკლასიკური მიმართულების სხვა წარმომადგენლები ეკონომიკური ზრდის ჯანსაღ საფუძვლად თვლიდნენ ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას, გადაჭარბებული სახელმწიფო ხარჯების შემცირებას, მოგების ზრდასა და ხელფასის გადიდებას შორის პროპორციების მკაცრი რეგულირების დონისძიებათა კომპლექსის შემუშავებას. ა. ბერნსის აზრით, ეკონომიკური ზრდის კეინსიანური პროგრამის იმ ნაწილს, რომელიც ითვალისწინებს სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებისათვის სახელმწიფოს ხარჯების

გადიდებას, არავითარი კავშირი არა აქვს ეკონომიკურ ზრდასთან. მთავარია ამაღლდეს კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობა და არა ხარჯების საერთო მოცულობა.

მაშასადამე, 50-იან წლებში ეკონომიკური ზრდის თეორიაში გამოიკვეთა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულება. *თუ ნეოკეინსიანელები მოითხოვდნენ სახელმწიფოს ხარჯების გადიდების საფუძველზე ზრდის ექსტენსიური ფაქტორების სტიმულირებას, ნეოკლასიკოსები პირიქით, სახელმწიფოს სახსრების ეკონომიაზე მიუთითებდნენ და ხაზს უსვამდნენ ინტენსიური ფაქტორების მნიშვნელობას ეკონომიკის ზრდის ტემპების ამაღლებაში.* მიწოდების თეორიაზე ორიენტირებული ნეოკლასიკოსები და მათი სხვა კონსერვატიული მიმდინარეობები, სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს მხოლოდ მეცნიერულ – ტექნიკურ გამოკვლევათა დაფინანსებაში, სამრეწველო საწარმოთა სუბსიდირებაში, ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის ხარჯების გადიდებასა და გარანტირებული სამთავრობო კრედიტების გაცემაში ხედავდნენ.

ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორიის მთავარი წარმომადგენლები ჯ. ე. მიდი, რ. სოლოუ, ნ. კალდორი და სხვები 50-იანი წლების დამლევიდან კვლევა - ძიების ცენტრში *მაკროეკონომიკური დინამიკის პრობლემებს აყენებენ.*

ნეოკლასიკური მიმართულება ჩამოყალიბდა XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედსა და XX საუკუნის დამდეგს, ავსტრიული და ინგლისურ - ამერიკული სკოლების სახით. ეს მიმართულება “სუბიექტური სკოლის” სახელწოდებითაც არის ცნობილი.

მაკროეკონომიკის დინამიკის პრობლემებისადმი ნეოკლასიკურ მიდგომას საფუძველად უდევს *წარმოების ფაქტორებისა და მოთხოვნა - მიწოდებას შორის არსებული კონცეფციები მყარი წონასწორობის შესახებ.* ამ კონცეფციაზე დაყრდნობით ისინი აკრიტიკებენ ნეოკეინსიანურ თეორიას. ნეოკლასიკოსების აზრით:

1. ეროვნული შემოსავლის მატება ძირითადად დამოკიდებულია წარმოების ძირითად ფაქტორებზე (შრომა, მიწა, კაპიტალი, ტექნოლოგიური პროგრესი) და *იგი არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი ცვლადის სიდიდის - კაპიტალის დაგროვების ფუნქციას, როგორც ამას ჰაროდი მიიჩნევდა.*

2. განსაკუთრებული აქცენტირება უნდა გაკეთდეს წარმოების ფაქტორებზე მოთხოვნა – მიწოდების ავტომატურ წონასწორობაში მოყვანის შესაძლებლობაზე, რასაც *გადაჭრით უარყოფს ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორია*. მოცემულ შემთხვევაში ავტომატურად განიხილება პროცენტის ნორმის მოწესრიგებისაკენ მიმართული ფულად-საკრედიტო პოლიტიკა.

ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორიის მთელი აქცენტი გადატანილია ეკონომიკური ზრდის ფაქტორთა რაოდენობრივ ანალიზზე, ამიტომაც ცენტრალურ ადგილზე წამოწეულია კობბ (მათემატიკოსი) – დუგლასის (ამერიკელი ეკონომისტი) საწარმოო ფუნქციის ტიპის სხვადასხვა მოდერნიზებული ვარიანტი.

ნეოკლასიკოსები ეკონომიკური ზრდის ტემპის ფორმულირებას შემდეგი სახით წარმოადგენენ:

$$Y = \alpha k + (1 - \alpha)l + r, \text{ სადა}$$

**Y** - არის პროდუქციის ანუ შემოსავლის ზრდის ტემპი;

**k** - კაპიტალის ზრდის ტემპი;

**l** - სამუშაო ძალის ზრდის ტემპი;

**r** - წარმოების ზრდის ტემპი, რომელიც მიღწეულია მისი ეფექტიანობის ამაღლების შედეგად, ანუ “ტექნიკური პროგრესი”.

კობბ-დუგლასის წარმოების ფუნქციის დინამიზაციის საფუძველზე მაკროეკონომიკური ზრდის შესახებ თავისი კონცეფცია ჩამოაყალიბა ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა რ. სოლოუმ. მან სცადა, ეჩვენებინა ფუნქციონალური დამოკიდებულება ეროვნულ შემოსავალში მოგების ხვედრით წონასა და ტექნიკურ პროგრესს შორის. დაედგინა, როგორ იცვლება და ვითარდება წარმოების ფუნქცია ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით.

ეკონომიკის ზრდის ცნების, ისევე როგორც გაზრდილი წარმოების საშუალებების აღწერა მოხდა *სოლოუ-სვენის* ზრდის მოდელით, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავდა მთელ რიგ ტოლობებს, რომლებშიც ასახულია დამოკიდებულებები ნამუშევარ დროს, წარმოების საშუალებებს, წარმოებულ პროდუქციასა და ინვესტიციებს შორის. თანამედროვე შეხედულებით,

ტექნოლოგიური პროგრესი ძალზედ მნიშვნელოვანია, გაცილებით მნიშვნელოვანი, ვიდრე კაპიტალის დაგროვება. აღნიშნული მოდელი, რომელიც შემუშავებული იქნა რობერტ სოლოუსა და თრევორ სვენის მიერ 1950-იან წლებში, წარმოადგენდა გრძელვადიანი ზრდის ანალიტიკური მოდელირების პირველ მცდელობას. ამ მოდელის მიხედვით *იმ ქვეყნებში, რომლებშიც ეფექტიანად იყენებენ თავიანთ რესურსებს, არსებობს კლებადი უკუგება კაპიტალისა და მუშახელის ზრდასთან მიმართებაში*. ამ ორი ვარაუდიდან ნეოკლასიკური ზრდის მოდელი მნიშვნელოვანი პროგნოზირების სამ საშუალებას იძლევა.

პირველი – კაპიტალის ზრდა მუშახელის ერთეულზე იწვევს ეკონომიკურ ზრდას, რამდენადაც, რაც უფრო დიდია მიწოდებული კაპიტალი, არსებული შრომითი რესურსი მით უფრო პროდუქტიულია.

მეორე – ღარიბ ქვეყნებში, რომლებშიც ერთ კაცზე მოდის ნაკლები კაპიტალი ვიდრე მდიდარ ქვეყნებში, სადაც ერთ კაცზე გაცილებით მეტი კაპიტალური რესურსია, ეკონომიკა გაიზრდება გაცილებით სწრაფად, რადგანაც კაპიტალში ყოველი დაბანდება გამოიმუშავებს გაცილებით მაღალ ამონაგებს, ვიდრე ამას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მდიდარ ქვეყნებში დიდი კაპიტალით.

მესამე – კლებადი უკუგება კაპიტალთან მიმართებაში, ეკონომიკა საბოლოოდ მიაღწევს ისეთ მდგომარეობას, როცა კაპიტალის არანაირი ზრდა არ განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას. ასეთ მდგომარეობას ეწოდება “მდგრადი მდგომარეობა”.

აღნიშნული მოდელი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მხარეებმა გადალახონ აღნიშნული “მდგრადი მდგომარეობა” და განაგრძონ ეკონომიკური ზრდა ახალი ტექნოლოგიების შემუშავების საფუძველზე. *გრძელვადიან პერიოდში, გამოშვებული პროდუქციის სიდიდე ერთ კაცზე დამოკიდებულია ფულის დაზოგვის ნორმაზე*. თუმცა გამოშვებული პროდუქციის ზრდის მაჩვენებელი უნდა უტოლდებოდეს ფულის დაზოგვის ნორმებს. აღნიშნულ მოდელში, პროცესი, რომლის საშუალებითაც ქვეყნები განაგრძობენ ზრდას შემცირებადი უკუგების მიუხედავად, “*ეგსოგენურია*” და წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების შექმნას, რაც იძლევა

პროდუქციის შექმნის საშუალებას გაცილებით მცირე რესურსებით. ტექნოლოგია უმჯობესდება, კაპიტალის მყარი მდგომარეობის დონე იზრდება, ქვეყანა ახდენს ინვესტირებას და ეკონომიკა იზრდება. სხვადასხვა ქვეყნების მონაცემები ვერ ახერხებენ მოდელის ზოგიერთი პროგნოზირების ასახვას, განსაკუთრებით, იმას, რომ გრძელვადიან პერიოდში ყველა ქვეყანა ერთნაირად იზრდება, ან იმას, რომ ღარიბი ქვეყნები ეკონომიკურად უნდა გაიზარდონ გაცილებით სწრაფად, ვიდრე მიაღწევენ “მდგრად მდგომარეობას”. ასევე მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში ნელ-ნელა გაიზარდა ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი.

ეგზოგენური ზრდის მოდელი, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ნეოკლასიკური ზრდის მოდელი, ან სოლოუს ზრდის მოდელი, ერთგვარად აჯამებს ნეოკლასიკური ეკონომიკის ჩარჩოებში გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდის მოდელის შემუშავებაში სხვადასხვა ავტორთა მიერ შეტანილ წვლილს.

**მოდელის შემუშავება:** ნეოკლასიკური ზრდის მოდელი წარმოადგენს ჰაროდ-დომარის მოდელის განვრცობას, რომელმაც მოიცვა ახალი ტერმინი – მწარმოებლურობის ზრდა. და ალბათ ყველაზე მნიშვნელოვან კონტრიბუციას წარმოადგენს რობერტ სოლოუს ნაშრომი. 1956 წ. რობერტ სოლოუმ და თრევორ სვენმა შეიმუშავეს ერთგვარი მარტივი მოდელი, რომელმაც ხელმისაწვდომი მონაცემები წარმატებით შეუსაბამა აშშ-ს ეკონომიკური ზრდის მოდელს.

სოლოუმ აღნიშნულ მოდელთან დაკავშირებით მიიღო ნობელის პრემია 1987 წ.

სოლოუ ასევე გახლდათ პირველი, ვინც შეიმუშავა ზრდის მოდელი კაპიტალის სხვადასხვა თაობებით. სოლოუს იდეა კაპიტალის სხვადასხვა თაობების საფუძველზე ზრდის მოდელის შემუშავების არის ის, რომ **ახალი კაპიტალი გაცილებით ღირებულა, ვიდრე ძველი**, იმიტომ, რომ კაპიტალის შექმნა ხდება ტექნოლოგიებზე დაყრდნობით და ადგილი აქვს ტექნოლოგიების გაუმჯობესებას დროში. პოლ რომერმა და რობერტ ლუკას უმცროსმა შეიმუშავეს სოლოუს ნეოკლასიკური ზრდის მოდელის ალტერნატიული ვარიანტები. დღესდღეობით ეკონომისტები იყენებენ სოლოუს ზრდის წყაროების გამოთვლის მეთოდებს, იმ მიზნით, რომ შეაფასონ ეკონომიკის ზრდაზე ტექნოლოგიური ცვლილებებით გამოწვეული ცალკეული ეფექტები.

**სოლოუმ განაცხადი ჰაროდ-დომარის მოდელი იმით, რომ:**

- დაამატა მუშახელი როგორც წარმოების მამოძრავებელი ძალა;
- ახსნა შემცირებადი უკუგება, როგორც მუშახელის ასევე კაპიტალის მიმართ ცალ-ცალკე, და ასევე მასშტაბის ეფექტიანობის გათვალისწინებით, ორივე კომბინირებული ფაქტორის მიმართ.
- შემოიტანა ცვალებადი პარამეტრების მქონე ტექნოლოგია მუშახელისა და კაპიტალის დამოუკიდებლად.
- კაპიტალ-მწარმოებლურობისა და კაპიტალ-მუშახელის კოეფიციენტები არაა ფიქსირებული, როგორც ეს ჰაროდ-დომარის მოდელშია მოცემული. ცვლილებები იძლევა იმის საშუალებას, რომ გაზრდილი კაპიტალის შესაძლებლობები იქნეს გამოყოფილი ტექნოლოგიური პროგრესისგან.

**მოკლევადიანი შედეგები:**

- ამა თუ იმ პოლიტიკის მიერ მიღებულმა ზომებმა, როგორცაა: გადასახადების შემცირება ან ინვესტიციების სუბსიდირება, შესაძლოა მოახდინოს გავლენა წარმოების მყარ მდგომარეობაზე, თუმცა არა გრძელვადიან მაჩვენებელზე.
- ეკონომიკის ზრდა ზეგავლენას განიცდის მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში, რამდენადაც ეკონომიკა მიისწრაფვის ახალი მდგრადი მდგომარეობისკენ.
- როცა ეკონომიკა მიისწრაფვის ახალი მყარი მდგომარეობისკენ ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი განისაზღვრება კაპიტალის აკუმულირების მაჩვენებლით.
- კაპიტალის აკუმულაცია, თავის მხრივ, განისაზღვრება დაზოგვის ნორმების მაჩვენებლით (პროდუქციის ის ნაწილი, რომელიც გამოიყენება უფრო მეტი კაპიტალის შესაქმნელად იმასთან შედარებით, რომელიც მოიხმარება) და კაპიტალის ცვეთის მაჩვენებლით.

**გრძელვადიანი შედეგები**

ნეოკლასიკური ზრდის მოდელში ზრდის გრძელვადიანი მაჩვენებელი განისაზღვრება ექსოგენურად, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი განისაზღვრება მოდელის გარეთ. ამ მოდელის მიერ შეთავაზებული პროგნოზირების მიხედვით

ეკონომიკა ყოველთვის მიისწრაფვის ახალი მდგრადი მდგომარეობისკენ. რაც **დამოკიდებულია მხოლოდ ტექნოლოგიური პროგრესის მაჩვენებელსა და მუშახელის ზრდის მაჩვენებელზე.**

ქვეყანა, მაღალი დაზოგვის ნორმის მაჩვენებლით განიცდის გაცილებით სწრაფ ზრდას, მაგ. სინგაპურს ჰქონდა 40%-იანი დაზოგვის ნორმა ეფექტიანობის მაჩვენებელი 1960-66 წწ. და წლიური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 5-6%-ით, კენიასთან შედარებით, რომელსაც იგივე პერიოდის განმავლობაში ჰქონდა 15%-იანი დაზოგვის ნორმის მაჩვენებელი და წლიური მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა მხოლოდ 1%-ით. ასეთი დამოკიდებულება მოსალოდნელი იყო უფრო ადრეული მოდელებით და შენარჩუნებულია სოლოუს მოდელში, თუმცა ძალზედ გრძელვადიან პერიოდში, კაპიტალის აკუმულაცია გაცილებით ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სოლოუს მოდელით მოცემული ტექნოლოგიური ინოვაცია.

**დაშვებები:** ნეოკლასიკური ზრდის მოდელებით დაშვებულ მთავარ ვარაუდს წარმოადგენს ის, რომ კაპიტალი ექვემდებარება შემცირებად უკუგებას. ფიქსირებული მუშახელის შემთხვევაში, კაპიტალის ბოლო ერთეულის გავლენა წარმოებულ პროდუქციაზე იქნება გაცილებით ნაკლები, ვიდრე წინანდელის. სიტუაციის გამარტივების მიზნით წარმოვიდგენოთ, რომ ადგილი არა აქვს ტექნოლოგიურ პროგრესსა თუ მუშახელის ზრდას, კაპიტალის შემცირებადი ეფექტიანობა გულისხმობს, რომ რაღაც მომენტში, ახლად წარმოებულ კაპიტალის რაოდენობა მხოლოდ იმისთვისაა საკმარისი, რომ **დაფაროს ცვეთის შედეგად დაკარგული არსებული კაპიტალის რაოდენობა.** ასეთ შემთხვევაში, როცა ადგილი არა აქვს ტექნოლოგიურ პროგრესსა თუ მუშახელის ზრდას, ეკონომიკა წყვეტს ზრდას.

თუ ვივარაუდებთ, რომ მუშახელის ზრდის არანულოვანი მაჩვენებელი ერთგვარად ართულებს საკითხს, ძირითადი ლოგიკა, რომ მოკლევადიან პერიოდში ხდება ზრდის მაჩვენებლის შემცირება, რადგან ადგილი აქვს შემცირებად უკუგებას და ეკონომიკა მიისწრაფვის ზრდის მაჩვენებლის მუდმივი “მდგრადი მდგომარეობისკენ” (რაც ნიშნავს ერთ მოსახლეზე ნულოვან ეკონომიკურ ზრდას).

ტექნოლოგიური პროგრესის არანულოვანი მაჩვენებლის დაშვებას მიყვავართ მუშახელის ზრდის არანულოვანი მაჩვენებლის გათვალისწინებით მიღებულ მსგავს სიტუაციამდე; ახალი მდგრადი მდგომარეობა მიიღწევა წარმოების მუდმივი მოცულობით: *ერთი მუშის მიერ ნამუშევარი ერთი საათის განმავლობაში წარმოების მოცულობის ერთი ერთეული*. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მდგრადი მდგომარეობის დროს, ერთ სულზე წარმოების მოცულობა იზრდება, ტექნოლოგიური ცვლილების მაჩვენებლით (რაც ნიშნავს მწარმოებლურობის მაჩვენებლის ზრდას).

*მწარმოებლურობის ცვლილების გაკვლევა:* სოლოუს ზრდის მოდელში, სოლოუს ნაშთის/ნარჩენის ან სრული ფაქტორული მწარმოებლურობა ხშირად გამოიყენება, როგორც ტექნოლოგიური პროგრესის განმსაზღვრელი. შესაძლებელია მოცემული მოდელის ხელახალი ფორმულირება ოდნავ განსხვავებულად, მწარმოებლურობის განსხვავებული ვარაუდების, ან განსხვავებული საზომი ერთეულების გამოყენებით:

- მუშახელის საშუალო მწარმოებლურობა (APL) წარმოადგენს ეკონომიკურ წარმოებას ერთ მუშახელზე ერთ საათში.
- მულტიფაქტორული მწარმოებლურობა (MFP) წარმოადგენს წარმოების სიმძლავრეს, რომელიც იყოფა კაპიტალისა და გამოყენებული მუშახელის შეწონილ საშუალო მაჩვენებელზე. წილობრიობა ძირითადად ეფუძნება თითოეული ფაქტორის მიერ გამომუშავებულ აგრეგირებული რესურსების წილს. აღნიშნული კოეფიციენტი ხშირად კვოტირდება როგორც 33% ამონაგები კაპიტალზე და 66% ამონაგები მუშახელზე (დასავლეთის ერებში), თუმცა რობერტ ჯ. გორდონის მიხედვით, ამონაგები მუშახელზე 75% უფროა.

მზარდ ეკონომიკაში კაპიტალის აკუმულირება უფრო სწრაფად ხდება ვიდრე ხალხის დაბადება. ასე რომ, ზრდის ფუნქციის დენომინატორი მულტიფაქტორული მწარმოებლურობით გამოთვლისას გაცილებით სწრაფად იზრდება, ვიდრე მუშახელის საშუალო მწარმოებლურობით გამოთვლისას. აქედან გამომდინარე, მულტიფაქტორული მწარმოებლურობის ზრდა გაცილებით დაბალია, ვიდრე მუშახელის საშუალო მწარმოებლურობის ზრდა. (ამგვარად,



მუშახელის საშუალო მწარმოებლურობის პირობებით გაზომვა ზრდის კაპიტალზე დამოკიდებულების ეფექტს).

ტექნიკურად, მულტიფაქტორული მწარმოებლურობა იზომება “სოლოუს ნაშთის/ნარჩენის” მიხედვით და არა მუშახელის საშუალო მწარმოებლურობის მიხედვით.

**ემპირიული ჭეშმარიტება:** ნეოკლასიკური ზრდის მოდელის მთავარი პროგნოზი გახლავთ ის, რომ უფრო ღარიბი ქვეყნის შემოსავლის დონეს აქვს ტენდენცია, დაეწიოს მდიდარი ქვეყნის შემოსავლის დონეს ან მიისწრაფოდეს მდიდარი ქვეყნის შემოსავლის დონისკენ. 1950წ-დან დაკვირვებების შედეგად, მიღებული იქნა საწინააღმდეგო ემპირიული მტკიცებულება. თუ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელს ავიღებთ 1960 წლამდე საწყის მშპ-სთან მიმართებაში, მათ შორის დადებითი ურთიერთდამოკიდებულებაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განვითარებული სამყარო უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე განვითარებადი, რომლის საწინააღმდეგოსაც უნდა ველოდებოდეთ აღწერილი ფაქტორის გათვალისწინებით. თუმცა ზოგიერთი ადრე ღარიბი ქვეყანა, მაგ. იაპონია მდიდარ ქვეყნებს გაუთანაბრდა, გაცილებით გაასწრო სხვა ქვეყნების მწარმოებლურობას. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ აღნიშნულმა გამოიწვია იაპონიის ეკონომიკის ზრდის შენელება ბოლო წლებში. კონვერგიის ზრდის ეფექტი კვლავაც მოსალოდნელია, მიუხედავად იმისა, რომ თანხვედრას უკვე ჰქონდა ადგილი, რასაც მიყვარათ ზეოპტიმისტურ ინვესტიციამდე და ფაქტიურ რეცესიამდე.

ქვეყნის შიგნით თანხვედრის ემპირიული მაგალითები გაცილებით ძლიერია, მაგ. სამხრეთ შტატების ერთ სულზე შემოსავლის დონე მიისწრაფოდა დასწეოდა ჩრდილოეთის შტატების დონეს. აღნიშნულმა დაკვირვებებმა მიგვიყვანა პირობითი თანხვედრის ცნების შემოტანამდე, ის ფაქტი, რომ ადგილი აქვს თანხვედრას, დამოკიდებულია მოცემული ქვეყნისა და რეგიონის მახასიათებლებზე, როგორცაა:

- ინსტიტუციონალური მოწყობა;
- შიდა თავისუფალი ბაზარი და სხვა ქვეყნებთან წარმოებული სავაჭრო პოლიტიკა;
- საგანმანათლებლო პოლიტიკა;

პირობითი თანხედრის ემპირიული მაგალითებს ვიღებთ მულტივარიაციულ ქვეყანათა გადაკვეთის რეგრესიებიდან.

თუ მწარმოებლურობა დამოკიდებულია მაღალ ტექნოლოგიებზე, მაშინ ინფორმაციული ტექნოლოგიების შემოტანას უნდა მივეყვანეთ პროდუქტიულობის შესამჩნევ დაჩქარებამდე 20 წლის განმავლობაში, თუმცა ასე არ მოხდა. იხ. სოლოუს პარადოქსი.

სინგაპურსა და სხვა 'აღმოსავლეთ აზიის კვფხვებზე' დაკვირვებამ გვაჩვენა განსაცვიფრებელი შედეგი, თუმცა თითოეულ მუშაზე მწარმოებლურობა გაიზარდა, სწრაფი ზრდა არ იყო თითოეულ მუშაზე მწარმოებლურობის გაზრდის შედეგი (მათ აქვთ დაბალი 'სოლოუს ნაშთი').

**მოდელის კრიტიკა:** ემპირიული მაგალითი გვაძლევს მოდელის მხარდაჭერის სხვადასხვა დონეს. მოდელის ლიმიტირება გულისხმობს იმას, რომ იგი არ ითვალისწინებს წარმოებას (რომელიც შესაძლოა იყოს კატალიზატორი ეკონომიკური ზრდის მიღმა) და ინსტიტუტების სიძლიერეს (რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ ზრდას). გარდა ამისა, იგი არ იძლევა იმის ახსნას, თუ როგორ და რატომ მიმდინარეობს ტექნოლოგიური პროგრესი. აღნიშნულმა ნაკლოვანებებმა განაპირობეს ზრდის ენდოგენური მოდელის შემუშავება, რომელიც ახდენს ტექნოლოგიური პროგრესისა და დაგროვილი ცოდნის ენდოგენიზებას.

ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით, შუმპეტერის 1939 წ. "ბიზნესის ციკლების თეორია", თანამედროვე ინსტიტუციონალიზმი და ავსტრიული ეკონომიკა გაცილებით უკეთ ხსნის იმას, თუ როგორ მიმდინარეობს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდა, ვიდრე მოგვიანებით შემუშავებული ლუკას/რომერის მოდელები.

### **მოდელის გრაფიკული გამოსახვა.**

მოდელი იწყება ნეოკლასიკური წარმოების ფუნქციით  $Y/L = F(K/L)$ , რომელიც ასახულია  $y = f(k)$ , და ნარინჯისფერი ხაზით არის წარმოდგენილი გრაფიკზე. წარმოების ფუნქციის მიხედვით: ერთ მომუშავეზე წარმოების ფუნქცია;

გამოსავალი ერთ მომუშავეზე არის ფუნქცია კაპიტალის ერთ მომუშავეზე. წარმოების ფუნქცია უშვებს შემცირებად უკუგებას კაპიტალზე, რომელიც ასახულია ამ ფუნქციის დახრილი ნაწილით.

$n$  = მოსახლეობის ზრდის დონეს


$d$  = ცვეთა

$k$  = კაპიტალი ერთ მომუშავეზე

$y$  = გამოსავალი/შემოსავალი ერთ მომუშავეზე

$L$  = სამუშაო ძალა

$s$  = დაზოგვის ნორმა



კაპიტალი ერთ მომუშავეზე იცვლება სამი ცვლადის მიხედვით:

- ინვესტიციები (დანაზოგები) ერთ დასაქმებულზე;
- მოსახლეობის ზრდა – მოსახლეობის ზრდა ამცირებს კაპიტალს ერთ მომუშავეზე;
- ცვეთა – კაპიტალის მარაგები მცირდება ცვეთისას.

როცა  $sy > (n+d)k$ , სხვა სიტყვებით, როცა დაზოგვის დონე მაღალია, ვიდრე მოსახლეობის ზრდის დონეს პლუს ცვეთის განაკვეთი, ეს ის ნაწილია, როცა მწვანე ხაზი ზემოთ მოცემულ გრაფიკში არის უფრო მაღლა შავ ხაზზე, მაშინ კაპიტალი ( $k$ ) ერთ მომუშავეზე იზრდება, ეს ცნობილია, როგორც კაპიტალის

გაღრმავება (capital deepening). სადაც კაპიტალი იზრდება იმ დონით, რომელიც საკმარისია შეინარჩუნოს იგივე დონე მოსახლეობის ზრდისას და ცვეთისას ცნობილია როგორც კაპიტალის გაფართოება (capital widening).

მრუდები გადაიკვეთება A წერტილში, ანუ მდგრად დონეზე. მდგრად დონეზე, გამოსავალი ერთ მომუშავეზე არის მუდმივი. თუმცა მთლიანი გამოსავლიანობა იზრდება  $n$  განაკვეთით, მოსახლეობის ზრდის დონის მიხედვით.


მაგალითად, A წერტილის მარცხენა მხარეს  $k_1$  წერტილსას დანაზოგი ერთ მომუშავეზე მეტია, როცა მომუშავეთა რაოდენობა მეტია, ვიდრე მდგრადი დონის შესანარჩუნებელი კაპიტალი, კაპიტალი ერთ მომუშავეზე იზრდება. აქ აღვიღოთ აქვს კაპიტალის გაღრმავებას  $y_1$ -დან  $y_0$ -მდე, და ამიტომ გამოსავალი ანუ შემოსავალი ერთ მომუშავეზე იზრდება.

მარჯვენა მხარე A წერტილის  $sy < (n+d)k$ , წერტილი  $y_2$  მაგალითად, კაპიტალი ერთ მომუშავეზე მცირდება, რადგან ინვესტიციები არ არის საკმარისი, რომ გაუმკლავდეს მოსახლეობის ზრდას და ცვეთას. ამიტომ გამოსავალი ერთ მუშახელზე მცირდება  $y_2$ -დან  $y_0$ -მდე.

**სოლოუს მოდელი დაზოგვის ნორმაში ცვლილებებისას:** გრაფიკი ძალიან მსგავსია ზემოთ მოცემულის, თუმცა, მას ახლა აქვს მეორე დანაზოგების ფუნქცია  $s_1y$ , ლურჯი მრუდი. ის აღწერს, რომ დანაზოგების ზრდა გადაანაცვლებს ფუნქციას მაღლა.

დანაზოგი ერთ მომუშავეზე ახლა უფრო მეტია, ვიდრე მოსახლეობის ზრდას დამატებული ცვეთა, აქედან კაპიტალის აკუმულირება იზრდება, და გადაადგილებს მდგრადი მდგომარეობის წერტილს A-დან B-ზე. როგორც გრაფიკზე ჩანს, გამოსავალი ერთ მომუშავეზე შესაბამისად გადაადგილდება  $y_0$ -დან  $y_1$ -მდე. და შესაბამისად ეკონომიკა ექსპანსიას განიცდის უფრო სწრაფად, მაგრამ მაინც უახლოვდება უკან მდგრად მდგომარეობას – ზრდის განაკვეთს, რომელიც ტოლია  $n$ -ს.


**სოლოუს მოდელი  
დანაზოგვის ნორმაში ცვლილებებისას**



ახლა არის პერმანენტული მაღალი კაპიტალი და მწარმოებლურობა ერთ მომუშავეზე, მაგრამ ეკონომიკური ზრდა იგივეა, სანამ დანაზოგები გაიზრდება.

*სოლოუს მოდელი მოსახლეობის ზრდისას: გრაფიკი ისევ არის ძალიან მსგავსი პირველისა, თუმცა, მოსახლეობის ზრდის დონე  $n$ -დან  $n_1$ -მდე უბიძგებს ახალი კაპიტალის გაფართოების  $(n_1+d)$  ხაზს.*

**სოლოუს მოდელი  
მოსახლეობის ზრდისას**



*მათემატიკური გამოსახვა: სოლოუს ზრდის მოდელი შეიძლება იყოს აღწერილი ხუთი მაკროეკონომიკური ტოლობის ურთიერთქმედებით:*

- მაკროეკონომიკური წარმოების ფუნქციით;
- მშპ-ს განტოლებით;
- დანაზოგების ფუნქციით;
- კაპიტალის ცვლილებით;
- სამუშაო ძალის ცვლილებით;

**მაკროეკონომიკური წარმოების ფუნქცია:**

$$Y = AK^a L^{1-a}$$

ეს არის კობ-დუგლასის ფუნქცია, რომელშიც  $Y$  წარმოადგენს მთლიან წარმოებას ეკონომიკაში.  $A$  წარმოადგენს მულტიფაქტორულ მწარმოებლურობას (multifactor productivity) (ხშირად გენერირდება ტექნოლოგიაში),  $K$  არის კაპიტალი და  $L$  არის შრომითი ძალა.

$$Y = AK^a L^{1-a} \leftrightarrow y = Ak^a$$

რომელიც არის მაკროეკონომიკური წარმოების ფუნქცია გაყოფილი  $L$  გვაძლევს მთლიან წარმოებას ერთ კაცზე  $y$  და კაპიტალის ინტენსივობას  $k$ .

**მშპ-ს ტოლობა**

$$Y = C + G + I + NX$$

სადაც  $C$  არის კერძო მოხმარება,  $G$  არის სახელმწიფო მოხმარება,  $X$  არის წმინდა ექსპორტი, და  $I$  წარმოადგენს ინვესტიციებს, ან დანაზოგებს. აღვნიშნოთ რომ სოლოუს მოდელში, ჩვენ წარმოვადგენთ სახელმწიფო მოხმარებას და კერძო მოხმარებას უბრალოდ, როგორც მთლიან მოხმარებას ორივე, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორისათვის. ასევე აღვნიშნავთ, რომ წმინდა ექსპორტი და მთავრობის ხარჯები გამორიცხებულია მოდელიდან. ამ ტოლობას უწოდებენ მშპ-ს ტოლობას, რადგან ის ისევე გამოითვლება, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტი (ან უფრო პედანტურად მთლიანი ეროვნული პროდუქტი).

**დანაზოგების ფუნქცია:**

$$I = sY$$

ეს ფუნქცია ასახავს დანაზოგებს როგორც, ინვესტიციები  $I$  არის დანაზოგების მთლიანი წარმოებიდან  $Y$ .

ცვლილებები კაპიტალში:

$$\Delta K = sY - \delta K$$

$\delta$  არის ცვეთის განაკვეთი.

ცვლილებები სამუშაო ძალაში:

$$L_{t+1} = L_t(1 + gL)$$

$gL$  არის ზრდის ფუნქცია  $L$ -ს მიმართ.

**მოდელის ახსნა:**

პირველად ჩვენ უნდა განვსაზღვროთ რაიმე ზრდის ფუნქცია.

1. ზრდა კაპიტალში  $gK = \frac{\Delta K}{K}$

2. მშპ-ს ზრდა  $gY = \frac{\Delta Y}{Y}$

3. ზრდის ფუნქცია კაპიტალის ინტენსივობაში  $gk = gK - gL$

*ახსნა დაშვებით, რომ არ არსებობს მულტიფაქტორული მწარმოებლურობის ზრდაში გამარტივებისას ახსნა, ბევრად გასაგები ხდება ქვემოთ მოცემული კალკულაციებით:*

$$gK = \frac{\Delta K}{K} \rightarrow \frac{sY - dK}{K} \rightarrow \frac{sY}{K} - d$$

როცა ადგილი არა აქვს ზრდას  $A$ -ში, ჩვენ შეგვიძლია დაგუშვათ შემდეგი საბაზო გამოთვლები:

$$gK = gL = gY$$

თუ გადავალოთ:

$$gK = \frac{sY}{K} - d \quad \text{წილადის გაყოფით } L\text{-ზე და თქვენ დაინახავთ, რომ}$$

$$gK = \frac{sy}{k} - d$$

$$gK = \frac{sy}{k} - d \rightarrow \frac{sAk^a}{k} - d \rightarrow \frac{sA}{k^{1-a}} - d$$

$gL$ -დან  $gK$ -ს გამოკლებით ჩვენ ვღებულობთ:

$$gk = \frac{sA}{k^{1-a}} - (d + gL)$$

თუ  $k$  ცნობილია  $t$  წელს, ეს ფორმულა შეიძლება გამოყენებული იყოს  $k$ -ს გამოსათვლელად ნებისმიერ მოცემულ წელს.

პირველ ნაწილში განტოლების მარჯვენა მხარეს ჩვენ ვხედავთ, რომ

$$\lim_{k \rightarrow 0} gk = \infty \quad \text{და} \quad \lim_{k \rightarrow \infty} gk = -(d + gL)$$

ვღებულობთ მდგრადი მდგომარეობის განტოლებას:

$$\frac{dK}{L} = \frac{dk}{dt}$$

სადაც  $k = K/L$  და  $k$  აღნიშნავს კაპიტალს ერთ მომუშავეზე.

დიფერენციალის გამოყენებით:

$$\frac{dk}{dt} = \frac{\frac{dk}{dt}L - \frac{dL}{dt}K}{L^2} \quad \text{რაც ნიშნავს}$$

$$\frac{dk}{dt} = \frac{\frac{dK}{dt}}{L} - \left( \frac{\frac{dL}{dt}}{L} \frac{K}{L} \right) \quad \text{ჩვენ ვიცით, რომ}$$

$$\frac{dL}{dt}$$

$L$  არის მოსახლეობის ზრდის დონე დროის განმავლობაში აღნიშნული  $n$ -ით.

ჩვენ ასევე ვიცით რომ

$$\frac{dK}{dt} = sY - \delta K$$

სადაც  $\delta$  არის კაპიტალის ცვეთის განაკვეთი.

მაშასადამე, ჩვენ მივიღეთ:

$$dk = sy - (n + \delta)k$$

რომელიც არის სოლოუს ფუნდამენტური განტოლება. იგივე შეიძლება გაკეთდეს როცა ტექნოლოგიური პროგრესი არის ჩართული ანალიზში.

მდგრადი მდგომარეობის ცვლილება  $dk$ -ში უნდა იყოს 0.

$$sy = (n + \delta)k$$

მდგრადი მდგომარეობის მოხმარებისას იქნება შემდეგ:

$$c = y - (n + \delta)k^*$$

გავითვალისწინოთ მარტივი შემთხვევა – კობბ-დუგლასის წარმოების ფუნქცია:

$$Y = K^\alpha N^{1-\alpha},$$

სადაც  $Y$  არის გამოსავლიანობის დონე,  $K$  კაპიტალის დონისთვის,  $N$  დასაქმების დონისათვის (მოცემულია რომ მუდმივია), და  $0 < \alpha < 1$  არის დაკავშირებული



კაპიტალის ინტენსივობასთან (მოცემულია რომ მუდმივია). წმინდა კაპიტალის აკუმულირება ერთ კაცზე  $t$  პერიოდში მოცემულია:

$$\frac{K_{t+1}}{N} - \frac{K_t}{N} = s \left( \frac{Y_t}{N} \right) - \delta \left( \frac{K_t}{N} \right),$$

სადაც  $s$  არის დაზოგვის ნორმა და  $\delta$  ცვეთის განაკვეთი. ეკონომიკა აღწევს მდგრად მდგომარეობის დონეს როცა კაპიტალის გამოსავლიანობის წმინდა კაპიტალის აკუმულირება ერთ კაცზე ნულის ტოლია. ეს არის,

$$s \left( \frac{Y}{N} \right) = \delta \left( \frac{K}{N} \right),$$

მთლიანი ინვესტიციების მოცულობა (მარცხენა მხარე) ტოლია კაპიტალის ცვეთის (მარჯვენა მხარე) ნებისმიერ მოცემულ პერიოდში. წარმოების ფუნქციიდან ჩვენ ვიცით, რომ გამოსავალი ერთ მომუშავეზე მოცემულია ფორმულით:

$$\frac{Y}{N} = \left( \frac{K}{N} \right)^\alpha,$$

რომელიც გვეუბნება კაპიტალის მდგრადი მდგომარეობის დონე და გამოსავალი აღნიშნული ვარსკვლავით არის:

$$\frac{K^*}{N} = \left( \frac{s}{\delta} \right)^{\frac{1}{1-\alpha}},$$

და

$$\frac{Y^*}{N} = \left( \frac{s}{\delta} \right)^{\frac{\alpha}{1-\alpha}}.$$

მოცემული მნიშვნელობით  $s, \delta$ , და  $\alpha$ .

ახლა განვიხილოთ კობ-დუგლასის ფუნქცია კაპიტალის და ეფექტიანი მუშახელის მიხედვით  $AN$ :

$$Y = K^\alpha (AN)^{1-\alpha},$$

სადაც ტექნოლოგიებში ზრდა  $A$  პოზიტიურ ეფექტს იწვევს  $Y$ -ს გამოსავლიანობაზე, რადგან იზრდება შრომის ეფექტიანობა  $N$ . თუ ტექნოლოგია იზრდება მუდმივი დადებითი განაკვეთით  $g_A$ , და შრომა  $g_N$ , მათი წარმოება  $AN$

იზრდება დონით, რომელიც დაახლოებით  $(g_A + g_N)$ -ს ტოლია. შესაბამისად, მდგრადი მდგომარეობის დონე ერთეულზე გამოსავლიანობით ეფექტიანი შრომით (წარმოიშობა მდგრადი მდგომარეობის დამოკიდებულებიდან) გამოსავლიანობაში აქტუალური შემცირებისას  $Y$  განსაზღვრით, ნულოვანი მდგრადი მდგომარეობისას (მარჯვენა მხარის წილადი),

$$\frac{Y^*}{AN} = \left(\frac{s}{\delta}\right)^{\frac{\alpha}{1-\alpha}}$$

თუმცა (მნიშვნელში) ეფექტიანი შრომა იზრდება  $g_A + g_N > 0$ . მაშასადამე, იმისათვის, რომ ანაზღაურდეს ერთეულზე გამოსავლიანობის დამატებითი წყარო, მდგრადი მდგომარეობის უნდა გარდაიქმნას შემდეგნაირად:

$$s \left(\frac{Y}{AN}\right) = (\delta + g_A + g_N) \left(\frac{K}{AN}\right)$$

მთლიანი ინვესტიციები (მარცხენა მხარე) უნდა უდრიდეს ზრდის მოცულობას ეფექტიან მუშახელში პლიუს კაპიტალის ცვეთა. ეს მოდიფიცირება გვეუბნება, რომ გამოსავლიანობის მდგრადი დონე შრომით ერთეულზე არის:

$$\frac{Y^*}{AN} = \left(\frac{s}{\delta + g_A + g_N}\right)^{\frac{\alpha}{1-\alpha}}$$

მსგავსად, კაპიტალის მდგრადი მდგომარეობის დონე ეფექტიანი მუშახელის ერთეულზე არის

$$\frac{K^*}{AN} = \left(\frac{s}{\delta + g_A + g_N}\right)^{\frac{1}{1-\alpha}}$$

შენიშვნა: ერთეულზე ზრდა ნულია, აბსოლუტური გამოსავლიანობის  $Y^*$  და კაპიტალის  $K^*$  მდგრადი მდგომარეობისას ისინი ისევე იზრდებიან მყარი ზრდის განაკვეთით  $g_A + g_N > 0$ . ამ შედეგს ხშირად უწოდებენ დაბალანსებულ ზრდას. ასევე შევნიშნოთ, რომ არც დანახოების დონე  $s$ , ცვეთის დონე  $\delta$ , და არც დაკავშირებული კაპიტალის ინტენსივობა  $\alpha$  არანაირ გავლენას არ ახდენს ზრდის გამოსავლიანობაზე მდგრადი მდგომარეობისას, თუმცა ის ისევე ახდენს გამოსავლიანობის საწყისი დონის კონტრიბუციას და პერიოდის დასაწყისში კაპიტალის, დაბალანსებული ზრდისას.

**ოქროს წესის** მიხედვით, დანახოების განაკვეთი  $s^*$  ახდენს მდგრადი მდგომარეობის მაქსიმიზაციას აგრეირებული მოთხოვნით  $C^*$  ეფექტიანი

მუშახელის ერთეულზე, როგორც განსაზღვრულია ეროვნული შემოსავალი (მშპ) განსაზღვრავს:

$$\frac{Y^*}{AN} = \frac{C^*}{AN} + \frac{I^*}{AN}.$$

ვუშვებთ, რომ მდგრადი მდგომარეობა ინვესტიციების  $I^*$  ტოლია  $sY^*$ , ოქროს წესი დაზოგვის განაკვეთით წყვეტს დაბრკოლების გარეშე მაქსიმიზირების პრობლემას,

$$\max_s \frac{C^*}{AN} = \left( \frac{s}{\delta + g_A + g_N} \right)^{\frac{\alpha}{1-\alpha}} - s \left( \frac{s}{\delta + g_A + g_N} \right)^{\frac{\alpha}{1-\alpha}}.$$

რადგან

$$\ln \left( \frac{C^*}{AN} \right) = \ln(1-s) + \left( \frac{\alpha}{1-\alpha} \right) \ln \left( \frac{s}{\delta + g_A + g_N} \right),$$

აქედან გამოდინარე ვღებულობთ:

$$\frac{\partial \ln \left( \frac{C^*}{AN} \right)}{\partial s} = -\frac{1}{1-s} + \left( \frac{\alpha}{1-\alpha} \right) \left( \frac{\delta + g_N + g_A}{s} \right) \left( \frac{1}{\delta + g_N + g_A} \right),$$

თუ გავუტოლებთ ნულს და გავამარტივებთ,

$$0 = -s + (1-s) \left( \frac{\alpha}{1-\alpha} \right),$$

ბოლოს,

$$s^* = \alpha.$$

შენიშვნა: ეს ნიშნავს, აგრერირებული მოთხოვნას ერთ ერთეულ შრომის ეფექტიანობაზე. მდგრადი დონე მაქსიმუმს უახლოვდება, როცა დაზოგვის დონე ზუსტად ტოლია დაკავშირებული კაპიტალის ინტენსივობასთან წარმოების ფუნქციაში.

ეკონომიკური ზრდის ნეოკლასიკური თეორიის პოზიციებიდან დინამიკური წონასწორობის პრობლემების დამუშავებაში გამოირჩევა ინგლისელი ეკონომისტი, პროფესორი, ჯ. ე. მიდი. მისი მაკროეკონომიკური მოდელის მიხედვით დინამიკური წონასწორობა და კერძოდ, ეკონომიკური ზრდის მყარი ტემპები გარანტირებულია, როდესაც არ იცვლება:

1. შემოსავლის განაწილება შრომასა და კაპიტალს შორის, ხოლო ტექნიკური პროგრესი ნეიტრალურ როლში გამოდის წარმოების ფაქტორთა მიმართ;

2. დაზოგვის წილი ყველა სახეობის შემოსავალში და, მაშასადამე, მთლიანად ეროვნულ შემოსავალში;
3. შრომისუნარიანი მოსახლეობისა და ტექნიკური პროგრესის ზრდის ტემპი.

ჟ. მიდი ასკენის, რომ ეროვნული შემოსავლის დინამიკურ წონასწორობაში ეკონომიკური ზრდა შეიძლება მიღწეულ იქნას იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება ტოლობა ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებსა და კაპიტალის მარაგის ზრდის ტემპებს შორის.

## 2.4. მონეტარიზმი

თანამედროვე პირობებში ეკონომიკის რეგულირების კეინსიანური მეთოდების წინააღმდეგ განსაკუთრებით მწვავედ ილაშქრებს ნეოკლასიკური მიმართულების ერთ-ერთი ყველაზე პრაგმატული თეორია - **მონეტარიზმი**.

მონეტარიზმი წარმოიშვა აშშ-ში XX საუკუნის 50-იანი წლების შუა ხანებში, როგორც ჯ. კეინსის დოქტრინის ანტიპოდი. თანამედროვე მონეტარიზმის წარმომადგენელია ამერიკელი ეკონომისტი, “ჩიკაგოს სკოლის” ლიდერი, ნობელის პრემიის ლაურეატი მილტონ ფრიდმენი. მან თავის ნაშრომში **“სამომხმარებლო ფუნქციის თეორია”** (1957წ.) წამოაყენა ე. წ. “პერმანენტული” შემოსავლების კონცეფცია. ამ კონცეფციის მიხედვით მ. ფრიდმენი ეწინააღმდეგება კეინსიანურ მტკიცებას მოხმარებასა და მიმდინარე შემოსავლების დონეს შორის კავშირურობის თაობაზე. როგორც მ. ფრიდმენი აღიარებს, მოხმარების ზრდა უმნიშვნელოდაა დამოკიდებული მიმდინარე შემოსავლების ზრდაზე, ხოლო ინდივიდის მოხმარების საერთო მოცულობის მნიშვნელოვანი ნაწილი განისაზღვრება ე. წ. “პერმანენტული შემოსავლებით” .

1956 წელს ჩიკაგოში ფრიდმანის რედაქციით გამოიცა კოლექტიური ნაშრომი “ფულის რაოდენობრივი ანალიზი”, რამაც შეიძლება ითქვას ეკონომიკაში ახალი ეპოქის – “მონეტარიზმის” დაწყებას. თავად სიტყვა უკავშირდება ლათინურ სიტყვას “მონეტა” და ნიშნავს “ფულად ერთეულს”. ასე რომ, როდესაც ვახსენებთ სახელწოდებებს: “მონეტარისტული თეორია” და “მონეტარისტული პოლიტიკა, ესე იგი განვიხილავთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა რომლებსაც ეკისრებათ ეკონომიკის რეგულირების მისია, ფულის მასის ინსტრუმენტის მეშვეობით.

ფრიდმენი და “ჩიკაგოს სკოლის” სხვა წარმომადგენლები ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის წინააღმდეგი არიან, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება კეინსიანურ მიდგომას.

დასავლეთში ამ მიმდინარეობას **“ფრიდმენის ანტიკეინსიანურ რევოლუციასაც”** უწოდებენ. მონეტარისტები ეკონომიკურ განვითარებაში გადამწყვეტ

მნიშვნელობას ანიჭებენ ფულად სფეროს. მათთვის ეკონომიკა, პირველ ყოვლისა, არის ბაზარი, ხოლო ბაზარი თვითრეგულირებადი სისტემა, რომელზედაც შესაძლებელია ზემოქმედება უპირატესად ფულადი მასის მოცულობის რეგულირებით. მაკროეკონომიკური წონასწორობის მთავარ პირობად ისინი თვლიან მიმოქცევაში ფულადი მასის მყარ ზრდას წლიურად 3-5%-ის ფარგლებში და ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ყველა ფორმის მკვეთრ შეზღუდვას.

მ. ფრიდმენი, ნაშრომში “ფულადი ანალიზის თეორიული ჩარჩოები” (1971წ.), იკვლევს კვლავწარმოების *პროცესში ფულადი მასის დინამიკასა და ეკონომიკის მერყეობას შორის კავშირს*. მისი აზრით, ფულადი ფაქტორები გადამწყვეტ გავლენას ახდენს ეროვნული *შემოსავლის დინამიკასა და ეკონომიკის ციკლურ ხასიათზე*.

მონეტარიზმის ძირითადი შინაარსი გადმოცემულია მათი შემდეგი განტოლებით:

**MV=PQ**, სადაც

**M** – არის ფულის მიწოდება,

**V** – შემოსავლების წრებრუნვაში ფულის მიმოქცევის სიჩქარე,

**P** – ფასების დონე,

**Q** – წარმოებული საქონლისა და მომსახურების ფიზიკური მოცულობა.

**MV** – არის წლის განმავლობაში საქონლისა და მომსახურების შესაძენად მიედგემა მიერ გაწეული დანახარჯების მთლიანი რაოდენობა. - გამყიდველთა მთლიანი ამონაგები.

მონეტარისტების შეხედულებით **MV** ტოლი უნდა იყოს ნომინალური წმინდა ეროვნული პროდუქტისა, ე. ი.  $VQ=PQ$ . მათი აზრით, ფულის მიწოდების გადიდება **P**-ს ან **Q**-ს გადიდებას იწვევს, და პირიქით.

მონეტარისტები ფულის მიწოდების ცვლილებას (**M**) წარმოებისა და დასაქმების რეალური მოცულობის მოკლევადიან ცვლილებას მიაწერენ, ხოლო გრძელვადიან პერიოდში **M**-ის ცვლილებას - ფასების დონეზე გავლენას.

ფრიდმენის აზრით, **“ფინანსური ხელისუფლება” ხშირად აღრმავეებს ხოლმე უწესრიგობას თავის ქვეყანაში:** როდესაც აუცილებელია ფულის მიწოდების შემცირება იგი ზრდის მის რაოდენობას მიმოქცევაში, და პირიქით. ამის მიზეზად იგი მიიჩნევს, რომ მოცემული ქვეყნის ეკონომიკის რეალურ მდგომარეობას (ნებისმიერ მომენტში) მთავრობა ზუსტად ვერ საზღვრავს. არსებული მონაცემები კი შეიძლება წინააღმდეგობრივიც იყოს და ამიტომ შეიძლება ვერ აისახოს ეკონომიკის რეალური სურათი.

მ. ფრიდმენი პრობლემის გადაჭრის მარტივ გზად მიიჩნევს მიმოქცევაში ფულის რაოდენობის ზრდას უცვლელი, წინასწარ განსაზღვრული პროცენტით, რომელიც ორგანულ კავშირში უნდა იყოს ნომინალური წყობის ხანგრძლივ ზრდასთან. ამ მხრივ, ფრიდმენი ვარაუდობს, რომ მიწოდების სტაბილური გადიდება მისადაგებულებაც იქნება მზარდ მოთხოვნასთან ხელფასის გაცემისა და კაპიტალდაბანდებისადმი, და ასევე, მთელ ეკონომიკას აღმავლობის რელსებზე დააყენებს. თავის მხრივ, ეკონომიკურ სისტემას საშუალება მიეცემა გამოავლინოს თავისი ბუნებრივი დინამიზმი.

**ფრიდმენის თეორია მეტად საყურადღებო და ამავე დროს პრობლემატურიცაა. იგი ცვლის ჯ. მ. კეინსის ფილოსოფიას (ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, ცვლის ადამ სმიტის ფილოსოფიას) და უამრავი პრობლემის მქონე თანამედროვე სისტემაში წინააღმდეგობრივად იკაფავს გზას. მოგვიანებით მრავალსაუკუნოვანი ფულის თეორია, ერთმანეთისაგან ურთიერთგანსხვავებული იდეებით, ფართო ასახვას პოულობს თანამედროვე ცნობილი ეკონომიკური მეცნიერების კვლევებში (ჯ. ჰიკსი, კ. ტობინი, პ. სამუელსონი, ფ. მოდილიანი).**

არსებითი ევოლუცია განიცადა ზღვრული სარგებლიანობის თეორიამაც. ფასწარმოქმნის პროცესების ანალიზის აუცილებლობამ მის წარმომადგენლებს უკარნახა, უარყოთ ამ პროცესების ახსნა მხოლოდ სარგებლიანობის სუბიექტური ფაქტორის საფუძველზე. ამის შედეგად ყურადღების ცენტრმა **სარგებლიანობიდან ფასწარმოქმნის ფაქტორების კომპლექსზე გადაინაცვლა.** ამაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ა. მარშალმა. მან კვლევის ცენტრში მოაქცია ფასების ფორმირება სხვადასხვა ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ურთიერთქმედების გავლენით. ამასთან, იგი მიიჩნევდა, რომ სარგებლიანობა ფასების განსაზღვრაში შეიძლება მთავარ როლს ასრულებდეს

მოკლევადიან პერიოდში, მაგრამ გრძელვადიანი პერიოდისათვის უპირველეს მნიშვნელობას იძენს წარმოების დანახარჯები. ზღვრული სარგებლიანობის თეორია არსებითად სამომხმარებლო არჩევანის თეორიაში გადაიზარდა. ამასთან, ამოსავალმა დებულებებმა კარდინალური ცვლილებები განიცადა.

60-იანი წლებიდან ნეოკეინსიანელებსა და ნეოკლასიკურ მიმართულებას შორის არსებული წინააღმდეგობა, რამდენადმე დაძლეულ იქნა, *რასაც ხელი შეუწყო ეკონომიკური ზრდის ტემპების ამაღლებამ და შედარებით “სრული დასაქმების” მიღწევამ. ჯ. კეინსის თეორიის თანახმად, ასეთ პირობებში შესაძლებელი გახდა “ნეოკლასიკური კანონების” ამოქმედება.*

ასევე უნდა ითქვას, რომ კეინსიანელებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ მონეტარისტების იდეის წინაშე (თითქოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უფრო ეფექტიანია ეკონომიკის სარეგულირებლად, ვიდრე ფისკალური პოლიტიკა), ისინი შენიშნავენ და ამას მონეტარისტებიც აღიარებდნენ, რომ ფულად საკრედიტო პოლიტიკას ახასიათებს “დროში ჩამორჩენა”<sup>32</sup>, ე.ი. მისი ინსტრუმენტები საკმაოდ გვიან მოქმედებს და სასურველ შედეგს ვერ იწვევს, ამასთან დაკავშირებით მარშალმა და ანა შვარცმა 1963 წელს გამოაქვეყნეს ახალი ნაშრომი: “აშშ-ს 1867-1960 წლების მონეტარისტული ისტორია”, სადაც მათ სცადეს მონეტარისტული კონცეფციის ქმედითუნარიანობის მეცნიერული დასაბუთება”, მკვლევარები დამაჯერებლად მიიჩნევენ “დიდი დეპრესიის” მოვლენებთან დაკავშირებით ავტორთა არგუმენტაციას, მათი აზრით, 30-იან წლებში აშშ-ს ეკონომიკა არ აღმოჩნდებოდა დეპრესიულ მდგომარეობაში, რომ არა აშშ-ს ცენტრალური ბანკის მიერ დაშვებული უხეში შეცდომების სერია. მომდევნო პერიოდის პრაქტიკამ აშშ-სა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ფისკალისტებსა (კეინსის მიმდევრები) და მონეტარისტებს (ფრიდმანის მიმდევრები) შორის უპირატესობა, ხან ერთ მხარეს გადაიხარა, როგორც ჩანს, ამ საკითხებზე დიდხანს ვერ იქნება მიღწეული შეთანხმება. მაგრამ აუცილებელია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ არა გრისპანის “Cheep mouney policy”, რომელიც შეიქმნა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შემდგომ მოსალოდნელი ფინანსური კრიზისის თავიდან ასაცილებლად, განაპირობა 2008 წლის ფინანსური კრიზისი.

<sup>32</sup> ეკონომიკის საწყისები, ოთარ კუპატაძე, ბადრი გელიტაშვილი, ზაზა გელაშვილი, ESM თბილისი 2000, გვ. 99.



ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ვლადიმერ პაპავა თავის წიგნში “პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა” (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005) არამარტო საუბრობდა, გლობალური ეკონომიკური კრიზისის შესახებ არამედ ასაბუთებდა მის გარდაუვალობას. ერთ-ერთი ვერსიით ის ეფუძნება დოლარის კრახის რუსულ სცენარს<sup>33</sup>. დეტალურად აღწერს ყველა იმ მოვლენას, რასაც 2008 წელს ჰქონდა ადგილი, რომელიც თანხობრივადაც არის აღწერილი.

---

<sup>33</sup> პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკა, ვლადიმერ პაპავა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.

## 2.5. “ნეოკლასიკური სინთეზი”, როგორც თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის განმსაზღვრელი ეკონომიკური ზრდის თეორია

თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ზრდის თეორიაში ფართო განვითარება ჰპოვა, ე.წ., “ნეოკლასიკურმა სინთეზმა”, რომელიც კეინსიანური და ნეოკლასიკური თეორიების თავისებური სინთეზია. ამ მოდელის შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ ეკონომისტს პოლ სამუელსონს. აღნიშნული თეორია მიზნად ისახავს უპირატესად კეინსიანურ მაკროეკონომიკურ და ნაწილობრივ “ნეოკლასიკურ” მიკროეკონომიკურ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით განსაზღვროს ეკონომიკის რეგულირების ოპტიმალური პირობები და შესაძლებლობები. ამ უკანასკნელმა თავისი წვლილი შეიტანა ეკონომიკის რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკის დასაბუთებაში. ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა ბ. სელიგმენმა *“ნეოკლასიკური სინთეზი” დაახასიათა, როგორც დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება მიკრო და მაკრო ეკონომიკას შორის*. “ნეოკლასიკური სინთეზი” გულისხმობს ეკონომიკური რეცესიის პირობებში მოთხოვნის კეინსიანურ რეგულირებას და პირიქით, საწარმოო სიმძლავრეებისა და აგრეთვე, სამუშაო ძალის არსებული რეზერვების ამოწურვისას, წარმოებითი პოტენციალის ზრდის სტიმულირებას.

თანამედროვე მაკროეკონომიკური თეორია თავის თავში აერთიანებს ნეოკლასიკური თეორიის ჩარჩოში ჩამოყალიბებულ ფასწარმოქმნისა და შემოსავლების განაწილების ზოგად კონცეფციას და მაკროეკონომიკური წონასწორობისა და ეროვნული შემოსავლის ზრდის კეინსიანურ კონცეფციას.

ზოგადი ეკონომიკური წონასწორობის ნეოკლასიკური კონცეფცია (ვ. ვალრასი, ა. მარშალი, ჯ. ბ. კლარკი, ვ. პარეტო.) *წარმოადგენს კერძო კაპიტალისტური ეკონომიკის ფუნქციონირების აბსტრაქტულ მოდელს კონკურენციის იდეალური თავისუფლების, ფასების აბსულუტური ელასტიკურობის, საწარმოს ქცევის სრული რაციონალობის (მოგების მაქსიმიზაცია და დანახარჯის მინიმიზაცია) პირობებში, სადაც არ ხდება ტექნიკური პროგრესი და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევა*. ამ კონცეფციას ეწოდება მიკროეკონომიკური თეორია, თუმცა იგი ეხება ეკონომიკის ზოგად წონასწორობას ანუ მაკროეკონომიკას. საქმე ის არის, რომ აღნიშნული თეორია მაკროეკონომიკის ანალიზს უდგება

ცალკეული მიკროეკონომიკური ერთეულების ქცევის თვალსაზრისით. *მის თითოეულ საფუძველს ქმნის ზღვრული სარგებლიანობისა და ზღვრული მწარმოებლურობის ცნებები.* კეინსიანელთა მტკიცებით კი, კონკურენციის თავისუფლება თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში არ არსებობს. აქ გაბატონებულია არასრულყოფილი (მონოპოლისტური) კონკურენცია, რის გამოც ფასი ვერ ასრულებს მოთხოვნისა და მიწოდების გამაწონასწორებელ ფუნქციას. ამ პირობებში შეიძლება გვექონდეს მხოლოდ ნაწილობრივი წონასწორობა, რაც გულისხმობს წარმოების ფაქტორების არასრულ გამოყენებას. ეს კი იწვევს *ეკონომიკის ქრონიკულ სტაგნაციას და სოციალური კონფლიქტების გამწვავებას.* ამასთან დაკავშირებით კეინსმა მიზანშეწონილად მიიჩნია, შეცვლილიყო როგორც ეკონომიკური წონასწორობის ანალიზის მეთოდი, ისე ეკონომიკური წონასწორობის მიღწევის საშუალებები. მან ეკონომიკის ანალიზს საფუძვლად დაუდო *მაკროეკონომიკური მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის გლობალური სიდიდეების (მეკ, ინვესტიცია, მოხმარება და სხვ.) ურთიერთდამოკიდებულების შესწავლას.*

“ნეოკლასიკურ სინთეზში” გაერთიანებულია ეკონომიკური წონასწორობის ანალიზის ამ ორი მეთოდის გონივრული ელემენტები ანუ მოცემულია მათი სინთეზი. ნეოკლასიკური სინთეზის ძირითადი პრინციპებია: “... *ფულადი და ფისკალური პოლიტიკის საკვანძო პრობლემების გადაჭრა შემოსავლის თეორიის კატეგორიებით*” (სამუელსონი). “ნეოკლასიკური სინთეზი” *ნათლად გამოვლინდა ეკონომიკური ზრდის თეორიის განვითარებასა და ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებაში.*

თანამედროვე მაკროეკონომიკურ ანალიზს არაფერი აქვს საერთო არც კლასიკური რწმენის Laisser faire-ის პრინციპებთან, რომლის თანახმად, კაპიტალისტურ ეკონომიკას აქვს თვითრეგულირების შესაძლებლობა და არც იმ ომამდელ პესიმისტურ შეხედულებასთან, რომელიც უარყოფდა კლასიკური პრინციპების ვარგისიანობას თანამედროვე ეკონომიკისათვის. ახლანდელი მაკროეკონომიკური ანალიზი დაფუძნებულია “ნეოკლასიკურ სინთეზზე”. იგი გულისხმობს, თუ როგორ შეუძლია შესაბამისი ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის დახმარებით შერეულ ეკონომიკას, თავიდან აიცილოს *ბუმის და მკვეთრი დაქვეითების ექსცესები და ხელი შეუწყოს ჯანსაღ პროგრესულ აზრს.* რამდენადაც ეს ფუნდამენტური დებულება გასაგებია,

შესაბამისად მიკროეკონომიკასთან დაკავშირებული ძველი კლასიკური პრინციპები კარგავს სიმწვავეს. ამ გაგებით გადაილახა ფართო განსხვავება მიკროეკონომიკასა და მაკროეკონომიკას შორის.

პ. სამუელსონის აზრით, დიდი ნეოკლასიკური სინთეზის არსი გამოიხატება შემდეგში: როდესაც შემოსავლის თეორიის კატეგორიებით ვცდილობთ ფულადი და ფისკალური პოლიტიკის საკვანძო პრობლემების გადაჭრას, ჩვენ ამით ხელს ვუწყობთ კლასიკური ჭეშმარიტების აღორძინებას და მათთვის კანონიერი ძალის მინიჭებას. ამგვარი ნეოკლასიკური სინთეზის მეშვეობით აღმოიფხვრება დაშორიშორება ტრადიციულ მიკროეკონომიკასა და მაკროეკონომიკის განმაზოგადებელ ცნებას შორის, წარმოიქმნება რა მათი ურთიერთშემავსებელი ერთიანობა.” შემდეგ კი აღნიშნავს ჩვენს; სისტემას ძალუძს ეკონომიკური ბუმის ექსცესებისა და მკვეთრ დაქვეითებათა თავიდან აცილება და შესაბამისად, ჯანსაღი, პროგრესული ზრდის უზრუნველყოფა მოკლედ რომ ვთქვათ, შემოსავლების დონის განსაზღვრის თანამედროვე ანალიზის დაუფლება ჭეშმარიტად ადასტურებს ფასწარმოქმნის კლასიკურ პრინციპებს; და ახლა ეკონომისტს მტკიცედ შეუძლია განაცხადოს, რომ გადალახულია მიკროეკონომიკასა და მაკროეკონომიკას შორის არსებული ნაპრაღი.

## 2.6. ეკონომიკური ზრდის ახალი თეორია და ენდოგენური ზრდის თეორია

ზრდის თეორიები კვლავაც მუშავდებოდა პოლ რომერის მიერ 1980-იანი წლების ბოლოს და 1990-იანი წლების დასაწყისში. ასევე მნიშვნელოვანი ზრდის თეორიები შემოგვთავაზეს რობერტ ლუკასმა და რობერტ ბარომ.

ეკონომისტები არ იყვნენ რა კმაყოფილნი სოლოუს მიერ მოწოდებული ახსნა-განმარტებით, ისინი მუშაობა დაიწყეს იმაზე, რომ მოეხდინათ ტექნოლოგიის ენდოგენირება. მათ შეიმუშავეს ზრდის ენდოგენური თეორია, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიური წინსვლის მათემატიკურ ახსნა-განმარტებას. აღნიშნულმა მოდელებმა ასევე მოიცვა ახალი ცნება ადამიანისეული კაპიტალი, ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც მუშახელს მწარმოებლურს ხდის. ფიზიკური კაპიტალისგან განსხვავებით, ადამიანური კაპიტალი იძლევა მზარდ ამონაგებს. შესაბამისად, მთლიანობაში ადგილი აქვს მუდმივ ამონაგებს, ასე რომ, ეკონომიკა ვერასდროს მიაღწევს მყარ მდგომარეობამდე. კაპიტალის აკუმულირებასთან ერთად არ ხდება ზრდის შენელება, თუმცა ზრდის მაჩვენებელი დამოკიდებულია კაპიტალის იმ ტიპზე, რომლის ინვესტირებასაც ახდენს ქვეყანა. აღნიშნულ სფეროში ჩატარებული კვლევის ფოკუსირება მოხდა იმაზე, თუ რა ზრდის ადამიანისეულ კაპიტალს (განათლებას) ან ტექნოლოგიურ ცვლილებებს (ინოვაციას).

ეკონომიკაში ენდოგენური ზრდის თეორია ან ახალი ზრდის თეორია განვითარდა 1980-იან წლებში, როგორც ნეოკლასიკური ზრდის მოდელის კრიტიკა.

ნეოკლასიკური ზრდის მოდელში ზრდა არის ექსოგენური და განისაზღვრება დაზოგვის ნორმით (ჰაროდ-დომარის მოდელი) ან ტექნოლოგიური პროგრესით (სოლოუს მოდელი) უცვლელობის დაშვებით. თუმცა ეს ბადებს კითხვას, დაზოგვის ნორმა და ტექნოლოგიური პროგრესი რჩება აუხსნელი.

ენდოგენური ზრდის თეორია ცდილობს გადალახოს ნაკლოვანებები მაკროეკონომიკური მოდელების აგებით *მაკროეკონომიკური საფუძვლების გარეშე*. მასში დაშვებულია, რომ საოჯახო მეურნეობები მაქსიმუმაცხადს *ახდენენ*

*ბიუჯეტის შეზღუდვებისას* თუმცა ფირმები ახდენენ *მოგების მაქსიმიზაციას*. კრიტიკული მნიშვნელობა ჩვეულებრივ აქვს ახალი ტექნოლოგიების შექმნას და ადმიანისეულ კაპიტალს. ზრდის ამძრავი შეიძლება იყოს მარტივი, როგორც მუდმივი უკუგების მასშტაბი წარმოების ფუნქციის (AK მოდელი), ან უფრო გართულებული განხილული შიდა ეფექტებით, გაზრდილი საქონლის რაოდენობა, გაზრდილი მუშახელი და ა.შ..

ენდოგენური ზრდის თეორია ახდენს იმის დემონსტრირებას, რომ პოლიტიკის მაჩვენებლებს შესაძლოა ჰქონდეს გავლენა ეკონომიკაში გრძელვადიანი ზრდის განაკვეთზე. მაგალითად სუბსიდიები კვლევებსა და განვითარებაზე ან განათლებაზე ზრდის ეკონომიკის ზრდის განაკვეთს რომელიმე ენდოგენურ ზრდის მოდელში იმით, რომ ზრდის ინოვაციების სტიმულს.

ხშირად ენდოგენური ზრდის მოდელი უშვებს კაპიტალის მუდმივ ზღვრულ პროდუქტს აგრერირებულ დონეზე ან უმნიშვნელო კაპიტალის ზღვრული პროდუქტი არ უნდა უახლოვდებოდეს ნულს. ეს არ ნიშნავს რომ დიდი ფირმები იქნებიან უფრო პროდუქტიულები ვიდრე მცირე. რადგან ფირმის დონეზე ზღვრული პროდუქტი ჩვეულებრივ შემცირებადია, თუმცა შესაძლებელია ენდოგენური ზრდის მოდელის შემუშავება დაშვებით, რომ შესუსტებულია სრულყოფილი კონკურენცია და რაღაც ხარისხის მონოპოლისტიური ძალების არსებობის დაშვებით. ეს არის მოდელები ორი სექტორით, საბოლოო უკუგების გამომშუშავებლები და კვლევისა და განვითარების სექტორი. კვლევისა და განვითარების სექტორი ავითარებს იდეას, რომ მათ აქვთ მონოპოლია ამ საქმიანობაზე. კვლევისა და განვითარების ფირმებისთვის მიჩნეულია, რომ ისინი მიიღებენ მონოპოლიურ მოგებას მწარმოებლურ ფირმებზე იდეების გაყიდვით, მაგრამ თავისუფლად შეღწევლობის პირობა ნიშნავს, რომ ეს მოგება იქნება ანაზღაურებული კვლევისა და განვითარების ხარჯებით.

*ერთ-ერთი მთავარი ჩავარდნა ენდოგენური ზრდის მოდელისა არის კოლექტიური მოქმედება მონოპოლიურ ბაზარში. სხვა სახის კრიტიკა ასევე გულისხმობს ძირეულ დაშვებას კაპიტალის შემცირებად უკუგებას. ზოგი ამტკიცებს, რომ ახალი ზრდის თეორიას არა აქვს უფრო წარმატებული მტკიცებულება, ვიდრე ექსოგენურ ზრდის მოდელს ახსნისას შემოსავლის გადახრა განვითარებასა და*

*განვითარებად სიტყვებს შორის. მაგრამ მიუხედავად ამისა არის უფრო კომპლექსური.*

**ენდოგენური ზრდის თეორიის საფუძველი:**

- ნეოკლასიკური მოდელი გეთავაზობს, რომ კაპიტალის მაღალი ამონაგების მქონე ქვეყნები (შედარებით დაბალი კაპიტალით) დაეწვიან უფრო მდიდარ ქვეყნებს;
- ვერ აჩვენებს, რომ ემპირიულ თანხვედრას მიყვავართ იმ გეგმებამდე, რაც გულისხმობს, რომ ექსოგენური ტექნოლოგიური ცვლილების (2) ნეოკლასიკური ვარაუდების (1) ცვლილება უტოლდება ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს სხვადასხვა ქვეყნებში;
- იდენტური ტექნოლოგიის ეფექტი და ექსოგენურად მოცემული ტექნოლოგიური ცვლილება აიძულებს მონაცემთა ანალიზს დამატებითი ტვირთი დააკისრონ მოდელის სხვა ცვლადებს. მოცემულ მაგალითში, ფილიპინებში თითო მუშაზე გათვლილი მწარმოებლობა უდრის აშშ-ს 10%-ს, იმისათვის, რომ ორივე ქვეყანამ დაიწყოს ეკონომიკური ზრდა ერთი და იგივე მაჩვენებლით, აშშ-ს უნდა ჰქონდეს არამწარმოებლურად მაღალი დაზოგვის ნორმების მაჩვენებელი, ვიდრე ფილიპინებს; ხოლო ერთადერთი საშუალება, რითაც აიხსნება თითოეულ მუშაზე გათვლილი წარმოების მაჩვენებლის განსხვავება, იქნება ის, რომ მუშებს ფილიპინებში ჰქონდეთ კაპიტალის 1%-ით ნაკლები, ვიდრე ის ხელმისაწვდომია აშშ-ში.
- მონაცემების მიხედვით, არსებობს უფრო მაღალი ინვესტიციების მაჩვენებლების მაღალი კორელაცია უფრო მაღალი შემოსავლებით.
- იმისათვის, რომ მონაცემები შევუსაბამოთ თეორიას, საჭიროა ნაკლები მნიშვნელობა მივანიჭოთ მუშახელს წარმოებაში, რაც ასევე გულისხმობს იმას, რომ არ აღმოვჩნდებით სწრაფად შემცირებადი ამონაგების წინაშე. რატომ? თუ გავითვალისწინებთ ინვესტირების მაჩვენებელს, სწრაფად ცვეთადი კაპიტალი არ დაუშვებს იმას, რომ მუშახელის კონტრიბუცია იყოს დაბალი;
- ტექნოლოგია განისაზღვროს ლოკალურად: სააქციო კაპიტალს მიყვავართ დადებით სიჭარბემდე, მუშახელის მიწოდებას ნეგატიურ სიჭარბემდე.

- თუ  $Y=A(K, L)K^{1-\alpha}L^\alpha=K^\gamma L^{1-\gamma}$   $K^{1-\alpha}L^\alpha=K^{1-\beta}L^\beta$ , სადაც  $\beta=\alpha-\gamma$  წარმოადგენს ნეოკლასიკური მოდელით პროგნოზირებულ მუშახელის წილს. ტექნოლოგიის სიჭარბის განსაზღვრება მუშახელის კონტრიბუციის დაშვებას აახლოებს  $\beta < \alpha$  საჭიროებისამებრ.
- რეგრესიის შედეგები საგულისხმო მანვენებლებს ასახავენ ფილიპინებისა და აშშ-სთვის. ასევე მოცემული შედეგების საფუძველზე კეთდება დასკვნა (თითქმის უნივერსალური შედეგი), რომ საწყისი შემოსავლის კოეფიციენტი არის უარყოფითი.
- *ბარო და სალა I მარტინი (1992):* ტექნოლოგიას უნდა მივცეთ საშუალება, მოახდინოს ნელი დიფუზირება მაღალი ტექნოლოგიის ქვეყნებიდან დაბალი ტექნოლოგიის ქვეყნებისკენ. დიფერენციალური ტექნოლოგია გულისხმობს, რომ თითოეულ მუშაზე წარმოების მოცულობაში განსხვავება არ უნდა იყოს ასოცირებული იმ განსხვავებებთან, რასაც ადგილი აქვს მუშახელის მარჟინალურ პროდუქტში (რამდენადაც დაბალი ტექნოლოგიის ქვეყნები გამოიყენებენ კაპიტალის დაზოგვის ტექნოლოგიას, ხოლო მაღალი ტექნოლოგიის ქვეყნები მუშახელის დაზოგვის ტექნოლოგიას). ამგვარად, კაპიტალის თავისუფლად შემოდინების პირობებშიც კი, კაპიტალის ფაქტიური შემოდინება შეიზღუდება ტექნოლოგიის დიფუზიითა და ტექნოლოგიური განსხვავებით.
- *მენქიუ, რომერი და ნეილი (1992):* ნეოკლასიკური მოდელის მარჟინალური განვრცობა – მოიცავს ადამიანისეულ კაპიტალს (H) როგორც პროდუქციის გამოყოფილ ფაქტორს. K და H იცვლებიან სხვადასხვა ქვეყნებში და გვაძლევენ ადრე განხილულ შედეგებს.
- რომერი ასკენის, რომ მკვლევარების მიერ ჩატარებული მონაცემთა ანალიზი არ **საჭიროებს ნეოკლასიკური ჩარჩოების დათმობას, მხოლოდ მის განვრცობას წარმოადგენს**. ასევე განიხილავს ზრდის მოდელებს, იმ მიზნით, რომ გვაჩვენოს, თუ **კონვერგენცია** როგორ გვატოვებინებს უყურადღებოდ ზრდის სხვა ელემენტებს. რომ საჭიროა **სხვა ხედვა შევიმუშავოთ მოდელებში ისევე, როგორც საჭიროა გამოვიყენოთ, განსხვავებული ტიპისა და ხარისხის მონაცემები**.



### სრულყოფილი კონკურენციის ალტერნატივა:

- ზრდის ნეოკლასიკური მოდელი იგნორირებას უკეთებს დროზე დამოკიდებულ წარმოების ფუნქციას ტექნოლოგიური წინსვლებისთვის, ასევე იმ ფაქტს, რომ ფირმები ფლობენ აღნიშნულ ინოვაციებს და თავად აწესებენ მონოპოლიას მათზე.
- მონოპოლისტური კონკურენციის შემოტანა იმ მიზნით, რომ აჩვენო გაზრდილი ამონაგები, რაც განაპირობებდა დროზე დამოკიდებულ წარმოების ფუნქციის მხარდაჭერას ტექნოლოგიური წინსვლებისთვის. სრულყოფილი კონკურენცია არ დაუშვებდა ზემოთ აღნიშნულს, რამდენადაც ფირმები ოპერირებენ მინიმალური ეფექტიანობის დონეზე და რომ ფირმის მხარდ ზომას არანაირი ეფექტი არ ექნებოდა წარმოების მოცულობაზე.

### ნეო-შუმპეტერიანული ზრდა.

- ამ მოდელების განვითარებაში მთავარი წვლილი შეიტანეს დიქსიტმა და სტიგლიცმა (1977) მონოპოლისტური კონკურენციის შესახებ და ეთიერის (1982) მიერ შემუშავებული მოდელის ინტერპრეტაცია, რამდენიმე საქონლის პრეფერენციით როგორც წარმოების ფუნქცია, რომელიც დამოკიდებულია მრავალ წარმოების ფაქტორებზე.
- საკითხი ამგვარად იდგა, სურდათ გაერკვიათ, თუ როგორ შეეცვალათ ზრდის შესახებ არსებული ლიტერატურა ისე, რომ მონოპოლიის რენტას დანერგვის საშუალება მისცემოდა. რომერმა თავის მხრივ, წვლილი შეიტანა მონოპოლისტური კონკურენციის კომბინაციასა და ტექნოლოგიურ წინსვლებში მხარდი უკუგების საკითხებთან დაკავშირებით. მისმა ცნებამ დადებითი სიჭარბის შესახებ მიგვიყვანა ისეთი მოდელების შექმნამდე, სადაც ზრდის უზრუნველყოფა ხდება ენდოგენურად განსაზღვრული ცვლადების ჩარჩოებში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზრდის პროცესისთვის.

## 2.7. სხვა თეორიები

**ეკონომიკური ზრდის შემოქმედებითი დესტრუქცია.** ბევრი ეკონომისტი თვლის მეწარმეობის უნარს, რომ აქვს მთავარი გავლენა საზოგადოების ტექნოლოგიური პროგრესის დონეზე და აქედან გამომდინარე, ეკონომიკის ზრდაზე. ამ საკითხებზე საუბარია მიხეილ ბანუნინის, ფრედრიხ ნიჩის და ვარნერ სომბარტის წიგნში *“Krieg und Kapitalismus” – “ომი და კაპიტალიზმი”<sup>34</sup>*, რომელშიც ისინი წერდნენ: “ისევ დესტრუქციიდან ახალი მარცვალის შემოქმედებითი უნარის იღებს სათავეს”. ეკონომისტმა იოსებ შუმპეტერმა პოპულარიზაცია გაუკეთა ამ იდეებს. ის იყო მთავარი ფიგურა, რომელიც ამტკიცებდა მეწარმეობის გავლენის შესახებ ტექნოლოგიურ პროგრესს. შუმპეტერის ნაშრომის – “კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია” (რომელიც გამოქვეყნდა 1942 წელს), მიხედვით მეწარმე არის პიროვნება, რომელსაც სურვილი და უნარი აქვს, ახალი იდეა ან ინოვაცია გარდაქმნას წარმატებულ ნოვატორობაში. მეწარმეობის უნარი განაპირობებს “შემოქმედებით დესტრუქციას ბაზრებსა და ინდუსტრიებს შორის” და იმავდროულად ქმნის ახალ პროდუქტს და ბიზნეს მოდელებს. ამ გზით, შემოქმედებითი დესტრუქცია ფართოდ პასუხისმგებელია ინდუსტრიის და გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის დინამიზმზე. ყოფილი ფედერალური რეზერვების საბჭოს თავმჯდომარემ **ალან გრიენსპენმა**, შემდეგნაირად აღწერა გრძელვადიანი “შემოქმედებითი დესტრუქციის“ ეკონომიკური ზრდა: “კაპიტალიზმი აფართოებს სიმდიდრეს პირდაპირ შემოქმედებითი დესტრუქციით, პროგრესი რომლის დროსაც ფულადი ნაკადები მოძველებული მეთოდებიდან გამომდინარე, დაბალშემოსავლიანი კაპიტალი ინვესტირებულია მაღალშემოსავლიან, მოწინავე ტექნოლოგიებში. შუმპეტერის აზრით, კაპიტალიზმი, ინოვაციური გზა მეწარმეობის, არის ამძრავი მდგრადი გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის, თუმცა ის ზიანს აყენებს არსებული კომპანიის ღირებულებას და აქვს რაღაც ხარისხით მონოპოლისტური უპირატესობა.

70-იანი წლების ერთ-ერთი პოპულარული თეორიის ე.წ. **‘დიდი ბიძგის’** მიხედვით ქვეყნები განვითარების ერთი ეტაპიდან უნდა გადასტანონ განვითარების მომდევნო ეტაპზე ეფექტური ცვლილების საშუალებით, როცა

<sup>34</sup> 1913 წელი, გვერდი 203

ხდება დიდი ინვესტიციები ინფრასტრუქტურასა და განათლებაში, რაც ეკონომიკას აძლევს საშუალებას თავი დაადგინოს განვითარების დაბალ დონეს.

უახლესი დროის წარმატებები ეკონომიკაში გვიჩვენებს ურთიერთდამოკიდებულებას ზრდასა და კლიმატს შორის. სრულიად შესაძლებელია, რომ აღნიშნული დამოკიდებულება იყოს ილუზიური. ადამიანის განვითარების ადრეულ ხანებში, როგორც ეკონომიკის ასევე კულტურის განვითარება კონცენტრირდებოდა სამყაროს თბილ ნაწილებში, მაგ. ეგვიპტეში.

ჯონსონისა და რობინსონის მიხედვით, კორელაცია მაღალ შემოსავალსა და ცივ კლიმატს შორის, ისტორიის გვერდითი პროდუქტია. ყოფილ კოლონიებს, რომელთაც მემკვიდრეობით ერგოთ კორუფციული მთავრობა და კოლონიზატორების მიერ დადგენილი გეოპოლიტიკური საზღვრები, რაც არაა სათანადოდ დადგენილი, გეოგრაფიულად მოსაზღვრე სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში, მუდმივად ქმნის კონფლიქტურ გარემოს. ასევე კოლონიებში წარმოქმნილმა ეგალიტარულმა საზოგადოებამ, რომელთა გამოყენებაც შეძლეს ინდივიდმა ფერმერებმა, შექმნა საკუთრების უფლებისა და გრძელვადიანი ინვესტიციების სტიმულირების გაცილებით კარგი გარემო, ვიდრე იმ ადგილებში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა მრავალრიცხოვანი იყო და კოლონიზატორები ქმნიდნენ ექსპლოატორულ ინსტიტუტებს, რაც საკუთრების უფლების გამყარებას ხელს არ უწყობდა. ზომიერ კლიმატურ ზონებში, როგორცაა ავსტრალია და აშშ, მემკვიდრეობით არ გადასცემიათ ექსპლოატორული ინსტიტუტები, რამდენადაც აქ დასახლდნენ ევროპელები, რომელთა მიერ შექმნილი მთავრობები ევროპულ სტანდარტებს მიესადაგებოდა.

### *თავი III*

#### ეკონომიკური ზრდა საქართველოში

#### და მისი ძირითადი ტენდენციები

ეკონომიკური ზრდა და შესაბამისი სტაბილური ეკონომიკური განვითარება, გრძელვადიან პერიოდში, როგორც ზემოთ განხილული საკითხები ცხადყოფს, რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული. რომელთა შორისაა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, კაპიტალდაბანდებათა მოცულობის ზრდა, კერძო სექტორის განვითარება, ადამიანური კაპიტალი და გარემოს დაცვა.

მდგრადი ეკონომიკური ზრდის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის წინაპირობას წარმოადგენს მაკრო დონეზე ეკონომიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, რომელიც თავის თავში მოიცავს სტაბილური და პროგნოზირებადი სამართლებრივი გარემოს არსებობას, კერძო საკუთრების აღიარების, დაცვისა და ხელშეუვალობის პირობით. არსებითია ქვეყნის სანდოობა და სტაბილურობა.

ეკონომიკური სტაბილურობის მაკრო დონეზე შესაფასებლად არსებითია ხუთი მთავარი მაჩვენებელი: შიდა დეფიციტი, საგარეო დეფიციტი, უმუშევრობა, ინფლაცია და ეკონომიკური ზრდის კოეფიციენტი. ამ მაჩვენებლებიდან საქართველოში შედარებით დადებით ტენდენციებს ასახავს ეკონომიკური ზრდა და ინფლაცია.

საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური რეფორმების უმნიშვნელოვანესი მიღწევები დადებითად აისახა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, მაგრამ სიღარიბე, უმუშევრობა და ინსტიტუციური განვითარება მთავრობის ძირითად ამოცანათა შორის ისევ რჩება.


არსებითია საქართველოს ეკონომიკური ზრდისა და ტენდენციების კვლევა. საქართველოში ეროვნულ ანგარიშთა სისტემის SNA93-ის მიხედვით მონაცემებს აქვეყნებს 1996 წლიდან, რომლის საფუძველზეც სისტემატურად, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ქვეყნდება მონაცემები, რაც საქართველოს ეკონომიკური ზრდის შეფასების საშუალებას იძლევა.

ნაშრომის წინა თავებში არაერთხელ იყო აღნიშნული, რომ ეკონომიკური ზრდის ყველაზე კარგი მაჩვენებელი მთლიანი შიდა პროდუქტია, საქართველოში ეს მაჩვენებელი ბოლო 13 წლის განმავლობაში განუხრელად იზრდებოდა (იხ. დანართი №2).

არსებითია ის, რომ საქართველოს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 1996 წელს 3 868,5 ლარს შეადგენდა, რომლის ერთ სულ მოსახლეზე მხოლოდ 827 ლარი იყო და ერთი კაცის საშუალო შემოსავალი 2.26 ლარს შეადგენდა დღეში, რაც უდრიდა 1.796 აშშ დოლარს დღეში.

*გასულ, 2008 წელს, საქართველოს ნომინალურმა მთლიანმა შიდა პროდუქტმა 19069.6 მილიონი ლარი შეადგინა, ეს მაჩვენებელი აშშ დოლარში 12 797.00 შეადგენდა. ერთ კაცზე მთლიანი შიდა პროდუქტი 4351.7 ლარი დაფიქსირდა, რომელიც 2903 აშშ დოლარი, ხოლო დღიური საშუალო შემოსავალი ერთ კაცზე 11.92 ლარი ანუ 8 აშშ დოლარი დაფიქსირდა. 1996 წლიდან 13 წელი გავიდა და ერთი შეხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეკონომიკური ზრდა ცალსახად სახეზეა. საქართველოს ეკონომიკა ამ დროის მანძილზე რეალური ცვლადების მიხედვით გაორმაგდა, ხოლო ნომინალური ცვლადებით 5 ჯერ გაიზარდა. სხვადასხვა სფეროში განხორციელებულმა რეფორმებმა, ინსტიტუციონალური განვითარების ხელშეწყობამ, 2003 წლის ვარდების რევოლუციამ და მას შემდეგ განხორციელებულმა ფისკალურმა რეფორმებმა მნიშვნელოვანწილად დააჩქარეს ეკონომიკური ზრდის ტემპი., (იხ. გრაფიკი №3.1), როგორც შენიშნეთ ეკონომიკური ზრდის ტემპი 2003 წლიდან მნიშვნელოვნად არის აჩქარებული 1996, წლიდან 2003 წლამდე ზრდის ტემპმა შეადგინა მხოლოდ 46,6% ხოლო 2003 წლიდან 2008 წლამდე 66,7%, საშუალო ზრდის მაჩვენებელი 1996-2003 წლებში გამოდის 6,65%, ხოლო 2003-2008 წლებში 13,34%. ზრდის ტემპი განსაკუთრებით მაღალი იყო 2005, 2006 და 2007 წლებში. ამ ფონზე შეგვიძლია დანამდვილებით ვთქვათ, რომ საქართველოს ეკონომიკას ზრდის საკმაოდ მაღალი ტემპი აქვს, მაგრამ ეს არ არის საკმარისი საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობისათვის, რადგან ზრდის ტემპის გარდა უამრავი პრობლემაა ქვეყანაში დაგროვილი, თან ამას ერთვის ისიც, რომ მსოფლიოში არის ფინანსური კრიზისი, ოპოზიციასა და ხელისუფლებას საკმაოდ დაძაბული დამოკიდებულება აქვთ ერთმანეთთან, ასევე საქართველო ამ წუთისათვისაც რუსეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება.*

გრაფიკი №3.1



თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, რომ 2008 წლის საომარმა მოქმედებებმა საქართველოში მნიშვნელოვანწილად შეამცირა საქართველოს ეკონომიკური ზრდის ტემპები და პროგნოზირებული 7%-დან<sup>35</sup> შემცირდა 3%-მდე,

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ზრდა მშპ-ს კომპონენტების მიხედვით (იხ ცხრილი 3.1.) სადაც თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოს ეკონომიკის ყველა სექტორში არ ყოფილა ასეთი სწრაფი ზრდა, მაგალითად სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა შემცირებულია 1,1%-ით, ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანი შემცირება ფიქსირდება მუხლში შინამეურნეობებში დაქირავებულ მოსახლეობაში.

თუმცა საფინანსო საქმიანობის ზრდა 162.6% შეადგენს, რომელიც ძალიან მაღალი ტემპია და საშუალოდ წელიწადში 125%-ის ტოლია, ხოლო განსაკუთრებული ზრდა შეინიშნება 2003 წლიდან, ამ დროს ზრდის მაჩვენებელი 300%-ია წელიწადში.

სხვადასხვა ზრდის ტენდენციების უკეთ წარმოსადგენად მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მატრიცაში 2008 წლის მაჩვენებელს გამოვაკლოთ 1996 წლის

<sup>35</sup> საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2008-2011 წლებისათვის, თბილისი 2007.

მაჩვენებელი და მივიღებთ მშპ-ს კომპონენტების ზრდას 13 წლის განმავლობაში, რომელიც წარმოდგენილია №3.1. ცხრილში.

ცხრილი №3.1

საქართველოს რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის  
კომპონენტების ზრდა 1996-2008 წლებში

სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და თევზჭერა	-1.1
სამთომოპოვებითი მრეწველობა	104.1
გადამამუშავებელი მრეწველობა	106.8
ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირისა და წყლის წარმოება და განაწილება	84.3
პროდუქციის გადამამუშავება შინამეურნეობების მიერ	48.7
მშენებლობა	564.7
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი სარგებლობის საგნების რემონტი	159.3
სასტუმროები და რესტორნები	322.8
ტრანსპორტი, დამხმარე და დამატებითი სატრანსპორტო საქმიანობა	281.1
კავშირგაბმულობა და ფოსტა	389.5
საფინანსო საქმიანობა	2,221.7
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული მომსახურება	340.6
საკუთარი საცხოვრისის გამოყენების პირობითი რენტა	18.6
სახელმწიფო მმართველობა	23.7
განათლება	64.2
ჯანმთელობის დაცვა და ცოცხალური მომსახურება	67.1
სხვა კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურება	122.0
შინამეურნეობაში დაქირავებული მომსახურება	-56.1
საქმიან აქტივობაში ფინანსური შუამავლობის მომსახურების გამოყენების არაპირდაპირი შეფასება	1,751.4
<b>სულ საბაზისო ფასებში მილიონი ლარი</b>	<b>107.5</b>
(+)გადასახადები პროდუქციაზე	218.6
(-)სუფსიდიები	-22.7
<b>სულ საბაზრო ფასებში</b>	<b>113.2</b>

წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი

თუ 3.1. ცხრილში აღრიცხულ მონაცემებს სტატისტიკურად დავამუშავებთ შემდეგი ინფორმაცია გვექნება, იხილეთ №3.2. ცხრილი:

<b>ცხრილი №3.2</b>	
<i>მშპ-ს ზრდის სტატისტიკური ანალიზი</i>	
საშუალო არითმეტიკული	279.6
სტანდარტული	
ცდომილება	97.7
მედიანა	107.5
მოდა	#N/A
სტანდარტული გადახრა	468.5
ვარიაცია	219508.5
დიაპაზონი	1807.5
მინიმუმი	-56.1
მაქსიმუმი	1751.4
მონაცემი	23.0

ამ მონაცემებიდან მნიშვნელოვანია ის, რომ ზრდის საშუალო არითმეტიკული არის 279,6%, ხოლო მედიანა 107,5%, ასევე ძალიან მაღალია სტანდარტული გადახრის მაჩვენებლის წილი, რაც იმის მანიშნებელია, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის მუხლებში ზრდა არასტანდარტულად მიმდინარეობდა, რაც საფუძველს გვაძლევს, უფრო დეტალურად გამოვიკვლიოთ მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლის მუხლები. თუმცა ამ ნაშრომის ფარგლებში შევეცდებით გამოვიკვლიოთ მხოლოდ რამდენიმე მათგანი.

XX და XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიოს ქვეყნებმა პირობა დადეს, რომ მსოფლიოში არ იქნებოდა არც ერთი ღარიბი ქვეყანა საქართველომ ამ პერიოდში საკმაოდ აქტიურად დაიწყო სიღარიბის დაძლევისა და ეკონომიკური ზრდის პროგრამაზე მუშაობა, პროგრამები დაიწერა, დამუშავდა, გადამზადდა. შემდეგ კი თაროზე შემოიღო, თუმცა დღესდღეობით სამინისტროები ამ პროგრამაში ასახულ უამრავ საკითხს ახორციელებენ, მაგრამ საქართველოში სიღარიბის მაჩვენებლები საკმაოდ მაღალია.

სიღარიბის მაჩვენებლები იხილეთ №3.4.1. ცხრილში, როგორც ხედავთ საქართველოს მოსახლეობის 22,1% სიღარიბეში ცხოვრობს.



ცხრილი №3.4.1.

**სიღარიბის მაჩვენებლები<sup>36</sup>**

პროცენტი

<b>2005</b>	
<b>სიღარიბის დონე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	24.1
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	10.1
<b>სიღარიბის სიღრმე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	7.6
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	3.1
<b>სიღარიბის სიმწვავე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	3.6
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	1.5
<b>2006</b>	
<b>სიღარიბის დონე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	23.3
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	9.4
<b>სიღარიბის სიღრმე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	7.2
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	2.8
<b>სიღარიბის სიმწვავე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	3.3
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	1.3
<b>2007 წელი</b>	
<b>სიღარიბის დონე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	21.3
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	9.2
<b>სიღარიბის სიღრმე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	6.9
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	2.7
<b>სიღარიბის სიმწვავე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	3.2
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	1.3
<b>2008 წელი</b>	
<b>სიღარიბის დონე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	22.1
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	9.5
<b>სიღარიბის სიღრმე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	7.0
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	2.7
<b>სიღარიბის სიმწვავე</b>	
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის მიმართ	3.2
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის მიმართ	1.2

ამ ფონზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის დასაქმების პრობლემებს შევეხოთ, 2008 წელს უმუშევრობა 16,5% გაუტოლდა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მიმართ, ხოლო 15 წელზე უფროსი მოსახლეობის მიმართ ის 52,3%-ია. დასაქმების პრობლემა უფრო საგანგაშოა ქალაქებში, სადაც ის 28,9%-

<sup>36</sup> www.statistics.ge

ს აღწევს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობასთან მიმართებაში, ხოლო 54,4%-ია 15 წელზე უფროს მოსახლეობას შორის. ამ დროს სოფლად უმუშევრობა მხოლოდ 7%-ია ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას შორის, ხოლო 15 წელზე უფროს მოსახლეობას შორის უმუშევრობა 35% უტოლდება (იხ. დანართი №9). ამ დასაქმების მონაცემების ფონზე მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ისიც, რომ გლეხს, რომლის საკუთრებაში 1 ჰა მიწა აქვს, დასაქმებულად ითვლება, და ასეთი მოსახლეობა მთლიანი დასაქმების, როგორც ზემოთ აღინიშნა, 55,6%-ია. ანუ გამოდის, რომ რეალური უმუშევრობა მინიმუმ 40%-ია.

როგორც ვიცით, არსებობს უმუშევრობის სამი ძირითადი მიზეზი: სტრუქტურული, ციკლური და ფრიქციული. ფრიქციული უმუშევრობა ბუნებრივ უმუშევრობას უტოლდება და არასოდეს არის საგანგაშო მაკროეკონომიკის პოლიტიკის თვალსაზრისით, რადგან ეს ძირითადად მოკლევადიანია და მოიცავს ერთი სამუშაოდან მეორეზე გადასვლის დროს. პრობლემატური უმუშევრობა კი არის ციკლური და სტრუქტურული.

მიმდინარე პერიოდში მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, გასულ წელს საქართველოში საომარმა მოქმედებებმა და საინვესტიციო გარემოს გაუარესებამ (ეს ყველაფერი ციკლური ხასიათისაა) გამოიწვია უმუშევრობის გაზრდა, რომელსაც თან დაერთო არსებული უმუშევრობა, რომელიც ძირითადად სტრუქტურული ხასიათისაა და ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ძალად არის ქცეული.

საქართველოს ინსტიტუციური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის შემაჩერებელი ფაქტორებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანია მოსახლეობის აზროვნების წესი და განათლება, რომლის მემკვიდრეობა, ეკონომიკური ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი ხელშემშლელი ფაქტორია. საქართველოში 70-წლიანმა კომუნისტურმა სახელმწიფო მოწყობამ დაამახინჯა საზოგადოებრივი აზროვნება. ჩამოაყალიბა ნაკლებად აქტიური მოქალაქე, რომელსაც ინიციატივისა და საკუთარ თავზე რისკის აღება უჭირს. მარქსისტულ-ლენინისტური პოლიტეკონომიურ და ღირებულებით თეორიებზე აღზრდილი თაობების უპირველესი სიოციალურ-ფსიქოლოგიური პრობლემა საბაზრო ეკონომიკურ პროცესებში გარკვევა და ადაპტირებაა. საზოგადოების აზროვნების შეცვალა გამოიწვია უპირველესად პიროვნების საკუთრებითი ურთიერთობის არასწორმა

დამოკიდებულებამ. ეს დამახინჯებული საზოგადოებრივი აზროვნება, მენტალიტეტი და რესურსების არაეფექტიანი გამოყენება იყო სსრკ-ს დაშლის არაპოლიტიკური საფუძველი.

საქართველოში 18-წლიანი დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა არ აღმოჩნდა წარმატებული. მიზეზები რა თქმა უნდა ბევრია, მაგრამ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საზოგადოებაში ეკონომიკური (და მასთან დაკავშირებული საგნების მენეჯმენტი, მარკეტინგი და ბიზნეს სამართალი) აზროვნების არ არსებობაა, კერძოდ მოქალაქეების უმეტესობას არ შეუძლია: ალტერნატიული გზების განსაზღვრა, საკუთარი დროის მენეჯმენტი, ყოველდღიური მარტივი ბიუჯეტის შედგენა, საკუთარალტერნატიული მიზნების მისაღწევად გრძელვადიანი სტრატეგიული გზების ძიება და დაგეგმვა და ა. შ. ლიბერალური, დამოუკიდებელი და ინიციატივიანი მოქალაქეობის შეგროვების მქონე პიროვნებების ნაკლებობამ გამოიწვია ის, რომ საშუალო თაობის მოსახლეობას დღეს საქართველოში ყველაზე ძალიან უჭირს, ახალგაზრდა თაობა ახერხებს ახალ გამოწვევებზე ადეკვატური პასუხს და მათი მომავალი დასაქმების ტენდენციებიც მნიშვნელოვნად ოპტიმისტურია, ვიდრე შუა ხნის მოსახლეობის. ამ კატეგორიის სამუშაო ძალა ძირითადად სტრუქტურული გარდაქმნების ფონზე დისკვალიფიცირებულია და ასეთ მუშახელზე შრომის ბაზარზე მოთხოვნა არ არის, რაც მათ დასაქმებას მომავალშიც კიდევ უფრო საეჭვოს ხდის. მნიშვნელოვანია განათლებაში განხორციელებული ინვესტიციები ამ მიმართულებით, რადგან, როგორც ზემოთ ნეოკლასიკური ზრდის მოდელის განხილვისას აღვნიშნეთ სტაბილური ეკონომიკური ზრდა მიიღწევა თანაბარზომიერი ინვესტიციებით, როგორც შრომით რესურსებში, ასევე კაპიტალურ აქტივებში, ხოლო, როცა უმუშევრობა ძალიან მაღალია, ინვესტიციებს კაპიტალურ აქტივებში ხშირ შემთხვევაში აზრი ეკარგება, რადგან ხელით შრომა უფრო იაფია და დანახარჯეფექტიანი, ვიდრე კაპიტალურ აქტივებში ჩადებული ინვესტიციების სარგებელი. ამასთანავე ფაქტია, რომ სათანადოდ არ მუშაობს უმუშევართა გადამზადების სოციალური პროგრამები. მათ უჭირთ ბაზარზე ორიენტირებული მოთხოვნის შესაბამისად მოქმედება.

ამ ფონზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა ერთ დასაქმებულზე, ერთ კაცზე და რეგიონის ფართობის მიხედვით.

უფრო სრულყოფილი მაკროეკონომიკური ანალიზისათვის მეცნიერებმა შემოგვთავაზეს ახალი ინდიკატორის<sup>37</sup> მშპ-ს საშუალო მაჩვენებლის გაანგარიშება გარკვეული ფართობების მიხედვით (მაგალითად, 1 კმ<sup>2</sup>, ან 1000 კმ<sup>2</sup> და ა.შ.). ეს ინდიკატორი საშუალებას გვაძლევს ქვეყნის ტერიტორიის ათვისების ხარისხის გარკვევის, ეკონომიკის ინტენსიურობის მაჩვენებლისა და ხელისუფლებისათვის. იგი ტერიტორიულ ჭრილში ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მაკროეკონომიკური პრობლემების მოგვარების კარგი ინდიკატორია.

ნოდარ ხადური ასევე გვთავაზობს სხვადასხვა ქვეყნების ათვისების ინდიკატორებს, რომელიც გათვლილია 1. და ამას კმ<sup>2</sup>-ზე.

ფორმულა საკმაოდ მარტივია და შემდგენაირად გამოისახება

$$R = \frac{GDP}{S},$$

სადაც  $S$  – ქვეყნის ფართობია კვადრატულ კილომეტრებში.

აღნიშნული ინდექსის მეშვეობით, რომელსაც მან ქვეყნის ეკონომიკური ათვისების ინდექსი<sup>38</sup> უწოდა შესაძლებელი ხდება ქვეყნების შედარება ტერიტორიის ათვისების მიხედვით<sup>39</sup>.

ამ ახალი ინდიკატორების დახმარებით შეგვიძლია გავაანალიზოთ საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი რეგიონების მიხედვით.

საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი რეგიონების მიხედვით შემდგენაირად ნაწილდება, იხილეთ №3.4.1 ცხრილი. მნიშვნელოვანია, რომელ რეგიონში ხდება უფრო მეტი პროდუქციის შექმნა, რა თქმა უნდა, თბილისი ამ მხრივ ლიდერობს და მისი მთლიან შიდა პროდუქტში 28% ნიშნულს იკავებს, ის. თუმცა მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის, რომ საქართველოში სიღარიბის და უმუშევრობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სწორედ თბილისშია.

<sup>37</sup> ნოდარ ხადური, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, გვ. 66

<sup>38</sup> ნოდარ ხადური, მაკროეკონომიკური პოლიტიკა, გვ. 65

<sup>39</sup> ჩვენ მიერ გაკეთებულია ანალიზი, რომლითაც შევეცადეთ გავგვიანგარიშებინა მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნის ეკონომიკური ათვისების ინდექსი, რომელიც მე-2 დანართის სახით ერთვის ნაშრომს.

ამ მონაცემების ანალიზი ცალსახად გვეუბნება, რომ ძალიან მაღალია სიღარიბე გურიაში, სადაც ერთ კვადრატულ კილომეტრზე, მხოლოდ 465.3 მილიონი ლარის პროდუქტი იწარმოება წელიწადში. სამცხე-ჯავახეთში ეს მაჩვენებელი 584.3 მილიონი ლარია. დანარჩენ რაიონებს ამ რეგიონების ფონზე არა უშავს. იგივე კახეთი გურიასთან შედარებით 3-ჯერ მეტ მთლიან შიდა პროდუქტს ქმნის თავის ტერიტორიაზე.

**ცხრილი №3.4.1.**

**საქართველოში შიდა მთლიანი დამატებული ღირებულების ბანაწილება ტერიტორიული ერთეულების მიხედვით <sup>1</sup>**

	2003	2004	2005	2006	2007	2008*
კახეთი	847.6	1,041.9	1,124.2	1,221.2	1,372.8	1,544.0
თბილისი	2,121.5	2,232.5	2,743.8	3,528.9	4,989.9	5,406.5
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	545.4	618.2	720.0	772.0	878.9	1,237.5
ქვემო ქართლი	796.6	890.0	941.1	1,158.7	1,369.1	1,363.8
სამცხე-ჯავახეთი	348.7	433.4	441.0	526.2	516.3	584.3
აჭარა	656.1	765.4	895.1	1,085.5	1,263.0	1,288.8
გურია	321.3	356.9	370.9	388.3	442.2	465.3
სამეგრელო-ზემო სვანეთი	714.5	846.0	813.4	1,070.4	1,259.1	1,656.2
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1,690.3	1,805.5	2,234.9	2,295.6	2,519.8	2,970.3
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში	8,041.9	8,989.6	10,284.5	12,046.9	14,611.1	16,516.6
წმინდა გადასახადები პროდუქციაზე	522.2	834.7	1,336.5	1,743.1	2,382.7	2,553.0
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	8,564.1	9,824.3	11,620.9	13,789.9	16,993.8	19,069.6

**ცხრილი № 3.4.2.**

**საქართველოში შიდა მთლიანი დამატებული ღირებულების ბანაწილება პროცენტულად ტერიტორიული ერთეულების მიხედვით**

	2003	2004	2005	2006	2007	2008*
კახეთი	9.90	10.6	9.7	8.9	8.1	8.1
თბილისი	24.77	22.7	23.6	25.6	29.4	28.4
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	6.37	6.3	6.2	5.6	5.2	6.5
ქვემო ქართლი	9.30	9.1	8.1	8.4	8.1	7.2
სამცხე-ჯავახეთი	4.07	4.4	3.8	3.8	3.0	3.1
აჭარა	7.66	7.8	7.7	7.9	7.4	6.8
გურია	3.75	3.6	3.2	2.8	2.6	2.4
სამეგრელო-ზემო სვანეთი	8.34	8.6	7.0	7.8	7.4	8.7
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	19.74	18.4	19.2	16.6	14.8	15.6
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში	93.90	91.5	88.5	87.4	86.0	86.6
წმინდა გადასახადები პროდუქციაზე	6.10	8.5	11.5	12.6	14.0	13.4
მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში	100.00	100.00	100.00	100.00	100.00	100.00

ცხრილი № 3.4.3.

მშპ სამუშაო ძალასთან მიმართებაში რეგიონების მიხედვით ლარი/კმ/კაცი

წელი

რეგიონი	2005	2006	2007	2008*
კახეთი	5140.2	5682.7	6599.8	7520.8
თბილისი	6384.0	8118.0	10380.6	12570.3
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	3713.3	3863.8	5197.7	7851.9
ქვემო ქართლი	4061.8	5062.1	6482.3	7037.2
სამცხე-ჯავახეთი	3998.1	4422.3	4834.5	5739.4
აჭარა	5451.3	7212.4	9047.0	7848.8
გურია	4671.7	4695.8	5060.0	5882.6
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4243.1	5449.9	6349.6	7890.5
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	5529.2	5813.2	6918.7	7899.6
<b>მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში</b>	5081.5	5958.5	7434.5	8612.3
წმინდა გადასახადები პროდუქციაზე	660.4	862.1	1212.4	1331.2
<b>მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში</b>	5741.9	6820.6	8646.9	9943.5

მოსახლეობის რაოდენობა და დასაქმებულთა მაჩვენებლები იხ. №3.4.3 ცხრილში მოცემულია მშპ სამუშაო ძალასთან მიმართებაში რეგიონების მიხედვით ლარი/კმ/კაცი, ხოლო №3.4.4. ცხრილში მშპ ერთ დასაქმებულზე რეგიონების მიხედვით ლარი/კმ/კაცი, ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიღარიბე ყველაზე მძაფრი არის გურიაში, სადაც ყველაზე დაბალია მშპ პროდუქტი, როგორც ერთ კაცზე, ასევე ერთ დასაქმებულზე და ამ მიმართულებით აუცილებელია სახელმწიფომ განახორციელოს ეკონომიკური ზრდის განვითარების პროგრამები. შემდეგი რეგიონი რომელშიც სიღარიბის პრობლემა ასევე მწვავედ დგას, არის სამცხე-ჯავახეთი.

ცხრილი № 3.4.4

მშპ ერთ დასაქმებულზე რეგიონების მიხედვით ლარი/კმ/კაცი

წელი

რეგიონი	2005	2006	2007	2008*
კახეთი	5381.4	6075.7	6964.8	8292.2
თბილისი	8996.2	11623.5	14417.6	17896.4
შიდა ქართლი და მცხეთა-მთიანეთი	4237.9	5961.2	5782.4	12575.8
ქვემო ქართლი	4475.2	4520.9	7013.6	6623.7
სამცხე-ჯავახეთი	4244.4	4632.5	5204.9	6202.4
აჭარა	6843.3	8897.3	12120.6	10546.5
გურია	4913.0	4818.1	5118.5	6114.5
სამეგრელო-ზემო სვანეთი	4572.2	5820.4	6762.2	8942.8
იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6166.9	6434.0	7455.0	8954.7
<b>მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში</b>	19.7	18.9	28.6	28.2
წმინდა გადასახადები პროდუქციაზე	2.6	2.7	4.7	4.4
<b>მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში</b>	22.3	21.6	33.2	32.6

### 3.1. გადასახადების ამოღება და ეკონომიკური ზრდა საქართველოში

მოლიანი შიდა პროდუქტის კომპონენტებიდან ერთი-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი კომპონენტი არის გადასახადები. ეს მუხლი ლოგიკურად ასეც უნდა იყოს, რადგან საქართველოში ფაქტობრივად 1996 წლამდე სახელმწიფო ინსტიტუციონალური საფუძვლები თითქმის არ არსებობდა. 1997 წელს შევიდა ძალაში პირველი საგადასახადო კოდექსი, რომელიც 21-ზე მეტ გადასახადს და ამასთანავე ძალიან მაღალ განაკვეთებს ითვალისწინებდა, რამაც, თავის მხრივ, ქვეყანაში წარმოშვა უამრავი პრობლემა, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი კორუფციაა.

ცნობილია, რომ გადასახადი ის ფასია, რომელსაც ცივილიზებული საზოგადოებისათვის ვიხდით. მართლაც, ჩვენი საზოგადოება ვერ იარსებებს ზოგიერთი გადასახადის გარეშე. ყოველი ჩვენგანი მთავრობისაგან ელის გარკვეული მომსახურების უზრუნველყოფას, როგორცაა გზები, პარკები, პოლიცია და სახელმწიფო თავდაცვა. ამ საზოგადოებრივი მომსახურებისათვის საჭიროა საგადასახადო შემოსავალი. ყველა მთავრობა გადასახადებს საზოგადოებისათვის საჭირო თანხების მისაღებად აწესებს და იყენებს. ვინაიდან გადასახადები ფისკალური პოლიტიკის ინსტრუმენტია. ისინი მრავალფეროვნად მოქმედებენ ჩვენს ცხოვრებაზე.


ბაზარი ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების საშუალებაა. მაგრამ, როდესაც მთავრობა საქონლის მყიდველებსა და გამყიდველებს გადასახადს გადააკისრებს, საზოგადოება ბაზრის ეფექტიანობისაგან მიღებული სარგებლობის ნაწილს კარგავს. გადასახადები ძვირად უჯდებათ ბაზრის მონაწილეებს არა მარტო იმიტომ, რომ გადასახადებს გადააქვთ რესურსები ამ მონაწილეებისაგან მთავრობის ხაზინაში, არამედ იმიტომაც, რომ გადასახადები ცვლის ადამიანთა სტიმულებს და ბაზრის ფუნქციონირების შედეგებს ამახინჯებენ.

საქონლის დაბეგვრა ამცირებს ამ საქონლის მყიდველთა და გამყიდველთა კეთილდღეობას და მწარმოებლის დანაზოგების შემცირება, როგორც წესი, მთავრობის მიერ მიღებულ შემოსავალზე მეტია. გადასახადები საერთო

დანაკარგებს იწვევს, რადგან მიწოდებისა და მოთხოვნის ელასტიურობას ასახავს, თუ რამდენად რეაგირებენ ბაზრის მონაწილეები ბელასტიკურობისაზრის პირობებზე ამიტომ, რაც მეტია ელასტიურობა, მით მეტია საერთო დანაკარგი.

რაც უფრო იზრდება გადასახადი, მით უფრო მეტად ამახინჯებს სტიმულებს და მით უფრო იზრდება საერთო დანაკარგი. საგადასახადო შემოსავალი კი თავდაპირველად იმატებს გადასახადის განაკვეთის სიდიდის ზრდისას, მაგრამ შემდეგ განსაზღვრული წერტილის მიღწევისას ამცირებს საგადასახადო შემოსავალს, ვინაიდან ამცირებს ბაზრის ზომებს, ამის ილუსტრაციაა დიაგრამა №3.1.1.

დიაგრამა №3.1.1. გადასახადის ზომა და ბაზრის დანაკარგები






აქედან გამომდინარე, მაღალი გადასახადები იმდენად ამცირებს ბაზრის ზომებს, მისაღები ეფექტი საზოგადოებრივი მოთხოვნილებისათვის აუცილებელი თანხები მცირდება, ამასთანავე მცირდება მიღებული დანახოვები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია ადგილობრივ ინვესტიციებთან (ეს კიდევ ცალკე კვლევის თემაა და ამ ნაშრომში არ არის საშუალება მისი დეტალური განხილვისათვის).

საბოლოო ჯამში შედეგი სახეზე იქნება: შემცირებული ბიზნეს ორგანიზაციები, შეუვსებელი ბიუჯეტი და არასაკმარისი თანხები ადგილობრივი ინვესტიციებისათვის, რაც თავისთავად მაღალი უმუშევრობის მაჩვენებელი და შეფერხებული ეკონომიკური ზრდაა.

სახელმწიფოში იმ ზომით უნდა დაწესდეს გადასახადების სიდიდე, რომ ხალხმა დაახლოებით ზუსტად იმდენივე დაკარგოს გადასახადების სახით, რასაც სახელმწიფოსაგან მისაღებ მომსახურებას მოელიან, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნება ბიზნესის არალეგალურ სექტორში გადანაცვლებას, ანდა, შეუძლებელი გახდება კერძო საწარმოთა ფუნქციონირება, ანუ ნამდვილი ბიზნესი, მით უმეტეს მცირე ბიზნესი, მოკვდება.

დიაგრამა №3.1.2



ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის მონაცემებს, რეგისტრირებულ კერძო სამართლის სუბიექტთა (გადასახადის გადამხდელთა) რაოდენობის დინამიკა საქართველოში 1995 წლიდან 2001 წლის ჩათვლით, რომლის მონაცემთა გაანალიზების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, 1997 წელს, რაც ძალაში შევიდა, საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მკვეთრად შემცირდა კერძო სამეწარმეო, უფრო ზუსტად გადამხდელ ორგანიზაციათა რიცხვი (იხ. დიაგრამა №3.1.12).

კერძოდ 1997 წელს რეგისტრირებული იყო 41852 გადამხდელი კერძო სამართლის სუბიექტი, რომელიც შემცირდა 18100-მდე, მათ შორის ყველაზე მწვავე შემცირება მოხდა ინდივიდუალური მეწარმეების, რომელთა რიცხვი 18260-იდან შემცირდა 9285-მდე. ყოველივე ეს ნათლად ადასტურებდა, რომ აუცილებელი იყო საგადასახადო სისტემის ლიბერალიზაცია და მნიშვნელოვანი ზომების გატარება.

2004 წლიდან, ახალი მთავრობის მოსვლისთანავე დღის წესრიგში პირველად დადგა საგადასახადო რეფორმა და მთავრობამ განაცხადა, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი. საქართველოს მთავრობისათვის ეკონომიკური რეფორმის და მთლიანად ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს რეფორმები ფისკალურ სფეროში, ახალი ფისკალური პოლიტიკის შემუშავება, რომლის მიზნებია:


- ბიზნეს გარემოს გაუმჯობესება საქართველოში;
- უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- ფისკალური დისციპლინის განმტკიცება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები ფისკალური რეფორმის მიმართულებით. გატარდა რადიკალური ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, 2005 წლის 1 იანვარიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვით შემცირდა გადასახადების ოდენობა გამარტივდა ადამინისტრაციული

მექანიზმები, ჩამოყალიბდა მყარი სამართლებრივი ბაზა, ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერისათვის. გადამხდელების მიმართ გამკაცრდა კონტროლის მექანიზმები. შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი. არსებული 21 გადასახადიდან რაოდენობა შემცირდა 6-მდე.

ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდგომ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შესანარჩუნებლად ინვესტიციებისა და ექსპორტის წახალისების მიზნით განხორციელებული ცვლილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი, რომ 2007 წლიდან ასევე მოხდა გადასახადების ლიბერალიზაცია და ეს პროცესი გაგრძელდება მომავალ წლებშიც, იხ. დიაგრამა №3.13<sup>40</sup>.

დიაგრამა №3.13.



როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, საქართველოს მთლიანი შიდა პროდუქტი ბოლო 13 წლის განმავლობაში გაორმაგდა, ასევე გაიზარდა

<sup>40</sup> წყარო: [http://www.mof.ge/default.aspx?sec\\_id=1336&lang=1](http://www.mof.ge/default.aspx?sec_id=1336&lang=1)


ცხოვრების სტანდარტები, გაზრდილია ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობაც, ხოლო გადასახადების ამოღება, მიუხედავად გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთის შემცირებისა, 3-ჯერ არის გაზრდილი.

იმისათვის, რომ დავადგინოთ ასახავს თუ არა ბიზნესის რაოდენობის ზრდა მათ ეფექტიანობას, განვიხილოთ მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალური და რეალური მაჩვენებლით ერთ ბიზნეს სუბიექტზე 2003 წლიდან დღემდე.

მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ საგადასახადო შემოსავლები უფრო სწრაფად იზრდებოდა, ვიდრე თავად ეკონომიკა, რომელიც განპირობებული იყო რამდენიმე მიზეზით, პირველი ეკონომიკური ზრდით, საგადასახადო სისტემის სრულყოფით, გადასახადების რაოდენობისა და განაკვეთის შემცირებით და ადმინისტრირების გაზრდით, ეს დამოკიდებულება უფრო ნათლად ჩანს 1996-2008 წლების მონაცემების ანალიზში. იხილეთ დიაგრამა №3.14.

გრაფიკი 3.14.

მშპ-ს და გადასახადების ამოღების ზრდა 1996-2008



წყარო: საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი

პარალელურად, თუ დავაკვირდებით რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობას, ისინიც ძალიან მკვეთრადაა გაზრდილი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში (იხ. №3.1.2. ცხრილი: რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტთა რაოდენობა).

ცხრილი 3.1.2

რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტები

რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით								
	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009 <sup>1</sup>
საქართველო – სულ	93862	105964	120377	144949	173375	227180	260335	268546
მათ შორის:								
ქ. თბილისი	39006	44847	53155	68215	86409	109056	123166	126074
აფხაზეთის ა.რ.	1154	1314	1404	1419	1434	2100	3059	3397
აჭარის ა.რ.	4756	5068	5564	6231	7247	11459	14206	14798
გურია	2564	2669	2790	3535	4069	5781	6671	6906
იმერეთი	14062	14863	15619	16216	17924	24755	29621	31211
კახეთი	7017	8831	9054	9345	9923	12629	14297	14701
მცხეთა-მთიანეთი	3513	3894	4309	4734	5120	5895	6350	6476
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	1114	1246	1319	1363	1432	1575	1708	1767
სამეგრელო-ზემო სვანეთი	5780	6562	7483	10015	12400	19011	21708	22519
სამცხე-ჯავახეთი	2859	3143	3307	3474	3814	5205	5732	5858
ქვემო ქართლი	7817	8655	9974	12946	15305	18907	21347	21911
შიდა ქართლი	4220	4872	6399	7456	8298	10807	12470	12928


წყარო: საქართველოს საწარმოთა და ორგანიზაციათა ერთიანი სახელმწიფო რეესტრი

თუ მშპ-ს მონაცემებს რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების მონაცემებზე გაყოფთ, მივიღებთ თვისობრივად ახალ მაჩვენებელს, რომელსაც ვუწოდებთ ეკონომიკური სუბიექტების ეფექტიანობას ქვეყანაში, ანუ

$$\text{ეკონომიკური სუბიექტების ეფექტიანობას} = \text{მშპ} / \text{რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობაზე}$$

შედეგები მოცემულია №3.1.5 დიაგრამაზე. რომლის საფუძველზეც შევიძლია ვთქვათ, 2003 წლიდან დღემდე თითოეული ეკონომიკური სუბიექტის ეფექტიანობა შემცირებულია მნიშვნელოვნად. 2003 წლიდან დღემდე ნომინალურ ცვლადებში შემცირება 7570 ლარს უტოლდება, რეალურ ცვლადებში ეს მაჩვენებელი 32957 ლარს შეადგენს ანუ შემცირება არის 40%.

დიაგრამა № 3.1.5.




ასევე საინტერესო იქნება ახალი მაჩვენებელი ერთი ეკონომიკური სუბიექტის გადახდილი გადასახადის წილი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში, რომელსაც დავარქმევ გადასახადტევადობას ერთ ბიზნეს სუბიექტზე:

$$\text{გადასახადტევადობას ერთ ბიზნეს სუბიექტზე} = \frac{\text{მშპ-ში გადასახადები}}{\text{რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობაზე}}$$

ეს მონაცემები წარმოდგენილია №3.1.6. დიაგრამაში, ხოლო №3.1.3 ცხრილი თავს უყრის ყველა ამ მონაცემს, ნომინალურ და რეალურ მშპ-ს, ბიზნეს სუბიექტების რაოდენობას, გადასახადტევადობას ერთ ბიზნეს სუბიექტზე ნომინალურ და რეალურ ცვლადებში, ასევე ეკონომიკური სუბიექტების ეფექტიანობას ნომინალურ და რეალურ ცვლადებში. როგორც, მაჩვენებელი გადასახადტევადობა ერთ ბიზნეს სუბიექტზე ასახავს: ერთი ბიზნეს სუბიექტის გადახდილი გადასახადი ნომინალურ ცვლადებში ჯერ იზრდებოდა, ხოლო შემცირდა 2008 წელს, მხოლოდ ამ მონაცემით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემცირება 2008 წელს დამოკიდებული იყო ეკონომიკურ კრიზისთან და საომარ მოქმედებებთან.

ცხრილი 3.1.6.



ცხრილი 3.1.3.

მშპ-ს და ეკონომიკური სუბიექტების ანალიზი ეფექტიანობის მიხედვით

დასახელება	2003	2004	2005	2006	2007	2008
გადასახადები პროდუქციაზე მიმდინარე ფასებით მილლარი	578.3	892.1	1,397.3	1,800.6	2,454.3	2,639.3
გადასახადები პროდუქციაზე/2003 წლის ფასებით მილიონი ლარი	578.3	626.1	633.5	677.5	794.4	798.8
რეგისტრირებულ ეკონომიკურ სუბიექტთა რაოდენობა	105964	120377	144949	173375	227180	260335
ნომინალური მშპ-ში გადასახადების წილი ერთ ბიზნეს ერთეულზე	5457	7411	9640	10386	10803	10138
რეალური მშპ-ში გადასახადების წილი ერთ ბიზნეს ერთეულზე	5457	5201	4370	3908	3497	3068
ნომინალური მშპ	8564	9824	11621	13790	16994	19070
რეალური მშპ 2003 წლის ფასებით	8564	9066	9936	10868	12209	12461
ნომინალური მშპ ერთ ბიზნეს ერთეულზე	80821	81613	80173	79538	74803	73250
რეალური მშპ ერთ ბიზნეს ერთეულზე	80821	75313	68546	62685	53741	47864

გადასახადტევადობა ერთ ბიზნეს სუბიექტზე რეალურ ცვლადებში არსებითად შემცირებულია. 2003 წელს ეს მაჩვენებელი 5457 ლარს შეადგენდა. შემცირდა – აგრეთვე ნომინალური მშპ ერთ ეკონომიკურ სუბიექტზე, რომელიც 78 ათასი

ლარიდან 75 ათას ლარამდე დავიდა, ხოლო რეალური მშპ 53,4 ათასი ლარიდან 35,7 ათას ლარამდე შემცირდა. ანუ ნომინალურ ცვლადში მხოლოდ შემცირებულია დაახლოებით 4%-ით, ხოლო რეალურ ცვლადებში 33%-ით.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ საქართველოში გადასახადების ადმინისტრირება გაუმჯობესებულია. ასევე გაუმჯობესებულია ეკონომიკური აქტივობა, რადგან ეკონომიკური სუბიექტების რაოდენობის ზრდა სახეზეა. მაგრამ ზოგადად ეკონომიკური სუბიექტების ეფექტიანობა შემცირებულია, მყარი ეკონომიკური ზრდა კი მიიღწევა არსებული რესურსების ეფექტიანობით და არა თავად რესურსების გაზრდით, რაც ფაქტობრივად გვიქმნის საფუძველს იმისას, რომ დანამდვილებით დავასკვნათ: ბიზნეს გარემო საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება – და რომ ბიზნესმენები ცდილობენ ბიზნესის დანაწევრებას, რათა თავი აარიდონ ქვეყანაში არსებულ პრობლემებს.



### 3.2. ბანათლება და ეკონომიკური ზრდა

ბოლო ათწლეულების მანძილზე საქართველოში მომხდარმა ცვლილებებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა განათლების სისტემაზე. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობების ფონზე განათლების სისტემამ პრიორიტეტული მნიშვნელობა დაკარგა. მწირი დაფინანსება, ეკონომიკური კრიზისი, ფრაგმენტული სასწავლო გეგმები, განათლებასა და შრომის ბაზარს შორის სუსტი კავშირი, თანამედროვე მოთხოვნებთან ტოტალური შეუსაბამობა და კორუფცია რეგიონის საერთო პრობლემად იქცა. განათლების სისტემას, რომელიც საქართველოში უფასო იყო, მნიშვნელოვნად შეუმცირდა სახელმწიფო დაფინანსება. გაიზარდა შესაბამისი აკადემიური ხარისხისა და შესაბამისი განათლების არმქონე განათლების სფეროში მომუშავე პერსონალის რაოდენობა. ამას თან ერთვის პროფესიონალი კადრებისა და ინტელექტის გადინება ქვეყნის ფარგლებს გარეთ. განათლების სისტემა ვერ უზრუნველყოფდა სწავლების მაღალ დონეს. მკვეთრად დაეცა განათლების მიღების შემდგომ დასაქმების მაჩვენებელი. მთლიანად დაინგრა საბჭოთა საგანმანათლებლო ინსტიტუტები, მწირი დაფინანსების პირობებში სკოლები და უმაღლესი სასწავლებლები კორუფციის ბუდედ გადაიქცა.

ზემოთ აღნიშნულმა პრობლემებმა საჭირო გახადა რეფორმების სწრაფი ტემპით გატარება. საქართველოში განათლების რეფორმა მოიცავს განათლების მთლიან ციკლს სკოლამდელი განათლებიდან დაწყებული დოქტორანტურით დამთავრებული, თუმცა ის განსაკუთრებით სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებას შეეხება. რეფორმის ძირითადი მიზანია განათლების ხელმისაწვდომობის, ხარისხის, გამჭვირვალობისა და ობიექტურობის მიღწევა. ასევე მნიშვნელოვანია ბაზარზე ორიენტირებული სისტემის ჩამოყალიბება, საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა, განათლების საფეხურებს შორის შესაბამისობის მიღწევა და მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების ხელშეწყობა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ განათლების დონესა და დასაქმებას ან ანაზღაურებას შორის დასავლეთში დადგენილი კავშირი სამხრეთ კავკასიაში და, მითუმეტეს, საქართველოში არ დასტურდება, რაც გავლენას ახდენს განათლების მიმართ დამოკიდებულებასა და მოლოდინების ფორმირებაზე. შესაბამისად, განათლების მიღების მოტივი ხშირად ფუნქციურ დატვირთვასაა

მოკლებული. უმაღლესი განათლების მიუხედავად მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია და ეძებს სამსახურს, ამას თან ერთვის ის გარემოება, რომ განათლება სულ უფრო ხდება დამოკიდებული სოციალურ და ეკონომიურ ფაქტორებზე, მცირდება საბიუჯეტო დაფინანსება და იზრდება განათლების საფასური, რაც მას ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის. დღეისათვის რეგიონის ერთ-ერთი პრობლემაა შრომის ბაზარსა და განათლების სისტემას შორის კავშირი. ცალკეული სახელმწიფო თუ ფასიანი სასწავლებლები, რომლებიც შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებას ცდილობენ, მაღალი საფასურის გამო საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილისათვისაა ხელმისაწვდომი. აღნიშნული პრობლემების ფონზე გასაკვირი არ არის, რომ განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში საზოგადოებას ნაკლებად აქვს გაცნობიერებული სწორი განათლების მნიშვნელობა. განათლების მიმართ დამოკიდებულებასა და პროფესიულ წარმატებას შორის წინსვლა შეინიშნება. ასევე ხშირად ფიქსირდება შეუსაბამობა განათლების მიღების მოტივს, დასაქმების მოლოდინსა და განათლების მიმართ დამოკიდებულებას შორის.

წინა თავებში აღწერილი და განხილული მაგალითების საფუძველზე არსებითად გამოიკვეთა ეკონომიკური ზრდის ფაქტორები და წამახალისებელი სფეროები, რომელთაგან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს განათლების სფეროს. განათლება ქართველებისათვის ერთგვარად მოხვენებითი მოხმარების მსგავსი საქონელია, რაც იმას ნიშნავს, რომ განათლება, ანუ დიპლომის ქონა, ერთგვარდ მოდისა და პრესტიჟის გამოძახილია და არა შინაგანი პერსონალური სოციალური მოთხოვნის. ამიტომ განსაკუთრებით მტკივნეულია განათლების სფეროში დახარჯული თითოეული თეთრის ადეკვატურობის გამოაშკარავება. ძნელია სახელმწიფომ ზღვარი გაავლოს რეალურ მოხმარებასა და მოხვენებით მოხმარებას შორის განათლების სექტორში. განსაკუთრებით ამ ფონზე მნიშვნელოვანია განვიხილოთ საქართველოს მოქალაქეების საგანამანათლებლო დონე და მისი გაუმჯობესების პერსპექტივები, შემდეგ კი შევეხეთ განათლებაში მიმდინარე რეფორმებს, წარმატებებსა და პრობლემებს.

1996 წლიდან 2008 წლამდე საქართველოში განათლების სექტორში შექმნილი პროდუქტი ნომინალურ ცვლადებში ხუთჯერ არის გაზრდილი, მაგრამ ეს მაჩვენებელი რეალურ ცვლადებში, მხოლოდ 1,64-ის ტოლია. მნიშვნელოვანია ის

საკითხიც, რომ განათლების სფეროში შექმნილი პროდუქტის წილი მთლიანად ქვეყანაში შექმნილ პროდუქტთან მიმართებაში რეალური ცვლადებით ნიშნულად შემცირდა, თუ არ ჩავთვლით 2008 წლის მონაცემებს, როცა სტრუქტურაში უმნიშვნელო ზრდას აქვს ადგილი, რომელიც შესაძლებელია სხვა სფეროების შემცირების საფუძველზე მოხდეს, რადგან 2008 წელს საქართველოს მშპ-ს ზრდა დაგეგმილთან შედარებით ნაკლები იყო აგვისტოში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო.

ცხრილი 3.2.1. მშპ-ში განათლების წილის ანალიზი

დასახელება	1996	1997	1998	2007	2000	2001	2003	2004	2005	2006	2007	
ნომინალური მშპ- მილ.ლარი	101.3	126.4	141.0	184.3	213.7	238.4	273.3	278.0	344.1	385.2	511.2	549.2
ნომინალურ მშპ-ში სტრუქტურული წილი	2.6	2.8	2.8	3.3	3.5	3.6	3.7	3.2	3.5	3.3	3.7	3.2
რეალური მშპ მილიონი ლარი	101.3	101.5	98.5	89.1	96.4	99.9	101.3	102.9	104.8	119.2	133.6	143.8
რეალური მშპ-ში სტრუქტურული წილი	2,62	2,46	2,24	1,84	1,90	1,87	1,76	1,65	1,74	1,80	1,77	1,89
მშპ-ში განათლების კომპონენტის ზრდის ტემპი	100,0	100,3	97,3	88,0	95,2	98,6	101,6	103,5	117,7	131,9	142,0	164,2

აუცილებელია აღინიშნოს საქართველოში განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმები, რომელიც მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება და მიმდინარეობს უკვე 8 წელზე მეტია. საგანმანათლებლო სივრცის ერთიან ევროპულ სისტემაში მოქცევა, ბოლონის პროცესი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებათა აკრედიტაცია, კრედიტების ტრანსფერის ევროპული სისტემა, ეს არასრული ჩამონათვალია იმ რეფორმების შედეგების, რომელიც ამ სფეროში განხორციელდა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ ეს იყო ერთ-ერთი სფერო, სადაც კორუფციის მნიშვნელოვნად მაღალი დონე ფიქსირდებოდა, რასაც არა მხოლოდ ჩინოვნიკების საქციელი, არამედ საზოგადოების არაადეკვატური მოთხოვნა იწვევდა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მასშტაბური სისტემური რეფორმები განახორციელა, როგორც სკოლის მართვისა და ფინანსური უზრუნველყოფის, ასევე სწავლებისა და სწავლის პრაქტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით. თავისი მოცულობითა და განხორციელების ვადებით აღნიშნული რეფორმები შეიძლება უპრეცედენტო მოვლენად მივიჩნიოთ.

განათლების რეფორმების მიმართულებები და კონკრეტული მიდგომები ეფუძნება თანამედროვე კვლევებს და კეთილსაიმედო სასწავლო გარემოს განვითარების საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას და დღეისათვის არსებულ კონსენსუსს სკოლის რეფორმირების შესაბამის მიზნებზე ჩატარებული შეფასებები ცხადყოფს, რომ რეფორმის წინასწარი შედეგები მოიცავს მნიშვნელოვან წარმატებებს, ისევე როგორც ნებისმიერი ძირეული რეფორმისთვის დამახასიათებელ გარკვეულ პრობლემებს და მოსაგვარებელ საკითხებს.

რეფორმის მსვლელობისას მოხდა დაწესებულებების ავტონომია, გადამზადნენ პედაგოგები და ადმინისტრაციული პერსონალი, განახლდა საგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური ბაზა და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა. ასევე შეიქმნა ახალი კანონები, სამართლებრივი ბაზა, რომლებმაც ერთი მხრივ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობა დააფუძნა დემოკრატიულობის, პასუხისმგებლობის და სამართლიანი კონკურენტულობის ერთიან პრინციპებზე, მეორე მხრივ კი, მათ კანონიერების ჩარჩოში მოქმედებისთვის სრული ავტონომია მიანიჭა. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონები: ზოგადი განათლების შესახებ (2005); უმაღლესი განათლების შესახებ (2005); პროფესიული განათლების შესახებ (2007). განახლდა მეცნიერების მართვის სისტემის საკანონმდებლო ბაზა: "მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ" (ცვლილებებით კანონში 2006); "საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის შესახებ" კანონით (2007).

რეფორმის ერთ-ერთი წარუმატებელი სფერო აღმოჩნდა ახალი დაფინანსებისა და მართვის ახალი მოდელი, რომლის მიხედვით ყოველი საგანმანათლებლო თუ სამეცნიერო დაწესებულება თავისი ბიუჯეტის განკარგვისას საკუთარი პრიორიტეტებით ხელმძღვანელობს, ხოლო ინფრასტრუქტურული განვითარებისთვის სახელმწიფოსგან დამატებით პროგრამულ დახმარებას იღებს.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა გადავიდა ერთ მოსწავლეზე გათვლილ, ვაუჩერულ მოდელზე, სადაც როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლები მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად იღებენ თანხას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა ასევე ფინანსდება ერთ სტუდენტზე გათვლილი მოდელით. ამ შემთხვევაში, სახელმწიფო სასწავლო გრანტს მოიპოვებენ ის სტუდენტები, რომლებიც საუკეთესო შედეგებს აჩვენებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ან სოციალური ნიშნით საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობას. შეიქმნა საქართველოში სამეცნიერო პროექტების მართვის ახალი მეთოდი, ის დაეფუძნა არჩევითობის პრინციპს, ასევე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების ავტონომიურობასა და საქმიანობის გამჭვირვალებას. დაწესებულებებმა, შეიძინეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი და ამასთანავე მიიღეს მართვის ორგანოების არჩევისა და სახსრების განკარგვის თავისუფლება, კანონის ფარგლებში საკუთარი წესდებისა და დებულებების თანახმად მოქმედების უფლება. საჯარო სკოლის მართვაში ახალი სტრუქტურა, სამეურვეო საბჭო ჩაერთო, რომელიც სკოლის მართვისა და ბიუჯეტირების ძირითადი საკითხების გადაწყვეტისას პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების ნების გამომხატველია. სკოლის მართვაში 19 ათასამდე ადამიანია ჩართული. მართვის ასეთი მოდელი სახელმწიფოში დემოკრატიული კულტურის განვითარების მნიშვნელოვან ნიშნად შეფასდა. 2006 წლის ივნისში სამეურვეო საბჭოების არჩევნებში 750 ათასამდე მოქალაქე მონაწილეობდა. სწორედ სამეურვეო საბჭოებს მიეცათ საჯარო სკოლის დირექტორის არჩევის უფლება. 2007 წელს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში 5,5 ათასამდე საქართველოს მოქალაქე ჩაება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში ტესტირებისა და გასაუბრების შემდეგ სკოლებს კანდიდატები წარედგინათ. სამეურვეო საბჭოების გადაწყვეტილებით 1 166 საჯარო სკოლას (სკოლების საერთო რაოდენობის 53%) დღეს დემოკრატიული წესით არჩეული დირექტორი მართავს, ხოლო ვაკანტური სკოლებისთვის დაგეგმილი იყო 2008 წლიდან კონკურსებისა და არჩევნების ახალი ციკლის დაწყება, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ციკლი არ დაწყებულა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც მართვის ახალ მოდელზე გადავიდნენ. სასწავლო პროცესზე და რექტორის არჩევაზე აკადემიური საბჭოა პასუხისმგებელი, წარმომადგენლობითი საბჭო კი, რომლის 30 %-ს სტუდენტები შეადგენენ, ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს იღებს. ადმინისტრაციის უფროსს - კანცლერს საკონკურსო კომისია ირჩევს და ამტკიცებს აკადემიური

საბჭო. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების მართვას უზრუნველყოფს თანამშრომლების მიერ არჩეული სამეცნიერო საბჭო და ამ საბჭოს მიერ არჩეული დირექტორი.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ტერიტორიული მართვის მოდელიც დეცენტრალიზაციის პრინციპით შეიცვალა. ეს ნიშნავს, რომ ნაცვლად განათლების განყოფილებებისა, ქვეყნის ყველა რაიონში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოები - 72 საგანმანათლებლო რესურსცენტრი შეიქმნა, რომელთაც ნაცვლად კონტროლისა, დაეკისრათ სკოლებისა თუ პროფესიული სწავლების ცენტრების საქმიანობის ხელშეწყობის, ინფორმაციის შეკრებისა და გავრცელების, კონსულტირების ფუნქცია.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სახელობო განათლების ცენტრების განათლების შინაარსის გასაახლებლად შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი, სადაც მომზადდა ეროვნული სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზეც სხვადასხვა გამომცემლობაში იქმნება ახალი სახელმძღვანელოები, წიგნები და ვიდეომასალები, რომელთა ექსპერტიზას და სკოლებისთვის რეკომენდაბას ახდენს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ხუთი ძირითადი სიახლეა: 1. საგანმანათლებლო პროცესის ცენტრში დგას თითოეული მოსწავლე და მიღწეული შედეგი; 2. გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური შესაძლებლობები და ასაკთან შესაფერისი ინტერესები; 3. სწავლა ნიშნავს ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას; 4. სწავლებაში მოიაზრება არა ერთი დადგენილი გზის გავლა, არამედ მასწავლებლისა და მოსწავლის მიერ ერთობლივად შერჩეული ოპტიმალური ვარიანტის ძიება. 5. მთავარი ორიენტირი ხდება არა ცოდნის ოდენობა, არამედ ხარისხი. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრმა შეიმუშავა საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების ჩარჩო სახელობო პროფესიული განათლებისათვის. სასწავლო გეგმა ეფუძნება სახელობო განათლებაში თეორიისა და პრაქტიკის, სპეციფიკური და ზოგადი უნარ-ჩვევებისა და ცოდნის განვითარების ერთობლიობას, მეწარმეობის პრინციპების შესწავლას და შედეგზე ორიენტირებული სწავლების მეთოდიკას. ცენტრი ახდენს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების ექსპერტიზას.

უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის რეფორმირებისას უპირატესი ამოცანებია საქართველოს უმაღლესი განათლებისა და საერთაშორისო უმაღლესი განათლების ერთმანეთთან შინაარსობრივი შესაბამისობა. კურსდამთავრებულთა სწავლის შედეგებისა და კომპეტენციების, პროფესიული კვალიფიკაციის დაახლოება საერთაშორისო მოთხოვნებთან, აკადემიური ხარისხების თავსებადობა, სწავლებისა და კვლევების ინტეგრაცია, სტუდენტთა და პროფესორთა მობილობა. ჩვენი ქვეყნის უმაღლესი განათლების რეფორმამ საერთაშორისო განზომილება შეიძინა საქართველოს გაწევრიანებით ევროპული საუნივერსიტეტო სივრცის ჰარმონიზაციის ფართო პროცესში – (ბოლონიის პროცესი მაისი, 2005). ევროპის უნივერსიტეტების ერთიანი მიზნების შესაბამისად საქართველოში უკვე დაინერგა სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლება – ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემა. საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობისა და კურსკულუმის რეფორმირების მიზნით ამოქმედდა ევროპული პროგრამა "თუნინგი". მუშავდება ეროვნულ კვალიფიკაციათა ჩარჩო.

პროფესიული განვითარება რეფორმის განხორციელების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. განათლების სფეროს მუშაკების გადამზადებისთვის სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში, რამდენიმე წლის მანძილზე 7 მილიონამდე ლარი დაიხარჯა. ტრენინგები ჩატარდა 67 ათასამდე ადამიანს. მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოების წევრებს და დირექტორებს სკოლის მართვისა თუ ბიუჯეტირების საკითხებში; სკოლის პედაგოგებს – სწავლების მეთოდოლოგიაში, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვაში, ინფორმაციულ ტექნოლოგიებში, სახელმწიფო და მშობლიური ენების სწავლებაში (არაქართულენოვანი სკოლებისთვის); პროფესიული სწავლების ცენტრების პედაგოგებს და ოსტატებს – თანამედროვე სახელობო პროგრამების შედგენასა და სწავლების ახალი მეთოდების დაუფლებაში.

პედაგოგთა პროფესიული განვითარების უზრუნველყოფისა და სერთიფიცირების მიზნით შეიქმნა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტია ერთიანი ეროვნული გამოცდები. სამართლიანი, კონკურენტული გარემოს შექმნა და კორუფციის დაძლევა რეფორმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო, რომელიც საუნივერსიტეტო მისაღები გამოცდების ცენტრალიზებული მოდელის შემოღებით გახდა შესაძლებელი. ამისთვის შეიქმნა გამოცდების ეროვნული ცენტრი. ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხვა გამჭვირვალე და მოქნილი გახდა, აღმოიფხვრა კორუფცია. 2005 წლიდან ეროვნულმა გამოცდებმა მომავალი თაობის წარმოდგენები სრულიად შეცვალა და დააფუძნა ცოდნის, სამართლიანობის, ჯანსაღი კონკურენციის ღირებულებებზე. არასამთავრობო ორგანიზაციის „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ შეფასებით: „ამ გამოცდებმა ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოში არის იმის შესაძლებლობა, მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდეს ღია და სამართლიანი შესარჩევი კონკურსი. ეს კარგად ორგანიზებული პროცესი უნდა გახდეს მაგალითი სახელმწიფოში მიმდინარე სხვა რეფორმებისთვისაც, იქნება ეს საჯარო სამსახურის რეფორმა, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტება, თუ სხვა ცვლილებები<sup>41</sup>“. არასამთავრობო ორგანიზაციის „Freedom House“ 2007 წლის ყოველწლიურ შეფასებაში წერია, რომ „კორუფციის დაძლევაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ადმინისტრირებულ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. ამ გამოცდებმა შეამცირა კორუფცია და დაამკვიდრა ხალხის ნდობა უმაღლესი განათლების სისტემისადმი. აღნიშნული რეფორმის წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაღებ გამოცდებში ქულების მისაღებად სტუდენტები თანხას აღარ იხდიან“<sup>42</sup>.

ცენტრალიზებული წესით ყოველწლიურად 30-დან 40 ათასამდე ახალგაზრდის ცოდნა და უნარები გამოიცდება. ამათგან 15-დან 18 ათასამდე სტუდენტი ხდება, საუკეთესონი კი სახელმწიფოსგან სასწავლო გრანტს იღებენ. ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, როგორც ქვეყანაში კორუფციის დაძლევის ეფექტიანმა მექანიზმმა. წარმატებით მიმდინარეობდა მუშაობა მაგისტრატურაში საერთო მისაღები გამოცდების დასანერგად. 2009 წელს პირველად ჩატარდა ერთიანი სამაგისტრო გამოცდები, რომელიც,

<sup>41</sup> [www.transparency.ge](http://www.transparency.ge)

<sup>42</sup> [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge)



პირველადი შეფასებებით, ისევე წარმატებული იყო, როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურმა აკრედიტაციამ დაარეგულირა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობის პროცესი და გაამკაცრა განათლების ხარისხის სახელმწიფო კონტროლი. აკრედიტაციის პროცესის დაწყებამდე საქართველოში რეგისტრირებული იყო 247 უმაღლესი დაწესებულება, დღეს კი ქვეყანაში 52 საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. სასწავლო გარემოსა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით იგეგმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტაცია, რომლის პროცესი დაწყებულია, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ჭიანურდება. თვითშეფასებისა და გარე ექსპერტიზის მექანიზმები სკოლებს საშუალებას მისცემს, სწორად შეაფასონ და გააუმჯობესონ თავიანთი სასწავლო პროცესი.

2004 წლიდან ამოქმედდა პროგრამები, რომლის დახმარებითაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს სახელმწიფო და მშობლიური ენების უკეთ შესწავლის, პროფესიული და სამოქალაქო განვითარების შესაძლებლობები გაუფართოვდათ. ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელმა პროგრამებმა და სოციალურმა ვაუჩერებმა გაზარდა უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა.

არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლების ხარისხის ამაღლებისთვის შემუშავდა ქართული ენის სწავლების ახალი სტანდარტები, გადამზადდა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ქართული ენისა და ლიტერატურის, ასევე, აზერბაიჯანული და სომხური ენების ყველა მასწავლებელი. საბაზო და საშუალო საფეხურზე ინერგება ქართულის, როგორც არამშობლიური ენის ხუთდონიანი, თანამედროვე ტიპის სახელმძღვანელო „თავთავი“. სახელმწიფო დაფინანსებით „თავთავის“ ორი დონის სახელმძღვანელოს კომპლექტი (სულ 150 ათასზე მეტი ეგზემპლარი) უკვე მიეწოდა 35 000-ზე მეტ მოსწავლესა და 1 000-მდე მასწავლებელს.

განათლების სფეროს რეფორმის ერთ-ერთი მიმართულება არის ინფრასტრუქტურის განახლება, რომელიც თავის მხრივ თანამედროვე საგანმანათლებლო გარემოს შექმნის ერთ-ერთი წინაპირობაა, შესაბამისად, დიდი ოდენობით სახელმწიფო სახსრები ამ ამოცანის გადასატრედად მიმართა და დაიწყო პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამების განხორციელება. ეს პროგრამები ამოქმედდა პრეზიდენტის რწმუნებულებთან, ქალაქებისა და რაიონების მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით. მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ ფარგლებში 2006 წლიდან გარემონტდა 478 სკოლა, აშენდა 32, ახალი მერხებით აღჭურვა 636 სკოლა, სპორტული ინვენტარი მიეწოდა - 204 სკოლას, რაიონულ ცენტრებს და სოფლის სკოლებს საკუთრებაში გადაეცათ 54 სასკოლო ავტობუსი. მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილის“ დასასრულისთვის, 2011 წელს, საქართველოს ყველა სკოლა იქნება განახლებული, ახალი ინვენტარითა და ლაბორატორია-კაბინეტებით აღჭურვილი. პროგრამის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტში წელიწადში 80 მილიონ ლარამდეა გამოყოფილი. პროგრამა „გიორგი ნიკოლაძის“ ფარგლებში მიმდინარეობს სპორტული მოედნებისა და დარბაზების რეაბილიტაცია. აღდგენილი და კეთილმოწყობილია 40 ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი თელავში, გორში, მარტვილში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავში, ლენტეხში, ცაგერის რაიონის სოფელ ბარდნალაში და სხვ. სკოლებს გადაეცათ სპორტული ინვენტარის კომპლექტები. პროგრამა „ირმის ნახტომის“ განხორციელება ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში კომპიუტერიზაციის და ინტერნეტიზაციის მიზნით დაიწყო. 2005 წლიდან დღემდე, ფონდ „ირმის ნახტომის“ მიერ სკოლებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში შეტანილია 26 000 კომპიუტერი. 2008 წელს 900-მდე სკოლაში 9 500 კომპიუტერია შეტანილი, დამატებით 200 სკოლას 200 ლეპტოპი მიეწოდა. არსებული მონაცემებით, ამჯერად 22 მოსწავლეზე 1 კომპიუტერია გათვლილი. უკვე 2009 წელს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყველა საჯარო სკოლაში 20 მოსწავლეზე 1 კომპიუტერი იქნება გათვალისწინებული. გადამზადდა 18 ათასამდე მასწავლებელი, მუშავდება და საგანმანათლებლო პროცესში ინერგება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლებაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების მეთოდოლოგია.

პროფესიული სასწავლებლების რეაბილიტაცია 2006 წლიდან, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში დაიწყო. ამ 2 წლის მანძილზე 13 პროფესიული სწავლების ცენტრი გარემონტდა და აღიჭურვა უახლესი ტექნიკით და დაზგა-დანადგარებით, რაც გადამზადებულ, ახალი პროგრამებითა და სტანდარტებით აღჭურვილ მასწავლებლებსა და ოსტატებს საუკეთესო სასწავლო შედეგების მიღწევის საშუალებას უქმნის. ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 11 მილიონი ლარი.

განათლებლასა და მეცნიერებაში სისტემური რეფორმების ინიცირებით დასრულდა ცვლილებების პირველი ეტაპი. მომდევნო ამოცანა რეფორმირებული სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფაა, რისთვისაც აუცილებელია ვითარების მუდმივი შეფასება და კორექტირება. განვითარებული დემოკრატიების გამოცდილებამ ცხადყო, სახელმწიფოს წარმატებას მისი მოქალაქეების კონკურენტუნარიანობა განაპირობებს, რაც, თავის მხრივ, სწორედ თანამედროვე განათლებისა და მეცნიერების სისტემის ნაყოფია.

განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმებში სხვადასხვა პროგრამების განხორციელებაში შეიტანეს უზარმაზარი წვლილი საერთაშორისო და ქართულმა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომელთა შორისაა მსოფლიო ბანკი, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), გაეროს განვითარების ფონდი (UNDP), გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF), ეუთოს მისია საქართველოში (OSCE), ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“ და ევროკომისია (EC).

განათლებისა და მეცნიერების სისტემის რეფორმის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ბევრი მიმართულებით წარმატებულია, მაგრამ ერთ-ერთი პრობლემურ სფეროდ მაინც რჩება დაფინანსების საკითხები და გაცდენილი გაკვეთილები.

საქართველოში ზოგადი განათლების ვაუჩერულ დაფინანსებაზე გადასვლა და სკოლების დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია სკოლის ინსტიტუციური განვითარების, საზოგადოებაში მისი ადგილისა და როლის დასაკავებლად, მაგრამ ყველაზე დიდი პრობლემა, რაც სკოლების დეცენტრალიზაციას მოჰყვა, ვაუჩერით დაფინანსება და არასაკმარისი ფინანსები

იყო. ეს, რა თქმა უნდა, ერთი შეხედვით, მაგრამ უფრო ღრმად თუ გაგაანალიზებთ ამან გამოიწვია დიდკონტიგენტის სკოლების გაზარდაცემა და მცირე კონტიგენტის გააქტიურება. ამას დაემატა ისიც, რომ დაწყებითი კლასების შენახვა უფრო იაფია, ვიდრე საბაზო ან საშუალო საფეხურის კლასების, ამიტომ სკოლების აქცენტი არსებითად გადატანილია დაბალ კლასებში სწავლების ხარისხზე. ამასთანავე თანმდევი ეფექტები, რაც უკავშირდება მოსწავლეთა რაოდენობის შენარჩუნებაზე ზრუნვას, რასაც რეალური სწავლების ხარისხის გაუარესებისაკენ მივყავართ.

მნიშვნელოვანია გამოვიკვლიოთ და განვიხილოთ ამ პრობლემების გამომწვევი მიზეზები და ამასთანავე საჭიროა დაგსახოთ მისი გამოსწორების სტრატეგიები.

თანამედროვე აღრიცხვის (ბუღალტერიის) მიმართულება “მმართველობითი აღრიცხვა”, რომელიც იკვლევს დანახარჯთა აღრიცხვისა და ბიუჯეტირების საკითხებს, გვთავაზობს ბიუჯეტირების ახალ მეთოდებს, რომლის საფუძველზეც შეიძლება ამ საკითხებზე ადეკვატური რეაგირება. ეს მეცნიერება განსაკუთრებით წინა საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ გააქტიურდა და თანამედროვე ავტორები დიდი ხანია მუშაობენ დაფინანსების ბიუჯეტირების და დანახარჯთა მართვის საკითხებზე, თავად მეცნიერება საკმაოდ განვითარდა და სრულყოფილი სახე მიიღო ბოლო 30 წელია, მმართველობითი აღრიცხვის ინსტიტუტის განმარტებით: მმართველობითი აღრიცხვა ეს არის ღირებულების ზრდის მუდმივი გაუმჯობესების პროცესის დაგეგმვა, შემუშავება, გაზომვა, ოპერირება და განხორციელება, როგორც ფინანსურ ისე არაფინანსურ სისტემებში, რომელიც საფუძვლად უდევს მენეჯმენტის მოქმედებას, ახდენს ქცევის მოტივირებას და ხელს უწყობს კულტურული ღირებულებების შექმნას, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციის სტრატეგიული, ტაქტიკური და ოპერატიული მიზნების მისაღწევად. მმართველობითი აღრიცხვის შესახებ ასევე ამბობენ, რომ ის მიზანმიმართული და ყოვლისმომცველია. სწორედ ამ მეცნიერების გამოყენებით, რომელიც იკვლევს დანახარჯთა ბუნებას დაგეგმვასა და ბიუჯეტირების სისტემებს, შემოგთავაზებთ ამ საკითხის ახსნას.

ვაუჩერით დაფინანსებამ, რომელიც მიბმულია მხოლოდ და მხოლოდ მოსწავლეთა რაოდენობაზე, სკოლები ჩააყენა სხვადასხვა პირობებში, რადგან აქცენტი გადატანილია მხოლოდ ერთ მაჩვენებელზე, დაფინანსება ანუ

კონტროლი და გადახდა ხორციელდება მხოლოდ მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. სქემა მარტივია, სკოლებს ვუთვლით მოსწავლეებს, ხოლო შემდეგ მათ რაოდენობას ვამრავლებთ ვაუჩერის თანხაზე. სკოლისათვისაც მარტივია საშუალო შემოსავალი ცნობილია და ამის საფუძველზე სკოლა ადგენს ბიუჯეტის მხოლოდ ხარჯვით ნაწილს.

ახალა მოვიყვანოთ სხვა მაგალითი, რა მოხდებოდა, რომ სახელმწიფოს შეეკვეთა 100 ცალი პურის გამოცხოვა, და მასში გადაეხადა 50 თეთრი, შემსრულებელი ალბათ გამოაცხოვდა, რაც შეიძლება მცირე ზომის პურს და მის მასას არ მიაქცევდა ყურადღებას, მაგალითად სამასი გრამი იქნებოდა, რადგან შესრულების მაჩვენებელი არის მხოლოდ რაოდენობა. ახლა განვიხილოთ შემთხვევა, როცა სახელმწიფო შეკვეთას შემდეგი ფორმულირება აქვს: 100კგ პურის გამოცხოვა, მაშინ კი ყურადღებას გაამახვილებდნენ კილოგრამებზე და შეიძლება 1 კილოიანი პურიც გამოეცხოთ. ასეთი შემთხვევები ხშირად ხდებოდა საბჭოთა პერიოდში, როცა მიიღებდნენ დაკვეთას, მაგალითად – გზის გაყვანა თბილისიდან გორამდე, აუცილებლად გზა ვიწრო იქნებოდა ისე, რომ მინიმალური მოთხოვნა, ორი მანქანის გვერდის ავლა დაეკმაყოფილებინა, მაგრამ რომ მიეღოთ ბრძანება 100კგმ ასფალტის საფარიანი გზის დაგების, ალბათ აქცენტს სიგრძეზე არავინ გააკეთებდა და უფრო სივანეზე იზრუნებდა.

ეს საკითხი ჩვეულებრივი ადამიანისეული ბუნების, ხასიათის, გამოძახილია და მენეჯერმა ან/და დამკვეთმა, ჩვენს შემთხვევაში სამინისტრომ, ყოველთვის უნდა გაითავალისწინოს მსგავსი საკითხები.

დაფინანსების და კონტროლის ერთმაჩვენებლიანმა სისტემამ გამოიწვია მოსწავლის დაკარგვის შიში, რომელსაც თან წაჰყვება თავისი ვაუჩერი და ფინანსები. ყოველივე ამან კი სურვილი, მოსწავლე იურიდიულად სკოლაში ირიცხებოდა ეს და თუნდაც საეროდ არ იაროს, რამაც გამოიწვია უფრო მეტად საშუალო საფეხურის კლასებში საგაკვეთილო პროცესის არარსებობა. დაფინანსების ახალმა მოდელმა კი, თავის მხრივ, საშიშროება შეუქმნა ასე კარგად დაწყებულ და მიმდინარე განათლების გამტკიცებისა და გარდაქმნის პროექტს, რომელიც საქართველოს განათლების ინსტიტუციონალური რეფორმის მონაპოვარია.

აქედან გამომდინარე, განათლების დაფინანსების სისტემა არ არის კარგი და მისი დაფინანსების ფორმულის შემოდება, საკმაოდ რთული საქმეა, მაგრამ ამ მიმართულებით კარგი იქნება თუ სამინისტრო გამოიყენებს მრავალმაჩვენებლიანი სისტემით ბიუჯეტირებას, რომელიც დაფუძნებულია საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა მართვაზე.

საქმიანობის სახეობების მიხედვით ხარჯთაღრიცხვა იყენებს ცოდნას, იმ დამოკიდებულების შესახებ, რომელიც არსებობს წარმოებულ ერთეულებსა და ამ ერთეულების წარმოებისთვის საჭირო საქმიანობებს შორის, რათა მოხდეს საქმიანობათა მოთხოვნების დეტალური შეფასება, რომელიც საფუძვლად უდევს შემოთავაზებულ წარმოების გეგმას.

საქმიანობის სახეობების მიხედვით დანახარჯთა მართვის (ABC) სისტემა იყენებს ორეტაპიან მიდგომას, რომელიც მსგავსია, მაგრამ უფრო ზოგადია ვიდრე ტრადიციული დანახარჯთა მართვის სისტემები. ტრადიციული სისტემა იყენებს დეპარტამენტებს ან დანახარჯთა ცენტრებს, სადაც გროვდება და ნაწილდება დანახარჯები. ABC სისტემები დანახარჯთა ცენტრების ნაცვლად იყენებს საქმიანობებს ხარჯების დაგროვებისთვის. ამ სისტემის შექმნის პრინციპი არის იმ საქმიანობების გარკვევა, რომელიც შესრულდა ორგანიზაციის დეპარტამენტების მიერ. ABC სისტემა შემდეგ ანაწილებს რესურსების ხარჯებს საქმიანობებზე გამოყენებული რესურსის ოდენობის მიხედვით.

საქმიანობის სახეობების მიხედვით ბიუჯეტირებას ორი ძირითადი სარგებელი გააჩნია: 1) ის განსაზღვრავს სიტუაციებს, როცა წარმოების გეგმა (ჩვენს შემთხვევაში მოსწავლეებზე განათლების მიცემის გეგმა) მოითხოვს ახალ სიმძლავრეს – როგორც ფიზიკური ასევე ადამიანთა რესურსების მხრივ, რაც უზრუნველყოფს მეტი დახმარებისა და მომსახურების გაწევას ორგანიზაციებისთვის და 2) ის გვაძლევს პროექტის მომავალი ხარჯების განსაზღვრის უფრო ზუსტ საშუალებას.

ქვემოთ მოცემული მარტივი მაგალითი საშუალებას მოგვცემს ჩავწვდეთ საქმიანობის სახეობების მიხედვით ბიუჯეტირების არსს.

დაეუშვათ, რომ არ გვჭირდება საინვესტიციო (გათბობის დამონტაჟების, მშენებლობის) ხარჯების ბიუჯეტირება, რადგან ეს საქმიანობა შეგვიძლია გადავაბაროთ ადგილობრივ მმართველობას ან სხვადასხვა სახელმწიფო პროექტებს. სკოლაში საქმიანობების ანალიზი ცხადყოფს იმას, რომ შეიძლება ხარჯი წარმოიშვას შემდეგი ხუთი ფაქტორის საფუძველზე: მოსწავლის (სწავლება, საგაკვეთილო პროცესი და ა.შ.), კლასის (ყოველ კლასს სჭირდება დამატებითი რესურსი, რომელიც არ არის დამოკიდებული მოსწავლეთა რაოდენობაზე, მასში 20 მოსწავლეა თუ 35 დამრიგებლის გაკვეთილის რაოდენობის ხარჯები ძირითადად ერთი და იგივეა), საფეხურის (ამ შემთხვევაში იგულისხმება დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხური, რადგან მათ განსხვავებული ვიზუალური საშუალებები, ტექნოლოგიური, სასწავლო და ა.შ. საშუალებები სჭირდებათ), პროგრამის (პროგრამაში იგულისხმება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების სხვადასხვა პროგრამებით ან მეთოდებით სწავლება, რომელიც უნდა იყოს სკოლის განვითარების და აქტივობების ერთ-ერთი მთავარი სტიმული) და ფართის (სკოლის გათბობა, განათება, მოვლა დამოკიდებულია ფართზე) მიხედვით.

აქედან გამომდინარე, სკოლის დაფინანსება უნდა მოხდეს მოსწავლის, კლასის, საფეხურის, პროგრამის და ფართის მიხედვით, ახალა ჩვენ შემოგთავაზებთ ამ მოდელის საფუძველზე შემუშავებულ ბიუჯეტირების ანუ დაფინანსების სქემას, და მის ანალიზს, სიმულაციური მიდგომებით. მონაცემები გამოთვლილია საქართველოს მეცნიერებისა და განათლების ვებ-გვერდზე არსებული კვლევის მონაცემებიდან, სადაც განხილულია საჩხერის №2<sup>43</sup> საშუალო სკოლის შედარებითი ანალიზი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელთან. ქვემოთ განვიხილავთ დაფინანსებას რამდენიმე სკოლისათვის, მაგრამ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ საქართველოში დღეს არსებული მოსწავლეზე დაფინანსების ნორმატივები: ქალაქი 400-მდე მოსწავლე – 345 ლარი/მოსწავლეზე, 400-ზე მეტი მოსწავლე – 325 ლარი/მოსწავლეზე; სოფელი/დაბა 200-მდე მოსწავლე 475 ლარი მოსწავლეზე, ხოლო 200-ზე მეტი – 450 ლარი მოსწავლეზე; მაღალმთიანი სოფელი ნებისმიერი რაოდენობის მოსწავლეზე 565 ლარი.

ახლა მოვამზადოთ რამდენიმე სიმულაცია, “რა-თუ” მგრძობელობის ანალიზის გამოყენებით და ზემოთ აღწერილი კრიტერიუმების მიხედვით.

---

<sup>43</sup> [www.mes.gov.ge](http://www.mes.gov.ge)

ა) სიმულაციაში განვიხილოთ საჩხერის №2 საჯარო სკოლა

შემოსავლები	ერთეული	რ-ბა	ღ-ბა	თანხა
მოსწავლე	მოსწავლე	561	120	67320
კლასი	რ-ბა	22	1000	22000
საფეხური I	დაწვებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	6	4000	24000
ფართი	კვმ	1963,5	30	58905
				190225

სავარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	561	325	182325
--	----------	-----	-----	--------

ახალი გეგმის მიხედვით მოსწავლეზე შემოსავალი	339,08
---	--------

ანუ საჩხერის მეორე საჯარო სკოლა მიიღებს ნაცვლად 182325 ლარისა, 190225 ლარს.

ასევე მნიშვნელოვანია, ატომ არის შემოღებული სხვადასხვა თანხა საფეხურების კრიტერიუმებში იმიტომ, რომ საშუალო საფეხური მოითხოვს უფრო მეტ რესურსს ვიდრე დაწვებითი ან საბაზო, რადგან მათ უფრო კვალიფიციური მასწავლებელი სჭირდებათ რომელსაც ასევე ანაზღაურება მეტი უნდა ჰქონდეს, ტექნიკური საშუალებებიც და სკოლის საათობრივი სიმძლავრე.

ბ) ახლა განვიხილოთ თბილისის სკოლა, რომელსაც 700 მოსწავლე ჰყავს, მაგრამ 30 კლასი და 3 პროგრამას ახორციელებს..

შემოსავლები	ერთეული	რ-ბა	ღ-ბა	თანხა
მოსწავლე	მოსწავლე	700	120	84000
კლასი	რ-ბა	20	1000	20000
საფეხური I	დაწვებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	3	4000	12000
ფართი	კვმ	2100	30	63000
				197000

სავარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	700	325	227500
--	----------	-----	-----	--------

ახალი გეგმის მიხედვით მოსწავლეზე შემოსავალი	281,43
---	--------



თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩინოთ, რომ მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით ბევრად მცირე დაფინანსებას ღებულობს სკოლა, რადგან არ ახორციელებს პროგრამებს, კლასებში ჰყავს ბევრი მოსწავლე და შესაბამისად მისი ფინანსები მცირეა ვიდრე არსებული.

გ) ახლა “ბ” სიმულაციაში არსებული მონაცემები შევცვალოთ შემდეგნაირად: მოსწავლეთა რაოდენობა დავტოვოთ იგივე, კლასების რაოდენობა გავზარდოთ, 25 მოსწავლეზე ერთი კლასი, ასევე პროგრამების რაოდენობა გავზარდოთ და ერთ საფეხურზე საშუალოდ გავაკეთოთ 4 პროგრამა ანუ ჯამში 12.

შემოსავლები	ერთეული	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
მოსწავლე	მოსწავლე	700	120	84000
კლასი	რ-ბა	28	1000	28000
საფეხური I	დაწვებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	12	4000	48000
ფართი	კვმ	2100	30	63000
				241000

სავარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	700	325	227500
--	----------	-----	-----	--------

ახალი გეგმის მიხედვით მოსწავლეზე შემოსავალი				344,29
---	--	--	--	--------

როგორც ხედავთ, მოსწავლეთა რაოდენობა არ შეცვლილა, მაგრამ აშკარად გაიზარდა ერთ მოსწავლეზე საშუალო დაფინანსება, რომელიც სკოლას უბიძგებს მეტი პროგრამების განხორციელებისაკენ, მენეჯერს კი სკოლის ინოვაციური მართვისაკენ.

დ) ახლა განვიხილოთ მაღალმთიანი სოფელი, რომელსაც სავარაუდოდ 60 მოსწავლე ჰყავს, და ახორციელებს 3 პროგრამას

შემოსავლები	ერთეული	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
მოსწავლე	მოსწავლე	60	120	7200
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწვებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს საფეხურზე	რაოდენობა	3	4000	12000

5)				
ფართი	კვმ	300	30	9000
				57200

სავარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	60	565	33900
--	----------	----	-----	-------

ახალი გეგმის მიხედვით მოსწავლეზე შემოსავალი				953,33
---	--	--	--	--------

როგორც ხედავთ, შემოსავლები მოსწავლეზე 953 ლარზე ავიდა, მაგრამ როგორც კი არც ერთ პროგრამას არ განახორციელებს, მისი ერთ მოსწავლეზე შემოსავალი გახდება ისეთი, როგორც აღწერილია “ე” სიმულაციაში:

ე) მაღალმთიანი სოფელი 60 მოსწავლეზე არცერთი პროგრამით. როგორც ჩანს ერთ მოსწავლეზე დაფინანსება შემცირდა 200 ლარით. ასევე გაიზარდა დაფინანსება 200 ლარით თუ ის 6 პროგრამას განახორციელებს.

შემოსავლები	ერთეული	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
მოსწავლე	მოსწავლე	60	120	7200
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწვებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	0	4000	0
ფართი	კვმ	300	30	9000
				45200

სავარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	60	565	33900
--	----------	----	-----	-------

ახალი გეგმის მიხედვით მოსწავლეზე შემოსავალი				753,33
---	--	--	--	--------

ე) ახლა განვიხილოთ მაღალმთიანი სოფელი 60 მოსწავლეზე და 6 პროგრამით

შემოსავლები	ერთეული	რ-ბა	ლ-ბა	თანხა
მოსწავლე	მოსწავლე	60	120	7200
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწვებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	6	4000	24000
ფართი	კვმ	300	30	9000
				69200

სავარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	60	565	33900
--	----------	----	-----	-------

ახალი გეგმის მიხედვით მოსწავლეზე შემოსავალი				1153,33
---	--	--	--	---------

ზ) სოფელი დაბა 150 მოსწავლეზე, 1 პროგრამით.

შემოსავლები	ერთეული	რ-ბა	ღ-ბა	თანხა
მოსწავლე	მოსწავლე	150	120	18000
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწვებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს. საფეხურზე 5)	რაოდენობა	1	4000	4000
ფართი	კვმ	600	30	18000
				69000

სავარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	150	475	71250
--	----------	-----	-----	-------

ახალი გეგმის მიხედვით მოსწავლეზე შემოსავალი	460,00
---	--------

თ) სოფელი დაბა 150 მოსწავლეზე, 4 პროგრამით.

შემოსავლები	ერთეული	რ-ბა	ღ-ბა	თანხა
მოსწავლე	მოსწავლე	150	120	18000
კლასი	რ-ბა	11	1000	11000
საფეხური I	დაწვებითი	1	4000	4000
საფეხური II	საბაზო	1	6000	6000
საფეხური III	საშუალო	1	8000	8000
პროგრამა (მაქს საფეხურზე 5)	რაოდენობა	4	4000	16000
ფართი	კვმ	600	30	18000
				81000

სავარაუდო შემოსავალი არსებული განაკვეთით	მოსწავლე	150	475	71250
--	----------	-----	-----	-------

ახალი გეგმის მიხედვით მოსწავლეზე შემოსავალი	540,00
---	--------

როგორც ხედავთ, შემოსავალი გაიზარდა ერთ მოსწავლეზე პროგრამების გაზრდის კვალდაკვალ.

რა თქმა უნდა, იბადება კითხვა: რას უზრუნველყოფს ეს გეგმა? მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ ამ გეგმას უნდა დავურთოთ შესაბამისი შეზღუდვები, მაგალითად, არ შეიძლება სკოლამ ერთ საფეხურზე 5 პროგრამაზე მეტი განახორციელოს, რადგან სკოლა შეეცდება ყველ სახის პროგრამა დანერგოს, რაც ხელს შეუწყობს არაეფექტიანი პროგრამების შექმნას, რადგან არ იარსებებს შეზღუდვები და სკოლებს სურვილი ექნებათ მეტი და მეტი თანხები მოიზიდონ. შეზღუდვების არსებობისას სკოლა პრიორიტეტის და

ადგილობრივი მოთხოვნების მიხედვით აირჩევს შესაბამის პროგრამებს, მაგალითად, ეკონომიკური, მათემატიკური და ა.შ.

სხვა კრიტერიუმებზე შეზღუდვის დაწესება საჭირო არ არის, მოსწავლეთა რაოდენობას სამინისტრო მკაცრად აკონტროლებს, სკოლების ფართობი ტექნიკურ მონაცემებში ზუსტად არის აღრიცხული, საფეხურების რაოდენობაც ვერ შეიცვლება. ერთადერთი რჩება კლასების რაოდენობის მაჩვენებელი, მისი გაბერვა კი არასახარბიელოა, რადგან თუ ღირეპტორი გაყოფს 25 ბავშვიან კლასს, ის მიიღებს დამატებით მხოლოდ 1000 ლარს, ხოლო მასზე დანახარჯი დაწყებითი კლასის შემთხვევაში აჭარბებს 2000 ლარს, ანუ არ არის მომგებიანი, თავად მოსწავლეთა რაოდენობამ და კლასმა უნდა შექმნას კლასის შენახვის ხარჯები.

ასეთი ბიუჯეტირების მეთოდის შემოღებით: სკოლები არ იქნებიან ორიენტირებული მხოლოდ მოსწავლეთა რაოდენობაზე, მიუხედავად მოსწავლეთა რაოდენობისა, ყურადღებას ისინი გაამახვილებენ პროგრამაზე და საფეხურებზე, სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, რაც, თავის მხრივ, წარმოშობს მრავალკომპონენტიანი კონტროლის სისტემებს.

საქმიანობის სახეობების მიხედვით ბიუჯეტირების მეთოდი ძალიან ეფექტიანია, როგორც სახელმწიფო ასევე კომერციულ სტრუქტურებში და შექმნილია კაპლანის, ნორტონის და ატკინსონის მეთოდების საფუძვლებზე, რომლებიც ითვლებიან მმართველობითი აღრიცხვის მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მიდგომების და მეთოდების შემქმნელებად.

ჩატარებული სამუშაოების ფონზე მიღწეული შედეგი კი საკმაოდ არა დამაკმაყოფილებელია, რადგან არაადეკვატური დაფინანსების სისტემა ანადგურებს სკოლების ინსტიტუციურ განვითარებას. თუ სკოლები ისევ ვაუჩერულ დაფინანსებაზე დარჩებიან მათი ფინანსური რესურსები კიდევ უფრო შემცირდება მომავალი 5 წლის მანძილზე, რადგან დემოგრაფიული მონაცემებით აქვს ადგილი სასკოლო კონტიგენტის კლებას.

საერთო მიდგომით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში საგანმანათლებლო სისტემაში განხორციელებული რეფორმები საკმაოდ მასშტაბური და მრავლისმომცველია, მაგრამ მისი წილობრივი ზრდა მთლიან

შიდა პროდუქტში არ არის მნიშვნელოვანწილად გაზრდილი. აუცილებელია სახელმწიფომ იფიქროს განათლების სისტემის დამატებითი პროგრამების შექმნაზე, განსაკუთრებით ზრდასრულთა გადამზადების და “სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში” მიმართულებით.

არსებითი პრობლემებია საქართველოში ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისათვის, პოსტკომუნისტური ტრანსფორმაციის პროცესში ე.წ. Homo Transformativus-ის ბუნება, რადგან ადამიანის მოდელი ეკონომიკურ მეცნიერებათა საფუძვლების ამოსავალი პუნქტია<sup>44</sup>. როგორც ცნობილია, საზოგადოდ Homo econocius-ის განსაზღვრავს შემდეგი სამი ფაქტორი:

- ადამიანის მიზნები;
- მიზნების მიღწევის საშუალებები;
- ინფორმაცია (ცოდნა) იმ პროცესების შესახებ, რომელთა საფუძველზეც ადამიანი მის ხელთ არსებული საშუალებებით ცდილობს მიზნების მიღწევას.<sup>45</sup>

ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით, თუ გადავხედავთ საქართველოს შრომისუნარიან მოსახლეობას აღმოვაჩინოთ, რომ სამუშაო ძალის, 15-წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის ძირითადი Homo econocius-ისთან შესაბამისი ფაქტორები არ გააჩნია საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისი, 100 გამოკითხული სტუდენტიდან 70 ვერ ასახელებს მის კონკრეტულ მიზანს, ხოლო 90 მიღწევის საშუალებებს. ეს მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია 30 წელზე ზემოთ მოსახლეობაში.

სწორედ ამ მიზეზის გამო, ერთ-ერთი მთავარი პრობლემა Homo econocius-ის ჩამოყალიბებაა, ამიტომ მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს განათლების გზით Homo Transformativus-დან საქართველოსა და საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი Homo econocius-ის ჩამოყალიბება.

საქართველოს მთავრობა 2007 წლის მონაცემებით, შემდეგი სახის ინვესტიციებს გეგმავს 2011 წლამდე რაც ითვალისწინებს, განათლების

<sup>44</sup> პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, ვლადიმერ პაპავა 2002, გვ.108.

<sup>45</sup> პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა, ვლადიმერ პაპავა 2002, გვ.110

სექტორში 2009 118 მილიონის, 2010 წელს 124.1 მილიონის, ხოლო 78 მილიონი ლარის ინვესტიციებს 2011 წელს. ხოლო მშპ-ს მიმართ განათლების სამინისტროს ხარჯების წილის საშუალოდ 2.4%-ის ფარგლებში ინარჩუნებს იხილეთ ცხრილი №3.2.2<sup>46</sup>

ცხრილი №3.2.2							
დასახელება	მლნ ლარი						
	2005წ. ფაქტი	2006წ. ფაქტი	2007წ.	2008წ.	2009წ.	2010წ.	2011წ.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	80.9	342.5	382.2	452.9	498.2	589.9	630.0
მშპ-ს მიმართ პროცენტულად	0.7%	2.5%	2.3%	2.4%	2.3%	2.5%	2.3%
მ.შ. ინვესტიციები	15.5	88.8	90.8	108.3	118.8	124.1	78.0
მშპ-ს მიმართ პროცენტულად	0.13%	0.64%	0.55%	0.57%	0.56%	0.52%	0.29%

<sup>46</sup> საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2008-2011 წლებისათვის, თბილისი 2007, გვ. 42.

### 3.3. სოფლის მეურნეობა, მეტყევეობა, მეთევზეობა და თევზჭერა

სოფლის მეურნეობას თავისი მასშტაბისა და მასში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის მიხედვით, უმნიშვნელოვანესი როლი აქვს ქვეყნის ეკონომიკაში და მისი ზრდის საქმეში. უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობა და სასოფლო-სამეურნეო ბიზნესი მოსახლეობის შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს, რაც დღეისათვის სოფლად სიღატაკის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. მაგალითად 2007 წელს, როცა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 13% სოფლის მეურნეობაზე მოდიოდა, მასში საქართველოს შრომისუნარიანი მოსახლეობის 55,6% იყო დასაქმებული<sup>47</sup>.

ქვეყნის ხელისუფლებამ თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ადრეულ ეტაპზევე განახორციელა ფასებისა და ვაჭრობის ლიბერალიზაცია. გაუქმდა სახელმწიფო ჩარევა სასაქონლო ბაზარზე და დაწესდა ვაჭრობის ლიბერალური რეჟიმი. მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა სასოფლო-სამეურნეო დარგში სახელმწიფო ქონების, მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწებისა და აგრო-გადამამუშავებელი საწარმოების პრივატიზაციის მიმართულებით. მიწის რეფორმა საქართველოში 1992 წელს დაიწყო. მას მოჰყვა მიწის იჯარის პროგრამა (1996 წელი). ამ ორი პროგრამის განხორციელების შედეგი არის ის, რომ ქვეყნის სახნავ-სათესი მიწების 57% ამჟამად კერძო საკუთრებაშია, ხოლო 27% სახელმწიფოს მიერ იჯარით არის გაცემული კერძო პირებზე. აღნიშნულმა რეფორმამ, სხვა დადებით შედეგებთან ერთად, შექმნა მოსახლეობის შრომითი დასაქმების რეალური შესაძლებლობა. ამ რეფორმას მხოლოდ მყისიერი დადებითი შედეგი ჰქონდა, ის, რომ მოსახლეობას პირად საკუთრებაში გაუჩნდა მცირეოდენი მიწა არსებობისათვის, მაგრამ გრძელვადიან პერიოდში აგრარული სექტორის განვითარების ხელშემშლელ ფაქტორად გადაიქცა, რადგან მცირე მიწის მფლობელს არა აქვს ძვირადღირებულ ტექნიკაში ინვესტიციების განხორციელების სტიმული, რამაც თავისთავად წარმოშვა უამრავი შემაფერხებელი ფაქტორი, რომელთა შორისაა: გლეხთა და ფერმერთა არაადეკვატური მომზადება, ცუდად განვითარებული ინფრასტრუქტურა (სოფლად გადამამუშავებელი საწარმოების უკმარისობა); ძნელად ხელმისაწვდომი და ამავედროულად არახელსაყრელი კრედიტები; სასოფლო-სამეურნეო საბრუნავი საშუალებების (საწვავი, შხამ-ქიმიკატები, სასუქი)

<sup>47</sup> საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის მონიტორინგი სიღარიბის დაძლევის კონტექსტში, ეკონომიკური კვლევის ცენტრის ბიულეტენი, 2008 წელი, გვ.3.

სიძვირე; ტრანსპორტირების სიძვირე, რასაც დაემატა სარწყავი და სადრენაჟო სისტემების მოშლა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სიძვირე, ასევე ბუნებრივი პირობებისაგან დაუცველობა. აგროსამრეწველო საწარმოთა კერძო მფლობელობაში გადასვლამ, სწორედ ამიტომ ვერ უზრუნველყო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა. მთავარი მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ მცირე მიწის მესაკუთრეებს არ გააჩნიათ საშუალება მოიზიდონ კაპიტალი, დანერგონ მართვის ახალი სისტემები და გავიდნენ ახალ ბაზრებზე. საექსპორტო პოტენციალის ამოქმედებაც სწორედ ამ სირთულეებს უკავშირდება, ამ ფონზე სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ჩარევის გარეშე შეუძლებელია სოფლის მეურნეობის სექტორში მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევა, რადგან პრობლემის გადაჭრის ძირითად გზას ინვესტიციების მოზიდვა და ფერმერთა სწავლების ეფექტური სისტემის განხორციელება წარმოადგენს.

საქართველოში ამჟამად დაახლოებით 1 მილიონი წვრილი ფერმერია. პრაქტიკა ადასტურებს, რომ მათი შრომა გაცილებით ეფექტური იქნებოდა, მეტი დრო რომ ეთმობოდა მათ სწავლებასა და კონსულტირებას.

აღსანიშნავია ისიც, რომ მთის მოსახლეობაში არსებული ამჟამინდელი რესურსები, როგორც ხარისხობრივად, ისე რაოდენობრივად, არაადეკვატურიდა ცხოვრების ნორმალური დონის უზრუნველსაყოფად. გზების სავალალო მდგომარეობა, საქონლის სულადობის შემცირება, სანაშენე მეურნეობის მოშლა, დაბალი მოსავლიანობა, ცხოველთა საკვები ბაზის სიმწირე და ფერდობებზე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტი განაპირობებს ამ კატეგორიის მოსახლეობის სიღარიბის მაღალ დონეს.

სწორედ ზემოთ აღნიშნული მიზეზების შედეგია ის, რომ სოფლის მეურნეობის სექტორი, რომელიც სტრუქტურულ ანალიზში მუდმივად მცირდება ბოლო 13 წლის განმავლობაში, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ განხორციელებული უამრავი პროექტისა და რეფორმისა სოფლის მეურნეობაში არსებული სერიოზული პროგრესი არ არის მიღწეული, უფრო მეტიც, სოფლის მეურნეობის მიერ გამოშვებული პროდუქცია შემცირებულია 1996 წელთან შედარებით, ხოლო მისი წილი სტრუქტურულ ანალიზში განახევრებულია. იმისთვის, რომ ჩვენი ანალიზი უფრო მრავლისმომცველი და ურთიერთდაკავშირებული იყოს, საჭიროა ნომინალურ მთლიან შიდა



პროდუქტთან ერთად განვიხილოთ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი. იხ. დანართი №4, 5 და 6 რომელშიც თვალნათლივ ჩანს, რომ სოფლის მეურნეობა, ნადირობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა, თევზჭერის მუხლები რეალური მაჩვენებლით 2008 წლის მონაცემები 1996 წლის მონაცემებს ჩამოუვარდება 2%-ით, ასევე მნიშვნელოვანია ისიც, რომ თუ დავაკვირდებით მონაცემებს, ზრდის და კლების ტენდენციები ერთმანეთს ენაცვლება და თითქმის არცერთ წელს არ ხერხდება მიღწეული ზრდის შენარჩუნება.

ცხრილი №3.3.1 სოფლის მეურნეობის ნადირობის მეთევზეობა და თევზჭერა													
	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008
ზრდის ინდექსი	100.0	103.9	97.0	103.7	91.3	98.8	97.3	107.4	99.0	110.8	97.9	106.5	98.95
1996 წლის ფასებში მილიონი ლარი	1,282.5	1,332.0	1,244.0	1,329.6	1,170.4	1,266.5	1,248.2	1,377.3	1,269.0	1,421.5	1,255.2	1,365.7	1,365.39
სტრუქტურული პროცენტი მშპ-ში	33.2	27.5	26.2	24.7	20.6	21.0	19.2	19.3	16.4	14.8	11.2	9.2	8.9
ნომინალური მშპ	1,282.5	1,252.9	1,318.0	1,401.4	1,245.0	1,399.0	1,434.6	1,653.0	1,610.7	1,716.4	1,544.3	1,562.7	1,703.9
სტრუქტურული პროცენტი ნომინალურ მშპ-ში	33.15	32.33	28.24	27.56	23.15	23.78	22.15	23.61	20.25	21.29	17.41	17.33	15.34
სტატისტიკური ზრდის ტემპი წინა წლის შესაბამის პერიოდთან	100.0	103.9	93.4	106.9	88.0	108.2	98.6	110.3	92.1	112.0	88.3	108.8	92.8


თუ რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის სოფლის მეურნეობის, ნადირობის, მეთევზეობისა და თევზჭერის მუხლის მონაცემების სტატისტიკურ ანალიზს მოვახდენთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ სოფლის მეურნეობაში არანაირი ცვლილებები არ მომხდარა, 1996 წლის დონე შენარჩუნებულია, უდიდეს ნიშნულს მივადწიეთ 2003 წელს, ასევე 2007 წელს დაფიქსირდა. სოფლის მეურნეობის ზრდის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი 6,5%, რომლის შენარჩუნება 2008 წელსაც ვერ მოხერხდა.


<i>სოფლის მეურნეობის სტატისტიკური ანალიზი</i>	
საშუალო	
არითმეტიკული	1302.099
სტანდარტული ცდომილება	19.31531
მედიანა	1282.463
მოდა	არ/არის
სტანდარტული გადახრა	69.64233
ვარიაცია	4850.054
დიაპაზონი	251.1632
მინიმუმი	1170.362
მაქსიმუმი	1421.525
ჯამი	16927.29
მონაცემი	13

ამ კომპონენტს ნომინალური და რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის სტრუქტურაში პირველი ადგილი ეკავა 1996 წელს, მაგრამ რეალურ მშპ-ში მისი სტრუქტურული წილი მუდმივად მცირდებოდა. ეს უფრო თვალშისაცემია რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ანალიზისას, მისი წილი 33,15%-იდან 9,39%-მდე შემცირდა, თუმცა ნომინალური მშპ-ს ნაწილში ეს შემცირება 33,15%-იდან 15,80%-მდეა, მთლიანი შიდა პროდუქტის გაორმაგების ფონზე სოფლის მეურნეობის პროდუქტის ზრდა საერთო ჯამში არ ყოფილა, იხილეთ № 3.3.1. გრაფიკი და №3.3.2 ცხრილი. მართალია სოფლის მეურნეობის პროდუქცია და მისი წარმოება ძლიერ არის გარემო პირობებზე დამოკიდებული, მაგრამ მსგავსი ტენდენცია მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ სფეროში სერიოზული პრობლემები გვაქვს.

თუ დავაკვირდებით №3.3.3. გრაფიკს, სადაც ასახულია სოფლის მეურნეობა, მეტყვეობა, მეთევზეობა და თევზჭერის კომპონენტის სტრუქტურული წილის დინამიკა, თუ მშპ-ში მის სტატიკურ ანალიზს მოვახდენთ, შემდეგი სახის მონაცემები გვექნება:

გრაფიკი №3.3.2. სოფლის მეურნეობაში, მეტყვეობაში, მეთევზეობაში და თევზჭერაში შექმნილი მთლიანი შიდა პროდუქტი რეალურ და ნომინალურ ცვლადებში





ამ ფონზე სოფლის მეურნეობის სამინისტროს დღის წესრიგში 2008-2011 წლების საშუალო ვადიან პრიორიტეტულ მიმართულებებში მხოლოდ შემდეგი სახის სამი პრიორიტეტი გვაქვს:

- სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურის განვითარება, სამედიცინო სისტემების მართვის რეფორმა;
- მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარება და ფალსიფიკაციასთან ბრძოლა;
- სასურსათო უსაფრთხოებისა და ხარისხის უზრუნველყოფა.

ამ პრიორიტეტების შედეგები კი ფიქრობენ, რომ შემდეგი სახის იქნება, მაგრამ მათ შორის არის ისეთი საკითხებიც არის მითითებული, რომლებიც შეუძლებელია ამ პრიორიტეტებმა გამოიწვიოს:

- სოფლის მეურნეობის პირველად წარმოებაში პროდუქტიულობის ზრდა;
- გაწყლოვანებული და დაშრობილი ფართობების ზრდა;
- სამედიცინო სისტემების ეფექტური მართვა;
- ქვეყნის თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფა;
- ფალსიფიკაციის დონის შემცირება და ქართული ღვინის სასაქონლო ნიშნების დაცვის უზრუნველყოფა შიდა და გარე ბაზარზე;

- გასაღების ბაზრების მოთხოვნის შესაბამისად საქართველოს ღვინის ხარისხის ეფექტური სისტემის შექმნა;
- ქართული ღვინის პოტენციალის რეალიზება შიდა და საექსპორტო ბაზარზე;
- მომხმარებელთა ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა სურსათთან მიმართებაში;
- ეპიზოტიური და ფიტოსანიტარული კეთილსაიმედოობის შენარჩუნება;
- სურსათის ფალსიფიკაციის შემცირება;
- მაღალპროდუქტიული მეცხოველეობის განვითარება;
- ქვეყნის, როგორც კეთილსაიმედო სავაჭრო პარტნიორის, აღიარება.

შედგების შეფასების ზოგიერთი კრიტერიუმი კი შემდეგი სახისაა:

- გაწელოვანებული და დაშრობილი ფართობების მაჩვენებელი;
- დროულად და ხარისხიანად შესრულებული სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის რაოდენობის მაჩვენებელი;
- ფალსიფიცირებული პროდუქციის მაჩვენებელი;
- ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა და გაზრდილი შემოსავალი;
- სურსათით გამოწვეული დაავადებების მაჩვენებელი;
- ეპიზოტიური დაავადებების კერების რაოდენობის მაჩვენებელი.<sup>48</sup>

### ცხრილი №3.3.3

დასახელება	2005წ. ფაქტი	2006წ. ფაქტი	2007წ.	2008წ.	2009წ.	2010წ.	2011წ.
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო	23.5	31.5	33.6	22.7	23.3	24.1	25.0
შპს-ს მიმართ პროცენტულად	0.2%	0.2%	0.2%	0.1%	0.1%	0.1%	0.1%
მ.შ. ინვესტიციები	2.9	7.8	18.7	7.2	7.1	7.1	7.1
შპს-ს მიმართ პროცენტულად	0.02%	0.06%	0.11%	0.04%	0.03%	0.03%	0.03%

მლნ ლარი

<sup>48</sup> საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2008-2011 წლებისათვის, თბილისი 2007, გვ. 45

სოფლის მეურნეობის სამინისტრომ აუცილებელია, მიზნად არა მხოლოდ მეღვინეობის დარგის განვითარება დაისახოს, არამედ ისეთი სახის სფეროებისაც, რომლებიც მოსახლეობას ადგილობრივი წარმოების სურსათით უზრუნველყოფს, მაგალითად, მნიშვნელოვანია მეცხოველეობისა და მეფრინველეობის სექტორში ინვესტიციები, რომლებიც მნიშვნელოვნად შეამცირებს ამ სფეროში იმპორტირებული პროდუქციის მოცულობას. მსოფლიოში ბოლო დროს დიდი მოთხოვნით სარგებლობს აგროტურიზმი, საქართველოს მისი განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია, სამინისტროს მიერ განხორციელებული ინვესტიციების ზრდა ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია. როგორც №3.3.3. ცხრილიდან ჩანს, სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავისი საქმიანობის განხორციელებისთვის მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში მხოლოდ 0.1% ხარჯავს<sup>49</sup>.

---

<sup>49</sup> საქართველოს მთავრობის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2008-2011 წლებისათვის, თბილისი 2007, გვ. 47

## დასკვნა

ყველას მოგვეხსენება მოთხოვნის და მიწოდების ძალების დამოკიდებულება როგორ ახდენს ბაზარზე საქონლისა და მომსახურების ფასების დაწესებას და მოხმარების ნორმირებას, ანუ ხდება საქონლის ნორმირება ყველა ქვეყნის მოქალაქეებისათვის. გაზრდილი ბაზრები, თავის მხრივ, ეკონომიკურად წარმატებული ქვეყნების კიდევ უფრო ზრდისთვის ხელსაყრელ პირობებს იძლეოდა და სწორედ ამის მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ეკონომიკური ზრდის დაფიქსირებული შედეგები.

იმის წარმოსახენად, თუ როგორ აღარიბებს გლობალურ ბაზრებზე დაწესებული ფასები ღარიბ მოსახლეობას და როგორი გავლენა აქვს მას მდიდარი ქვეყნის მოსახლეობაზე, განვიხილოთ ხუთი პირობითი ქვეყანა ლატაკი: ღარიბი, საშუალო, მდიდარი და ძალიან მდიდარი, რომელ ქვეყნებშიც მშპ ერთ კაცზე შემდეგნაირად ნაწილდება, 100, 200, 500, 1000 და 2000 ლარი, თუ გლობალურ საქონელზე, რომელთა ფასი დგინდება გლობალური ბირჟების მეშვეობით, მაგალითად, როგორიცაა საწვავი, იქნება 10 ლარი ერთ ტონაზე, ეს პროცენტულად ლატაკი ქვეყნის მოქალაქისთვის მისი შემოსავლის 10% შეადგენს, ღარიბისთვის 5%, საშუალოსთვის 2%, მდიდრისთვის 1%, ხოლო ძალიან მდიდრისთვის 0.5%, ანუ თითქმის არაფერს.

აქედან გამომდინარე, უნდა გადავხედოთ სხვადასხვა მოსაზრებებს გრძელვადიანი ზრდის მიმართ. მაგალითად, თუ გავიხსენებთ ნეოკლასიკური ზრდის მოდელს, რომელიც, ასევე, ცნობილია, როგორც ექსოგენური ზრდის მოდელი, ან როგორც სოლოუს ზრდის მოდელი. ის გვეუბნება, რომ თუ ქვეყნები ეფექტიანად იყენებენ თავიანთ რესურსებს, არსებობს შემცირებადი უკუგება კაპიტალისა და მუშახელის ზრდასთან მიმართებაში. ამ ორი ვარაუდიდან, ნეოკლასიკური ზრდის მოდელი სამი მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველების საშუალებას იძლეოდა. **პირველ რიგში, მუშახელთან დაკავშირებული კაპიტალის ზრდა იწვევს ეკონომიკურ ზრდას**, რამდენადაც, რაც უფრო დიდია მიწოდებული კაპიტალი, ხალხი უფრო პროდუქტიულია. მეორე, ღარიბ ქვეყნებში, **სადაც ერთ პირზე მოდის ნაკლები კაპიტალი, ეკონომიკა გაიზრდება გაცილებით სწრაფად**, რადგან კაპიტალში ყოველი დაბანდება გამოიმუშავებს გაცილებით მაღალ ამონაგებს, ვიდრე ამას, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს

მდიდარ ქვეყნებში დიდი კაპიტალით. მესამე, შემცირებადი ამონაგებით კაპიტალთან მიმართებაში, ეკონომიკა საბოლოოდ მიაღწევს ისეთ მდგომარეობას, როცა კაპიტალის არანაირი ზრდა არ განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას. ასეთ მდგომარეობას ეწოდება “მდგრადი მდგომარეობა”.

აღნიშნული მოდელი ასევე მიუთითებს იმაზე, რომ არსებობს შესაძლებლობა, რომ მხარეებმა გადალახონ აღნიშნული “მდგრადი მდგომარეობა” და განაგრძონ ეკონომიკური ზრდა ახალი ტექნოლოგიების შემუშავების საფუძველზე. გრძელვადიან პერიოდში ერთ კაცზე გამოშვებული პროდუქციის სიდიდე დამოკიდებულია ფულის დაზოგვის ნორმაზე. თუმცა გამოშვებული პროდუქციის ზრდის მაჩვენებელი უნდა უტოლდებოდეს ფულის დაზოგვის ნორმას. აღნიშნულ მოდელში, პროცესი, რომლის საშუალებითაც ქვეყნები განაგრძობენ ზრდას შემცირებადი უკუგების მიუხედავად, “ექსოგენურია” და წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების შექმნაზე რეაგირებას, რაც იძლევა პროდუქციის შექმნის საშუალებას გაცილებით მცირე რესურსებით. ტექნოლოგია უმჯობესდება, კაპიტალის მდგრადი მდგომარეობის დონე იზრდება, ქვეყანა აკეთებს ინვესტირებას და ეკონომიკა იზრდება. მონაცემები ვერ ახერხებენ მოდელის ზოგიერთი პროგნოზის გამართლებას, განსაკუთრებით, იმას, რომ გრძელვადიან პერიოდში ყველა ქვეყანა ერთნაირად იზრდება, ან იმას, რომ ღარიბი ქვეყნები ეკონომიკურად უნდა გაიზარდონ გაცილებით სწრაფად, ვიდრე მიაღწევენ “მდგრად მდგომარეობას”.

სწორედ ამ ჩავარდნის მიზეზს *ხსნის გლობალური ბაზრების საქონლის ფასები*, რაც საშუალებას აძლევს მდიდარი ქვეყნის მოსახლეობას ფაქტიურად მისთვის მინიმალური ღირებულებით მოიხმაროს აუცილებელი საქონელი, ხოლო ღარიბი ქვეყნის მოსახლეობას თავისი შემოსავლის უდიდესი ნაწილის გადახდა უხდება. ანუ უნდა მოხდეს ეკონომიკური ზრდის მოდელის კორექტირება გლობალური ბაზრის და ქვეყნის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის მიხედვით გლობალურ საქონელთან მიმართებაში.

მეორე მხრივ, ღარიბი ქვეყნის მოსახლეობის დანახარჯების ეს წილი მიემართება იმ ქვეყნების შემოსავლებში, რომლებიც გლობალურ *საქონელს ანუ გლობალურად დაწესებული ფასების მქონე საქონელს ფლობენ, ანუ თანამედროვე გლობალურ ბაზრებს აქვთ დაწესებული “ხარკი”* იმ

ქვეყნებისთვის, რომლებიც გლობალურ საქონელს არ ფლობენ და მათი გადახდილი “რეგრესული ბუნების გადასახადი მიემართება” იმ ქვეყნების ხაზინებში რომელთაც ასეთი სახის საქონელი აქვთ, ანუ გლობალური საქონლის მფლობელ ქვეყნებში ღარიბი მოსახლეობიდან მიემართება ხარკი, ხოლო მდიდარი ქვეყნებისათვის ეს საუკეთესო ფასში ანუ იაფად ნაყიდი საქონელია, რომლის ეფექტი კარგად აქვს ჩამოყალიბებული დევიდ რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორიაში. რაც, თავის მხრივ, ახდენს ასეთ საქონელზე მდიდარი ქვეყნების მოსახლეობის ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას, ხოლო ამ საქონლის ფლობა უზრუნველყოფს ნამეტ შემოსავალს ამ საქონლის მფლობელი ქვეყნისთვის.


ახლა განვიხილოთ მარტივი მაგალითი ეროვნული ანგარიშების ტოლობიდან მთლიანი შიდა პროდუქტი ტოლია მოხმარებას პლუს ინვესტიციები

$$y=c+i, \text{ საიდანაც } c=y-i.$$

ამგვარად, მოხმარება არის წარმოებას მინუს ინვესტიციები, სიმარტივისათვის ეს ტოლობა შეიძლება ადეკვატურად გამოყენებული იქნას ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქის მიმართ, რადგან გლობალურმა ბაზრებმა იმდენად მოშალეს საზღვრები ქვეყნებს შორის უმჯობესი იქნება, თუ დაკვირვებას დავიყვანთ ინდივიდამდე. თითოეული ადამიანის შემოსავალი ნაწილდება მოხმარებას პლუს ინვესტიციები, როცა ადამიანის შემოსავალი განუხრელად იზრდება, მისი შემოსავლის ნაზრდის უფრო ნაკლები ნაწილი მიემართება მოხმარებისაკენ, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ინვესტირების წილის ზრდას. ანუ როცა კაცის შემოსავალი იზრდება, რაღაც ზღვრის შემდეგ მატულობს ინვესტირების წილი უფრო მეტად, ხოლო მოხმარების წილი იკლებს. სხვადასხვა ქვეყნებში მოხმარების მიმართ ზღვრული მიდრეკილება სხვადასხვაგვარია, მაგრამ მეტ-ნაკლებად. მაქსიმალური მოხმარების დონე მაინც მიღწევადია და ამ წერტილის შემდეგ  $\Delta c/\Delta y$  ზღვრული მოხმარება მიისწრაფის ნულისაკენ, ხოლო  $\Delta i/\Delta y$  მიისწრაფის მაქსიმუმი მნიშვნელობისაკენ იხ. გრაფიკი, ანუ ჩვენს შემთხვევაში ერთისაკენ. ეს დამოკიდებულება კი მიუთითებს იმაზე, რომ იმ კაცს, რომელსაც მეტი თანხები აქვს ინვესტირებისათვის, უფრო მეტი და მეტი ექნება და მისი ცხოვრების დონე და სტანდარტებიც იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე იმისა, რომელიც თავის შემოსავალს თითქმის სრულად მოიხმარს და ეკონომიკურ



ზრდას აღწევს მხოლოდ სხვის მიერ ინვესტირებული თანხებით. ანუ სესხულობს კაპიტალს იმ პირებისგან, რომლებიც უფრო მდიდრები არიან, რის საფუძველზეც მათი ცხოვრების დონე კი იზრდება, მაგრამ უფრო მეტად იზრდება ინვესტიციების მფლობელების შემოსავლები, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს კაპიტალის უფრო მეტ და მეტ მიწოდებას ბაზარზე, რაც ამცირებს კაპიტალის ფასს და ხელმისაწვდომს და სახარბიელოს ხდის ვალის აღებას იმ მოქალაქეების მხრიდან, როლებსაც არ შეუძლიათ ამ თანხების უკან დაბრუნება, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს ბევრ გაზრდილ დაუბრუნებელ სასესხო ვალდებულებებს, სწორედ ეს ფაქტორები ახდენს ბოლო წლების განმავლობაში ქვეყნებში მდიდრებსა და ღარიბებს შორის ნაპრალის გაზრდას.



ანუ იმ ქვეყნის მოსახლეობისათვის, რომლისთვისაც შემოსავალი და მოხმარება ერთმანეთს უტოლდება, ეს ნიშნავს, რომ ინვესტიციები ხდება ნულის ტოლი და მისი მოსახლეობა მუდმივად განიცდის პრობლემას კაპიტალდაბანდებას გაზრდისთვის. ეკონომიკური ზრდა კი ამ დროს მაცდუნებელ როლს თამაშობს სხვების გაზრდილი ეკონომიკური კეთილდღეობა და ბაზარზე არსებული თვალისმომჭრელი საქონელი მის წინაშე ახალ და ახალ მოთხოვნებს წარმოშობს მოხმარებისადმი და ეს კი მას უბიძგებს კიდევ და კიდევ იხესხოს და გაამდიდროს უფრო მდიდარი – მაგრამ როდემდე? ამასაც გააჩნია ზღვარი, რადგან ის აღმოაჩენს, არ ღირს უფრო და უფრო მეტის მოხმარება კრედიტის ხარჯზე, რაც შეამცირებს მოთხოვნას სესხებაზე და განაპირობებს იმ შედეგებს, რასაც დღევანდელ მსოფლიოში ვხედავთ. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თუ გადავხედავთ სხვადასხვა ქვეყნებს, შეგვიძლია თვალნათლივ დავინახოთ, რომ განსაკუთრებით დიდი პრობლემები შეექმნებათ იმ ქვეყნებს, სადაც დიდი განსხვავებებია მდიდრებსა და ღარიბებს შორის და არ არსებობს საშუალო ფენა.

ამერიკამ თვალნათლივ დაინახა, რომ მიმდინარე პრობლემების მოგვარების გზა მოხმარების სტიმულირებაა, სოციალური პროგრამები წამოიწყო და ხელს უწყობს ეკონომიკის სტაბილიზაციას, თუმცა გამომწვევ რეალურ მიზეზებს იკვლევს, რათა იპოვოს უფრო და უფრო დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე, რამ გამოიწვია ამდენი ხნის სტაბილური ეკონომიკური ზრდის პერიოდის შემდეგ ასეთი კრახი საფონდო ბირჟებზე.

ამჟამად განსაკუთრებული საფრთხის ქვეშ დგას რუსეთი, **სადაც არიან ძალიან მდიდრები და ძალიან ღარიბები**. რაც შეეხება ევროპას, ეს პრობლემები ისე მძაფრი არ იქნება, რადგან ევროპა ახდენდა გლობალური ერთიანი ბაზრის ჩამოყალიბებას უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში და ევროპის გლობალური ბაზარი ნელ-ნელა ფართოვდებოდა და შესაბამისად ევროკავშირის სავარაუდო კანდიდატების მიზანმიმართულ დახმარებას ახორციელებდა, რათა მათი მომავალი წევრი ქვეყნის მოსახლეობის შემოსავლიანობა გაეზარდა, ანუ ევროპის მოსახლეობა და ტერიტორია იზრდებოდა, მაგრამ პარალელურად ძალიან დიდი რესურსები მიემართებოდა არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდის არამედ ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამებში, რაც ფაქტობრივად უზრუნველყოფდა ღარიბი ქვეყნების მოსახლეობის მისაღები შემოსავლების გაზრდას, რომელსაც ემატება გაზრდილი შემოსავლები ღარიბებისათვის და შემცირებული შემოსავლები მდიდრებისათვის, რომელიც გამოწვეული იყო სხვადასხვა ქვეყნების შრომითი ბაზრების ინტეგრირებით. ანუ ფინანსდებოდა სოციალური პროგრამები, რაც ხელმიუწვდომელია არა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის.

**საქართველოსთვის ეს შანსია, რადგან ჩვენთან ინვესტიციებს ისედაც ბევრი გაურბის ომის გამო, მსოფლიოში არსებული კრიზისი კი ინვესტიციების შემოდინებას საქართველოში კიდევ უფრო შეაფერხებს.** აქ ყველაფერი არის დამოკიდებული იმაზე, რამდენად მუყაითი, ფხიანი და ინიციატივიანი აღმოჩნდებიან ქართველები, რათა ყველამ თავად წამოიწყოს პატარ-პატარა ბიზნესები და სრულად შევძლოთ საკუთარი თავის გატანა. ანუ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რამდენად არის ჩვენი ერის თითოეული კაცი დაჯილდოებული მეწარმეული უნარით, ანუ შემპეტერის მიდგომა იქნება ყველაზე არსებითი საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ გლობალიზაციამ გამოიწვია:

- აღრიცხული გრძელვადიანმა ეკონომიკურმა ზრდამ, რამაც თავის მხრივ, ბევრ ქვეყანაში ეკონომიკური პოლიტიკის მოდუნება;
- მსოფლიოს მდიდარი მოსახლეობის უფრო გამდიდრება;
- ბაზარზე უზარმაზარი კაპიტალის აკუმულირება – მიწოდება და მისი ფასის შემცირება;
- ღარიბი მოსახლეობის გაღარიბება არსებულ ეკონომიკურ ზრდასთან მიმართებაში, (ანუ თუ ქვეყანა ეკონომიკურად საშუალოდ წელში იზრდებოდა 10%-ით, ღარიბი მოსახლეობის ეკონომიკური ზრდა განხორციელდა 1%-ით, რის საფუძველზეც მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავები კიდევ უფრო გაიზარდა);
- წარმატებული ეკონომიკური ზრდა, ყველა ტიპის ეკონომიკაში გრძელვადიან პერიოდში და შეამცირა ეკონომიკური ციკლის რყევები, მაგრამ, როცა კი ბაზარმა გაჯერება დაიწყო, რყევების ტალღებმა სხვადასხვა ქვეყნებს შემოუტია და ფრთხილად უნდა იყვნენ განსაკუთრებით ის ქვეყნები, სადაც დიდი კაპიტალი არის აკუმულირებული, ანდა ფლობენ ბევრ გლობალურ საქონელს, რადგან ციკლური რყევა შეიძლება ძალიან გაძლიერდეს;

ყოველივე ზემოთ აღნიშნული პრობლემების მოგვარების ერთადერთი გზა კი არის მოხმარების სტიმულირება სხვადასხვა სოციალური პროგრამებით, რათა მსოფლიო ეკონომიკა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდეს.

აღბათ ყველა დამეთანხმება, რომ კლასიკური თეორია საფუძველად უდევს მაკროეკონომიკურ თეორიას და გადაწყვეტილებები ზღვრული ანალიზის საფუძველზე მიიღება.

აღბათ არც არავინ შემეწინააღმდეგება იმ დებულებაში, რომ კეინსის მიდგომების მოხმარების სტიმულირებაში ერთ-ერთი ეფექტიანი გზაა ქვეყნის ეკონომიკური კრიზისის მდგომარეობიდან გამოსასვლელად, ასევე ფილიპსის მრუდს თუ გავისხენებთ, ყველამ ვიცით, რომ ქვეყანა მოკლევადიან პერიოდში უმუშევრობის და ინფლაციის ალტერნატივებს შორის დგას.

ასევე არც ის არის ეკონომისტებისათვის უცხო, რომ ქვეყანამ ტექნოლოგიური პროცესების ანუ ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდის კვალდაკვალ უნდა აწარმოოს ინფლაციის ზრდა, თორემ დაფიქსირდება დეფლაცია, რაც ეკონომიკისათვის საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაა და თავის მხრივ იწვევს ფილიპსის მრუდის გადაადგილებას და უფრო მაღალი ინფლაციისა და უფრო მაღალ უმუშევრობის დონეს.

სოლოს ეკონომიკის ზრდის მოდელში კი მიიღწევა მდგრადი მდგომარეობა რაც უზრუნველყოფს ეკონომიკის მყარი მდგომარეობისაკენ მისვლას როცა ეკონომიკა ვეღარ იზრდება.

ეს მხოლოდ გასახსენებლად, ისე კი მინდა ვთქვა, რომ ეკონომიკაში განხორციელებული **კაპიტალდაბანდებები ამ დროს იწვევს დასაქმებული შრომითი ძალის გამოთავისუფლებას**, რაც თავის მხრივ ზრდის უმუშევრობას, და ამცირებს შემოსავლებს, რაც განაპირობებს ერთობლივი მოთხოვნისა და დანაზოგების შემცირებას. ანუ მყარი მდგომარეობის მიღწევის შემდეგ ყოველი დამატებითი ინვესტიცია უზრუნველყოფს უკუპროპორციულ დამოკიდებულებას მოხმარების ფუნქციასთან. აქედან გამომდინარე, ფილიპსის მრუდი ტექნოლოგიური ცვლილებების განხორციელების შედეგად გადაადგილდება, რაც ნიშნავს იმას, რომ თუ ჩვენ მიზანმიმართულად ვაწარმოებთ ტექნოლოგიურ ცვლილებას რაც გამოიწვევს წარმოების ეფექტიანობის ზრდას და ინფლაციის გაზრდას და იმავედროულად დასაქმების შემცირებას. თუმცაღა მოხდება ფასების **აწევა არა ჩანაცვლებად რესურსებზე**, რასაც მოხდევს ერთობლივი მოთხოვნის შემცირება, მეტი ინფლაცია და მეტი უმუშევრობა, რაც თავის მხრივ, იწვევს ეკონომიკურ **რყევებს**.

